GEO

წინამდებარე სახელმძღვანელო პოლიციასა და ხელისუფლების სხვა მოხელეებს აძლევს შესაძლებლობას, აღკვეთონ და ებრძოლონ პოლიციელთა მიერ ჩადენილ გადაცდომებსა და დაუსჯელობას და დაიცვან ადამიანთა უფლებები. სახელმძღვანელო დაიწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე დაყრდნობით. მასში გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართალი, ასევე წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტისა (CPT) და ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული სხვა შესაბამისი სტანდარტები.

Prems 188113

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საპოლიციო მომსახურება

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა დამცველი წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთაგან 28 ევროკავშირის წევრიცაა. ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს ხელი აქვს მოწერილი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე - ხელშეკრულებაზე, რომელიც შეიქმნა ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE



# ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საპოლიციო მომსახურება










სახელმძღვანელო პოლიციის ოფიცრებისა და სხვა სამართალდამცავი პირებისთვის

ჯიმ მერდოკი
რალფ როში

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

# ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საპოლიციო მომსახურება

## სახელმძღვანელო პოლიციის ოფიცრებისა და სხვა სამართალდამცველი პირებისათვის

ჯიმ მერდოკი

რალფ როშე

ნაშრომი ითარგმნა და გამოიცა ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში - "არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრის ხელშეწყობა".

Funded
by the European Union
and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe

*სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.*

ადამიანის უფლებათა ეროვნულ დონეზე
განხორციელების ხელშეწყობის განყოფილება

ადამიანის უფლებათა პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტი
ადამიანის უფლებათა დირექტორატი
ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის
გენერალური დირექტორატი
ევროპის საბჭო
F-67075 Strasbourg Cedex

© ევროპის საბჭო 2013

## ჯიმ მერდოკი

პროფესორმა ჯიმ მერდოკმა გლაზგოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში მუშაობა დაიწყო მას შემდეგ, რაც ადვოკატის (სოლისიტერის) კვალიფიკაცია მიიღო. გლაზგოს უნივერსიტეტში სამართლის ბაკალავრიატის დასრულების მერე, სწავლა გააგრძელა ბერკლიში, კალიფორნიის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში. 1996-2000 წლებში იყო სამართლის სკოლის ხელმძღვანელი. ჯიმ მერდოკი ლექციებს კითხულობდა მაინწის, ფრაიბურგის, ჰამბურგისა და პარიზ ვესტის უნივერსიტეტებში და მუშაობდა ასისტენტ პროფესორად ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატში. იგი გვევლინება ადამიანის უფლებათა შიდასახელმწიფოებრივი და ევროპული სამართლის სპეციალისტად. პროფესორი ჯიმ მერდოკი ხშირად მონაწილეობს ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ღონისძიებებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. მისი განსაკუთრებული ინტერესის სფეროა ადამიანის უფლებათა განხორციელების არასასამართლო მექანიზმები.

## რალფ როშე

რალფ როშე სწავლობდა დუბლინის სამებისა და საუნივერსიტეტო კოლეჯებში, ირლანდიაში. ის  ალიარებული ადვოკატი - სოლისიტერია ჩრდილოეთ ირლანდიაში, და ინგლისსა და უელსში. მას აქვს ადამიანის უფლებათა დარგში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, მათ შორის, ბოსნია-ჰერცოგოვინას ადამიანის უფლებათა პალატასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში. 2004 წელს მისი თანაავტორობით დაიწერა წიგნი "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების კომენტარები ბოსნია-ჰერცოგოვინასა და სტრასბურგში", რომელიც გამოიცა ინგლისურად და ბოსნია-ჰერცოგოვინას ენებზე. რალფ როშე მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ევროპის საბჭოს კონსულტანტად საპოლიციო და ადამიანის უფლებათა საკითხებზე ევროპაში.

# სარჩევი


| | |
|---|---|
| შესავალი | 9 |
| საპოლიციო მომსახურება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია | 12 |
| ევროპის საბჭოს მუშაობა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია | 14 |
| ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია - განმარტების ძირითადი პრინციპები | 15 |
| წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტი | 24 |
| დასკვნა | 26 |
| ძალის გამოყენება საპოლიციო მომსახურებისას | 27 |
| შესავალი | 27 |
| პოლიციელთა პასუხისმგებლობების შესრულება | 29 |
| სიცოცხლის უფლება: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი | 31 |
| წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი | 41 |
| თავისუფლების აღკვეთა | 51 |
| თავისუფლების აღკვეთა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია | 51 |
| ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დაცვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი | 53 |
| დასკვნა | 76 |

დანაშაულის გამოძიება და სისხლის სამართლებრივი პროცესის მდგრადობის უზრუნველყოფა 77

შესავალი 77

კონვენციით წარმოშობილი პოზიტიური ვალდებულება - გამოიძიონ ბრალდებები სისხლის სამართლის დარღვევათა შესახებ, ადამიანის უფლებათა დასაცავად. 78

დანაშაულის აღკვეთა და გამოძიება - თვალთვალი და ჩხრეკებით მოპოვებული მტკიცებულებები: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი 81

"სამართლიანი სასამართლო მოსმენის" მნიშვნელობა - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი 90

დანაშაულის გამოძიება - საიდუმლო აგენტების გამოყენება და სხვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი 95

ეჭვმიტანილთა დაკითხვა: დაკავებულთა უფლებები საპოლიციო პატიმრობისას 97

იურიდიულ წარმომადგენელზე ხელმისაწვდომობა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(3)(c) მუხლი 104

არაწესიერად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა სისხლის სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე 106

უდანაშაულობის პრეზუმფცია: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(2) მუხლი 111

დასკვნა 111

დემოკრატიული თავისუფლებების უზრუნველყოფა საპოლიციო მომსახურების გზით 113

შესავალი 113

ზოგადი წარმოდგენა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8-11 მუხლებში ჩარევა 115

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8-11 მუხლებში ჩარევის გამართლება 122

საზოგადოებრივი შეკრებები - საპოლიციო მომსახურების უზრუნველყოფა 127

პროფესიონალური პოლიციის სამსახურის შენარჩუნება 133

ევროპის საბჭოს კოდექსი პოლიციის ეთიკის შესახებ 133

პოლიციის ოფიცერთა უფლებები 135

დანართი A: CPT-ს სტანდარტები და პოლიცია 141

დანართი B: პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი 175

# შესავალი

სახელმძღვანელო "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საპოლიციო მომსახურება" გამოიცა ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში -"ადასათანადო მოპყრობასა და დაუსჯელობასთან ბრძოლის ხელშეწყობა" - პოლიციელთა პროფესიონალიზმის ასამაღლებლად და ევროპის საბჭოს სტანდარტების გასავრცელებლად საპოლიციო მომსახურების შესახებ.

დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც მოქმედებს კანონის უზენაესობა, პოლიციის მთავარი მიზნებია:

- შეინარჩუნოს სიმშვიდე და მართლწესრიგი საზოგადოებაში;
- დაიცვას და პატივი სცეს პირთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებსაც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;
- აღკვეთოს და აღმოფხვრას დანაშაული;
- გამოავლინოს დანაშაული;
- დაეხმაროს და მოემსახუროს საზოგადოებას.[1]

დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი მომსახურებისათვის, ასევე, პოლიტიკური ჩარევის თავიდან ასაცილებლად, პოლიციას მინიჭებული აქვს ფართო დისკრეცია თავისი მოვალეობების შესრულებისას. ამ მიზნით, პოლიცია კანონით უფლებამოსილია, გამოიყენოს იძულების ღონისძიება და მიმართოს გონივრულ ძალას, როცა კანონის ფარგლებში ასრულებს თავის

1. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი Rec(2001)10 პოლიციის ეთიკის ევროპულ კოდექსზე, მუხლი I.1.

მოვალეობას. ბოლო ათწლეულების განმავლობაში დაიხვეწა სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევები და გაფართოვდა პოლიციელთათვის ხელმისაწვდომი სპეციალური უფლებამოსილებათა არეალი. ამან მათ ადამიანთა ცხოვრებაში შეჭრისა და ცალკეულ პირთა უფლებებში ჩარევის შესაძლებლობა მისცა[2].

საპოლიციო მომსახურებასთან მიმართებით, ევროპის საბჭოს ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია - როგორც პასუხი პოლიციის მხრიდან ადამიანის უფლებათა რეალურ დარღვევებზე, რომლებიც მოხდა და, სამწუხაროდ, დღესაც ხდება სხვადასხვა ქვეყანაში - რომ მისი ძირითადი მიზანი იყოს ადამიანის უფლებათა დაცვა. არ არსებობს წინააღმდეგობა ეფექტიან საპოლიციო მომსახურებასა და ადამიანის უფლებათა დაცვას შორის. პირიქით, ერთისკენ მიმავალი გზა მეორეზე გადის. იმის გათვალისწინებით, რომ პოლიციას თავისი საქმიანობისას უმეტესად მჭიდრო შეხება აქვს საზოგადოებასთან, მისი მუშაობის ეფექტიანობა დამოკიდებულია სწორედ საზოგადოების მხარდაჭერაზე. ამავე დროს, საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა პოლიციისადმი მჭიდროდ უკავშირდება პოლიციელთა დამოკიდებულებასა და ქცევას მის მიმართ - კერძოდ, პოლიციელთა მიერ ადამიანის ღირსების, ასევე, პირის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პოლიციის ოპერატიული საქმიანობისათვის ადგენს მოცულობით ფარგლებს, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს საზოგადოების მხარდაჭერას ამ სისტემისადმი. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის დიდი ნაწილის გამოყენება შეიძლება პრაქტიკაში - პოლიციელთა მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, სასამართლო მუდმივად იმეორებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი განამტკიცებს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას. ყველაზე რთულ გარემოებებშიც კი, როგორიცაა ტერორიზმსა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, კონვენცია აბსოლუტური მნიშვნელობით კრძალავს წამებას და არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. კონვენციის ბევრი დათქმისაგან განსხვავებით, მე-3 მუხლი არ უშვებს გამონაკლისებს და მისგან გადახვევა დაუშვებელია, საგანგებო მდგომარეობის ჩათვლით, როცა საფრთხე ექმნება ხალხის სიცოცხლეს.[3]

კანონის უზენაესობის დაცვა პოლიციას იმგვარადვე ევალება, როგორც საზოგადოების ნებისმიერ წევრს. დაუშვებელია იძულების ან შემზღუდველი საშუალებების უკანონო გამოყენების დაფარვა, შეწყნარება ან გამართლება პოლი-

---

2. ადამიანის უფლებათა კომისრის მოსაზრება CommDH(2009)4 პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების დამოუკიდებელი და ეფექტიანი განხილვის შესახებ, პუნქტები 15-17.

3. *Chahal v. United Kingdom,* 15 ნოემბერი, 1996.

ციის ოფიცრების მიერ, ამ საშუალებათა კანონიერად გამოყენების უფლების მოშველიებით. პოლიციის ეთიკისა და პროფესიული სტანდარტების დაცვა უზრუნველყოფს მისი მომსახურების უმაღლეს ხარისხს. ასევე დაუშვებელია პოლიციელთა დაუსჯელობა არასათანადო მოპყრობის ან გადაცდომის დროს.[4]

სახელმძღვანელო შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ბაზაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლის, ასევე, წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის (CPT) და ევროპის საბჭოს ფარგლებში დადგენილი სხვა შესაბამისი სტანდარტების ჭრილში. ამიტომ იგი უნდა იქცეს მნიშვნელოვან ინსტრუმენტად პოლიციისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების ხელში, რათა აღკვეთონ და ებრძოლონ პოლიციელთა გადაცდომებს ან დაუსჯელობას და განამტკიცონ ადამიანის უფლებები.

კრისტოს ჯაკუმოპულოსი

ადამიანის უფლებათა დირექტორი
ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის
გენერალური დირექტორატი
ევროპის საბჭო

4. Ibid. პუნქტი 18.

თავი 1

# საპოლიციო მომსახურება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

პოლიციის როლს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა დაცვისას. დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის განმტკიცებისას, მართლწესრიგის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი პირები თვითონ უნდა იყვნენ ანგარიშვალდებულნი კანონის წინაშე. პოლიციის ოფიცრები ადამიანის უფლებათა ყოველდღიური დამცველები არიან პრაქტიკაში, თუმცა, ამ მოვალეობის შესასრულებლად ხშირად იმ პირთა უფლებებში ჩარევა უხდებათ, რომლებსაც სხვათა უფლებების დაზიანება აქვთ გამიზნული.

პოლიციის უფლებამოსილებისა და ინდივიდთა თავისუფლების სათანადოდ დაბალანსების პრობლემა ახალი არ არის. ხშირად ის ანგარიშვალდებულებით გამოიხატება. *Quis custodiet ipsos custodes?* - ეს შეკითხვა ანტიკური ხანაში დაისვა. დღეს, ლიბერალური დემოკრატიის ეპოქაში, ამ უძველეს პრობლემაზე პასუხი, როგორც წესი, კანონისადმი ანგარიშვალდებულებით გამოიხატება; თუმცა, ევროპა ითხოვს როგორც შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის წესის, ასევე ევროპული სტანდარტების, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დაცვას.

ევროპის მოქალაქეები, ასევე, ევროპული ქვეყნების საზღვრებში მცხოვრები სხვა პირები, ბევრს ითხოვენ თავიანთი პოლიციის სამსახურებისაგან, თუმცა, სწორია მათი მოთხოვნა - საპოლიციო პასუხისმგებლობა კანონის

დაცვით შესრულდეს, მეტიც, ამ დროს პატივი სცენ გარკვეულ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც ასახავს დემოკრატიული საზოგადოების ბუნებას. ეს "სამართალი" მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი არ არის, იგი თანდათან ევროპულიც ხდება და თავისთავად გამოხატავს გარკვეულ "ღირებულებებს" ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა: დემოკრატიული პროტესტის მნიშვნელობა, პირთა პირადი ცხოვრების პატივისცემა და საპოლიციო უფლებამოსილების თვითნებური გამოყენებისაგან დაცვა.

ამგვარი ღირებულებები ასახულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. ევროპული სასამართლოს ამოცანაა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტებით, პრაქტიკული რჩევები გასცეს, როცა მას საქმეების განსახილველად მიმართავენ. ამ საქმეებში საუბარია კონკრეტულ ფაქტებზე, რომლებიც ეფუძნება შიდასახელმწიფოებრივი სამართლისა და პრაქტიკის ინდივიდუალურ სისტემებს, მაგრამ ამ იურისპრუდენციის დაცვა საყოველთაო გამოყენების პრინციპია. მაგალითად, თურქეთის საქმემ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს საფრანგეთსა ან დიდ ბრიტანეთზე, როცა საკითხი ეხება პოლიციას დაქვემდებარებულ საპატიმროებში იურიდიული წარმომადგენლის შესვლას.[5] ანალოგიურად, გადაწყვეტილება ავსტრიაში ქუჩის საპროტესტო აქციებზე საპოლიციო კონტროლის შესახებ, შესაძლოა, მეტად შედეგიანი აღმოჩნდეს ევროპის რომელიმე სხვა ქვეყნის პოლიციის ოფიცრებისათვის იმ თვალსაზრისით, თუ როგორ უნდა მოექცნენ დემონსტრანტებს.[6]

ამ სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს პოლიციის ოფიცრებს არსებითი სტანდარტების, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ("სტრასბურგის სასამართლოს") მიერ განმარტებულ კონვენციის სავალდებულო დებულებათა გაგებაში. სხვა ევროპული სტანდარტები ხაზს უსვამს პოლიციის ოფიცერთა შერჩევის, პროფესიული გადამზადებისა და პროფესიონალიზმის ამაღლების მნიშვნელობას.[7] შემდგომი დისკუსიის მიზანია, პოლიციელებმა გაიაზრონ და გააცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობა, რადგან ისინი საზოგადოებას იცავენ. საპოლიციო მომსახურებისას გარდაუვალია ადამიანის უფლებებში ჩარევა, თუმცა, ხშირად შემთხვევის ადგილას პოლიციის ცალკეული ოფიცრის მიდგომაზეა დამოკიდებული, ასეთი ჩარევა გამართლებულად ჩაითვლება თუ ადამიანის უფლებათა დარღვევად. ეს სახელმძღვანელო პოლიციის ოფიცრებს დაეხმარება ყოველდღიური საქმიანო-

5. იხ. *Salduz v Turkey,* 27 ნოემბერი, 2008, განხილულია ქვემოთ, გვ.105.

6. იხ. *Plattform Ärzte für das Leben v Austria,* 21 ივნისი, 1988 განხილულია ქვემოთ, გვ.126.

7. იხ. ქვემოთ, გვ.133-140.

ბისთვის ადამიანის უფლებათა მიდგომების შემუშავებაში.

შესავალი თავი მათ დაეხმარება საპოლიციო მომსახურების ევროპული სტანდარტების გააზრებაში. აქ აქცენტი ევროპის საბჭოზეა - ორგანიზაციაზე, რომელიც მდებარეობს სტრასბურგში, საფრანგეთში. ევროპის საბჭო (47 წევრი სახელმწიფოთი) განსხვავდება ევროპის კავშირისაგან (რომელშიც ამჟამად 28 წევრი სახელმწიფოა). რადგან არსებობს საპოლიციო მომსახურების ისეთი ასპექტები, რომლებზეც გავლენას ახდენს ევროპის კავშირის წევრობა, ეს ნაშრომი ექსკლუზიურად ევროპის საბჭოსა და მის ორგანოებს ეხება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ჩათვლით.

## ევროპის საბჭოს მუშაობა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

ევროპის საბჭო მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, რომელიც ეფუძნება პლურალისტური დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა პატივისცემისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს. ეს ერთ-ერთია იმ რამდენიმე ევროპული ინიციატივიდან, რომელთა მიზანიც იყო დასავლური ლიბერალური დემოკრატიების დაახლოება საერთო ღირებულებათა საფუძველზე და, ამავე დროს, წინააღმდეგობის გაწევა ტოტალიტარული რეჟიმის შემდგომი გავრცელებისთვის. კომუნისტური რეჟიმების დამხობის შედეგად, ევროპის საბჭოს წევრთა რაოდენობა გაიზარდა და დღეისთვის ის 47 სახელმწიფოს ითვლის. ევროპის საბჭოს აქტივობებში შედის: დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცება საკანონმდებლო და საკონსტიტუციო რეფორმებით და მოგვარების საერთო გზების გამონახვა იმ თანამედროვე გამოწვევებისთვის, როგორიცაა ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული და ადამიანებით ვაჭრობა.

ევროპის საბჭო სამი ძირითადი მიდგომით საქმიანობს: პირველი, სტანდარტების დადგენა (კერძოდ, საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების გზით - მაგრამ, ამავე დროს, რეკომენდაციებისა და რეზოლუციების შემუშავებითაც - და სტანდარტების ეტაპობრივად დადგენით მონიტორინგის ორგანოების მუშაობის პროცესში); მეორე, მონიტორინგი სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებაზე (კერძოდ, იმ ორგანოთა მუშაობით, რომლებიც ხელშეკრულებების - მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის - საფუძველზეა შექმნილი); და მესამე, თანამშრომლობა წევრ სახელმწიფოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის (მაგალითად, ინსტიტუციური შესაძლებლობათა დახვეწისა და საკანონმდებლო რეფორმების ხელშეწყობა ტრენინგებითა და შესაბამისობის შესახებ კვლევებით).

თითოეული მათგანი განსაკუთრებულად რელევანტურია ევროპაში პოლიციის სამსახურებისთვის. თუმცა, აქ აქცენტი კეთდება პირველზე, სახელდობრ კი სავალდებულო ძალის მქონე სამართლებრივი ნორმების შექმნაზე სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად - დაიცვან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი გარანტიები.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ძალაში შევიდა 1953 წელს. მისი პრეამბულა განამტკიცებს ევროპის საბჭოს მიზანს - მიღწეულ იქნას მეტი ერთიანობა სახელმწიფოთა შორის, *inter alia* "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვითა და მათი შემდგომი განხორციელებით". ამგვარ უფლებებს "ეფუძნება სამართლიანობა და მშვიდობა მსოფლიოში და მათი დაცვა საუკეთესოდ ხერხდება, ერთი მხრივ, ეფექტიანი დემოკრატიული პოლიტიკით და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთო გაგებითა და უზრუნველყოფით. მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტექსტი საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მოექცა, მაგრამ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა, თავის მხრივ, გავლენა იქონია სხვა საერთაშორისო და რეგიონულ ტრიბუნალთა იურისპრუდენციაზე და ხელი შეუწყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო ნორმების დადგენას. დღეს კონვენციის მოხმობა 820 მილიონ ევროპელს შეუძლია, თუმცა, ადგილობრივი მოწყობის წესებს შორის განსხვავება კვლავ დაცულია. ეს პრინციპი აისახება სასამართლოს შემადგენლობაზეც - გადაწყვეტილების გამოტანისას - რადგან მუდმივად ხდება წევრ სახელმწიფოთა მიერ დანიშნულ მოსამართლეთა გადანაცვლება, რათა დაიცვან სათანადო გეოგრაფიული ბალანსი და წარმოადგინონ კონტინენტის სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიციები.[8] ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს იმას, რომ სასამართლოს უფრო ფართო პერსპექტივა აქვს, ვიდრე ექნებოდა, ძირითადად ან ექსკლუზიურად ერთ რომელიმე სისხლის სამართლის სისტემაზე რომ ყოფილიყო დაფუძნებული.

## ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია - განმარტების ძირითადი პრინციპები

სტრასბურგის სასამართლო ყოველწლიურად მნიშვნელოვანი რაოდენობის გადაწყვეტილებებს იღებს. ის მუშაობს "პრეცედენტული" სისტემით, რაც

8. საქმეს, წესისამებრ, იხილავს ხუთიდან ერთ-ერთი პალატა, მაგრამ როცა ის განსაკუთრებით რთულ საკითხს ეხება, ან საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს შეთანხმებულ მიდგომას, სასამართლო იკრიბება დიდი პალატის სახით.

იმას ნიშნავს, რომ იგი ცდილობს, არსებულ გადაწყვეტილებებს დაეყრდნოს და შემდგომ ისინი ანალოგიური საქმეებში გამოიყენოს, თუმცა, ტრადიციულად მან შესაძლოა საჭიროდ მიიჩნიოს გამოყენებული მიდგომებიდან გადახვევა. მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართალი კონკრეტულ ფორმას აძლევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრინციპებსა და გარანტიებს. შეუძლებელია კონვენციის სათანადოდ გაგება სასამართლო საქმეების შესწავლის გარეშე, თუმცა, სტრასბურგის სასამართლო პრეცედენტულ სამართალს "ევოლუციურად" განმარტავს. ამ სახელმძღვანელოს დიდი ნაწილი ეთმობა მსჯელობას საქმეებზე, რომლებიც რელევანტურია საპოლიციო მომსახურებისათვის, ეს არის მცდელობა - პოლიციის ოფიცრებმა დააფასონ კონვენციის მნიშვნელობა თავიანთ საქმიანობაში, მაგრამ დეტალური მსჯელობის დაწყებამდე, სასარგებლო იქნება ამ იურისპრუდენციაში არსებული რამდენიმე არსებითი კონცეფციის მიმოხილვა ზოგადი განმარტების ფორმით.

## სტრასბურგის სასამართლოს სუბსიდიური ბუნება

წინამდებარე ნაშრომში აქცენტი სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციაზეა. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია დავაფასოთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში განმტკიცებული უფლებების უპირველესი გარანტორია არა სტრასბურგის სასამართლო, არამედ *ადგილობრივი* მოსამართლე, კანონმდებელი ან საჯარო მოხელე. ეს პირდაპირ უკავშირდება პოლიციის ოფიცრებს, მათი მოვალეობების *შესრულებისას*. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლით სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, "თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყონ" კონვენციით დაცული უფლებები. მართლაც, ვიდრე პირი ან არასამთავრობო ორგანიზაცია საჩივრით მიმართავს სტრასბურგის სასამართლოს, მან უნდა აჩვენოს, რომ ამოწურა სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება (როგორიცაა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის გამოყენება)[9]. სხვა სიტყვებით, სტრასბურგის სასამართლოს საჩივართა მექანიზმი ეროვნული მოწყობის წესებთან მიმართებით *სუბსიდიურია*. ეროვნულ სამართლებრივ და ადმინისტრაციულ მოწყობებს შორის მრავალფეროვნება დაცულია - იმ პირობით, რომ ეს შიდა მოწყობის წესები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნათა მინიმუმს

---

9. წესები საჩივართა დასაშვებობის შესახებ კომპლექსურია და მნიშვნელოვნად სცდება ამ ნაშრომის ფარგლებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. სასამართლოს ონლაინ სახელმძღვანელო, საიტზე: http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=caselaw/analysis&c=#n1347458601286_pointer

მაინც აკმაყოფილებს. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უხსნის ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებს, თუ რას გულისხმობს ეს მოთხოვნათა მინიმუმი. შედეგად, სუბსიდიურობის პრინციპი ხაზს უსვამს საყოველთაოდ მნიშვნელოვან საკითხს, რომ ადგილობრივი საჯარო მოხელეები, როგორებიც არიან პოლიციის ოფიცრები, პრაქტიკაში მოწინავე ხაზზე მდგომი ადამიანის უფლებათა დამცველები არიან, რადგან ხშირად ინდივიდებს სწორედ მათთან აქვთ ხოლმე პირველი შეხება. ამ უფლებების "უზრუნველსაყოფად", ადამიანის უფლებათა დაცვა ხშირად სწორედ პოლიციის ოფიცრებისგან იწყება.

## პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები

როგორც აღინიშნა, 1-ლი მუხლის თანახმად, სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას - "თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის *უზრუნველყონ*" ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (და მისი ოქმებით) განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები. შედეგად, სახელმწიფოს ეკისრება ნეგატიური ვალდებულება, თავი შეიკავოს დაცულ უფლებებში ჩარევისაგან; და ეს ნეგატიური ვალდებულება, ძირითადად, ასახულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტექსტში გამოყენებულ ფრაზებში, მაგალითად: "არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი..." (მუხლი 2); "არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას... (მუხლი 3); "არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა..." (მუხლი 5); და "ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა ... საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად" (მუხლი 10).

თუმცა, უფლებათა *უზრუნველყოფა* არ შემოიფარგლება იმ მოთხოვნით, რომ სახელმწიფოებმა და სახელმწიფო მოხელეებმა თავი შეიკავონ დაცულ უფლებებში ჩარევისაგან. მათ შეიძლება დაეკისროთ ვალდებულება, *პოზიტიური* ნაბიჯები გადადგან ადამიანის უფლებათა დასაცავად. ესეც ასახულია კონვენციის ტექსტში, მაგალითად: "ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული" (მუხლი 2); და "ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა ... [აქვს უფლება] ისარგებლოს [იურიდიული დახმარებით] უფასოდ, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები" (მუხლი 6). გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში მრავლადაა მითითებული სიტუაციები, როცა კონვენციით სახელმწიფოს შესაძლოა პოზიტიური ვალდებულება დაეკისროს - თუ არსებობს ამის აუცილებლობა - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული უფლებების "პრაქტიკულობისა და ქმედითობის" უზრუნველსაყოფად. ამით კიდევ ერთხელ ხაზგასმულია იდეა, რომ პოლიციის ოფიცერი ადამიანის უფლებათა დამცველია და ამ ვალდებულებათა უმრავლე-

სობის შესრულება პირდაპირ საპოლიციო პასუხისმგებლობაა. ეს შესაძლოა განიმარტოს, როგორც ვალდებულების დაკისრება - გადადგას ალსრულებითი ან ოპერატიული პოზიტიური ნაბიჯი, როგორიცაა, მაგალითად, სისხლის სამართლებრივი გამოძიების დაწყება[10] ან ისეთ სიტუაციაში ჩარევა, როცა არსებობს ოჯახური ძალადობის აშკარა საფრთხე,[11] სხვა პირისგან ძალადობის განჭვრეტადი საფრთხე,[12] ან როცა მომიტინგეთა უფლებებს ექმნება საფრთხე საწინააღმდეგო აქციის მონაწილეებისაგან.[13]

## "ავტონომიური კონცეპტების" იდეა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში

ევროპაში მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების შიდასამართლებრივი მოწყობის ფორმები - განსაკუთრებით, სისხლის სამართლის პროცესთან მიმართებით. მნიშვნელოვანია დავაფასოთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ბევრი ტერმინი სტრასბურგის სასამართლომ განმარტა და კონვენციის კონტექსტში მიანიჭა სპეციალური მნიშვნელობა, რომელიც დამოკიდებული არ არის ამ ტერმინთა შიდასამართლებრივ შინაარსზე და გამართლებულია არა მხოლოდ საერთო განმარტების შექმნით - ევროპის მასშტაბით - არამედ იმითაც, რომ კონვენციის ეფექტიანობას საფრთხე ალარ შეექმნას შესაბამისი შიდასამართლებრივი მნიშვნელობის გამო.

მაგალითად, პოლიციის ოფიცრისთვის ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ტერმინია "სისხლის სამართლებრივი ბრალდება" კონვენციის მე-6 მუხლში. როგორც მე-4 თავში განვიხილავთ, ექვმიტანილისათვის გარკვეული უფლებები წარმოიშობა "სისხლის სამართლებრივი ბრალდების" წარდგენისთანავე. თუმცა, ევროპის ქვეყნების შიდასამართლებრივ სისტემებში განსხვავდება ეტაპი, როცა პირს "ბრალდებულად" მიიჩნევენ: ზოგიერთ სახელმწიფოში მას "ბრალს" პოლიციის ოფიცერი უყენებს (პოლიციის საპატიმროში ოფიციალურად შეყვანისთანავე), სხვა ქვეყნებში ამას პროკურორი აკეთებს (პოლიციის ოქმების მიღების, შესწავლის და, ხშირად, პირის რამდენიმესაათიანი საპოლიციო პატიმრობის შემდეგ), ზოგიერთ ქვეყანაში კი პირს ოფიციალურ "ბრალს" მოსამართლე წარუდგენს (წესისამებრ, დაკავების მო-

10. მაგ: *Aydin v Turkey*, 25 სექტემბერი, 1997, §103-109, იხ. ქვემოთ, გვ.79.

11. იხ. ქვემოთ, დამატებით, გვ.49.

12. მაგ: *Osman v the United Kingdom*, 28 ოქტომბერი, 1998, განხილულია ქვემოთ, გვ.79.

13. მაგ: Plattform Ärzte für das Leben v Austria¸ 21 ივნისი, 1988, განხილულია ქვემოთ, გვ.126.

მენტიდან რამდენიმე დღეში). მე-6 მუხლით ექვმიტანილისთვის მინიჭებული უფლებები, ბუნებრივია, ვერ იქნება დამოკიდებული ამგვარ განსხვავებებზე სისხლის საპროცესო კანონმდებლობებს შორის. მართლაც, მე-6 მუხლის განმარტებაში სასამართლო ხაზს უსვამს: პირი "ბრალდებულად" მიიჩნევა იმ მომენტიდან, როცა ოფიციალურად ეცნობება, რომ ექვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში, ეს კი შესაძლოა დაკავების მომენტამდე გაცილებით ადრეც კი მოხდეს (როგორიც, მაგალითად, ჩხიკვის ოიდერის შემთხვევაში)[14]. ანალოგიური მიდგომაა თავისუფლების თვითნებური აღკვეთის საწინააღმდეგო გარანტიებთან მიმართებითაც, რომლებიც დაცულია მე-5 მუხლში, ანუ ის ფაქტი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მნიშვნელობით ითვლება თუ არა პირი თავისუფლებააღკვეთილად, დამოკიდებული არ არის მის შიდასამართლებრივ სტატუსზე.[15]

## კონვენციის, როგორც "ცოცხალი ინსტრუმენტის" იდეა

ზემოთ აღინიშნა სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობა ადგილობრივი სახელმწიფო მოხელეების (როგორებიც არიან პოლიციის ოფიცრები), სასამართლოებისა და კანონმდებლებისათვის მიმართულებათა მიცემაში. თუმცა, ეს ინტერპრეტაცია სტატიკური არ არის, სტრასბურგის სასამართლო ხშირად მოიხსენიებს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, როგორც "ცოცხალ ინსტრუმენტს, რომელიც ... უნდა განიმარტოს იმ დღისთვის არსებული მდგომარეობის ქრილში"[16]. სხვა სიტყვებით, ტექსტის განმარტება "დინამიკური" ან "ევოლუციურია", რადგან სასამართლოს სურს, ასახოს ცვლილებები ევროპულ საზოგადოებაში, მისი პრიორიტეტული იდეები, ღირებულებები და სტანდარტები. "პრეცედენტული სამართლის" იდეაც ახდენს გავლენას პოლიციაზე. მაგალითად, დღეს გაცილებით ნაკლებადაა შეწყნარებული ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც არ არის განპირობებული დაკავებული პირის ქმედებით; ასევე, მეტი მზადყოფნაა საიმისოდ, რომ გარკვეული ქმედებები "წამებად" შეირაცხოს (და არა "არაადამიანური მოპყრობად", როგორც ეს ადრე ხდებოდა)[17]. გარდა იმისა, რომ ამით ხაზი გაესმება კონვენციაში არსებული ბევრი ტერმინის "ავტონომიურობას", ასევე, გამოიკვეთება საბაზისო ღირებულებები და მიდგომები, რომლებიც ბევრ სფეროში სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილე-

---

14. იხ. დამატებით, ქვემოთ, გვ.93.

15. იხ. ქვემოთ გვ.93.

16 *Tyrer v the United Kingdom,* 25 აპრილი, 1978, §31.

17. იხ. გვ.44.

ბებს განაპირობებს. მეორე მაგალითია ფრაზა "აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში". ეს ტერმინი გამოიყენება ისეთ უფლებებში ჩარევისას, როგორიცაა პირადი ცხოვრება და შეკრების თავისუფლება, რათა განისაზღვროს - იყო თუ არა გამართლებული ასეთი ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან. აქ ტერმინთა "ევოლუციური" განმარტება მჭიდროდ უკავშირდება საერთო ევროპული სტანდარტების ჩამოყალიბებას და ასახავს სასამართლოს კონცეფციას, რომ კონვენცია "ევროპული საზოგადოებრივი წესრიგის კონსტიტუციური ინსტრუმენტია".[18] ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, ზოგიერთი ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობს პოლიცია საჯარო საპროტესტო აქციაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, დიდი ალბათობით, განსაკუთრებული ყურადღებით განიხილება, თუ გამოიკვეთება, რომ პოლიცია არაშემწყნარებლურია უმცირესობების უფლებათა მიმართ. დღეს ასეთი მიდგომები პოპულისტურად და არაერთგვაროვნად მიიჩნევა.[19]

## სამართლებრივი სიცხადე

მარტივად რომ ითქვას, სამართლებრივი სიცხადის იდეა ძირითადად იმას გულისხმობს, რომ პირმა შეძლოს დადგენილ ფარგლებში მოქმედება, სახელმწიფოს მხრიდან თვითნებური ან გაუთვალისწინებელი ჩარევის შიშის გარეშე. სტრასბურგის სასამართლოს თანახმად, შიდასახელმწიფოებრივი სამართალი "უნდა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობის პრინციპს - კონცეპტს, რომელიც კონვენციის ყველა მუხლში იკითხება"[20]. შედეგები, რომლებიც მოსდევს პოლიციელთა ქმედებებს - პირის უფლებებში ჩარევას (მაგალითად, მის დაკავებას ან დაპატიმრებას მე-5 მუხლის თანახმად, რომელიც მოითხოვს, რომ თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა იყოს "კანონიერი" და "კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისი", ან ჩხრეკას, ან თვალთვალს, ან საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავი ზომების მიღებას, რომელიც გულისხმობს მომიტინგეთა უფლებებში ჩარევას და რომლის დროსაც პოლიციელთა ქმედება უნდა იყოს "კანონის შესაბამისი" ან "კანონით გათვალისწინებული") - განსაზღვრავს, რომ ნებისმიერი ასეთი ქმედება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას ეფუძნებოდეს და ამ კანონმდებლობის ხარისხი აკმაყოფილებდეს ხელმისაწვდომობისა და განჭვრეტადობის მოთხოვნებს:

---

18. *Loizidou v Turkey* (წინასწარი პრეტენზიები), 23 მარტი, 1995, §75.

19. *ix. Alekseyev v Russia,* 21 ოქტომბერი, 2010, §68-88 და 106-110, განხილულია ქვემოთ, გვ.127.

20. *Amuur v France,* 25 ივნისი, 1996, §50.

> პირველი, კანონი უნდა იყოს სათანადოდ ხელმისაწვდომი: მოქალაქისთვის ეს უნდა იყოს სათანადო მინიშნება - შესაბამისი განსახილველ საქმეში გამოსაყენებელი სამართლებრივი წესებისა; მეორე, ნორმა ვერ ჩაითვლება "კანონად", თუ ის საკმარისად ზუსტად არ არის ფორმულირებული, რაც მოქალაქეს თავისი საქციელის გაკონტროლების საშუალებას მისცემს: მან უნდა შეძლოს - საჭიროების შემთხვევაში, სათანადო რჩევით - არსებულ გარემოებებში გონივრულად განჭვრიტოს შედეგები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მის საქციელს.[21]

## აუცილებლობა და პროპორციულობა

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ხშირადაა მინიშნებული, რომ საჭიროა პირთა უფლებებში ჩარევის "აუცილებლობის" ჩვენება. ამ კონცეპტის შედეგები კონტექსტზეა დამოკიდებული. ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც მსჯელობა სიტყვის თავისუფლებას ეხებოდა, სასამართლომ თავისი მიდგომა ასე შეაჯამა:

"სასამართლო გასაჩივრებულ უფლებებში ჩარევას განიხილავს ერთიანი საქმის ჭრილში და იმსჯელებს: იყო თუ არა ამ ჩარევის გასამართლებლად ხელისუფლების ორგანოების მიერ მოხმობილი მიზეზები სათანადო და საკმარისი, გამოყენებული საშუალებები კი - კანონიერი მიზნის პროპორციული. ამ მსჯელობისას სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა გამოიყენეს [გამოხატვის თავისუფლებაში] მოაზრებული პრინციპების შესაბამისი სტანდარტები, მეტიც - მათ საკმარისად შეაფასეს შესაბამისი ფაქტები."[22]

ანუ სამოქალაქო თავისუფლებების შესახებ სახელმწიფო ქმედების "აუცილებლობა" (როგორიცაა მომიტინგეთა უფლებებში ჩარევა), ძირითადად, საჭიროებს სათანადო "ბალანსის" მოძებნას სახელმწიფო ქმედებასა და ინდივიდუალურ უფლებას შორის. სასამართლომ განაცხადა, რომ "აუცილებელი" ... არ არის "განუყოფელის" სინონიმი, არც ისეთი მოქნილი ტერმინია, როგორიც "დასაშვები", "ჩვეულებრივი", საჭირო", "გონივრული" ან "სასურველი" ..."; ის უფრო "გულისხმობს "განსაკუთრებული სოციალური საჭიროების" არსებობას".[23] თუმცა, როცა საქმე ეხება გადაწყვეტილების მიღებას ში-

21. *Sunday Times v the United Kingdom* (No 1), 26 აპრილი, 1979, §49.

22. *Jersild v Denmark,* 23 სექტემბერი, 1994, §31.

23. *Sunday Times v the United Kingdom* (No 1), 26 აპრილი, 1979, §59.

დასახელმწიფოებრივ დონეზე (როგორიცაა საჯარო საპროტესტო აქციაზე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება პოლიციის მიერ), სტრასბურგის სასამართლოს მხრიდან საერთაშორისო კონტროლის ფარგლები ან ინტენსივობა ხშირად დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. მაგალითად, შესაძლოა, უხამსად მიჩნეულ გამოცემათა ამოღების დასაბუთება უფრო იოლი გახდეს პოლიციისათვის, ვიდრე პოლიტიკური მესიჯის გამავრცელებელი ჟურნალ-გაზეთებისა.[24]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ მიზეზები, რომლებიც განაპირობებს პოლიციის ქმედებას - ჩაერიოს სამოქალაქო ან პოლიტიკური უფლებით სარგებლობაში, უნდა იყოს როგორც სათანადო, ასევე საკმარისი. "საკმარისობის" ტესტი მოითხოვს, რომ არსებობდეს გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის, ასევე, სამართლიანი წონასწორობა საზოგადოების ზოგად ინტერესებსა და პირის ძირითად უფლებათა დაცვის საჭიროებებს შორის. შეფასებისას სასამართლომ გამოავლინა "დემოკრატიული საზოგადოების" კონკრეტული მახასიათებლებიც. სწორედ აქ არის მოსალოდნელი, რომ პოლიციამ გადაწყვეტილებების მიღებისას გარკვეული "ღირებულებებით" იხელმძღვანელოს. მაგალითად, სასამართლომ პლურალიზმი, შემწყნარებლობა და გონებაგახსნილობა ამგვარი "დემოკრატიული საზოგადოების" საფირმო ნიშნად დაასახელა.[25]

საერთო ევროპული ღირებულებების თემა შეგვიძლია მეტად განვავრცოთ. როგორც ზემოთ აღინიშნა, მსჯელობა - ჩარევა "აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში" - შესაძლოა ასევე მოიცავდეს საკითხსაც, ხვდება თუ არა განსახილველი სამართალი ან პრაქტიკა სხვა ევროპული სახელმწიფოების მიერ ზოგადად აღიარებული სტანდარტების ფარგლებში, რადგან უფრო რთულია გამართლდეს ღონისძიება, როგორც "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში", თუ ევროპის საბჭოს სხვა სახელმწიფოთა უმრავლესობა ამ საკითხს განსხვავებულად უყურებს.

თუმცა, ასევე აუცილებელია აღინიშნოს, რომ კონვენციის სხვა დებულებები, რომლებიც უკავშირდება საპოლიციო მომსახურებას, უფრო მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებში ხვდება. მაგალითად, კონვენციის მე-2 მუხლი იცავს სიცოცხლის უფლებას, საიდანაც დაშვებულია გამონაკლისი. სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგო ქმედებად, თუ შედეგად მოჰყვება ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტური აუცილებლობა იყო. მე-2 მუხლთან მიმართებით "გამოიყენება აუცილებლობის უფრო

24. იხ. გვ.119.

25. *Handyside v the United Kingdom,* 7 დეკემბერი, 1976, §49.

მკაცრი და მომთხოვნი ტესტი"[26]. მეორე მხრივ, მე-5 მუხლით დაშვებულია პირის კანონიერი დაკავება და დაპატიმრება, "როცა *გონივრული ეჭვის საფუძველზე ამის აუცილებლობა არსებობს* მის მიერ დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად". ამ შემთხვევაშიც პირის უფლებებში ჩარევის მიზეზები უნდა იყოს როგორც სათანადო, ასევე საკმარისი კონკრეტულ საქმეში.[27]

## დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი, თავისთავად, მნიშვნელოვან ევროპულ ღირებულებას გამოხატავს და ასახულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლში, რომლის თანახმადაც:

> ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.

თუმცა, მე-14 მუხლი დამოუკიდებლად არ არსებობს (მიუხედავად იმისა, რომ მე-12 ოქმი უკვე დისკრიმინაციის აკრძალვის ცალკე მდგომ უფლებას ადგენს)[28]. ამგვარად, მასზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ ერთ ან მეტ არსებით გარანტიასთან დამოკიდებულებაში, რომლებსაც იცავს კონვენციის მე-2-12 მუხლები ან დამატებითი ოქმები. "დისკრიმინაცია ნიშნავს შედარებით მსგავს მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისადმი განსხვავებულად მოპყრობას, ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე..."[29]. დისკრიმინაციული მოპყრობის ზოგიერთ საფუძველს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან და ძალიან რთულია სახელმწიფოებისათვის სტრასბურგის სასამართლოს დარწმუნება, რომ დისკრიმინაციული მოპყრობა გამართლებული

26. *McCann and Others v the United Kingdom*, 27 სექტემბერი, 1995, §149.

27. იხ. დამატებით, გვ. 56 და 63.

28. მე-12 ოქმში ვკითხულობთ: "(1) კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონების, დაბადების ან სხვა ნიშნისა. (2) დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია 1-ლ პუნქტში აღნიშნულ რომელიმე საფუძველზე".

29. *DH and Others v Czech Republic,* 13 ნოემბერი, 2007, §175.

იყო. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თქმით, როცა მოპყრობებს შორის განსხვავება რასობრივ ან ეთნიკურ მიზეზს ეფუძნება, "ობიექტური და გონივრული გამართლების ცნება მაქსიმალური სიმკაცრით უნდა განიმარტოს"[30]. ბოშებზე შეტევა და მათი ქონების განადგურებაც დარღვევად ჩაითვალა.

— საქმეში *Nachova and Others v Bulgaria* დადგინდა მე-14 მუხლის დარღვევა მე-2 მუხლთან ერთად, იმის გამო, რომ არ ჩატარდა ეფექტიანი გამოძიება რასობრივი მოტივით ჩადენილი მკვლელობის ბრალდებებზე. საქმეში ნაჩვენები არ ყოფილა, რომ მკვლელობაში რასისტული დამოკიდებულება იკვეთებოდა, მაგრამ იმის გამოსარკვევად, "მიმართეს თუ არა უკანონო, სიძულვილით განპირობებულ ძალადობას", "ძალზე მნიშვნელოვანი იყო" ფაქტი, რომ ხელისუფლების ორგანოებმა არ გამოიძიეს ბრალდებები რასისტული სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ, რათა გამოევლინათ რაიმე სახის რასობრივი მოტივების არსებობა ეთნიკური ან სხვა უმცირესობათა მიმართ ძალის გამოყენებისას.[31]

— საქმეში *Moldovan and Others v Romania* (no 2) სოფლის მცხოვრებთა თავდასხმებს, რომლებსაც პოლიციის ოფიცრები ეხმარებოდნენ, შედეგად მოჰყვა სამი ადამიანის სიკვდილი და ბოშათა ოჯახების კუთვნილი 13 სახლის დანგრევა. განმცხადებლები იძულებულნი იყვნენ, ბოსელში ეცხოვრათ, შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა მათთვის კომპენსაციის გადახდა მხოლოდ 10 წლის შემდეგ ბრძანა. დადგინდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა, მე-6 და მე-8 მუხლებთან ერთობლიობაში.[32]

## წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტებისას სტრასბურგის სასამართლო ასევე იყენებს სხვა საერთაშორისო სტანდარტებს, მაგალითად, დაკავშირებულს სამართალდამცველი პირების მიერ ცეცხლსასროლი

30. *DH and Others v Czech Republic,* 13 ნოემბერი, 2007, §176.
31. *Nachova and Others v Bulgaria,* 6 ივლისი, 2005, §144-168.
32. *Moldovan and Others v Romania* (No 2), 12 ივლისი, 2005, §136-140. ასევე იხ. ანალოგიური საქმეები - *Gergely v Romania*, 26 აპრილი, 2007 და *Kalanyos and Others v Romania*, 26 აპრილი, 2007.

იარაღის გამოყენებასთან.[33] საპოლიციო მომსახურებაზე მსჯელობისას ყურადსაღებია სხვა ევროპული ინიციატივებიც, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციათა ჩათვლით.[34] აღსანიშნავია, რომ წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის ევროპულმა კომიტეტმა (CPT) განსაკუთრებული გავლენა იქონია სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე და მას უბიძგა, *inter alia* უფრო კრიტიკული მიდგომა შეემუშავებინა პატიმრობის ცუდი მატერიალური პირობების შეფასებისას. CPT უფლებამოსილია, მოინახულოს პატიმრობის ადგილები, რათა გაძლიერდეს თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვა. CPT შედეგს აღწევს არა საჩივრებითა და დაპირისპირებით, არამედ სახელმწიფო მოხელეებთან დიალოგისა და დისკუსიის გზით, საპატიმროების მონახულებისას მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. კომიტეტის საქმიანობა კონფიდენციალურია, თუმცა სახელმწიფოები უკვე სიულად ითხოვენ ანგარიშებისა და მთავრობათა პასუხების გამოქვეყნებას.[35] CPT-მ შეიმუშავა საკუთარი სტანდარტები, რომლებსაც ვიზიტებისას იყენებს არსებული პრაქტიკის სწორად შესაფასებლად და სახელმწიფოთა დასარწმუნებლად, რომ მათ დაიცვან შესაბამისი მოთხოვნები და პირობები. ეს ახლად დადგენილი სტანდარტები, სხვა საერთაშორისო ვალდებულებებში არსებულთან შედარებით, უფრო დეტალური და მომთხოვნია ბევრ ასპექტში. დღეისათვის მათი გავლენა სახელმწიფოებზე გამოიხატება რეკომენდაციების შესრულებით შიდასახელმწიფოებრივ დონეზე საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ორგანიზაციული რეფორმების გატარების შესახებ. ეს სტანდარტები ისეთ საკითხებს ეხება, როგორიცაა: ელექტრო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება, საჰაერო გზებით უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დეპორტაცია და სამართალდამცველი ორგანოების მიერ პირთა

33. იხ. დამატებით, გვ.36.

34. მაგ: მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2001)10 წევრი სახელმწიფოებისადმი, პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსის შესახებ, განხილულია ქვემოთ, გვ.133-140.

35. დღემდე გამონაკლისები არიან აზერბაიჯანი და რუსეთის ფედერაცია (ახლახან გაცემული ნებართვა, რომ გამოქვეყნდეს ანგარიში და სამთავრობო პასუხი 2011 წლის აპრილ-მაისში ჩრდილოეთ კავკასიაში ვიზიტზე - იმედია, ბოლო არ იქნება და ანგარიშები შემდგომშიც დაიდება საჯარო სივრცეში). გარკვეულ გარემოებებში, კომიტეტმა შეიძლება საჯარო განცხადებაც გააკეთოს რომელიმე ქვეყანაში არსებულ პირობებთან დაკავშირებით - ეს უფლებამოსილება გამოყენებულია: ორჯერ თურქეთთან, სამჯერ რუსეთის ფედერაციასთან და ახლახან - საბერძნეთთან მიმართებით. ანგარიშები (და CPT-ს შესახებ დამატებითი ინფორმაცია) ხელმისაწვდომია საიტზე http://www.cpt.coe.int.

დაპატიმრება.[36] CPT-ს სტანდარტებიდან მნიშვნელოვან ამონარიდებს ვნახავთ ქვემოთ, დანართში A.

## დასკვნა

პოლიციის ოფიცრებზე დაკისრებული პასუხისმგებლობა პირდაპირ ეფუძნება საზოგადოების წევრთა მზარდ მოლოდინს, რომ საპოლიციო მომსახურებისას დაცული იქნება ფუნდამენტური ღირებულებები და კონკრეტული არსებითი პრინციპები. ამგვარ ღირებულებებსა და პრინციპებზეა აგებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. მრავალფეროვანია ეროვნული პოლიციების მოწყობის წესები და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შიდასახელმწიფოებრივი სისტემები, მათ შორის განსხვავება კი დაცულია, თუმცა, საპოლიციო მომსახურებისადმი მინიმალური ევროპული მოლოდინის ზრდა მუქარად არ უნდა აღიქმებოდეს ამ სამსახურის მიმართ; პირიქით, ადამიანის უფლებებსა და საჩივრებზე ორიენტირებული მიდგომა საპოლიციო მომსახურებაში ხელს შეუწყობს უფრო ეფექტიანი ურთიერთკავშირის შენარჩუნებას ამ სისტემასა და საზოგადოებას შორის. არსებობს საფრთხე, რომ "ადამიანის უფლებები" აღქმული იქნას "ქარტიად კრიმინალთათვის" და დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების უარყოფად, მაგრამ ეს მიდგომა უგულებელყოფს მნიშვნელოვან მიღწევებს ადამიანის უფლებათა იურისპრუდენციაში, რომლებსაც აყალიბებს სტრასბურგის სასამართლო. მაგალითად, ცნება "პოზიტიური" უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს პოლიციას, დაიცვას მსხვერპლი ექსპლუატაციისაგან; პოლიციის ოფიცერთა მხრიდან არასათანადო მოპყრობისადმი არაშემწყნარებლური დამოკიდებულების ზრდა და მზაობა, რომ გარკვეული ტიპის არასათანადო მოპყრობა "წამებად" შერაცხოს, ხელს უწყობს როგორც პროფესიონალიზმის, ასევე კანონის უზენაესობის მნიშვნელობის გაგებას პოლიციის წრეებში.

36. "CPT-ს სტანდარტები", CPT/Inf/E (2002) 1 - Rev. 2011.

# თავი 2

# ძალის გამოყენება საპოლიციო მომსახურებისას

> „არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ შესაძლო საუკეთესო გარანტიაა, თვითონ პოლიციის ოფიცრებმა ერთხმად თქვან უარი მის გამოყენებაზე.[37]

## შესავალი

ძალის გამოყენება მნიშვნელოვანი გამოწვევაა პოლიციის სამსახურებისა და ცალკეული ოფიცრებისათვის. ამ სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ პოლიციის ოფიცერთა პროფესიული გადამზადება და შესაბამისად აღჭურვა, რათა მათ დაკისრებული რთული ფუნქციები ეფექტიანად შეასრულონ. გარდა ამისა, მთავრობებმა უნდა იზრუნონ იმაზეც, რომ საკმარისად ნათელი იყოს სამართლებრივი ჩარჩოები, რომლებიც პოლიციის ოფიცერთა მიერ ძალის გამოყენებას არეგულირებს - როგორც საზოგადოების, ასევე პოლიციის ოფიცერთა დასაცავად. უნდა არსებობდეს ანგარიშვალდებულების მექანიზმები, საკმარისი სახსრებითა და უფლებამოსილებით, რაც მათ უფრო ქმედითს გახდის. პოლიციის ოფიცრებს უნდა სჯეროდეთ, რომ სათანადო ქმედებისას მხარში დაუდგებიან და ძალის არასათანადოდ გამოყენების ფაქტებზე ნებისმიერი გამოძიებისას მათ მიმართ გამოიყენებენ სამართლიან პროცედურებს.

37. წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში მონტენეგროს მთავრობისადმი, 2008 წლის 15-22 სექტემბრის მონტენეგროში ვიზიტის შესახებ CPT/Inf (2010) 3, §16.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი - ისევე როგორც წამების აღკვეთის ევროპული კომიტეტისა და სხვა ორგანოების ანგარიშები - ცხადყოფს, რომ პოლიციისა და სხვა სამართალდამცველი ორგანოების მიერ გადამეტებული და გაუმართლებელი ძალის გამოყენება მუდმივი პრობლემაა.

ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში არსებობს ე.წ. "დაუსჯელობის კულტურა", სადაც სახელმწიფო მოხელეები არასათანადო მოპყრობას მიმართავენ სანქციის შიშის გარეშე. ეს შედეგია დამკვიდრებული დამოკიდებულებისა - ბრმად გაატარონ მანკიერი პრაქტიკა.[38] შესაბამისად, არასათანადო მოპყრობის სისტემატურმა და რუტინულმა გამოყენებამ ღრმად გაიდგა ფესვები ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიციის სამსახურებში, სადაც ეს ქმედებები შენყნარებულია (თუ პირდაპირ წაქეზებული არა) ზედამხედველი ოფიცრების, პროკურორებისა და მოსამართლეების მიერ, ამ ფაქტების სააშკარაოზე გამოტანისას კი ნაკლებ სავარაუდოა, რომ დამნაშავეებს დასჯიან.[39] წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიების არარსებობა დაუსჯელობის ატმოსფეროს ქმნის[40].

ზოგიერთ ქვეყანას არ ეკრძალება მოპყრობა, რომლითაც ირღვევა ევროპული სტანდარტები. შვეიცარიაში ბოლოდროინდელი ვიზიტის შესახებ ანგარიშში წამების აღკვეთის ევროპულმა კომიტეტმა დაადგინა, რომ "მოპოვებული ინფორმაციით, პოლიციის სისასტიკე, რომელსაც CPT მანამდეც გადაანყდა, კვლავ პრობლემად რჩებოდა". ამგვარ არასათანადო მოპყრობას, რომელიც მყარდებოდა თანმიმდევრული სამედიცინო მტკიცებულებებით, ძირითადად მიმართავდნენ პირთა დაკავებისას ან პოლიციის განყოფილებებში გადაყვანისა და პირველადი დაკითხვისას.[41] ასეთი ატმოსფერო ნეგატიურად

38. მე-14 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2004) 28, § 25.

39. CommDH (2004) 3, "ადამიანის უფლებათა კომისრის ანგარიში 2003 წლის 5-8 ოქტომბერს ლატვიაში ვიზიტის შესახებ", §10-13: "ქვეყანაში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება პოლიციის ზოგიერთი წარმომადგენლის ქცევით ძალზე შეშფოთებულია, განსაკუთრებით რთულია იმის გაგება, რატომ არ არის არცერთი საქმე წარდგენილი სასამართლოების წინაშე."

40. "პოლიციის მხრიდან წამება და არასათანადო მოპყრობა "უბრალოდ ნორმალური პრაქტიკაა" მოლდოვაში"; Amnesty International, ნოემბერი, 2009, ხელმისაწვდომია საიტზე:
http://www.amnesty.org/en/library/asset/EUR59/009/2009/en/1b2df020-bf3d-4bfb-9bb9 c7ea620d562a/eur590092009eng.pdf

41. წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში შვეიცარიის ფედერალური საბ-

მოქმედებს საზოგადოების მხარდაჭერაზე პოლიციის მიმართ. თუმცა, შესაძლებელია მდგომარეობის გაუმჯობესება სამართლებრივი ტრენინგებითა და სხვა რეფორმების გატარებით, ასევე, პოლიციის ოფიცერთათვის სამუშაო პირობების გაუმჯობესებით. მაგალითად, საქართველოში ბოლო ვიზიტის შესახებ ანგარიშში CPT-მ აღნიშნა, რომ მკაფიო წესების დანერგვამ (ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით) ... ასევე შეუწყო ხელი პოლიციის ოფიცერთა პროფესიონალიზმის და, შედეგად, ამ სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას."[42]

ამ თავში საუბარია პოლიციის მიერ ძალის გამოყენებაზე, რასაც მიმართავენ, უპირველესად,  დაკავებისა და საჯარო შეკრებების დროს. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა აღნიშნა, რომ "პოლიციელებს, თავიანთი მოვალეობების შესრულების მიზნით, კანონი იძულების ღონისძიებათა გამოყენების უფლებას ანიჭებს და მათ შეუძლიათ გონივრულ ძალას მიმართონ, როცა კანონის ფარგლებში აღასრულებენ უფლებამოსილებას.[43]" ორივე სცენარი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამის დემონსტრირებას ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ეს იურისპრუდენცია ქმნის ყოვლისმომცველ სისტემას და მნიშვნელოვან რჩევებს აძლევს ადმინისტრატორთათვის, პოლიციის სამსახურებისა და ცალკეული ოფიცრებისთვის, რაც მათ დაეხმარებათ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტთა გათავისებაში.

## პოლიციელთა პასუხისმგებლობების შესრულება

პოლიცია სამთავრობო ძალაუფლების ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებაა. მისი მთავარი მოვალეობაა: (i) შეინარჩუნოს კანონის უზენაესობა და საზოგადოებრივი სიმშვიდე; (ii) დაიცვას და პატივი სცეს ინდივიდთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; (iii) აღკვეთოს და აღმოფხვრას დანაშაული; (iv) და დაეხმაროს და მოემსახუროს საზოგადოებას.

პოლიციელებმა თავიანთი მოვალეობების შესრულებისას პატივი უნდა სცენ

ქოსადმი, 2011 წლის 10-20 ოქტომბერს შვეიცარიაში ვიზიტთან დაკავშირებით, CPT/Inf (2012) 26,  გვ.10.

42. ანგარიში საქართველოს მთავრობისადმი, 2010 წლის 5-15 თებერვალს წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის (CPT)  საქართველოში  ვიზიტთან დაკავშირებით, CPT/Inf (2010) 27, § 15.

43. ადამიანის უფლებათა კომისრის მოსაზრება პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების დამოუკიდებელი და ეფექტიანი განხილვის შესახებ, CommDH(2009)4, 12 მარტი, 2009.

და დაიცვან ადამიანების ღირსება და განამტკიცონ მათი უფლებები. მძიმე პასუხისმგებლობების გამო პოლიციის ოფიცრებს ხშირად ძალის გამოყენება უწევთ ასეთ დროს. ეს შესაძლებელია სხვადასხვა კონტექსტში მოხდეს, მაგალითად: მოძალადე პირის დაკავებისას; როცა ეს აუცილებელია მათთვის ან სხვებისთვის; ან დანაშაულის პრევენციის მიზნით. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პოლიციელის მიერ ძალის გამოყენება იყოს, სულ ცოტა, აუცილებელი, კანონიერი და იგი პასუხს აგებდეს თავის ქმედებაზე. ამ დროს დაცული უნდა იყოს როგორც კანონთან შესაბამისობა, ასევე საზოგადოების ნდობა პოლიციისადმი.

ამ საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, პოლიციის მიერ ძალის გამოყენებას მკაცრად არეგულირებს ეროვნული და საერთაშორისო სამართალი. როგორც ზემოთ ითქვა, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე შთამბეჭდავი რაოდენობის საქმეები განიხილა და შესაბამისი პრეცედენტული სამართალი ჩამოაყალიბა, რომლითაც განისაზღვრა ჩარჩოები პოლიციის მიერ ძალის გამოყენების კანონიერების დასადგენად. ამავე დროს, იგი მნიშვნელოვანი გზამკვლევია პოლიციის ყველა ოფიცრისათვის, მათი რანგის მიუხედავად.

პოლიციელთა მიერ ძალის გამოყენებას, ძირითადად, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები არეგულირებენ. მე-2 მუხლი კრძალავს მომაკვდინებელი ან პოტენციურად მომაკვდინებელი ძალის გამოყენებას. იგი დასაშვებია მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრულ გარემოებებში (არსებითად, როცა მისი გამოყენება აბსოლუტური აუცილებლობაა სიცოცხლის დასაცავად). მე-3 მუხლი აბსოლუტურია და კრძალავს წამებას და არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. ორივე მუხლი მოითხოვს, რომ მათ მიერ აკრძალულ ქმედებებს ეროვნული კანონმდებლობაც აღკვეთდეს და სახელმწიფოებმა გადადგან კონკრეტული ნაბიჯები ამ მუხლების დარღვევის პრევენციისათვის, გარდა ამისა, ეფექტიანად გამოიძიონ სარწმუნო ბრალდებები სახელმწიფო მოხელეთა მიერ ძალის გამოყენების შესახებ (ამასთანავე, შესაძლოა რელევანტური იყოს მე-5 მუხლზე მსჯელობაც, რადგან ძალას, ხშირად, სწორედ დაკავებისას იყენებენ. ამ საკითხს შემდეგი თავი ეთმობა).

აქ აქცენტი ძალის *გამოყენებაზეა*. ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი მეთოდი, რომ სახელმწიფომ კონვენციის სტანდარტების დაცვით იმოქმედოს, ძალის არასათანადო გამოყენების შესახებ ყველა სარწმუნო ბრალდების ეფექტიანი გამოძიებაა. დამოუკიდებელი ორგანოების ეფექტიანი გამოძიებები დაეხმარება სახელმწიფოს, შეასრულოს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით ნაკისრი საგამოძიებო ვალდებულებები (უფრო დეტალურად ქვემოთ

განიხილება).[44] გარდა ამისა, ეს დამატებითი გარანტია იქნება პოლიციის იმ ოფიცერთათვის, რომლებიც ზუსტად გაითვალისწინებენ დადგენილ სტანდარტებს. ისინი ასევე ისარგებლებენ გაძლიერებული დაცვით - დაუსაბუთებელი ან ბოროტგანზრახული ბრალდებებისგან, რომელთა უსაფუძვლობაც უნდა დაადგინონ საგამოძიებო ორგანოებმა.

## სიცოცხლის უფლება: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი

კონვენციის მე-2 მუხლი იცავს სიცოცხლის უფლებას. იგი სამ მთავარ მოთხოვნას მოიცავს, ესენია: (i) სახელმწიფო მოხელეთა მიერ არალეგალური მკვლელობების აკრძალვა; (ii) საეჭვო გარდაცვალების ფაქტების გამოძიების ვალდებულება; და (iii) პოზიტიური ვალდებულება, კონკრეტულ გარემოებებში გადაიდგას ნაბიჯები, რათა თავიდან აირიდონ სიცოცხლის მოსპობა, რომლის აცილებაც შესაძლებელია.[45]

მე-2 მუხლის სრული ტექსტი ასე იკითხება:

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

a. ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;

b. კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

c. კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას, აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.

---

44. იხ. გვ.23 (მე-2 მუხლზე) და გვ.30 (მე-3 მუხლზე).

45. Jacobs, White and Ovey, The European Convention on Human Rights (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია), 4th edition, გვ.143.

## მომაკვდინებელი ძალის გამოყენება

მომაკვდინებელი ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, მე-2 მუხლი აწესებს ტესტს, რომელიც მოითხოვს, რომ სახელმწიფომ ძალას უნდა მიმართოს მხოლოდ "აბსოლუტური აუცილებლობისას" და არ გასცდეს ამ მოთხოვნის ფარგლებს. ეს არის მკაცრი პროპორციულობის ტესტი, ანუ ძალა უნდა იყოს მკაცრად პროპორციული მე-2 მუხლის მე-2(a-c) პუნქტში დადგენილი ერთ-ერთი მიზნის მიღწევისა.[46]

მომაკვდინებელი ძალა ასე განისაზღვრება: (i) ძალა, რომლიც გამიზნულია ადამიანის მოსაკლავად და ამ შედეგის მომტანია; (ii) ძალა, რომელიც ადამიანის სიკვდილს იწვევს და, გონივრული ვარაუდით, ამ შედეგს ითვალისწინებდა; და (iii) ძალა, რომლის გამოყენებასაც შედეგად მოჰყვა სხეულის მძიმე დაზიანება, რასაც შესაძლოა სიკვდილი გამოეწვია.

მე-2 მუხლი "უმთავრესად ინსტანციებს კი არ განსაზღვრავს, სადაც ნებადართულია ადამიანის განზრახ მკვლელობა, არამედ უფრო იმ სიტუაციებს აღწერს, როდესაც დაშვებულია "ძალის გამოყენება", რომელმაც შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგი - სიცოცხლის ხელყოფა გამოიწვიოს".[47] სხვა სიტყვებით, მე-2 მუხლის მე-2(a-c) პუნქტში აღწერილი სცენარები იმას არ ნიშნავს, რომ შესაძლებელია მომაკვდინებელი ძალის გამოყენება. ეს არ არის სიტუაციური ბარიერები, რომელთა დადგომისთანავე შესაძლებელი ხდება ასეთი ძალის გამოყენება. იგი მხოლოდ კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ნებისმიერი სხვა მიდგომა შეუსაბამო იქნება მოთხოვნისა - კონვენციით დაცული უფლებები იყოს რეალური და ქმედითი.

მომაკვდინებელი ან პოტენციურად მომაკვდინებელი ძალის გამოყენების ერთადერთი კანონიერი მიზანი, რომელიც მას ამართლებს, არის აბსოლუტური აუცილებლობა ადამიანის სიცოცხლის დასაცავად (იქნება ის, ვინც ძალას მიმართა, თუ სხვა).

— საქმეში *McCann and Others v the United Kingdom* - სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა: "მე-2 მუხლი მთლიანობაში გვაჩვენებს, რომ მე-2 პუნქტი "უმთავრესად ინსტანციებს კი არ განსაზღვრავს, სადაც ნებადართულია ადამიანის განზრახ მკვლელობა, არამედ უფრო იმ სიტუაციებს აღწერს, როდესაც დაშვებულია "ძალის გამოყენება", რომელმაც შესაძლოა გაუთვალისწინებელი შედეგი - სიცოცხლის ხელყოფა - გამოიწვიოს. თუმცა, ძალის

---

46. *McCann and Others v the United Kingdom*, 27 სექტემბერი, 1995, §149.

47. Ibid. §148.

გამოყენება უნდა იყოს "აბსოლუტურად აუცილებელი" ამ მუხლით დადგენილი ერთ-ერთი მიზნის მისაღწევად."[48]

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ პოლიციის როლი არ არის დამნაშავის დასჯა ან მისთვის სხვაგვარი სანქციის დაწესება. პოლიციის ოფიცრები თავიანთი მოვალეობების შესრულებისას შესაძლოა ისეთ პირებს შეხვდნენ, რომლებმაც ყველაზე წინდაუხედავი საქციელი ჩაიდინეს. თუმცა, პოლიციის ფუნქცია დანაშაულის გამოძიებაა და ეჭვმიტანილთა წარდგენა შესაბამისი ორგანოების წინაშე. თუ პოლიცია ეჭვმიტანილთა დასჯას ძალის გამოყენებით შეეცდება, ამით საძირკველი შეერყევა თვით კანონის უზენაესობას. გარდა იმისა, რომ დაირღვევა ევროპული სტანდარტები, ასეთი საქციელი ძალზე უარყოფით გავლენას მოახდენს საზოგადოებაზე.

მე-2 მუხლი შეეხება როგორც იმ ოფიცერთა ქმედებებს, რომლებიც რეალურად იყენებენ მომაკვდინებელ ძალას, ასევე იმ ოპერაციების დაგეგმვასა და კონტროლზე პასუხისმგებელ პოლიციელებს, რომელთა ბრალსაც შესაძლებელია აღნიშნული ძალის გამოყენება.[49] პოლიციამ არ უნდა შეარჩიოს ისეთი ტაქტიკა, რომელიც ამ ძალის გამოყენებას გარდაუვალს ან, მეტი ალბათობით, საჭიროს გახდის. ოპერაციების დაგეგმვასა და კონტროლზე პასუხისმგებელ ოფიცრებს ძალის შესაძლო გამოყენებისას მოეთხოვებათ, რომ უზრუნველყონ სამედიცინო დახმარების მზადყოფნა.

პოლიციის ოფიცრებს მკაფიოდ უნდა განემარტოთ (როგორც სამართლებრივად, ასევე ტრენინგების გზით), როდის და როგორ შეუძლიათ იარაღის ხმარება. საქმეში *Makaratzis v Greece* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციის ოფიცრები ვაკუუმში არ უნდა იყვნენ თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, არც წინასწარ დაგეგმილი ოპერაციის დროს და არც სპონტანური დევნისას. სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩოებით უნდა განისაზღვროს ის გარემოებები, როცა სამართალდამცველებს შეეძლებათ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული საერთაშორისო სტანდარტების ქრილში.[50]

— საქმეში *Makaratzis v Greece* სასამართლო "გაოგნდა მოცემულ გარემოებებში პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ქაოტური-

48. იხ. *McCann and Others v the United Kingdom,* 27 სექტემბერი, 1995, §148.

49. იხ. *McCann and Others v the United Kingdom*, 27 სექტემბერი, 1995.

50. *Makaratzis v Greece,* 20 დეკემბერი, 2004.

ბით". დაედევნენ რაოდენობის პოლიციელებმა განმცხადებლის მანქანას ცეცხლის წვიმა გაუხსნეს რევოლვერებით, პისტოლეტებითა და ავტომატე- ბით.[51] საბერძნეთის კანონმდებლობის გამოსაყენებელი დებულებები არა- საკმარისად ნათელი იყო. სასამართლომ განაცხადა, რომ "საპოლიციო ოპერ- აციები, გარდა იმისა, რომ ეროვნული სამართლით უნდა იყოს დაშვებული, ამ სამართლით საკმარისად უნდა რეგულირდებოდეს, თვითნებობისა და ძალის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მიმართული ადეკვატური და ქმედითი გარანტიების სისტემის ფარგლებში."[52]

— საქმეში *Nachova v Bulgaria* დეზერტირობაში ექვმიტანილ პირებს ბულ- გარეთის სამხედრო პოლიციის ოფიცრები დაედევნენ. ექვმიტანილი დეზერ- ტირები შეუიარაღებელნი იყვნენ და დაკავებას ძალადობით არ დაპირისპ- ირებიან. თუმცა, როცა ისინი ღობეზე გადაძრომით გაქცევას ცდილობდნენ, პოლიციელებმა სასიკვდილო გასროლით ადგილზე დახოცეს. სტრასბურგის სასამართლომ იმსჯელა, კანონიერი იყო თუ არა ძალის გამოყენება. მან დაადგინა, რომ "პოტენციურად მომაკვდინებელი ძალა ვერ ჩაითვლება აბსო- ლუტურად აუცილებლად, როცა ცნობილია, რომ დასაკავებელი პირი საფრთხეს არ უქმნის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და არ არის ექვმიტანილი ძა- ლადობრივი დანაშაულის ჩადენაში". ეს ასეა მაშინაც, როცა ამით შეიძლება დევნილის შეპყრობის შესაძლებლობა დაიკარგოს.[53]

პოლიციის მიერ მომაკვდინებელი ძალის ნებისმიერი გამოყენება სიღრმ- ისეულად უნდა გაკონტროლდეს.[54] როგორიც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფოე- ბს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება - ჩაატარონ ეფექტიანი გამოძიება სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე.[55] პოლიციის ოპერაციები, დემონსტრაციებზე საპოლიციო მომსახურების ჩათვლით, იმგვარად უნდა დაიგეგმოს და კონ- ტროლდებოდეს, რომ სიცოცხლისათვის საშიში საფრთხე მინიმუმამდე შემ- ცირდეს.[56] ოფიცრებს აღჭურვილობის ფართო სპექტრზე უნდა მიუწვდებო- დეთ ხელი, რათა იძულებული არ გახდნენ, საბრძოლო იარაღები გამოიყენონ.

— საქმეში *Simsek v Turkey* სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა: "მი- ულებელი" იყო, რომ პოლიციას ხელი არ მიუწვდებოდა არაეულობის ჩასახ-

51. *Makaratzis v Greece,* 20 დეკემბერი, 2004, §67.

52. *Makaratzis v Greece,* 20 დეკემბერი, 2004, §58.

53. *Nachova v Bulgaria,* 6 ივლისი, 2005, §107.

54. *McCann and others v the United Kingdom,* 27 სექტემბერი, 1995, §150.

55. იხ. ქვემოთ გვ.31.

56. *Bubbins v the United Kingdom,* 17 მარტი, 2005, §136.

შობად საჭირო აღჭურვილობაზე. მისი არარსებობა ნიშნავდა იმას, რომ ოფიცრები იძულებული იყვნენ, მომაკვდინებელი ძალისთვის მიემართათ, რასაც შედეგად სიკვდილი მოსდევდა. და ეს მაშინ, როცა უფრო შესაფერისი იქნებოდა სხვა მეთოდების გამოყენება (მაგ: წყლის ჭავლის ან რეზინის ტყვიების).[57]

— საქმეში *McCann and Others v the United Kingdom* დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ორგანოებმა ჩაატარეს ანტიტერორისტული ოპერაცია ირლანდიის რესპუბლიკური არმიის საბრძოლო სამსახურის განყოფილების წინააღმდეგ. სასამართლომ დეტალურად შეისწავლა ოპერაციის დაგეგმვა და მის მიმდინარეობაზე კონტროლი და დაადგინა, რომ ამ დროს სათანადო ყურადღება არ დათმობია მსჯელობას დაზვერვით მიღებული ინფორმაციის უტყუარობაზე, არც ტერორისტთა დაკავების პოტენციური შესაძლებლობა განხილულა სათანადოდ. გარდა ამისა, ბრიტანეთის არმიის სპეციალური საჰაერო სამსახურის ჯარისკაცთა გამოყენება - თავიანთი მილიტარისტული ტრენინგებით - იმაზე მიუთითებდა, რომ ოპერაციის დაგეგმვისა და მასზე კონტროლისას "საჭირო სიფრთხილით არ მოჰკიდებიან იმ ფაქტს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსალოდნელი იყო სამართალდამცველი პირების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება".[58]

მოთხოვნა - პოლიციის ოპერაციების დაგეგმვა და კონტროლი ისე წარიმართოს, რომ მინიმუმამდე შემცირდეს მომაკვდინებელი ძალის გამოყენების საფრთხე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიციის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. არეულობის ჩასახშობად, პოლიციას ხელი უნდა მიუწვდებოდეს სიცოცხლისთვის ნაკლებად საშიშ ტაქტიკურ საშუალებათა ფართო სპექტრზე (მაგალითად, რეზინის ტყვიებზე, წყლის ჭავლზე, პერსონალური დაცვის აღჭურვილობაზე და სხვა). ამგვარი აღჭურვილობის ნებისმიერი მოხმარება სათანადო წესებით უნდა რეგულირდებოდეს და ოფიცრებს, რომლებმაც უნდა გამოიყენონ ის, გავლილი უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ტრენინგი. მაშასადამე, უნდა არსებობდეს შეიარაღებული ძალების ორგანიზაციული სტრუქტურა, სადაც ხელმძღვანელის ფუნქციებს შეასრულებენ სათანადოდ გადამზადებული და გამოცდილი ოფიცრები.[59] როცა მოსალოდნელია, რომ პოლიციის ოპერაცია დიდხანს გაგრძელდება, სათანადო რესურსები უნდა იყოს მობილიზებული მდგრადობისათვის.  გარდა ამისა, აუცილებელია ნებისმიერი ძალის გამოყენების ფირზე აღბეჭდვა, რათა ეს პროცესი გამჭვირვალე იყოს.[60]

---

57. *Simsek v Turkey,* 26 ივლისი, 2005, §111.

58. *McCann and Others v the United Kingdom*, 27 სექტემბერი, 1995, §212.

59. *Andronicou and Constantinou v Cyprus,* 9 ოქტომბერი, 1997.

60. *Giuliani and Gaggio v Italy* (მეოთხე სექცია), 25 აგვისტო, 2009, §238.

პოლიციის ოფიცრებს უნდა მიეცეთ ნათელი ინსტრუქცია და ჩაუტარდეთ ტრენინგები იმაზე, თუ როდის და როგორ გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი. სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან დაურეგულირებელი და თვითნებური ქმედება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ქმედით დაცვას.[61] ანუ, პოლიციის ოპერაციები, გარდა იმისა, რომ ეროვნული სამართლით უნდა იყოს დაშვებული, ამ სამართლით საკმარისად უნდა რეგულირდებოდეს, თვითნებობისა და ძალის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მიმართული ადეკვატური და ქმედითი გარანტიების სისტემის ფარგლებში.[62]

წესები ძალის გამოყენების შესახებ ყველა სიტუაციაში მოქმედებს, "საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხანგრძლივი ოპერაციის ბოლოსაც, რომლის მიმდინარეობისას სამართალდამცველები სწრაფად წარმოქმნილ, საშიშ სიტუაციებში აღმოჩნდნენ და უმნიშვნელოვანესი ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება მოუხდათ."[63] ვერც შიდა პოლიტიკური სტაბილურობა და ვერც სხვა საგანგებო მდგომარეობა ვერ გაამართლებს ამ სტანდარტებიდან გადახვევას.[64] პოლიციის ოფიცრები უნდა შეფასდნენ, რამდენად ვარგისნი არიან ცეცხლსასროლი იარაღის სატარებლად. თუ სახელმწიფო მათ ამგვარად არ შეარჩევს, შედეგად, მას შესაძლოა პასუხისმგებლობა დაეკისროს ოფიცრის მიერ ჩადენილ მკვლელობებზე, მაშინაც კი, როცა ეს მოხდება არა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.[65]

— საქმეში *Gorovenky and Bugara v Ukraine* სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ "სახელმწიფოებმა მაღალი პროფესიული სტანდარტები უნდა დანერგონ თავიანთ სამართალდამცველ სისტემებში და უზრუნველყონ, რომ ამ სისტემებში მომუშავე პირები საჭირო კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ... კერძოდ, გარდა იმისა, რომ პოლიციის ძალებს ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვისას აუცილებელი ტექნიკური გადამზადება უნდა ჩაუტარდეთ, განსაკუთრებულად უნდა გაკონტროლდეს იმ აგენტთა შერჩევის პროცესიც, რომლებსაც ასეთი იარაღის ტარების უფლება მიეცემათ."[66]

61. *Giuliani and Gaggio v Italy* (დიდი პალატა), 24 მარტი, 2011, §249.

62. *Makaratzis v Greece,* 20 დეკემბერი, 2004, §58. ასევე იხ. *Wasilewska and Kalucka v Poland*, 23 თებერვალი, 2010, §45.

63. *Giuliani and Gaggio v Italy,* (დიდი პალატა), 24 მარტი, 2011, §238.

64. გაეროს საბაზისო პრინციპები ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ, პრინციპი 8.

65. *Gorovenky and Bugara v Ukraine*, 12 იანვარი, 2012.

66. *Gorovenky and Bugara v Ukraine,* 12 იანვარი, 2012, §38.

შემდეგი შეკითხვები იმ ოფიცრებისთვისაა, რომლებმაც მომაკვდინებელი (ან პოტენციურად მომაკვდინებელი) ძალა გამოიყენეს და მათ დაეხმარება ამგვარი ქმედების ლოგიკური საფუძვლის აღდგენაში:

- იყო თუ არა ძალის გამოყენება კანონის შესაბამისი?
- გამოყენებული ძალის ფარგლები პროპორციული იყო თუ არა მოცემულ გარემოებებში?
- განიხილეს თუ არა სხვა ალტერნატივები და, კერძოდ, რომელზე იმსჯელეს?
- რატომ გამოირიცხა ის სხვა ალტერნატივები?
- შეესაბამებოდა თუ არა ძალის გამოყენების მეთოდი პოლიციის პროცედურებსა და ტრენინგებს?

პოლიციის ოპერაციების კონკრეტულ კონტექსტში, როცა გამოყენებული იყო ცეცხლსასროლი იარაღი, სტრასბურგის სასამართლომ ხაზი გაუსვა შემდეგი საკითხების მნიშვნელობას:

- ჩანაწერის გაკეთება: პოლიციის მიერ სრული ვიდეოჩანაწერის გაკეთება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხელს უწყობს ანგარიშგების პროცესს;
- დაქვემდებარების სისტემა: უნდა არსებობდეს დაქვემდებარების ნათელი სისტემა, მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციებითა და პასუხისმგებლობებით;[67]
- ოფიცრებს გავლილი უნდა ჰქონდეთ მათი ფუნქციების შესაბამისი ტრენინგები და გააჩნდეთ სათანადო გამოცდილება;[68]
- ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ტაქტიკური ალტერნატივების ფართო სპექტრზე (მაგ: სიცოცხლისათვის ნაკლებად საშიშ ცეცხლსასროლ იარაღებზე, დამცავ აღჭურვილობაზე);[69]
- სათანადოდ უნდა იყვნენ აღჭურვილი ტექნიკური საშუალებებით (მაგ: სანათები ალყის დროს);
- კონსულტანტებად უნდა ჰყავდეთ სპეციალისტები (მაგ: ცეცხლსასროლი იარაღის) ასევე, მომრიგებლები, რათა მათ რჩევები მისცენ და ხელი შეუწყონ გადაწყვეტილებთა თანმიმდევრულობას;[70]

---

67. *Andronicou and Constantinou v Cyprus*, 9 ოქტომბერი, 1997, *Makaratzis v Greece*, 20 დეკემბერი, 2004, *Huohvanainen v Finland*, 13 მარტი, 2007.

68. *Bubbins v the United Kingdom,* 17 მარტი, 2005.

69. *Simsek v Turkey*, 26 ივლისი, 2005 და *Gulec v Turkey,* 27 ივლისი, 1998.

70. *Andronicou and Constantinou v Cyprus,* 9 ოქტომბერი, 1997 და *Bubbins v the United*

- უნდა გასცენ გაფრთხილება, თუ ეს აშკარად უსარგებლო და შეუ-საბამო არ არის;[71]
- ადმინისტრაციული ფარგლები: პოლიციის შიდა პოლიტიკის ჩარ-ჩოები უნდა იყოს იმდენად მკაფიო, რომ ოფიცრებმა შეძლონ თავიანთი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა.[72]

## სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება

სიცოცხლის უფლების ერთ-ერთი ელემენტი მოიცავს პოზიტიურ ვალდებულებას - პოლიციამ დაიცვას სიცოცხლე. სიცოცხლის დაცვის მოვალეობა სახელმწიფოს არ აკისრებს აბსოლუტურ ვალდებულებას, თავიდან აირიდოს სიცოცხლის ყოველგვარი დანაკარგი. ეს არა შედეგზე, არამედ საშუალებებზე ორიენტირებული ვალდებულებაა.

კონვენციის მე-2 მუხლი მოითხოვს, რომ პოლიციამ ქმედითი ოპერატიული ნაბიჯები გადადგას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რათა თავიდან აირიდოს სიცოცხლის მოსპობის რეალური და გარდაუვალი საფრთხე, რომლის შესახებაც იცის ან უნდა სცოდნოდა.[73] ეს ორსაფეხურიანი ტესტია: (i) არსებობს სიცოცხლის მოსპობის რეალური და გარდაუვალი საფრთხე, რომლის შესახებ პოლიციამ იცის ან უნდა სცოდნოდა? (ii) და თუ არსებობს, გადადგეს მათ ქმედითი ოპერატიული ნაბიჯები ამ საფრთხის თავიდან ასარიდებლად? ამ ვალდებულების შესრულებისას გასათვალისწინებელია (i) ადამიანის ქმედების განუჭვრეტელობა და (ii) აუცილებლობა, რომ პოლიციამ იმოქმედოს კონვენციის მე-5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) და მე-6 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) მუხლების ფარგლებში.

ეს ვალდებულება ჩნდება ნებისმიერი საპოლიციო აქტივობის კონტექსტში. მაგალითად, როცა პოლიციისათვის ცნობილია, რომ არსებობს საზოგადოებრივ შეკრებაზე სხვა პირთა თავდასხმის საფრთხე, იგი ვალდებულია, ქმედითი ნაბიჯები გადადგას მის ასაკვეთად, ხოლო თავდასხმისას - მიიღოს ზომები მის შესაჩერებლად. ამ დროს შესაძლოა საჭირო გახდეს ძალის - თუნდაც მომაკვდინებლის - გამოყენება, თუკი ეს აბსოლუტურად აუცილებელი იქნება.

---

*Kingdom*, 17 მარტი, 2005.

71. *Ramsahai v the Netherlands*, 15 მაისი, 2007 და *Huohvanainen v Finland*, 13 მარტი, 2007.

72. *Bubbins v the United Kingdom*, 17 მარტი, 2005 და *Makaratzis v Greece*, 20 დეკემბერი, 2004.

73. *Osman v the United Kingdom*, 28 ოქტომბერი, 1998.

— საქმეში *Van Colle v the United Kingdom* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ დაცვის ვალდებულება არანაკლებია ან არ განსხვავდება იმ შემთხვევებში, როცა საფრთხე სახელმწიფოს ქმედებების შედეგად წარმოიშობა. პოლიციამ განმცხადებლების შვილს სთხოვა, მიეცა ჩვენება სისხლის სამართლის საქმეში ექვმიტანილი პირის წინააღმდეგ. მოგვიანებით იგი ექვმიტანილმა მოკლა. განმცხადებელთა მტკიცებით, რადგან მათი შვილის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა იმის გამო, რომ დათანხმდა მოწმედ ყოფნას სისხლის სამართალწარმოების პროცესში, დაცვითი ვალდებულების გამოყენების ზღვარი უფრო დაბალი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი, "რეალური და გარდაუვალი" საფრთხისას. სასამართლო ამ მსჯელობას არ დაეთანხმა. მისი განცხადებით, "სხვა საქმეებში - სადაც მესამე მხრიდან არსებობდა წინასწარი საფრთხე და ის მთავრდებოდა პირის მკვლელობით - გარდაცვლილი ხვდებოდა თუ არა განსაკუთრებით მოწყვლად პირთა კატეგორიაში ერთ-ერთი ის გარემოება იყო, რომელიც ყველა სხვა გარემოების ფონზე ფასდებოდა, რათა "განესაზღვრათ, არსებობდა თუ არა რეალური და გარდაუვალი საფრთხე".[74]

მთავარი საკითხია, ზუსტად რისი გაკეთება ევალება საჯარო ორგანოს, როცა არსებობს რეალური და გარდაუვალი საფრთხე. ამაზე საბოლოო პასუხი არ არსებობს და განსახილველ საკითხთა შორის ხვდება: (i) არსებული ალტერნატივები, (ii) შესაბამის სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი ჩარჩოები, (iii) პოლიციისა და სხვა შესაბამისი სააგენტოების შიდა რეგულაციები და პოლიტიკური მიმართულებები, (iv) შესაბამისი პირის ქცევა, (v) რესურსების ჩართულობა არსებულ ქმედებათა წარმართვაში და (vi) ინდივიდის როლი და მისი წარსული.

## პოზიტიური ვალდებულება - სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის ეფექტიანი გამოძიება

როცა პოლიციის ოფიცრის ან  სხვა სახელმწიფო მოხელის მიერ ძალის გამოყენებას შედეგად ადამიანის სიკვდილი მოჰყვება, მე-2 მუხლი მოითხოვს ამ ფაქტის დამოუკიდებელ და ეფექტიან გამოძიებას. ეს მოთხოვნა ხუთი სხვადასხვა ელემენტისაგან შედგება: დამოუკიდებლობა, ეფექტიანობა, დროულობა, საზოგადოებრივი კონტროლი და ოჯახის ჩართულობა.[75]

"ამგვარი გამოძიების არსებითი მიზანია, ეფექტიანად გამოიყენონ ში-

74. *Van Colle v the United Kingdom,* 13 ნოემბერი, 2012, §91.

75. იხ. მაგ: *Jacobs, White and Ovey, The European Convention on Human Rights* (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია), OUP 2010, მე-5 გამოცემა, გვ.156-162.

დასახელმწიფოებრივი სამართლის ის ნორმები, რომლებიც სიცოცხლის უფლებას იცავს, და საქმეებში, სადაც სახელმწიფო მოხელეები ან ორგანოები არიან ჩართულნი, აღნიშნულმა პირებმა პასუხი აგონ თავიანთი პასუხისმგებლობის ფარგლებში მომხდარ მკვლელობებზე..."[76] გარდა ამისა, "გამოძიება იმ მხრივაც უნდა იყოს ეფექტიანი, რომ დადგინდეს - იყო თუ არა გამოყენებული ძალა გამართლებული არსებულ გარემოებებში, ასევე, გამოვლინდნენ და დაისაჯონ პასუხისმგებელი პირები (...)".[77]

როცა ადამიანის გარდაცვალება პოლიციის მიერ ძალის გამოყენების შედეგია, გამოძიება უნდა ჩაატაროს პოლიციისაგან დამოუკიდებელმა ორგანომ[78]. ეს აუცილებელია, რათა შენარჩუნდეს "საზოგადოების ნდობა სახელმწიფოს მონოპოლიური უფლებისადმი - გამოიყენოს ძალა".[79] პოლიციამ მხოლოდ ის საგამოძიებო მოქმედებები უნდა შეასრულოს, რომლებიც იმ წუთისთვის აუცილებელია მტკიცებულებათა დასამაგრებლად. მაგალითად, როცა პოლიციის მიერ ძალის გამოყენების შედეგად პირი გარდაიცვლება, ოფიცრებმა უნდა მიიღონ ზომები მხოლოდ შემთხვევის ადგილის დასამაგრებლად და ა.შ. რათა მტკიცებულებათა ამოღების შესაძლებლობები არ დაიკარგოს. გამოძიება უნდა იყოს დროული, ეფექტიანი, გამჭვირვალე და მასში მონაწილეობდეს გარდაცვლილის ოჯახი - იმ ფარგლებში, რომელიც აუცილებელია მათი ინტერესების დასაცავად. დროულობის მოთხოვნა არ გულისხმობს ვადების დადგენას, თუმცა გამოძიება უნდა ჩატარდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად. ეფექტიანობის მოთხოვნა გულისხმობს იმას, რომ საგამოძიებო ორგანოს ჰქონდეს უფლებამოსილება - ამოიღოს მტკიცებულება, საჭიროებისას ჩაატაროს ჩხრეკა, დააკავოს ეჭვმიტანილი და ა.შ.

როცა პირის გარდაცვალების დეტალებზე ინფორმირებულნი არიან მხოლოდ - ან დიდწილად - სახელმწიფო და მისი მოხელეები, ამგვარ შემთხვევებთან დაკავშირებით ძლიერი ფაქტობრივი პრეზუმფცია ჩნდება. ამ შემთხვევების ახსნაზე მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება.[80] კერძოდ, გარდაცვლილის სხეულზე ნებისმიერი დაზიანების არსებობა დამატებით განმარტებას საჭიროებს.[81]

ამ კონტექსტში, მე-2 და მე-3 მუხლებით დაკისრებულ საგამოძიებო ვალდებ-

76. *Nachova and Others v Bulgaria*, 6 ივლისი, 2005, §110.

77. *Nachova and Others v Bulgaria,* 6 ივლისი, 2005, §113.

78. *Ramsahai v the Netherlands*, 15 მაისი, 2007.

79. *Ramsahai v the Netherlands*, 15 მაისი, 2007, §325.

80. *Salman v Turkey*, 27 ივნისი, 2000, §100.

81. *Velikova v Bulgaria,* 18 მაისი, 2000.

ულებას ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა პოლიციისთვის. მისი მოსაზრებით - პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების დამოუკიდებელი და ეფექტიანი განხილვის შესახებ[82] - "[ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის] პოლიციელთა წინააღმდეგ საჩივრების ეფექტიანი გამოძიების ხუთ პრინციპს ორი ძირითადი მიზანი აქვს: ერთი მხრივ, ისინი შემუშავდა იმისათვის, რომ ინდივიდი სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებით სარგებლობდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების სავარაუდო დარღვევებისას; მეორე მხრივ, ეს პრინციპები მიზნად ისახავს ამ არსებითი უფლებების დაცვას საგამოძიებო ჩარჩოს შექმნით, რომელიც ეფექტიანია და შეუძლია დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა."

## წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი კრძალავს წამებასა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. ის ძალიან მოკლედაა ფორმულირებული:

> "არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანური ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

დაცვის გარანტია აბსოლუტურია. სასამართლო მუდმივად იმეორებს, რომ მე-3 მუხლი იცავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას. წამებას და არაადამიანური ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას ის კრძალავს ყველა გარემოებაში. როგორც ზემოთ, მე-2 მუხლთან მიმართებით აღინიშნა, თვით სიცოცხლის ხელყოფის გამართლებაც კი შესაძლებელია კონკრეტულ, ძალზე შეზღუდულ გარემოებებში. ამისგან განსხვავებით, არ არსებობს გარემოება, რომელშიც დასაშვებია მე-3 მუხლით აკრძალული ქმედების შეწყნარება, მათ შორის არც ტერორიზმსა[83] ან ორგანიზებულ დანაშაულთან[84] ბრძოლის კონტექსტში. ამ დროს პირის საქციელს მნიშვნელობა არა აქვს. კონვენციის ბევრი სხვა დებულებისაგან განსხვავებით,

82. CommDH(2009)4, 12 მარტი, 2009, §31.

83. *Tomasi v France,* 27 აგვისტო, 1992.

84. *Selmouni v France,* 28 ივლისი, 1999.

მე-3 მუხლი გამონაკლისს არ უშვებს, მისგან არც გადახვევაა შესაძლებელი, საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი, როცა საფრთხე ემუქრება ხალხის სიცოცხლეს.[85] საქმეში *Gäfgen v Germany* სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ "ფილოსოფიური საფუძველი - ფუნდამენტი მე-3 მუხლით დაცული უფლების აბსოლუტურობისა - არ უშვებს გამონაკლისებს, არ ალიარებს გამამართლებელ ფაქტორებს, არც ინტერესთა შორის წონასწორობის დამყარებას, შესაბამისი პირის ქმედებისა და განსახილველი დანაშაულის მიუხედავად."[86]

ძალის გამოყენების კონტექსტში მკაფიო მინიშნებები კეთდება პოლიციაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ნათელი გახადა, რომ ნებისმიერ პირთან მიმართებით, "ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც მკაცრად არ არის განპირობებული ამ პირის საქციელით, აკნინებს ადამიანის ღირსებას და პრინციპულად არღვევს მე-3 მუხლს".[87] როგორც სასამართლომ განმარტა, ეს დებულება (მე-2 მუხლის მსგავსად) სახელმწიფოებს აკისრებს არა მხოლოდ იმ ვალდებულებას, რომ თავი შეიკავონ არასათანადო მოპყრობისაგან, არამედ პოზიტიურ მოვალეობასაც - დაიცვან ადამიანები და ეფექტიანად გამოიძიონ ბრალდებები ამ გარანტიის დარღვევის შესახებ. პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობა, სამწუხაროდ, ბევრი ევროპული სახელმწიფოს საერთო მახასიათებელია. როგორც ამ თავის შესავალში აღინიშნა, მას მიმართავენ მდიდარ ქვეყნებშიც და ღარიბშიც, ახალ დემოკრატიებშიც და უკვე შემდგარშიც. ამ ფენომენის საინტერესო მახასიათებელი ის არის, რომ ყველა სახელმწიფოში ერთნაირად ვლინდება. ალბანეთში, ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის კომიტეტის (CPT) მიერ მოსმენილ ბრალდებებში არასათანადო მოპყრობის შესახებ, "ძირითადად ფიგურირებდა "სახეზე შემორტყმები, მუშტებით, წიხლებითა და რეზინის ხელკეტებით ცემა და ეს ძირითადად ხდებოდა.... დაკითხვისას...[88] ირლანდიასთან მიმართებით, CPT-მ დაადგინა, რომ "სავარაუდო არასათანადო მოპყრობა ძირითადად გამოიხატებოდა სხეულის სხვადასხვა ზონაში წიხლებითა და მუშტებით ცემით და ხელკეტების დარტყმით.[89]"

85. *Chahal v the United Kingdom*, 15 ნოემბერი, 1996.

86. *Gäfgen v Germany,* 1 ივნისი, 2010, §107.

87. *Ribitsch v Austria,* 4 დეკემბერი, 1995, §38.

88. CPT/Inf (2012) 11, §13.

89. CPT/Inf (2011) 3, §14.

## როდის გამოიყენება მე-3 მუხლი?

ქმედება მე-3 მუხლის ფარგლებში რომ მოხვდეს, "უნდა აღწევდეს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს."[90] ეს მთლიანად დამოკიდებულია ცალკეულ ფაქტებსა და თითოეული საქმის გარემოებებზე (მაგალითად, პატიმრის იძულება - ფეხზე იდგეს სამი საათის განმავლობაში - შესაძლოა არაადამიანურ მოპყრობად არ ჩაითვალოს, თუ იგი ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელია, თუმცა, ასეთ დროსაც აუცილებელია სათანადო მიზეზის არსებობა, რომ გაამართლო ამდენ ხანს ადამიანის ფეხზე დგომის იძულება; მაგრამ თუ პირი მოხუცია ან ავადმყოფი, 3 საათი მისი ფეხზე დგომა შესაძლოა არაადამიანურ მოპყრობას გაუტოლდეს). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოპყრობის მოტივი. ხელბორკილებისა და ფიზიკური შეზღუდვის სხვა საშუალებათა გამოყენება, როცა ამის საჭიროება არ არსებობს, კონკრეტულ პირობებში შესაძლოა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას გაუტოლდეს.[91] ამის მაგალითია ასაკოვანი ან ავადმყოფი პირისთვის ხელბორკილების დადება ბლანკეტური პოლიტიკის გამო, როცა აშკარაა, რომ მისგან ძალადობის ან გაქცევის საფრთხე არ მოდის.

წამების ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა მუქარაზეც ვრცელდება. საქმეში *Gäfgen v Germany* საპოლიციო პატიმრობაში მყოფ პირს დაემუქრნენ, რომ "გაუსაძლის ტკივილს" მიაყენებდნენ, თუ დაკარგული ბავშვის ადგილსამყოფელს არ გაამხელდა. სასამართლომ დაადგინა: ეს მუქარა, მიუხედავად იმისა, რომ რეალობად არ ქცეულა, არაადამიანურ მოპყრობას უტოლდებოდა.[92]

რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში მე-3 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით ისმის ორი შეკითხვა. პირველი: განსახილველი მოპყრობა ან დასჯა აკმაყოფილებს თუ არა სისასტიკის მინიმალურ მოთხოვნას მე-3 მუხლის ფარგლებში მოსახვედრად; და მეორე, თუ აკმაყოფილებს, რომელი იარლიყი შეესაბამება მას?

პირველი შეკითხვა სიფრთხილით უნდა განვიხილოთ. გასაჩივრებული მოპყრობა ან დასჯა სისასტიკის მინიმალურ ზღვარს უნდა აღწევდეს, რაც ფასდება განსახილველი "მოპყრობის" ან დასჯის ყველა გარემოების, მათ შორის მისი ხანგრძლივობის, ფიზიკური და ფსიქიკური შედეგების, ასევე, მსხვერპლის სქესის, ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალ-

90. *Ireland v the United Kingdom*, 18 იანვარი, 1978, §162.

91. *Henaf v France,* 27 ნოემბერი, 2003.

92. *Gäfgen v Germany,* 1 ივნისი, 2010, §107 და 108.

ისწინებით.[93] გადაიღახა თუ არა განსაზღვრული ბარიერი, ფასდება დადგენილი გარემოებების ფონზე.[94] ადამიანის დამცირებისა და დაკნინების განზრახვის არსებობა აუცილებელი მოთხოვნა არ არის მე-3 მუხლის დარღვევის დასადგენად.[95]

"წამებად" კვალიფიცირდება მე-3 მუხლის ყველაზე მძიმე დარღვევები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იგი განსაზღვრა, როგორც "განზრახ არაადამიანური მოპყრობა, რომელიც ძალიან მძიმე და სასტიკ ტანჯვას იწვევს".[96] ამისგან განსხვავებით, "არაადამიანური" მოპყრობა ან დასჯა პირს აყენებს ღრმა ფიზიკურ და ფსიქიკურ ტანჯვას. ძალის გადამეტება დაკავების ან დაკითხვის დროს შესაძლოა უტოლდებოდეს არაადამიანური მოპყრობას,[97] ან თუნდაც წამებას.

— *Aksoy v Turkey* პირველი საქმე იყო, რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირი "აწამეს". განმცხადებელი პოლიციის ოფიცრებმა გააშიშვლეს და ხელებით ჩამოკიდეს, რომლებიც ზურგსუკან ჰქონდა შეკრული. ამან მას სასტიკი ტკივილი და ტანჯვა მიაყენა და დროებით ორივე კიდურის პარალიზება გამოიწვია. სასამართლომ დაადგინა, რომ განზრახ არასათანადო მოპყრობა ასევე საჭიროებდა "სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან გარკვეულ მომზადებასა და ძალისხმევას და ამ ქმედების მიზანი იყო ინფორმაციის ან აღიარებითი ჩვენების მიღება განმცხადებლისგან.[98]

არასათანადო მოპყრობა, რომელიც დაგეგმილია წინასწარ ან გარკვეულ მიზანს ემსახურება - როგორიცაა აღიარებითი ჩვენების ან ინფორმაციის გამოძალვა - ჩაითვლება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად. ამგვარად, იმაზე მსჯელობისას, მოპყრობა "ღირსების შემლახველია" თუ არა, სასამართლო "ითვალისწინებს: იყო თუ არა ამ ქმედების მიზანი პირის დამცირება და დაკნინება და - როცა განიხილება შედეგებიც - მოახდინა თუ არა მან მის პიროვნულ მხარეზე ის უარყოფითი გავლენა, რომელიც არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს".[99]

---

93. *Jalloh v Germany,* 11 ივლისი, 2006, §95.

94. *Tyrer v the United Kingdom*¸ 25 აპრილი, 1978, §31 და 38.

95. *Peers v Greece*, 19 აპრილი, 2001, § 74.

96. *Ireland v the United Kingdom*, 18 იანვარი, 1978, §167.

97. *Ribitsch v Austria,* 4 დეკემბერი, 1995.

98. *Aksoy v Turkey,* 18 დეკემბერი, 1996, §64.

99. *Keenan v the United Kingdom,* 3 აპრილი, 2001 judgment of 3 April 2001 at paragraph 111; იხ. აგრეთვე Raninen v Finland, judgment of 16 December ,1997, §55.

"ღირსების შემლახველი" მოპყრობა ან დასჯა "მსხვერპლში იწვევს შიშის, დარდისა და არასრულფასოვნების შეგრძნებას, რაც მას ამცირებს და აკნინებს და, სავარაუდოდ, უმსხვრევს ფიზიკურ და მორალურ მდგრადობას.[100]

როცა პირი სრულიად ჯანმრთელი ხვდება საპოლიციო პატიმრობაში და გათავისუფლებისას სხეულზე დაზიანებები აღენიშნება, სახელმწიფო ვალდებულია, სარწმუნოდ განმარტოს, როგორ მიიღო მან აღნიშნული დაზიანებები, და თუ ვერ მოახერხა, ეს იქნება კონვენციის მე-3 მუხლის ცალსახა დარღვევა.[101] მოკლედ, როცა პირი დაპატიმრებისას ჯანმრთელია და მოგვიანებით მას დაზიანებები აღენიშნება, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, ახსნას ამ დაზიანებების წარმოშობა.[102] გარდა ამისა, როცა არსებობს ვარაუდი, რომ პირმა დაზიანებები დაკავებამდე მიიღო, პოლიციამ უნდა უზრუნველყოს მისი სამედიცინო შემოწმება პოლიციის განყოფილებაში მიყვანისთანავე ან მიყვანიდან მალევე. მოლდოვას წინააღმდეგ საქმეში[103] დადგინდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან დაკავებულს პოლიციაში პატიმრობისას სამედიცინო შემოწმება არ ჩაუტარდა და არც მისი დაზიანებებისთვის უმკურნალიათ.

მე-3 მუხლით განსახილველ საკითხთა შორის ხვდება პირების მიმართ ნებისმიერი ძალის გამოყენება პოლიციის მიერ, რაც ამ პირთა ქმედებით არ იყო განპირობებული. როცა პოლიციელები დაკავების ოპერაციას გეგმავენ, მათ მოეთხოვებათ, შეაფასონ ყველა შესაძლო რისკი და ყველა აუცილებელი ღონისძიებას მიმართონ დაკავების პროცედურის სათანადოდ შესასრულებლად. ამაში მოიაზრება ვალდებულება - შემცირდეს ძალის გამოყენების ალბათობა. აუცილებელია დაკავება სათანადოდ დაიგეგმოს, ყველა საქირო პროცედურის მომზადებით.

— საქმეში *Rehbock v Slovenia* პოლიციის ოფიცრებს განზრახული ჰქონდათ გერმანელი კულტურისტის დაკავება, რომელიც ეჭვმიტანილი იყო სლოვენიაში ნარკოტიკების უკანონო იმპორტში. მან წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას და დაპირისპირებისას ყბის სერიოზული დაზიანება მიიღო.

---

100. Greek case, განაცხადები #3321-3/67 და #3344/67, 24 იანვარი, 1968 (Yearbook 12, გვ.186).

101. იხ. *Tomasi v France,* 27 აგვისტო, 1992, ასევე *Ribitsch v Austria*, 4 დეკემბერი, 1995.

102. *Ciorap v Moldova*, 19 ივნისი, 2007, §60-71 და *Istratii and others v Moldova*, 27 მარტი, 2007, §68-72.

103. *Lipencov v Moldova,* 25 იანვარი, 2011.

სასამართლომ დაადგინა, რომ ამგვარი წინასწარ დაგეგმილი ოპერაციისას პოლიცია უფრო მეტად უნდა მომზადებულიყო, ვიდრე სპონტანური სიტუაციების დროს. პოლიციის ქმედების გასამართლებლად სარწმუნო არგუმენტების არარსებობის გამო, სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონი რებოკი გახდა მე-3 მუხლის დარღვევის - არაადამიანური მოპყრობის - მსხვერპლი.[104]

როცა სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულება შეიმჩნევა პატიმრებთან მოპყრობისას, მე-3 მუხლთან ერთად ერთვება კონვენციის მე-14 მუხლი. ეს ფენომენი, სამწუხაროდ, საერთოა ევროპისთვის და ბოლო დროს ის დოკუმენტურად აღირიცხა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა. სლოვაკეთში ვიზიტთან დაკავშირებულ ანგარიშში იგი იხსენიებს საქმეს, რომელშიც პოლიციის ოფიცრებმა აიძულეს ბოშა ბიჭები, "გაშიშვლებულიყვნენ, კედელთან დამდგარიყვნენ და ერთმანეთისთვის დაერტყათ და ეკოცნათ, თვითონ კი ბოშების წინააღმდეგ მიმართული შეძახილებით "ამკობდნენ". პოლიციელებმა ეს სცენა გადაიღეს და ვიდეო ინტერნეტში ატვირთეს. არსებობდა ვარაუდი, რომ ბიჭები გადატენილი იარაღებითაც დააშინეს.[105] ადამიანის უფლებათა კომისრისა[106] და რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპული კომისიის[107]

104. *Rehbock v Slovenia,* 28 ნოემბერი, 2000.

105. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, თომას ჰამარბერგის ანგარიში 2011 წლის 26-27 სექტემბერს სლოვაკეთში ვიზიტთან დაკავშირებით. სტრასბურგი, 20 დეკემბერი, 2011 CommDH(2011)4, §37.

106. იხ. მაგ: CommDH (2004) 2, "ადამიანის უფლებათა კომისრის ანგარიში კვიპროსში ვიზიტთან დაკავშირებით, ივნისი, 2003", §34.

107. იხ. მაგ: ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, ECRI's Country-by-Country Approach: Compilation of Second Round Reports (ECRI-ის მიდგომა ცალკეული ქვეყნების მიმართ: მეორე გაკეთებული ანგარიშების კომპილაცია), 1999-2003, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 2004: მსგავსი საკითხები ასევე გამოვლინდა *inter alia* ალბანეთში (გვ. 4), ავსტრიაში (გვ. 30), ბელგიაში (გვ. 48), ბულგარეთში (გვ. 56), საქართველოში (გვ. 130), უნგრეთში (გვ. 155-156), იტალიაში (გვ. 183), პორტუგალიაში (გვ. 273), "ყოფილ იუგოსლავიის რესპუბლიკაში - მაკედონიაში" (გვ.359), თურქეთსა (გვ. 366) და უკრაინაში (გვ.376). აღნიშნულთაგან უმრავლესობაში მოხსენიებულია პრობლემები ბოშებისადმი მოპყრობასთან დაკავშირებით. სახელმწიფოებში მესამე ვიზიტებისას, რა დროსაც ყურადღება გამახვილდა იმპლემენტაციაზე, ECRI-მ კვლავ საჭიროდ მიიჩნია, ანგარიშში მოეხსენიებინა მუდმივი არასათანადო მოპყრობა უმცირესობათა ჯგუფების მიმართ, როგორებიც იყვნენ ბოშები და სხვა ქვეყნის მოქალაქეები. იხ. Third Report on Greece (მესამე ანგარიში საბერძნეთთან დაკავშირებით), CRI (2004) 24, § 105; და Third Report on Hungary (მესამე ანგარიში უნგრეთთან დაკავშირებით), CRI (2004) 25, § 8.

თანახმად, ასეთმა რასიზმმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს საპოლიციო უფლებამოსილებების განხორციელებაზე, მაგალითად, ძალის გადამეტების ან პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფორმით, ასევე, თავისუფლების თვითნებური აღკვეთის გზით. თუმცა, უნდა არსებობდეს რაღაც მტკიცებულება, რომელიც გაამყარებს ბრალდებებს დისკრიმინაციის შესახებ.

— საქმეში *Balogh v Hungary* სასამართლომ მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა, რადგან პოლიციაში დაკითხვისას ბოშას არასათანადოდ მოეპყრნენ და გამოძიება არასაკმარისად წარიმართა, თუმცა გადაწყდა, რომ განმცხადებლის ბრალდებას მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ საკამისი დასაბუთება აკლდა[108].

ასეთ სიტუაციებში პრობლემა ნათელია: ხშირად არასათანადო მოპყრობის დადგენა უფრო მარტივია, ვიდრე იმის ჩვენება, რომ ამ მოპყრობას საფუძვლად ედო უმცირესობათა ჯგუფის წევრობა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა აღიარებულია, რომ პოლიციის სამსახურში დისკრიმინაციული დამოკიდებულება ღრმადაა ფესვგადგმული.

სერიოზული წუხილის საგანია პოლიციისა და სამხედრო მოსამსახურეთა მიერ პირთა გატაცებისა და გაუჩინარების პრობლემა, რომელიც, ძირითადად, ასოცირდება სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთთან, რუსეთში კი - ჩეჩნეთთან. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა რუსეთის შესახებ ანგარიშში აღნიშნა, რომ:

> „სურს, კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი იმ საკითხს, რომ ადამიანთა გაუჩინარება ადამიანის უფლებათა უმძიმესი დარღვევაა. მეტიც, ამ ტრაგედიას ახლავს უფრო შორს მიმავალი მავნე შედეგები. გაუჩინარებები ღრმა დაღს ასვამს მთელ საზოგადოებას, დაწყებული გაუჩინარებული პირის ოჯახიდან და მეგობრებიდან, რომლებიც იტანჯებიან თავიანთი ახლობლის შესახებ ინფორმაციის უქონლობით და განცდით, რომ მათი უბედურება იგნორირებულია ხელისუფლების ორგანოების მიერ. ინფორმაციის არქონა ამ ადამიანთათვის შესაძლოა მუდმივ დისტრესში გადაიზარდოს, რაც მათ ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობას აკარგვინებს.[109]

---

108. *Balogh v Hungary*, 20 ივლისი, 2004, §79. თუმცა, შედარებისთვის იხ. *Nachova and Others v Bulgaria*, 6 ივლისი, 2005, განხილულია ზემოთ გვ. 24 (სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით).

109. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, თომას ჰამარბერგის ანგარიში, 2011 წლის 12-21 მაისს რუსეთის ფედერაციაში ვიზიტთან დაკავშირებით,

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხშირია არასათანადო მოპყრობა დაკავებისა და პოლიციის განყოფილებაში პირველადი დაკითხვის დროს. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ პოლიციის ბევრი სამსახური აღიარებით ჩვენებებს ეყრდნობა დანაშაულის გამოსავლენად და აღსაკვეთად. დაკავებულთა საპროცესო უფლებების თანმიმდევრული და სრული გამოყენება[110] შეამცირებს არასათანადო მოპყრობას. გარდა ამისა, "მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს სისხლის სამართლებრივი გამოძიების თანამედროვე სამეცნიერო მეთოდებზე, აღჭურვილობასა და გამოცდილ ადამიანურ რესურსებში სათანადო ინვესტიციის ჩადებით, რათა მსჯავრის დასადებად აღიარებით ჩვენებებზე დაყრდნობის პრაქტიკა შემცირდეს." ამასთანავე, "პოლიციის მიერ დაკითხვების ელექტრონული ჩანაწერის გაკეთება ორივე მხარის ინტერესებში შედის - როგორც იმ პირის, ვისაც პოლიცია არასათანადოდ მოეპყრო, ასევე პოლიციის ოფიცრებისაც, რომლებსაც უპირისპირდებიან უსაფუძვლო ბრალდებებით (დასაკითხი პირის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ)."[111]

პატიმრობის პირობებიც შეიძლება გახდეს მე-3 მუხლის დარღვევის მიზეზი. ამ მიმართულებით ყურადსაღებია: საკვებისა და წყლის ხელმისაწვდომობა, კონფიდენციალობა, საკმარისი ფართი, სამედიცინო დახმარება და რეკრეაციული ზონების არსებობა.[112]

## პოზიტიური ვალდებულებები

მე-3 მუხლი ასევე გულისხმობს პოზიტიურ ვალდებულებას - პოლიციამ გადადგას ნაბიჯები კერძო პირებისა და ჯგუფების მხრიდან წამების ან არასათანადო მოპყრობის დანაშაულთა პრევენციისათვის.[113] როცა პოლიციას აქვს ინფორმაცია, მიმანიშნებელი იმაზე, რომ პირს მოეპყრნენ - ან მომავალში მოეპყრობიან - მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ, მის აღსაკვეთად ქმედითი ოპერატიული ზომები უნდა მიიღოს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში (როგორიცაა ამგვარი საჩივრების გამოძიება და ექვმიტანილთა დაკავება, როცა ამის საფუძველი არსებობს. მაგალითად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს ეკისრება გაუპატიურების ბრალდებათა

---

სტრასბურგი, 6 სექტემბერი, 2011, CommDH(2011)21.

110. იხ. ამ სახელმძღვანელოს მე-4 თავი.

111. CPT/Inf (2012) 11, §17 და 28 [ალბანეთი].

112. *Ciorap v Moldova*, 19 ივნისი, 2007, §60-71.

113. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პირდაპირ პასუხისმგებელია მისი მოხელეების მიერ ჩადენილ გაუპატიურებებზე: *Maslova and Nalbandov v Russia*, 24 იანვარი, 2008.

გამოძიების პოზიტიური ვალდებულება. ამ კონტექსტში, სახელმწიფო მოვალეა, ჰქონდეს სამართლებრივი ბაზა, რომელიც სათანადოდ დაიცავს სექსუალური ძალადობის, მათ შორის, გაუპატიურების მსხვერპლთ.[114]

ამგვარად, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაატარონ გონივრული და ქმედითი ღონისძიებები - მათ შორის, ბავშვებსა და სხვა მოწყვლად პირებთან მიმართებით - არასათანადო მოპყრობის აღმოსაფხვრელად, რომლის შესახებაც ამ ორგანოებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ.[115] განსაკუთრებული მონდომებით, სათანადოდ უნდა გამოიძიონ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა ბრალდებები და გადადგან ნაბიჯები შემდგომი მუქარისაგან მათ დასაცავად[116].

— საქმეში *Gldani v Georgia* სტრასბურგის სასამართლომ იმსჯელა - დაიცვა თუ არა საქართველოს პოლიციამ პოზიტიური ვალდებულება თავისი რეაგირებით მართლმადიდებელ ქრისტიანთა ექსტრემისტული ჯგუფის არასათანადო მოპყრობაზე იეღოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის წევრთა მიმართ. ამ არასათანადო მოპყრობისას მოძალადეებმა იეღოვას მოწმეები ჯოხებითა და ჯვრებით სცემეს, თმით ითრიეს და სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენეს. რამდენიმე მსხვერპლმა ამ ფაქტების შესახებ პოლიციას აცნობა, თუმცა, ის არ დახმარებია მათ. გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციის ადგილობრივი განყოფილების უფროსმა განაცხადა, რომ კონგრეგაციის წევრებს იგი უფრო მეტი სისასტიკით სცემდა. პოლიციამ არანაირი ზომა არ მიიღო შემდგომი არასათანადო მოპყრობის აღსაკვეთად, არც ეფექტიანი გამოძიება ჩატარებულა და არც პრევენციული ღონისძებები გაუტარებიათ პასუხისმგებელი ექსტრემისტული ჯგუფის წინააღმდეგ. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციამ და ხელისუფლების სხვა შესაბამისმა ორგანოებმა ვერ შეასრულეს მე-3 მუხლით ნაკისრი პოზიტიური ვალდებულება.[117]

## არასათანადო მოპყრობის სარწმუნო ბრალდებების გამოძიება

მეტიც, კონვენციის მე-3 მუხლი წარმოშობს პოზიტიურ ვალდებულებას არასათანადო მოპყრობის სარწმუნო ბრალდებათა ოფიციალური გამოძიების შესახებ.[118] ეს ვალდებულება, არსებითად, მხოლოდ სახელმწიფო მოხელეთა

114. *MC v Bulgaria*, 4 დეკემბერი, 2003, §148-187 (მე-3 და მე-8 მუხლებთან მიმართებით).

115. *Mubilanzila Mayeka and Kaniki Mitunga v Belgium*, 12 ოქტომბერი, 2006.

116. იხ. *Opuz v Turkey,* 9 ივნისი, 2009, განხილულია ქვემოთ, გვ.79.

117. *Gldani v Georgia,* 3 მაისი, 2007.

118. *Assenov and Others v Bulgaria,* 28 ოქტომბერი, 1998.

მხრიდან არასათანადო მოპყრობის საქმეებით არ შემოიფარგლება.[119] შესაბამისად, ოფიციალური საჩივრის შესვლისთანავე, ხელისუფლების ორგანოები ვალდებულნი არიან, მიიღონ სათანადო ზომები.[120] კონკრეტული საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც, თუკი არსებობს სხვა საკმარისად აშკარა მინიშნება წამებასა ან არასათანადო მოპყრობაზე, უნდა ჩატარდეს გამოძიება. დროულობისა და გონივრული სისწრაფის მოთხოვნა ამ კონტექსტსაც ეხება. არასათანადო მოპყრობის ბრალდებათა გამოძიებისას ხელისუფლების ორგანოთა დროული რეაგირება არსებითია საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად კანონის უზენაესობის, ასევე, უკანონო ქმედებებზე შეთქმულებისა ან მათდამი შემწყნარებლობის პრევენციის მიმართ. ამგვარი ქმედებების შეწყნარება ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან ერთადერთ შედეგს გამოიღებს - შეარყევს საზოგადოების რწმენას კანონიერების პრინციპისა და სახელმწიფოს უნარის მიმართ, შეინარჩუნოს კანონის უზენაესობა.

როცა დადგინდება, რომ პოლიციის ოფიცრის ან სხვა სახელმწიფო მოხელის ქმედებამ დაარღვია მე-3 მუხლი, ეს ადამიანი უნდა დაისაჯოს. სანქციის ზუსტ სახეს ეროვნული კანონმდებლობა განსაზღვრავს, თუმცა, ის საკითხის სიმძიმეს უნდა შეესაბამებოდეს.

— საქმეში *Paduret v Moldova* დადგინდა, რომ პოლიციის ოფიცერი მთელი სისასტიკით დაესხა თავს საზოგადოების წევრს. თუმცა, განმცხადებლის მიმართ მოპყრობა იმდენად სასტიკი იყო, რომ სტრასბურგის სასამართლოს თანახმად, წამებად უნდა კვალიფიცირებულიყო. სასამართლოს აზრით, ოფიცერის პასუხი უნდა ეგო უფრო მძიმე დანაშაულისთვის - წამებისთვის, სისხლის სამართლის კოდექსის 101-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად. ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ ზემოაღნიშნული დანაშაული წამებად არ დააკვალიფიცირა და ოფიცერს უფლება მიეცა, მსჯავრდების შემდეგაც გაეგრძელებინა პოლიციელად მუშაობა, ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ნიშნავდა. სტრასბურგის სასამართლო განსაკუთრებით შეაშფოთა მოლდოვას ხელისუფლების მტკიცებამ, რომ წამება "საშუალო სიმძიმის დანაშაულად" ითვლებოდა, რაც განსხვავდებოდა დანაშაულის უფრო მძიმე ფორმებისაგან და, შესაბამისად, "ნაკლებ სანქციას ითვალისწინებდა". სასამართლომ განაცხადა, რომ "ამგვარი პოზიცია სრულად ეწინააღმდეგება მე-3 მუხლით ნაკისრ ვალდებულებას, წამების დანაშაულის განსაკუთრებული სიმძიმის გათვალისწინებით"[121].

119. *MC v Bulgaria,* 4 დეკემბერი, 2003, §151.

120. *Lipencov v Moldova,* 25 იანვარი, 2011.

121. *Paduret v Moldova,* 5 იანვარი, 2010, §58 და 77.

# თავი 3:

# თავისუფლების აღკვეთა

## თავისუფლების აღკვეთა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში "კონვენცია") მე-5 მუხლი adგენს: გარემოებებს, რომლებშიც დასაშვებია პირის თავისუფლების აღკვეთა, ასევე, უფლებათა მინიმუმს, რომლითაც პირი სარგებლობს თავისუფლების აღკვეთისას; მე-5 მუხლი პირებს ანიჭებს მათი დაპატიმრების სასამართლო გადასინჯვის უფლებას და ანესებს კომპენსაციის უფლებას თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის.

პოლიციის ოფიცრებს აქვთ ფართო დისკრეცია დანაშაულის პრევენციისა და გამოძიებისათვის. სხვათა უფლებების დასაცავად და დამცირების, ძალადობის ან ქურდობის საფრთხისაგან თავისუფალ გარემოში ცხოვრების უზრუნველსაყოფად, პოლიციის ოფიცრებს უწევთ ჩარევა ამ რისკების შექმნაში ეჭვმიტანილ პირთა უფლებებით სარგებლობაში. თუმცა, ხშირად შეუზღუდავი უფლებამოსილება ვერ თანხვდება კანონის უზენაესობის ცნებას. დემოკრატიული საზოგადოება ითხოვს ამგვარი დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვას და ანგარიშვალდებულების დანესებას მისი გამოყენებისას. სწორედ ეს არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მთავარი ფუნქცია - სათანადო წონასწორობის დამყარება სახელმწიფო ძალაუფლებასა და ინდივიდუალურ უფლებას შორის, რათა პოლიციის ოფიცრებმა თავიანთი უფლებამოსილება კანონის ფარგლებში გამოიყენონ და არა თვითნებურად.

შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პირის უფლებებში ჩარევის ყველაზე უხეში

ფორმაა (თუ არ ჩავთვლით მკვლელობას ან წამებას) მისი თავისუფლების აღკვეთა. თავისუფლების დაკარგვას ადამიანებისთვის მძიმე შედეგები მოაქვს. მართლაც, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტი (CPT) მიიჩნევს, რომ პირი ყველაზე მოწყვლადია მისი თავისუფლების აღკვეთისას.[122] ეს ცხადია. გარესამყაროსთან კომუნიკაცია მყისიერად იზღუდება (შემოიფარგლება მხოლოდ უფლებით - სხვებს შეატყობინოს თავისუფლების დაკარგვის შესახებ, ან იურიდიულ წარმომადგენელთან კონსულტაციით). მოწყვლადობის შეგრძნებას ამძაფრებს გრძელვადიანი პატიმრობის ალბათობა, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს პირის რეპუტაციაზე, ოჯახურ ცხოვრებასა და თვით ფინანსურ ინტერესებზეც.

ამგვარად, თავისუფლების აღკვეთის უფლება მნიშვნელოვანი ბერკეტია პოლიციის ხელში, რომელიც ცდილობს საზოგადოების დაცვას ინდივიდთაგან მოსალოდნელი საფრთხეებისაგან. როცა მნიშვნელოვანი საშიშროება ემუქრება ხალხის სიცოცხლეს, ეს შესაძლოა მართლაც გახდეს უპირველესი რეაგირების მთავარი საშუალება.[123] შესაძლებელია იმ პირთა ჯგუფის დაშლა, რომლებიც სხვებს მოუწოდებენ ამბოხებასა ან სერიოზულ არეულობაში ჩართვისაკენ, მაგრამ, დიდი ალბათობით, ისინი კვლავ ეცდებიან გაერთიანებას. თავისუფლების თითოეული აღკვეთა მისი არსიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს. რა თქმა უნდა, პოლიციელები ყოველთვის სისხლის სამართლითა და ადმინისტრაციული კანონმდებლობებით გათვალისწინებულ დანაშაულებში ეჭვმიტანილებს არ აპატიმრებენ. მათ შეიძლება დაევალოთ თავისუფლებააღკვეთილ პირთა ინტერესების დაცვაც, იმ პატარა ბავშვის პატრონობაც, ქუჩაში მარტო რომ მიბორიალებს და ნასვამი პირისაც, რომელიც ინტოქსიკაციის გამო თავს საფრთხეში იგდებს.

ამ თავში მიმოხილულია სტრასბურგის სასამართლოს წამყვანი საქმეები,

---

122. იხ. მე-6 ზოგადი ანგარიში [CPT/Inf (96) 21], §15. შესაბამისი ამონარიდები მოყვანილია ქვემოთ, დანართში A.

123. როცა საზოგადოების კეთილდღეობას სერიოზული საშიშროება ემუქრება, "ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, რაც საფრთხეს უქმნის ხალხის სიცოცხლეს", ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს უფლება აქვს, დროებით შეაჩეროს ("გადახვევის" გზით) ზოგიერთი ინდივიდუალური უფლების გამოყენება. ამ უფლებამოსილების გამოყენებისას გარდაუვალია მე-5 მუხლით ნაკისრი ვალდებულებებიდან გადახვევა. პრეცედენტულ სამართალში განხილულია, არსებობდა თუ არა ასეთი სიტუაცია და გადახვევის უფლების გამოყენებისას დაცული იყო თუ არა ტესტი, რომ "ამას მკაცრად მოითხოვდა მდგომარეობის სიმწვავე".

CPT-ის მიერ დადგენილი ევროპული სტანდარტები პატიმრობის გამოყენებასთან მიმართებით და გადაჯაჭვული უფლებები, რომლებითაც უნდა ისარგებლოს თავისუფლებააღკვეთილმა პირმა. ამ თავში ყურადღება მახვილდება პირის თავისუფლების აღკვეთაზე, თუმცა, მასში სხვა საკითხებიცაა განხილული (რომლებსაც სხვა თავები ეხება), მაგალითად: პოლიციის საკნებში პატიმრობის პირობები, მუქარისა თუ გაუმართლებელი ძალის გამოყენება (თავი 2) ან ექვმიტანილის დაკითხვის ფორმა (თავი 4). ქვემოთ დისკუსია შეეხება თავისუფლების აღკვეთას და განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მე-5 მუხლის განმარტებისას გამოყენებული პრინციპები, ასევე, ამ მუხლის ზოგადი სტრუქტურა.

# ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დაცვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი არსებითი გარანტიები იცავს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგრადობას. სიცოცხლის უფლებას (მუხლი 2), არასათანადო მოპყრობის აკრძალვას (მუხლი 3) და მონობისა და იძულებითი შრომისაგან (მათ შორის, ადამიანებით ვაჭრობისაგან) დაცვას (მუხლი 4) მოსდევს მე-5 მუხლის უფრო ვრცელი და დეტალური ფაბულა თავისუფლების აღკვეთის შესახებ, რომელიც აღიარებს, რომ პოლიციის ოფიცრებს უნდა ჰქონდეთ პირების დაპატიმრების უფლებამოსილება, მაგრამ მისი გამოყენება უნდა იზღუდებოდეს.

მე-5 მუხლი ასე იკითხება:

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და.....:

(a) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება;

(b) პირის კანონიერი დაკავება ან დაპიტმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

(c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებმოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად

არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ან მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

(d) არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;

(e) პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციური დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მაწანწალების კანონიერი დაპატიმრება;

(f) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით.

2. ყველა დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.

5. ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

მე-5 მუხლის მთავარი შეკითხვა ლაკონიურად ასე ჟღერს: თავისუფლების დაკარგვა ნებადართულია თუ არა კანონით? ეს არ არის მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი სამართლით გადასაწყვეტი საკითხი, რადგან კითხვა ისმის იმაზეც, დაპატიმრება ნებადართულია თუ არა მე-5 მუხლით, რაც შინაარსობრივად შემდეგს გულისხმობს - დაპატიმრება თვითნებურია თუ არა ყველა გარემოებაში. მარტივად რომ ითქვას, შესაძლებელია იმის ჩვენება, რომ არ

არსებობს ნაკლებად შემზღუდველი ალტერნატივა (რომელიც თავისუფლების დაკარგვას არ გამოიწვევს)? მეტიც, ეს შეკითხვა ცხოვლად სულ უნდა ისმებოდეს, რადგან საწყისმა არგუმენტმა შეიძლება არსებობა მალე შეწყვიტოს.

ამგვარად, მე-5 მუხლი სახელმწიფოს ანგარიშვალდებულს ხდის პოლიციის ოფიცერთა ქმედებებზე, რომლებმაც პირს თავისუფლება აღუკვეთეს. ეს ხდება როგორც დაპატიმრების შესახებ საწყისი გადაწყვეტილების, ასევე თავისუფლების აღკვეთის მიმდინარეობის შესწავლით.

მე-5 მუხლი უკავშირდება "ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას", თუმცა, სიტყვა "ხელშეუხებლობა" არსებითად ზედმეტია, რადგან ეს მუხლი შეეხება პირადი თავისუფლების დაკარგვას დაპატიმრების გზით, მაგრამ ამასთან ერთად, იგი გულისხმობს "დაცულობას თვითნებური დაკავების ან დაპატიმრებისაგან"[124] (თუმცა, ცნება პირადი "ხელშეუხებლობა" ამ მუხლში სრულიად უადგილო არ არის თავისუფლების აღკვეთის კონკრეტულ, აღიარებულ საფუძვლებთან მიმართებით, როცა დაპატიმრება გამართლებულია ამ ადამიანის - სულიერად დაავადებულის, ალკოჰოლიკის ან ნარკომანის - ინტერესებიდან გამომდინარე. სხვა გარანტიებით კი პოლიციის ოფიცრებს ევალებათ, გონივრული ნაბიჯები გადადგან ცალკეული ადამიანების[125] ან საპროტესტო აქციის მონაწილეთა[126] მხრიდან რეალური და გარდაუვალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ან ეფექტიანად გამოიყენონ სისხლის სამართლებრივი სანქციები თავდასხმების აღსაკვეთად[127]).

მე-5 მუხლი ადგენს გარემოებებს, რომლებშიც ნებადართულია თავისუფლების აღკვეთა და, ამავე დროს, ჩამოთვლის დამატებით უფლებებს, რათა დამოუკიდებელი სასამართლო კონტროლის გზით შეფასდეს დაპატიმრების კანონიერება.

— პირველი, თავისუფლების ნებისმიერი აღკვეთა უნდა იყოს კანონიერი და კანონის შესაბამისი. დამატებით, იგი უნდა ხვდებოდეს 1-ლი პუნქტის ექვს ქვეპუნქტში დადგენილ გარემოებებს შორის. ამ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილია 15 სხვადასხვა საფუძველი, რომლებიც ამართლებს დაკა-

124. იხ. *Menteş and Others v Turkey*, 28 ნოემბერი, 1997, §78-82 (განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ დაერღვათ ხელშეუხებლობის უფლება, რადგან სახელმწიფოს ქმედებით საქციო გახდა, მათ საკუთარი საცხოვრებელი სახლები დაეტოვებინათ. თუმცა, განმცხადებლებმა უარი თქვეს თავიანთ საჩივრებზე მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ თავისუფლება არ აღკვეთილათ).

125. მაგალითად, *Osman v the United Kingdom,* 28 ოქტომბერი, 1998, §116-121.

126. *Plattform Ärzte für das Leben v Austria,* 21 ივნისი, 1988, §32-34.

127. იხ. მაგალითად, *A v the United Kingdom*, 18 სექტემბერი, 1997, §20-24.

ვებას. ტექსტში არსებული მინიშნება - "გარდა შემდეგი შემთხვევებისა" - ნათელს ხდის, რომ საფუძვლების ჩამონათვალი ამომწურავია.[128] ყველა საფუძველი რელევანტური არ არის პოლიციის ოფიცრებისთვის, რადგან ტექსტის მიზანია, მოიცვას ყველა ის შესაძლო შემთხვევა, რომლებშიც სახელმწიფო მოხელეებს შეუძლიათ, საჭიროდ მიიჩნიონ ადამიანის თავისუფლების აღკვეთა. როგორც აღინიშნა, ზოგიერთი დებულებით ნებადართულია თავისუფლების შეზღუდვა საზოგადოების დაცვის მიზნით და, ამავე დროს, მოწყვლადი პირების ინტერესებიდან გამომდინარე (მათ შორის, დაკავება მცირეწლოვნებზე საგანმანათლებლო ზედამხედველობის მიზნით, ინფექციური დაავადებათა გავრცელების პრევენციისთვის, მანაწნალების, ფსიქიკურად დაავადებულების, ასევე ალკოჰოლიკებისა ან ნარკომანების დაკავება). ერთ-ერთი ქვეპუნქტის მიხედვით, დაპატიმრება იმიგრაციულ კონტროლს ემსახურება. მაგრამ პოლიციის ოფიცერთათვის, მათი ყოველდღიური საქმიანობის გათვალისწინებით, ყველაზე რელევანტურია სამართალდარღვევაში ეჭვმიტანილი პირის დაკავების ან სისხლის სამართლის დარღვევათა აღკვეთის უფლებამოსილება.

— მეორე, მე-5 მუხლის დანარჩენ ნაწილში გათვალისწინებულია შესაძლებლობები და ტექნიკური საშუალებები იმის შესაფასებლად, არსებობდა თუ არა საკმარისი მიზეზი თავისუფლების აღსაკვეთად. ამგვარად, მე-2-4 პუნქტები შეეხება თავისუფლების აღკვეთის კანონიერების სასამართლო გზით შეფასებას, რათა დაპატიმრება გამართლებული იყოს და ასეთად რჩებოდეს შემდეგ საფუძველთან მიმართებით: მე-2 პუნქტი მოითხოვს, რომ პირს თავისუფლების აღკვეთისთანავე ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები; მე-3 პუნქტი უზრუნველყოფს დაცვის რამდენიმე დამატებით გარანტიას (მათ შორის უფლებას, რომ პირი დაუყოვნებლივ წარადგინონ სასამართლო ორგანოს წინაშე) იმ პირთათვის, რომლებიც დააკავეს სამართალდარღვევის ეჭვის საფუძველზე ან იმის გამო, რომ საფუძვლიანად იყო მიჩნეული მისი მხრიდან ამის ჩადენა ან მიმალვა; და მე-4 პუნქტი უფლებამოსილს ხდის პირებს, მიმართონ სასამართლოს, რომელმაც "სწრაფად" უნდა განიხილოს, მათი დაკავება კვლავ გამართლებულია თუ არა. ისევ უნდა აღინიშნოს, რომ აქედან ბევრი რელევანტურია პოლიციის ოფიცრებისათვის: აქ უმთავრესი საკითხებია დაკავების მიზეზების ჩამოთვლა პირის თავისუფლების აღკვეთისას და იმის დადგენა, *კვლავ გამართლებულია თუ არა* დაკავება, თუნდაც ეს ასე ყოფილიყო დაკავების მომენტისათვის.

— არსებობს ამ გარანტიების მესამე და დამხმარე ასპექტიც. მე-5 პუნქტი უზრუნველყოფს, რომ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში პირმა კომპენსა-

128. *Ireland v the United Kingdom*, 18 იანვარი, 1978, §194.

ცის მიღების უფლებით ისარგებლოს, თუ მას უკანონოდ დააკავებენ ან ზემოაღნიშნული საპროცესო უფლებებით სარგებლობის საშუალება არ მიეცემა.

მაშასადამე, პოლიციის ოფიცრებთან მიმართებით, მე-5 მუხლი ოთხი სხვადასხვა საკითხის შესწავლას ითხოვს:

- პირველი, ფაქტებით იკვევა თუ არა, რომ მიმართეს "თავისუფლების აღკვეთას"?
- მეორე, თავისუფლების აღკვეთა სამართლებრივ დებულებებს ეყრდნობოდა და "კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისი" იყო თუ თვითნებური?
- მესამე, პირის დაკავება ხვდება თუ არა მე-5 მუხლში ჩამოთვლილი ექვსი დასაშვები კატეგორიიდან ერთ-ერთში (ან მეტში)?
- მეოთხე, უზრუნველყოფილი იყო თუ არა მე-2-4 პუნქტებში გათვალისწინებული საპროცესო გარანტიები (და კონკრეტულად, ეცნობა თუ არა პირს დაკავების მიზეზი)?

ამ თემაზე სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა შთამბეჭდავია, შესაბამისად, პოლიციის ოფიცრებს შეუძლიათ, დამაჯერებლად იმსჯელონ მე-5 მუხლის შედეგებზე. იმის მიუხედავად, რომ ყველა კონკრეტული საქმე სხვადასხვა სისხლის სამართლის სისტემას ეფუძნება, შესაძლებელია ზოგადი გამოყენების კონკრეტული პრინციპების ამოკრება.

## 1-ლი კითხვა: ფაქტებით იკვევა თუ არა, რომ მიმართეს "თავისუფლების აღკვეთას"?

მე-5 მუხლის ტექსტი ეხება არა მხოლოდ "თავისუფლების აღკვეთას", არამედ "დაკავებასა" და "დაპატიმრებასაც". განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ასეთი სიტყვები ან ფრაზები კონვენციაში ე.წ. *ავტონომიური კონცეპტებია*, ანუ ისინი განიმარტება არა შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, არამედ სტრასბურგისეულად: მათი მნიშვნელობა დამოკიდებული არ არის შიდასამართლებრივ კლასიფიკაციაზე და მე-5 მუხლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს ისეთი ნიუანსებს, როგორიცაა: შიდასამართლებრივ სისტემით პირი დაპატიმრებულად ითვლება თუ, უბრალოდ, დაკავებულად ან თუნდაც პრაქტიკულად თავისუფლებაში მყოფად. შესაბამისად, ამ კონცეპტებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის.

მეორე მხრივ, მე-5 მუხლი მხოლოდ გადაადგილების შეზღუდვას არ ეხება. მოკლედ, სანამ მე-5 მუხლის გარანტიები ამუშავდება, მანამდე ფაქტების

საფუძველზე უნდა დადგინდეს, რომ რეალურად მიმართეს "თავისუფლების აღკვეთას". ეს ხაზგასმული უნდა იყოს. თითოეული საქმის ფაქტებზეა დამოკიდებული, პირს აღკვეთა თუ არა თავისუფლება და, შესაბამისად, შეუძლია თუ არა დაეყრდნოს მე-5 მუხლით დადგენილ გარანტიებს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ისედაც ცხადია. პირი, რომელიც პოლიციის ჩაკეტილ საკანშია მოთავსებული და უთხრეს, რომ ექვმიტანილია სისხლის სამართლის დანაშაულში, ცხადია, თავისუფლებააღკვეთილია. თუმცა, არსებობს ბევრი სიტუაცია, რომლებშიც მკაფიო განსხვავება არ არის თავისუფლებასა და დაპატიმრებას შორის. პოლიციის ოფიცრებს ყოველთვის შეუძლიათ ისეთი უფლებებით სარგებლობა, რომლებიც უკავშირდება მათ პასუხისმგებლობას დანაშაულის გამოვლენის შესახებ. მაგალითად, მათ უფლება აქვთ, გააჩერონ და გაჩხრიკონ ექვმიტანილი პირები, ან მოწმეს მოსთხოვონ ოფიცერთან დარჩენა მისი პერსონალური მონაცემების გადამოწმებამდე; ასევე, არსებობს სიტუაციები, როცა ექვმიტანილი თანახმაა, პოლიციის ოფიცერს გაჰყვეს განყოფილებაში - დანაშაულის გამოძიებაში დასახმარებლად. ექვმიტანილი ამ დროს, პრაქტიკულად, მოხალისეა (თუმცა, რეალურად, მას მცდარად სწამს თავისი უფლებების, ან რაღაც აიძულებს ასე მოქცევას). ამგვარად, ყოველთვის ნათელი არ არის, აღიკვეთა თუ არა თავისუფლება, მე-5 მუხლის მნიშვნელობით.

სტრასბურგის სასამართლომ სცადა ზოგიერთი პრინციპის გამოცალკევება, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე რთულია გამყოფი ხაზის დადგენა თავისუფლების აღკვეთასა და თავისუფალ გადაადგილებაში უბრალო ჩარევას შორის. ამის მიზეზი ის არის, რომ "განსხვავება თავისუფლების აღკვეთასა და მის შეზღუდვას შორის... დამოკიდებულია მის ხარისხსა და ინტენსივობაზე, და არა ბუნებასა და არსზე".[129] ყველა ცალკეულ შემთხვევაში ამოსავალი წერტილია განმცხადებლის "კონკრეტული სიტუაცია". "გასათვალისწინებელია მთელი რიგი კრიტერიუმებისა, როგორიცაა: განსახილველი ღონისძიების ტიპი, ხანგრძლივობა, შედეგები და განხორციელების ფორმა".[130] მოკლედ, ამ დროს განსაკუთრებით ყურადსაღებია ნებისმიერი იძულების ან ზეწოლის ფაქტები.[131] ამგვარად, პირის პირადი შეფასება - აღეკვეთა თუ არა მას თავისუფლება - შესაძლოა გადამწყვეტი არ იყოს.

— საქმეში *X v Federal Republic of Germany* 10 წლის გოგონა, ორ მეგობართან ერთად, სკოლიდან პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს, რათა ქურდობასთან დაკავშირებით დაეკითხათ და იქ ორი საათით და-

129. *Guzzardi v Italy*, 6 ნოემბერი, 1980, §93.

130. Ibid. §92.

131. *Riera Blume and Others v Spain,* 14 ოქტომბერი, 1999, §30.

ტოვეს. ამ ღროის ნაწილი მან ღია საკანში გაატარა. ცხადი იყო, რომ პოლიციელთა მიზანი პატარა გოგონას თავისუფლების აღკვეთა კი არა, მისგან ინფორმაციის მიღება გახლდათ. ამიტომ დაადგინდა, რომ მისთვის თავისუფლება არ აღუკვეთიათ.[132]

— საქმეში *Raninen v Finland* კითხვა დაისვა პირის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით, სამხედრო ჰოსპიტალში მისი შესვლიდან - სადაც ხელბორკილებით მიიყვანეს - მომდევნო დილით ჰოსპიტალში კვლავ დაკავებამდე. მთავრობის თქმით, პირმა თანხმობა განაცხადა საავადმყოფოში მიყვანაზე; განმცხადებელი კი ამტკიცებდა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში იგი თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ იყო დაკავებული და წასვლის უფლება არ ჰქონდა. სასამართლომ არ დაადგინა მისი "თავისუფლების აღკვეთა".[133] ასევე, ეს საქმე იმის ნიმუშია, რომ პირს შეუძლია, მოკლე ვადით დაიბრუნოს თავისუფლება დაკავებიდან მომდევნო დაკავებამდე.

მაშასადამე, რამდენიმე განსხვავებული ელემენტი საჭიროებს შეფასებას, კერძოდ: რა ფართობის ოთახში მოათავსეს დაკავებული პირი, დაკავების ხანგრძლივობა და რა ხარისხის იძულება გამოიყენეს. ასევე ყურადსაღებია თავისუფლების დაკარგვის ბუნება, ხანგრძლივობა, ნეგატიური შედეგები და სამართლებრივი საფუძველი. პირის დროებით დაკავება - გაჩხრეკის მიზნით - "თავისუფლების აღკვეთას" არ ნიშნავს, მაგრამ თუ მას ხელბორკილი დაადეს, პოლიციის მანქანაში მოათავსეს და განყოფილებაში წაიყვანეს, ეს უკვე იქნება "თავისუფლების აღკვეთა".

შემდგომ სამ საქმეში ნაჩვენებია, რას ნიშნავს "თავისუფლების აღკვეთა" საპოლიციო მომსახურების კონტექსტში, რომელიც ეხება არა ეჭვმიტანილთა დაკავებას, არამედ საპოლიციო მომსახურების სხვა ასპექტებს. ამ საქმეთა გარემოებები განსხვავებულია, მაგრამ მარტივად ამოსაცნობია განმარტებისას გამოყენებული საბაზისო მიდგომა.

— საქმეში *Riera Blume and Others v Spain* "თავისუფლების აღკვეთად" ჩაითვალა პოლიციის ოფიცერთა მონაწილეობა ახალგაზრდების დაკავებაში

132. განაცხადი #8819/79, *X v Federal Republic of Germany*, კომისიის 1981 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება. იმ საკითხზე მსჯელობისას, იკვეთებოდა თუ არა საქმეში მე-5 მუხლის დარღვევა, კომისიამ აღნიშნა: განმცხადებელმა პოლიციის განყოფილებაში ცოტა ხანს დაჰყო; საქმეში ნაჩვენები არ ყოფილა, რომ ამ შემთხვევამ მასზე რაიმე ნეგატიური გავლენა მოახდინა; პოლიციის ქმედებაში უკანონო არაფერი ყოფილა; თან გოგონა განყოფილებაში ორ მეგობართან ერთად იმყოფებოდა.

133. *Raninen v Finland,* 16 დეკემბერი, 1997 §47.

- მათი "გადაპროგრამების" მიზნით - მას შემდეგ, რაც გარკვეული ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ, როგორც რელიგიური სექტის წევრები. ტესტზე მსჯელობისას - სახელმწიფოს ჩართულობა "იყო თუ არა იმდენად გადამწყვეტი, რომ მის გარეშე თავისუფლება არ აღიკვეთებოდა" - სასამართლომ მიიჩნია: "გადაპროგრამების" მიზნით დასაკავებლად "პირდაპირ და უშუალო" პასუხისმგებლობა ახალგაზრდების ოჯახებს ეკისრებოდათ, მაგრამ "ხელისუფლების [ეროვნული] ორგანოების აქტიური ჩართულობის გარეშე, პირებს თავისუფლება ვერ აღეკვეთებოდათ". პოლიციის ოფიცრებმა ახალგაზრდები თავდაპირველად სასტუმროში წაიყვანეს, რის შემდეგაც განმცხადებლები ადვოკატების თანდასწრებით დაკითხეს. ოფიცრებმა იცოდნენ, რომ ეს ადამიანები იქ თავიანთი სურვილის წინააღმდეგ იმყოფებოდნენ (და "გადაპროგრამება" არ სურდათ, როგორც ეს მოსამართლემ განაცხადა), თუმცა, არაფერი გააკეთეს ახალგაზრდების გასათავისუფლებლად. შესაბამისად, "საბოლოო პასუხისმგებლობა გასაჩივრებულ საკითხზე ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებოდათ" (და რადგან დასაკავებლად კანონიერი საფუძველი არ არსებობდა, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მე-5 მუხლი).[134]

— მეორე მხრივ, საქმეში *Nielsen v Denmark* სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მე-5 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, თავისუფლება არ აღუკვეთიათ. დედის გადაწყვეტილებით, 12 წლის ბიჭი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს ნევროზის სამკურნალოდ. საავადმყოფოდან გაუჩინარებული ბიჭის პოვნა პოლიციელების მიერ და უკან დაბრუნება არ ხვდებოდა კონვენციის მე-5 მუხლის ფარგლებში, რადგან ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო ის, რომ ჰოსპიტალიზაცია მოხდა მშობლის სურვილით.[135]

— საქმეში *Guenat v Switzerland* პირს, რომელიც არანორმალურად იქცეოდა, პოლიციის ოფიცრებმა განყოფილებაში გაყოლა სთხოვეს. ფსიქიატრმა იგი იძულებით მოათავსა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე წარუმატებლად სცადა იმ კლინიკის ექიმებთან დაკავშირება, სადაც განმცხადებელი მკურნალობას იტარებდა. იგი ჩიოდა, რომ თვითნებურად დააკავეს და სამი საათი პოლიციის განყოფილებაში ჰყავდათ დაპატიმრებული, დაკავების მიზეზთა განმარტების გარეშე. კომისიის წევრთა უმრავლესობამ დაასკვნა, რომ ეს არ იყო "თავისუფლების აღკვეთა", რადგან პოლიციის ქმედება განპირობებული იყო ჰუმანურობით, მათ ფიზიკური ძალა არ უხმარიათ და განმცხადებელს თავისუფლად შეეძლო გადაადგილება პოლიციის განყოფილების ტერიტორიაზე.[136]

134. *Riera Blume and Others v Spain*, 14 ოქტომბერი, 1999, §31-35.

135. *Nielsen v Denmark,* 28 ნოემბერი, 1988, §58-73.

136. *Guenat v Switzerland,* კომისიის გადაწყვეტილება, 10 აპრილი, 1995 ((1995) DR 81, 130-134).

## მე-2 კითხვა: იყო თუ არა თავისუფლების აღკვეთა "კანონიერი" და "კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისი"?

თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა კანონს უნდა შეესაბამებოდეს. მე-5 მუხლი ამას მკაფიოდ ადგენს: პირველი, იმის მოთხოვნით, რომ ნებისმიერი დაკავება იყოს "კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისი"; და მეორე, 1-ლი პუნქტის ქვესივე ქვეპუნქტის განმარტებით, რომლებშიც ჩამოთვლილია დასაშვები საფუძვლები თავისუფლების აღკვეთისთვის - იმ პირობით, რომ ნებისმიერი დაკავება ან დაპატიმრება იქნება "კანონიერი".

მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ თავისუფლების აღკვეთის კანონიერება ფასდება როგორც შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, ასევე ევროპული მოლოდინის ჭრილში, რომელიც ითხოვს, შიდასახელმწიფოებრივი სამართალი თვითნებურად არ გამოიყენონ. "მე-5 მუხლის მიზანი სწორედ თვითნებური დაკავებისაგან დაცვაა".[137] აუცილებელია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვაც. ეროვნული სამართალით განსაზღვრული საპროცესო ნაბიჯებისა და გარანტიების შეუსრულებლობის გამო დადგინდება მე-5 მუხლის დარღვევა და შეუძლებელი იქნება თავისუფლების აღკვეთისას დაშვებულ საპროცესო უზუსტობათა რეტროაქტიულად გამოსწორება. როცა საუბარია შიდასახელმწიფოებრივ პროცედურებზე, ძალიან მნიშვნელოვანია დაკავების ოქმების სათანადოდ შევსება. პოლიციის ოფიცრებმა უნდა შეძლონ იმის ჩვენება, დოკუმენტური ან სხვა საშუალებებით, რომ პირი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დაცვით შეიპყრეს და დააპატიმრეს.[138]

სასარგებლო იქნება დამატებითი მსჯელობა თავისუფლების აღკვეთის "კანონიერების" შესახებ.[139] როგორც აღინიშნა, შიდასახელმწიფოებრივი

---

137. *Akdeniz and Others v Turkey,* 31 მაისი, 2001, §106.

138. მაშასადამე, მე-5 მუხლი სახელმწიფოებს უწესებს ვალდებულებას - უზრუნველყონ დაკავების დეტალებისა და საფუძვლების ზუსტი ჩანაწერების გაკეთება: *Çakıcı v Turkey,* 8 ივლისი, 1999, გვ.105. იხ. ასევე *Timurtaş v Turkey*, 13 ივნისი, 2000, გვ.99-106 (დაუდასტურებელი პატიმრობისას განმცხადებლის შვილის გაუჩინარება იყო მე-5 მუხლის განსაკუთრებით მძიმე დარღვევა, კერძოდ კი იმიტომ, რომ გაუჩინარების ფაქტზე არ ჩატარდა ღრმა და ეფექტიანი მოკვლევა და პოლიციის ოფიცრებმა არ შეადგინეს ზუსტი და სანდო ოქმები პირთა დაპატიმრების შესახებ).

139. თავისუფლების აღკვეთის "კანონიერების" საკითხის შესწავლისას შესაძლოა ასევე საჭირო გახდეს იმის გადასინჯვა, ექვმიტანილი არასამართლებრივი პროცედურების გამოყენებით ხომ არ წამოიყვანეს სხვა ქვეყნიდან, თუმცა, ეს ჩვენი დისკუსიის ფარგლებს სცდება. იხ. *Sanchez Ramirez v France*, კომისიის გადაწყვეტილება, 24 ივნისი, 1996 ("Carlos the Jackal"-ის შესახებ) და *Öcalan v*

სამართლით, პოლიციის ოფიცრებს, როგორც წესი, ფართო დისკრეცია ენიჭებათ, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მოითხოვს, რომ ამგვარი უფლებამოსილება თითოეულ საქმეში გაანზრებულად გამოიყენონ, ეროვნული სამართლის თვითნებური გამოყენების თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, ამისათვის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი საკმარისად ზუსტად უნდა განისაზღვროს. ეროვნული სამართლის არსებითი დებულებები უნდა იყოს არა მხოლოდ "სათანადოდ ხელმისაწვდომი", არამედ "საკმარისი სიზუსტით ფორმულირებულიც", რაც ადამიანებს თავიანთი საქციელის შესაბამისად გაკონტროლების შესაძლებლობას მისცემს.[140] პოლიციის ოფიცრებისთვის მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, რომ თავისუფლების ნებისმიერი აღკვეთა სათანადოდ იყო დასაბუთებული მოცემულ კონკრეტულ გარემოებებში და კეთილი ნებით განხორციელდა.

პირველი, როცა პირს აპატიმრებენ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დიდი ალბათობით, ეს იქნება მე-5 მუხლის დარღვევა. ამის მაგალითია პოლიციის ოფიცრების მიერ პირის დაკავება უფლებამოსილების გადამეტებით (თუმცა, დაკავების ორდერში მცირედი ხარვეზები პატიმრობას აუცილებლად უკანონოდ არ აქცევს, თუ დაპატიმრებას საფუძვლად უდევს სასამართლოს ბრძანება).[141]

— საქმეში *K.-F. v Germany* პოლიციის ოფიცრებს უფლება ჰქონდათ, პირი, ყველაზე ბევრი, თორმეტი საათი ჰყოლოდათ დაკავებული მისი ვინაობის დასადგენად. თუმცა, იგი ამ დროის გასვლიდან კიდევ 45 წუთის განმავლობაში არ გაათავისუფლეს, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლი: სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ პატიმრობის დასაშვები ხანგრძლივობის აბსოლუტურობა პოლიციის ოფიცრებს აკისრებდა ვალდებულებას, ყველა საჭირო ზომა მიეღოთ კანონის მოთხოვნის დასაცავად.[142]

მეორე, პოლიციის ოფიცრებს უფლება არ აქვთ, პირს აღუკვეთონ თავისუფლება ერთი მიზნით და რეალურად სხვა მიზანი ამოძრავებდეთ, თანაც არასათანადო. საქმეში *Bozano v France* იტალიაში პირის დაუსწრებლად მიუსა-

---

*Turkey*, 12 მაისი, 2005 (PKK-ს ხელმძღვანელის შესახებ).

140. *Steel and Others v the United Kingdom,* 23 სექტემბერი, 1998, §75.

141. *Ječius v Lithuania*, 31 ივლისი, 2000, §65-69 (ორდერის ტექსტში შესაძლო ხარვეზების მიუხედავად, განმცხადებლისთვის მისი მნიშვნელობა ცხადი უნდა ყოფილიყო). თუმცა, დაკავების ორდერში დაშვებული მცირედი შეცდომები ზოგჯერ შეიძლება არ გაითვალისწინონ; *Douiyeb v the Netherlands*, 4 აგვისტო, 1999, §39-55.

142. *K.-F. v Germany,* 27 ნოემბერი, 1997, §71-73.

ჯა სამუდამო პატიმრობა, გატაცებისა და მკვლელობის ბრალდების საფუძველზე. მოგვიანებით იგი საფრანგეთში დააკავეს სხვა მიზეზით, რომელიც მისთვის მანამდე წაყენებულ ბრალდებას არ უკავშირდებოდა. ექსტრადიციის მოთხოვნა საფრანგეთის სასამართლოებმა უარყვეს, რადგან *in absentia* გასამართლება ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის საჯარო პოლიტიკის წესებს. სხვა ბრალდებასთან მიმართებით, გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებიდან ერთ თვეში ეს პირი დააკავა საფრანგეთის პოლიციამ - თითქოსდა დეპორტაციის ბრძანების აღსასრულებლად - და საზღვარზე შვეიცარიის პოლიციას გადასცა, რაც წინასწარ იყო დაგეგმილი და ორგანიზებული. მოგვიანებით, შვეიცარიის სასამართლოებმა პირის ექსტრადირება მოახდინეს იტალიაში, სადაც მან სასჯელის მოხდა დაიწყო. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის დაპატიმრება საფრანგეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ ვერ განიხილებოდა მე-5 მუხლით, ვერც დაკავების ფორმის და ვერც მის ირგვლივ საიდუმლოებების თვალსაზრისით. სასამართლოს აზრით, "კანონიერება" გულისხმობს თვითნებური ქმედების არარსებობას. ამ შემთხვევაში, დაპატიმრება იყო "ექსტრადირების სახეცვლილი ფორმა" არასრულსაყრელი სასამართლო გადაწყვეტილების გვერდის ასავლელად და, მაშასადამე, არ იყო დაკავება ჩვეულებრივი "ფორმით...., რომლის მიზანიც დეპორტაცია გახლდათ"[143].

მესამე, პოლიციის ოფიცერმა უნდა აჩვენოს, რომ თავისუფლების აღკვეთა სანქცირებულია კანონმდებლობით, მისი შესაბამისია და, ამავე დროს, აუცილებელია ამ კონკრეტულ გარემოებებში. თავისუფლების აღკვეთა "გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როცა ნაკლებად მკაცრ ღონისძიებებს, განხილვის შემდეგ, არასაკმარისად მიიჩნევენ ინდივიდთა და საზოგადოების ინტერესების დასაცავად, რომლებიც, შესაძლოა, შესაბამისი პირის დაკავებას საჭიროებენ".[144] არსებითად მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ კანონი თვითნებურად არ აღასრულონ.

— საქმეში *Witold Litwa v Poland* პირი "გამოსაფხიზლებელ" ცენტრში დააკავეს პოლონეთის შიდასამართლებრივი პროცედურების მიხედვით. თუმცა, სტრასბურგის სასამართლომ მაინც დაადგინა მე-5 მუხლის დარღვევა, რადგან მნიშვნელოვანი ეჭვი არსებობდა, რომ განმცხადებელი საფრთხეს უქმნიდა საკუთარ თავსა და სხვებს. ნებისმიერ შემთხვევაში, სათანადოდ არ განხილულა სხვა ალტერნატიული ღონისძიებათა გამოყენების საკითხი - პოლიციას შეეძლო განმცხადებელი ან საზოგადოებრივ თავშესაფარში წაეყვანა, ან თუნდაც შინ დაებრუნებინა. სხვა სიტყვებით, მიუხედავად

143. *Bozano v France*, 18 დეკემბერი, 1986, §60.

144. *Witold Litwa v Poland,* 4 აპრილი, 2000, §78; იხ. ასევე *Varbanov v Bulgaria*, 5 ოქტომბერი, 2000, §46.

იმისა, რომ დაკავება შიდასახელმწიფოებრივი სამართლით ნებადართული იყო, ეს უკიდურესი ღონისძიება გახლდათ, რაც პოლიციას შეეძლო ინტოქსიკაციის ქვეშ მყოფ პირთან მიმართებით გამოეყენებინა.[145]

## მე-3 კითხვა: ხვდება თუ არა თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების დაკარგვის გასამართლებლად აღიარებული ერთ-ერთი საფუძვლის ფარგლებში?

მე-5 მუხლი აღიარებს რამდენიმე საფუძველს, რომლებიც შესაძლოა ამართლებდეს თავისუფლების აღკვეთას. აქედან რამდენიმე რელევანტურია პოლიციის ოფიცრებისთვის და ქვემოთ განიხილება. ბევრგან დასაშვებია პირის დაპატიმრება მის მიერ სამართლებრივი, განსაკუთრებით, სისხლის სამართლებრივი ვალდებულების შეუსრულებლად. თუმცა, დაკავებით შესაძლოა დაიცვან მოწყვლადი ან საფრთხის ქვეშ მყოფი პირები. მისი მიზანი შეიძლება ასევე იყოს არასრულწლოვნების საგანმანათლებლო ზედამხედველობა ან მანანწალების, ფსიქიკურად დაავადებულების, ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების დაცვა.

### კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლად (მუხლი 5(1)(b))

ეს დებულება, დიდი ალბათობით, ისეთ საქმეებს ეხება, რომლებშიც პოლიციის ოფიცრები პირებს თავისუფლებას მცირე ვადით აღუკვეთენ - მაგალითად, მათი გაჩხრეკის ან ვინაობის დადგენის მიზნით.[146] თუმცა, დაუშვებელია ამ საფუძვლის ფართო ინტერპრეტაცია, რადგან ამან შესაძლოა დააკნინოს კონვენციის მიზანი - ადამიანის დაცვა თავისუფლების თვითნებური აღკვეთისაგან. შესაბამისად, ნებისმიერი ასეთი ვალდებულება უნდა იყოს "სპეციფიკური და კონკრეტული".[147]

---

145. *Witold Litwa v Poland*, 4 აპრილი, 2000, §72-80.

146. თუმცა, იხ. *Harris, O"Boyle and Warbrick, Law of the European Convention on Human Rights* (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი) (მე-2 გამოცემა, 2009), გვ.142: "ეს დებულება საშუალებაა პოლიციის მიერ ცხოვებითი დაკავებების, სხვადასხვა უფლებამოსილების (მაგ: ალკოტესტების, ქუჩის რეიდების, პირების გაჩერებისა და ჩხრეკის) გასამართლებლად, რათა შესრულდეს სისხლის სამართლით დაკისრებული ვალდებულებები, რაზეც 5(1)(c) მუხლი არ ვრცელდება".

147. *Lawless v Ireland* (# 3), 1 ივლისი, 1961, §9.

— საქმეში *Novotka v Slovakia* მე-5 მუხლის დარღვევად არ ჩაითვალა განმცხადებლის ერთი საათით დაკავება, მას შემდეგ, რაც მან პოლიციის ოფიცრებს უარი განუცხადა მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთის ჩვენებაზე (მისი ვინაობის გადასამოწმებლად), თუმცა, მისი ვინაობა ორმა მეზობელმა დაადასტურა.[148]

— საქმეში *McVeigh, O"Neill and Evans v the United Kingdom* ბრიტანეთის ანტიტერორისტული კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობა - "დამატებით შესწავლა" - იყო სპეციფიკური და კონკრეტული ვალდებულება, მოეპოვებინათ ინფორმაცია, რომელიც მოხელეთათვის შესაძლებელს გახდიდა, დაედგინათ პირის სტატუსი დიდ ბრიტანეთში შესასვლელ სასაზღვრო პუნქტზე და, მისი არსიდან გამომდინარე, ეს არ იყო უბრალოდ პირის დაკავების ვალდებულება (როგორც ამას განმცხადებლები ამტკიცებდნენ).[149]

თუმცა, პირისთვის თავისუფლების აღკვეთა პროპორციული რეაგირება უნდა იყოს სიტუაციაზე. მაგალითად, დაკავება პირის ვინაობის დასადგენად, შესაძლოა, ამ სათაურის ქვეშ მოხვდეს, როცა შიდასახელმწიფოებრივი სამართალი აწესებს ვალდებულებას, პირმა ატაროს პირადობის დამადასტურებელი საბუთი და მოთხოვნისას წარუდგინოს პოლიციას. თუმცა, ადამიანის ხანგრძლივად დაკავება ამ საფუძვლით, დიდი ალბათობით, თავისუფლების თვითნებურ აღკვეთად ჩაითვლება.

— საქმეში *Vasileva v Denmark* არაპროპორციულ რეაგირებად ჩაითვალა პოლიციის განყოფილებაში ავტობუსის ასაკოვანი მგზავრის დაკავება 13 საათზე მეტხანს - მას შემდეგ, რაც კონდუქტორის უარი განუცხადა ვინაობის გამხელაზე მისი ბილეთის ვალიდურობასთან დაკავშირებით შეკამათებისას[150].

## სისხლის სამართლის დარღვევაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება ან დაპატიმრება: მუხლი 5(1)(c)

თავისუფლების აღკვეთის ეს საფუძველი აშკარად მნიშვნელოვანია პოლიციის ოფიცერთათვის. ტექსტის თანახმად, პოლიციის ოფიცერს უფლება აქვს, პირს აღუკვეთოს თავისუფლება "უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე

148. *Novotka v Slovakia*, სასამართლოს გადაწყვეტილება, 4 ნოემბერი, 2003.

149. *McVeigh and Others v the United Kingdom*, კომისიის გადაწყვეტილება, 18 მარტი, 1981, §168-175.

150. *Vasileva v Denmark,* 25 სექტემბერი, 2003, §32-43.

წარსადგენად, რომელსაც არსებობს სამართალდარღვევის საფუძვლიანი ეჭვი". ამგვარად, ეს დებულება ეხება სისხლის სამართლებრივი პროცესის საწყის ეტაპს და უნდა განიხილოს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად, რომლის მიხედვითაც "პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე სასამართლომ განიხილოს გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში".

განმარტებისას არსებითი საკითხებია:

- დაკავება სასამართლოს მიერ უნდა იყოს სანქცირებული, თუმცა, პოლიციის ოფიცერი უფლებამოსილია, პირი დააკავოს ან დააპატიმროს სასამართლოს ბრძანების გარეშეც. სამართალდარღვევა შეიძლება იყოს როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, ასევე ადმინისტრაციული გადაცდომა;
- "სამართალდარღვევა" დანაშაული უნდა იყოს მისი სავარაუდო ჩადენის დროისათვის;
- ამგვარ საქმეებში დაკავების მიზანი უნდა იყოს ეჭვის გამყარება ან გაფანტვა - პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან სამართალდარღვევის შესახებ - და, შესაბამისად, ის უნდა დააკავონ ერთადერთი მიზნით და არა სხვა ჩანაფიქრებისთვის (როგორიცაა მორალური ზეწოლა დაკავებულზე);[151]
- პოლიციის ოფიცერს ყოველთვის უნდა შეეძლოს იმის ჩვენება, რომ არსებობდა "გონივრული ეჭვი". ამაში იგულისხმება ფაქტები ან ინფორმაცია, რომლებიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებს, რომ დაკავებულ პირს შესაძლოა სამართალი დაერღვია;[152]
- თუ რა ჩაითვლება "გონივრულ ეჭვად", დამოკიდებულია ყველა გარემოებაზე. "მაშასადამე, ძალზე მკრთალია გამყოფი ხაზი იმ საქმეებს შორის, რომლებშიც ეჭვი - საფუძვლად რომ დაედო პირის დაკავებას - არ ჩაითვალა ობიექტურ ფაქტებზე საკმარისად დამყარებულად და ასეთად იყო მიჩნეული".[153] ეჭვის *გულწრფელობა* საკმარისი არ არის ამ სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, იგი უნდა იყოს "გონივრული", მაგრამ მისი სიმყარე გამოძიების ამ ეტაპზე აუცილებელი არ არის. "აუცილებელი არ არის, თანაბარი დონის იყოს ფაქტები, რომლებიც ეჭვს იწვევს და საჭიროა მსჯავრდების დასასაბუთებლად ან თუნდ ბრალის წასაყენებლად. ისინი

151. *Giorgi Nikolaishvili v Georgia*, 13 იანვარი, 2009, §60-67.

152. *Fox, Campbell and Hartley v the United Kingdom*, 30 აგვისტო, 1990, §32-36.

153. *O'Hara v the United Kingdom*, 16 ოქტომბერი, 2001, გვ.41.

სისხლის სამართლის გამოძიების შემდგომ ეტაპებზე ვლინდება;[154]"

- ▶ პატიმრობა უნდა შეწყდეს, როგორც კი ეჭვი "გონივრულობას" დაკარგავს.[155] ეს აუცილებელია იმისათვის, რომ პატიმრობა თვითნებური არ *გაგრძელდეს*. შესაბამისად, პატიმრობა ამ ქვეპუნქტის ფარგლებს მიღმა არ ხვდება იმის გამო, რომ "გონივრული ეჭვის" საფუძველზე დაკავებული პირი დაუყოვნებლივ არ წარუდგინეს მოსამართლეს და არ წაუყენეს სისხლის სამართლებრივი ბრალდება, თუკი ეს ეჭვი მისი დაკავების წუთიდანვე არსებობდა.

## პირის დაკავება ან დაპატიმრება სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად: მუხლი 5(1)(c)

ეს მიზანი შეზღუდულადაა განმარტებული და ეხება მხოლოდ დაპატიმრებას "კონკრეტული და სპეციფიკური სამართალდარღვევის" თავიდან ასაცილებლად[156]. მისი ფართოდ განმარტებით მივიღებდით შემდეგს: "შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერი პირის - რომელიც ეჭვმიტანილი იყო სამართალდარღვევის განზრახვის დაფარვაში - შეუზღუდავი ვადით დაკავება ან დაპატიმრება მხოლოდ აღმასრულებლის გადაწყვეტილების საფუძველზე"[157].

— საქმეში *Ječius v Lithuania* შიდასახელმწიფოებრივი სამართლით ნებადართული იყო პირის დაპატიმრება სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით. განმცხადებელი საპატიმროში მოათავსეს სამ სპეციფიკური დანაშაულში - "ბანდიტიზმი", დანაშაულში თანამონაწილეობა და ადამიანის დაშინება - მონაწილეობის აღსაკვეთად. ერთი თვის შემდეგ მას დაემატა მკვლელობის ბრალდება, რომელიც მანამდე მოუხსნეს. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ქვეპუნქტის თანახმად, დაკავება შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში, უკვე ჩადენილი დანაშაულებისთვის, შესაბამისად, განმცხადებლის პრევენციული პატიმრობა შეუსაბამო იყო მე-5 მუხლთან.[158]

154. *Murray v the United Kingdom*, 28 ოქტომბერი, 1994, §55.

155. *Stögmüller v Austria*, 10 ნოემბერი, 1969, §4; *De Jong, Baljet and Van den Brink v the Netherlands*, 22 მაისი, 1984, §44: "საკითხს - ეჭვის უბრალო არსებობა საკმარისია თუ არა კანონის თანახმად შეფარდებული წინასწარი პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად - ეხება არა ეს ქვეპუნქტი, არამედ მუხლი 5(3), რომელიც განიხილება 5(1)(c) მუხლთან ერთობლიობაში ... და მოითხოვს პირის პირობით ვადამდე გათავისუფლებას, როგორც კი პატიმრობა დაკარგავს "გონივრულ" საფუძველს...".

156. *Guzzardi v Italy*, 6 ნოემბერი, 1980, §102.

157. *Lawless v Ireland* (#3), 1 ივლისი, 1961, §14.

158. *Ječius v Lithuania*, 31 ივლისი, 2000, §50-52.

— საქმეში *Eriksen v Norway* თავის ტვინის ტრავმის შემდეგ განმცხადებელი აგრესიული გახდა და წლების განმავლობაში დაპატიმრებული ჰყავდათ ხან ციხეში და ხან ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში. სასამართლო ბრძანების ვადის ამოწურვამდე ცოტა ხნით ადრე - რომელიც გულისხმობდა "უსაფრთხოების ზომების" მიღებას განმცხადებლის დასაკავებლად - პოლიციამ მოითხოვა და მიიღო ნებართვა, რომ იგი დამატებით რამდენიმე კვირით დაეტოვებინა პატიმრობაში - განახლებული სამედიცინო ისტორიის მოსაპოვებლად. სასამართლომ განაცხადა, რომ პატიმრობის ეს პერიოდი ხვდებოდა როგორც (a), ასევე (c) ქვეპუნქტების ფარგლებში - პირველში იმიტომ, რომ ვადის გახანგრძლივება უკავშირდებოდა თავდაპირველ მსჯავრდებასა და "უსაფრთხოების ზომების" მიღებას მორიგი სამართალდარღვევის საფრთხის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ გაცემულ ბრძანებას ვადა გაუვიდა; პატიმრობა ასევე გამართლებული იყო (c) ქვეპუნქტით, განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობის ანამნეზისა და თავდასხმებზე ინფორმაციის გამო, რაზე დაყრდნობითაც ჩნდებოდა ეჭვი, რომ გათავისუფლების შემდეგ პირისგან მოსალოდნელი იყო მორიგი სამართალდარღვევები.[159]

## სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის დაკავება ან დაპატიმრება მისი მიმალვის აღკვეთის მიზნით: მუხლი 5(1)(c)

პოლიციის ოფიცერი უფლებამოსილია, პირი დააკავოს სამართალდარღვევის შემდეგ მიმალვის აღსაკვეთად. მიმალვის საფრთხე ყურადღებით უნდა განიხილონ თითოეულ საქმეში: ისეთ ფაქტორთაგან, როგორიცაა იურისდიქციის დატოვების სიმარტივე, მკაცრი სასჯელის შესაძლებლობა და ქვეყანასთან ბმების არარსებობა, ყველა რელევანტურია მიმალვის საფრთხეზე მსჯელობისას და, შესაბამისად, "გონივრულს" ხდის სახელმწიფოს მიერ საპატიმრო სანქციების გამოყენებას.[160]

---

159. *Eriksen v Norway,* 27 მაისი, 1997, §78-87.

160. *Cf Wemhoff v Germany*, 27 ივნისი, 1968, §13-15. იხ. ასევე Harris, O'Boyle and Warbrick, Law of the European Convention on Human Rights (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი) (მე-2 გამოცემა, 2009), გვ.147: "5(1)(c) მუხლის მესამე საფუძველი ზედმეტია, რადგან პირველი ნაწილითაა შესაძლებელი პირის დაკავება, რომელიც "სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ მიმალვას" ცდილობს.

## არასრულწლოვანთა დაკავება აღმზრდელობითი ზედამხედველობის მიზნით ან უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე წარსადგენად: მუხლი 5(1)(d)

პრეცედენტული სამართალი დაკავების ამ საფუძვლებზე მწირია. ეს ორი განსხვავებული მიზანია და ყურადღების გამახვილება არასრულწლოვანთა დაკავებაზე, "კანონიერი ბრძანების საფუძველზე ... უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე წარსადგენად", ამყარებს შიდასახელმწიფოებრივ სქემას - არასრულწლოვნები გამოცალკევდნენ ჩვეულებრივი სისხლის სამართლებრივი პროცესისგან.[161]

## სულით ავადმყოფების, მაწანწალების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ სხვათა დაკავება: მუხლი 5(1)(e)

ამ ქვეთავით გამართლებულია თავისუფლების აღკვეთა როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოების საფუძვლით, ასევე დაკავებული პირის კეთილდღეობისთვის. თუმცა, აქაც გათვალისწინებულია თვითნებური დაკავებისაგან დაცვის კონკრეტული გარანტიები. მაგალითად, "მაწანწალა" განიმარტება შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, თუ იგი თანხვდება კონვენციის მიზნებისათვის ამ ტერმინის ზოგადად აღიარებულ მნიშვნელობას.[162] ფსიქიკურად დაავადებულის დაკავება ვერ ჩაითვლება გამართლებულად, თუ არ იქნება გათვალისწინებული სამედიცინო ექსპერტის მოსაზრება, თუმცა, გადაუდებელ საქმეებში ასეთი მოსაზრების მოპოვება შეიძლება მას შემდეგ, რაც პირი თავისუფლებას დაკარგავს.[163] საპოლიციო მომსახურების თვალსაზრისით, "ალკოჰოლიკებისა" და "ნარკომანების" დაკავება შესაძლოა განსჯის საგანი გახდეს.

— საქმეში *Witold Litwa v Poland* ნასვამი განმცხადებელი, რომელიც აგრესიულად იქცეოდა, "გამოსაფხიზლებელში" წაიყვანეს და დააკავეს 6.5 საათის განმავლობაში. სიტყვა "ალკოჰოლიკი" გულისხმობს ალკოჰოლზე დამოკიდებულებას, თუმცა, სასამართლომ განმარტა, რომ 5(1)(e) მუხლში გამოყენებული ეს ტერმინი მოიაზრებდა სხვა კატეგორიის პირებსაც, რომელთაც შეიძლება თავისუფლება აღკვეთოდათ როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ასევე საკუთარი ინტერესებისთვის. შესაბამისად, "ალკოჰოლიკების" დაკავებაში არ

161. *Bouamar v Belgium*, 29 თებერვალი, 1988, §48.

162. *De Wilde, Ooms and Versyp v Belgium* ("მაწანწალების საქმეები"), 18 ივნისი, 1971, §68.

163. მაგ: *Herz v Germany*, 12 ივნისი, 2003, §43-56.

იგულისხმებოდნენ მხოლოდ ასეთი სამედიცინო დიაგნოზის მქონე პირები, იგი მოიცავდა მათაც, "ვისი საქციელი და ქცევაც, ალკოჰოლის ზემოქმედებით, საფრთხეს უქმნიდა საზოგადოებრივ წესრიგსაც და თვითონ ამ პირებსაც" და მათ აკავებდნენ "საზოგადოების ან მათივე ინტერესების, კერძოდ, ჯანმრთელობის ან პირადი უსაფრთხოების დასაცავად".[164]

— საქმეში *Hilda Hafsteinsdóttir v Iceland* განმცხადებელი ექვსჯერ დააკავეს და თითო ღამე საპატიმროში გაატარებინეს ინტოქსიკაციის, ალგზნების და პოლიციის ოფიცერთა მიმართ აგრესიული ქცევის გამო. სასამართლომ დაუშვა დაპატიმრებების მოხვედრა ამ ქვეპუნქტის ქვეშ, რადგან განმცხადებელი ალკოჰოლის ძლიერი ზემოქმედების ქვეშ იყო და გონივრულ ფარგლებში შესაძლებელი გახლდათ ვარაუდი, რომ იგი საფრთხეს შეუქმნიდა საზოგადოებრივ წესრიგს. თუმცა, ჩაითვალა, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართალი მე-5 მუხლის ტესტს საკმარისად არ აკმაყოფილებდა. ის საკმარისი სიზუსტით არ განსაზღვრავდა, რა ტიპის ღონისძიებების გამოყენება შეეძლოთ პოლიციის ოფიცრებს დაკავებულებთან მიმართებით, არც პატიმრობის დასაშვებ ხანგრძლივობას აკონკრეტებდა. შიდა საპოლიციო ინსტრუქციებით უფრო დეტალური წესები შემუშავდა ამ დისკრეციული უფლებით სარგებლობის შესახებ და პოლიციელები დაკავების ბრძანების გაცემისას ამ ინსტრუქციებით ხელმძღვანელობდნენ. თუმცა, აღნიშნული წესები არ უშვებდა დაკავებას უბრალო ინტოქსიკაციის დროს, როცა შესაძლებელი იყო სხვა ალტერნატიული ღონისძიებათა გამოყენება. არსებითი საკითხი ის გახლდათ, რომ პოლიციელთა მიერ დისკრეციული უფლებით სარგებლობა და პატიმრობის ხანგრძლივობა ადმინისტრაციული პრაქტიკით წესრიგდებოდა და არა დადგენილი სამართლებრივი ჩარჩოებით. შედეგად, კანონი არც საკმარისად ზუსტი იყო და არც საკმარისად ხელმისაწვდომი თვითნებურობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, განმცხადებლისთვის თავისუფლების აღკვეთა არ იყო "კანონიერი".[165]

### არალეგალური იმიგრაცია, დეპორტაცია და ექსტრადიცია: 5(1)(f)

მუხლი 5(1)(f) ითვალისწინებს "პირის კანონიერ დაკავებას ან დაპატიმრებას ქვეყანაში მისი უნებართვო შესვლის აღსაკვეთად, ან პირის დაკავებასა თუ დაპატიმრებას, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით". შესაბამისად, ეს დებულება ორი "ნაწილისაგან" შედგება. პირი უნდა დააკავონ ან პირველი (ანუ, უნებართ-

164. *Witold Litwa v Poland*, 4 აპრილი, 2000, §60-63.

165. *Hilda Hafsteinsdóttir v Iceland*, 8 ივნისი, 2004, §51-56.

ვოდ შესვლა) ან მეორე ნაწილის (დეპორტაცია ან ექსტრადიცია) ფარგლებში და არა უბრალოდ მიმალვის აღსაკვეთად ან სხვა დაფარული მიზნისთვის.[166]

## მე-4 შეკითხვა: ისარგებლა თუ არა დაკავებულმა პირმა დადგენილი საპროცესო გარანტიებით?

მე-5 მუხლის დანარჩენ ნაწილში გათვალისწინებულია რამდენიმე გარანტია იმისათვის, რომ პირმა შეძლოს მისი თავისუფლების დაკარგვის კანონიერების გასაჩივრება. შესაბამისად, იგი პირს იცავს თავისუფლების თვითნებური აღკვეთისაგან. არსებითი საკითხია ის, რომ ამ პუნქტების თანახმად, პოლიციის ოფიცრებს ევალებათ პოზიტიური ნაბიჯების გადადგმა, რაც მოიცავს ზოგადი ვალდებულების შესრულებასაც - პირების დაცვას თავისუფლების არასანქცირებული აღკვეთისაგან იმით, რომ პატიმრობის *მიმდინარეობა* ყოველთვის იყოს გამართლებული.

დაცვის უმნიშვნელოვანესი ასპექტია ამ საპროცესო გარანტიების ხელმისაწვდომობა: დაკავებულ პირს ეცნობოს ხელისუფლების ორგანოთა მიერ შემუშავებული მიზეზების შესახებ და მიეცეს სამართალწარმოების წამოწყების უფლება მისი დაკავების სამართლებრივი საფუძვლის გადასასინჯად. როცა თავისუფლებას აღკვეთენ სამართალდარღვევის საფუძვლიანი ეჭვისას, ან მას საფუძვლიანად მიიჩნევენ პირის მიერ სამართლის დარღვევის თუ მის შემდეგ მიმალვის აღსაკვეთად, ეს მუხლი დამატებით გარანტიებს ითვალისწინებს. პირი "დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს", რომელიც იმსჯელებს, არსებობს თუ არა მიზეზები, რითაც დასაბუთდება პატიმრობის გაგრძელება, თუ პირი გირაოს სანაცვლოდ უნდა გათავისუფლდეს. თუ მას უარი ეთქვა საქმის განხილვის პერიოდში გათავისუფლებაზე, დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს, თავისი პატიმრობის გახანგრძლივება შემდგომ ეტაპებზე გაასაჩივროს და მისი საქმე სასამართლომ გონივრულ ვადაში განიხილოს. ეს პოზიტიური უფლებებია, რომელთა უზრუნველყოფაც სახელმწიფო მოხელეებს ევალებათ, იმის მიუხედავად, დაპატიმრებული პირი მოითხოვს ამას თუ არა.[167]

საპოლიციო პატიმრობაში მოთავსებისას პირს, 5(2) მუხლის თანახმად, "მისთვის გასაგებ ენაზე, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება". ერთი შეხედვით, ეს

166. *Bozano v France*, 18 დეკემბერი, 1986, §53-60.

167. *Aquilina v Malta*, 29 აპრილი, 1999, §47.

დებულება 6(3)(a) მუხლთან იკვეთება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს "მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წაყენებული ბრალდების არსი და საფუძველი". თუმცა, თითოეული ამ დებულების განმარტებაზე გავლენას ახდენს მათი კონკრეტული მიზანი. რადგან მე-5 მუხლის საბოლოო მიზანია პირის დაცვა თავისუფლების თვითნებური დაკარგვისაგან,[168] 5(2) მუხლი საშუალებას იძლევა, გადამოწმდეს თავისუფლების აღკვეთის კანონიერება (6(3)(a) მუხლისაგან განსხვავებით, რომელიც მოითხოვს, დაპატიმრებულ პირს მიეწოდოს "საკმარისი ინფორმაცია - აუცილებელი მისთვის წაყენებული ბრალდების სრულად გასაგებად - სათანადო დაცვის მომზადების მიზნით").[169]

- მნიშვნელოვანია იმის გაახრება, რომ ტექსტის ავტორების მიერ გამოყენებულ სიტყვათა განმარტება შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე არ არის დამოკიდებული: ტერმინი "დაკავება" ვრცელდება ყველა ტიპის - და არა მხოლოდ სამართალდარღვევაში ეჭვმიტანილი პირების - თავისუფლების აღკვეთაზე.[170]
- ინფორმაციის მიწოდება მისი პრაქტიკულობისგან დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს: სხვა სიტყვებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ინფორმაცია პრაქტიკაში საკმარისი არ არის განმცხადებლის მიერ საქმის გასაჩივრებისათვის, არ ნიშნავს, რომ მე-2 პუნქტი არ დაკმაყოფილდა.[171]
- მნიშვნელოვანია შეტყობინების შინაარსი, ფორმა და დრო. დაკავების სამართლებრივი საფუძველი და ამ გადაწყვეტილების კანონიერებისთვის რელევანტური არსებითი ფაქტები პირს უნდა ეცნობოს "მარტივი, არატექნიკური ენით", რომელიც მისთვის გასაგები იქნება.[172] დაუშვებელია ამ მოთხოვნის უგულებელყოფა უბრალოდ იმიტომ, რომ პირს არ შეუძლია ან ის უუნაროა, მიიღოს ეს ინფორმაცია. ასეთ შემთხვევებში, დეტალები უნდა ეცნობოს მის წარმომადგენელს - ადვოკატს ან მეურვეს.[173]
- სამართალდარღვევის ეჭვის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთისას პირს უნდა მიაწოდონ უფრო მეტი ინფორმაცია, ვიდრე უბრალოდ მინიშნება მისი დაკავების სამართლებრივ საფუძველ-

168. *K.-F. v Germany*, 27 ნოემბერი, 1997, §63; და *Erkalo v the Netherlands*, 2 სექტემბერი, 1998, §56.

169. *Mattoccia v Italy,* 25 ივლისი, 2000, §60.

170. *X v the United Kingdom*, 5 ნოემბერი, 1981, §66.

171. *Čonka and Others v Belgium,* 5 თებერვალი, 2002, §50-52.

172. *Fox, Campbell and Hartley v the United Kingdom*,30 აგვისტო, 1990, §40.

173. *X v the United Kingdom*, კომისიის ანგარიში, 16 ივლისი, 1980, §102-108.

ზე[174], თუმცა, მე-2 პუნქტი არ აწესებს ვალდებულებას - პირს ეცნობოს ეჭვის საფუძვლები.[175]

პირს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დაუყოვნებლივ, მაგრამ "აუცილებელი არ არის, ეს ვალდებულება სრულად დაეკისროს იმ ოფიცერს, რომელიც მას აკავებს, თანაც დაკავების მომენტში".[176] პრეცედენტულ სამართალში სტრას-ბურგის სასამართლო რამდენიმე ასეთ სიტუაციაზე მსჯელობს:

— საქმეში *Delcourt v Belgium* ამ მოთხოვნის დარღვევად არ ჩაითვალა ფრანგულენოვანი პირის დაკავება ფლამანდიური ენაზე გაცემული სანქციის საფუძველზე, რადგან შემდგომი დაკითხვა ფრანგულად წარიმართა და ივარაუდება, რომ პირისთვის ცნობილი იყო მისი დაკავების მიზეზები.[177]

— საქმეში *Ireland v the United Kingdom* სამხედრო პოლიციის ოფიცრებისთვის მიცემული ინსტრუქციების თანახმად, დაკავებულებს ეცნობათ არა მათი თავისუფლების აღკვეთის საფუძვლები, არამედ ის, რომ საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონმდებლობით დააკავეს. ეს არასაკმარისად ჩაითვალა მე-5 მუხლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.[178]

— ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, *Fox, Campbell and Hartley*-ის საქმეში პირებს ძალიან მცირე ინფორმაცია მიაწოდეს მათი დაკავების სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით, თუმცა, რამდენიმე საათში ისინი სრულფასოვნად დაკითხეს ტერორისტულ ორგანიზაციებთან სავარაუდო თანამშრომლობის თაობაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ გარემოებებში, განმცხადებლებმა დაკავების მიზეზები შეიტყვეს მოთხოვნის - "დაუყოვნებლივ" - ფარგლებში".[179]

— საქმეში *Dikme v Turkey* დაკითხვის დაწყებისთანავე განმცხადებ-

174. *Murray v the United Kingdom*, 28 ოქტომბერი, 1994, §76.

175. *McVeigh, O"Neill and Evans*, კომისიის ანგარიში, 18 მარტი, 1981, DR 25, გვ.15.

176. *Fox, Campbell and Hartley v the United Kingdom*, 30 აგვისტო, 1990.

177. *Cf Egmez v Cyprus*, 21 დეკემბერი, 2000, 85 (თურქულენოვანი პირის დაკავება - რომელსაც ბერძნულიც ესმოდა - ბერძნულენოვანი მოხელეების მიერ, ნარკოტიკების ეჭვის საფუძველზე. იგი დააკავეს *in flagrante delicto* და მის მიმართ არსებული ეჭვის შესახებ გარკვევით ეცნობა, სულ ცოტა, ორჯერ - ჰოსპიტალში და პოლიციის ოფიცრების მიერ დაკითხვისას, რომლის დროსაც ერთ-ერთი მათგანი თურქულად საუბრობდა. დარღვევა არ დადგინდა).

178. *Ireland v the United Kingdom,* 18 იანვარი, 1978, §198.

179. *Fox, Campbell and Hartley v the United Kingdom*, 30 აგვისტო, 1990, §40.

ლისთვის დამუქრება ამ გარემოებებში საკმარისი იყო 5(2) მუხლის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რადგან მასში "საკმაოდ ნათელი მინიშნება" იყო ექვზე, რომ ის სისხლის სამართლებრივ ქმედებებში მონაწილეობდა.[180]

## ექვმიტანილი პირის უფლება - "დაუყოვნებლივ" წარედგინოს მოსამართლეს: მუხლი 5(3)

მოთხოვნა, რომ დაპატიმრებული პირი "დაუყოვნებლივ" წარედგინოს მოსამართლეს[181], ორ მიზანს ემსახურება. პირველი, ეს აუცილებელია, რათა შეფასდეს დაკავების კანონიერება და გადაწყდეს პირის გათავისუფლება ან პატიმრობაში დარჩენა მისი ბრალეულობის ან უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტამდე;[182] მეორე, დაკავებულის დაუყოვნებლივ წარდგენა მოსამართლის წინაშე ასევე ხელს უწყობს ამ პირის დაცვას *incommunicado* პატიმრობისაგან, უფრო ზოგადად კი - არასათანადო მოპყრობის აღკვეთას საპოლიციო პატიმრობისას. როგორც უკვე აღინიშნა, მე-5 მუხლი პირის თავისუფლებასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვისას კონცენტრირებას ახდენს იმაზე, არის თუ არა კანონიერი - ან რჩება თუ არა ასეთად - პირის თავისუფლების დაკარგვა და ამ ფორმით ცდილობს პირების დაცვას თავისუფლების თვითნებური აღკვეთისაგან. პატიმართა პირადი უსაფრთხოება და კეთილდღეობა უფრო მე-3 მუხლით განსახილველი საკითხია, რომელიც კრძალავს წამებას და არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. საბოლოო ჯამში კი ის დაცულია მე-2 მუხლით, რომელიც მოითხოვს სიცოცხლის უფლების პატივისცემას. თუმცა, სასამართლოს შეფასებით, ახლო ურთიერთკავშირია ამ სამი გარანტიის მიზნებს შორის:

> " მოსამართლის დაუყოვნებლივ ჩარევით შესაძლოა გამოვლინდეს და აღიკვეთოს სიცოცხლისთვის საშიში ღონისძიებები ან მძიმე არასათანადო მოპყრობა, რომლებიც არღვევენ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლით დაცულ ფუნდამენტურ გარანტიებს.... ამ კონტექსტში საფრთხის ქვეშაა როგორც პირის ფიზიკური თავისუფლების, ასევე მისი პირადი უსაფრთხოების დაცვა და ასეთ დროს დაცვის გარან-

180. *Dikme v Turkey*, 11 ივლისი, 2000, §55-57 ("შენ მიეკუთვნები Devrimci Sol-ს [არალეგალური ორგანიზაციას], და თუ ჩვენთვის საჭირო ინფორმაციას არ მოგვცემ, აქვე ჩაგაძაღლებთ!").

181. ამ გარანტიის მნიშვნელობის განმარტება რთული აღმოჩნდა, რადგან 5(3) მუხლის ინგლისური ტექსტში გამოყენებულია ტერმინი "promptly" (დაუყოვნებლივ), ფრანგული ტექსტი კი იყენებს ტერმინს "aussitôt", რაც პირდაპირ ნიშნავს - "უმალვე".

182. *Brogan and Others v the United Kingdom*, 29 ნოემბერი, 1988, §58.

> ტიების არარსებობას შესაძლოა მოჰყვეს კანონის უზენაესობის ხელყოფა და დაპატიმრებული პირები დარჩნენ ელემენტარული სამართლებრივი დაცვის გარეშე.[183]

უფლებით სარგებლობა დამოკიდებული არ უნდა იყოს ბრალდებული პირის კონკრეტულ მოთხოვნაზე, მას ეს უფლებები ავტომატურად ენიჭება.[184]

სამართლებრივი სისტემების უმრავლესობა უზრუნველყოფს, რომ დაკავებული პირი წარუდგინოს მოსამართლეს, თუმცა, მოსამართლის წინაშე ექვმიტანილის წარდგენის ვადები სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში შესაძლოა განსხვავებული იყოს. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, დაკავებული მოსამართლეს უნდა წარუდგინონ ოთხი დღის ვადაში (უკიდურესად გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლოა, გამართლებულად ჩაითვალოს პირის პატიმრობაში დატოვება 96 საათზე მეტხანს, ვიდრე გაათავისუფლებენ ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად უფლებამოსილ პირს წარუდგენენ, მაგალითად, დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან გეოგრაფიული მდებარეობის გამო). თუმცა, რადგან ამ მოთხოვნის მთავარი არსია თავისუფლების თვითნებური აღკვეთის ეფექტიანი სასამართლო კონტროლი,  შესაძლოა წარმოიშვას ვალდებულება, რომ რიგ საქმეებში დაკავებული პირები მოსამართლეს წარუდგინონ 96 საათის გასვლამდე.

— საქმეში *İpek and Others v Turkey* ტერორისტულ აქტთან დაკავშირებული გამოძიებისას დააკავეს არასრულწლოვნები, რომლებიც დაკავებიდან ორ დღეში დაკითხეს. მათ არ შესთავაზეს ადვოკატის დახმარება, რადგან დანაშაული სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოთა განსჯადობის ქვეშ ხვდებოდა. დაკავებიდან სამი დღისა და ცხრა საათის შემდეგ არასრულწლოვნები მოსამართლეს წარუდგინეს. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა: ხელისუფლების ორგანოები, მე-5 მუხლის მიხედვით, შეუზღუდავი უფლებამოსილებით არ სარგებლობენ, რომ ექვმიტანილები დაკითხვისთვის დააკავონ ეროვნული სასამართლოების მხრიდან ეფექტიანი კონტროლის გარეშე. ექვმიტანილთა ასაკმა, დაგვიანებულმა დაკითხვამ და იურიდიული დახმარების არარსებობამ გაამყარა დასკვნა, რომ განმცხადებელი მოსამართლეს "დაუყოვნებლივ" არ წარდგენია.[185]

ნაკლებ სავარაუდოა, რომ სასამართლომ გამართლებულად ჩათვალოს ვადა,

---

183. *Kurt v Turkey*, 25 მაისი, 1998, §123.

184. *Aquilina v Malta*, 29 აპრილი, 1999, §49.

185. *İpek and Others v Turkey,* 3 თებერვალი, 2009, §34.

რომელშიც პოლიციის ოფიცრები ტერორიზმის საფრთხის აღსაკვეთად საქიროდ მიიჩნევენ, პირს უარი ეთქვას სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე.

— საქმეში *Ireland v the United Kingdom* საერთოდ არ ჩაუთავთ სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომ არაფერი ვთქვათ "დაუყოვნებლივ" წარდგენის მოთხოვნაზე. აქ შიდასახელმწიფოებრივი სამართლით დასაშვები იყო ექვმიტანილთა დაკავება 7 დღემდე ვადით, რაც საშუალებას იძლეოდა, გამოეძიებინათ ამ პირის შესაძლო მონაწილეობა ტერორისტულ საქმიანობაში. მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ ჰქონდა დაკავებულს უფლება, რომ წარედგინათ მოსამართლის წინაშე, ან გაეთავისუფლებინათ. დადგინდა, რომ ეს არღვევდა კონვენციის მე-5(3) მუხლს.[186]

## დასკვნა

ადამიანის თავისუფლებაში ყველაზე უხეში ჩარევა თავისუფლების აღკვეთაა. ცხადია, თავისუფლების აღკვეთა შესაძლოა აუცილებელი გახდეს დანაშაულის გამოძიებისთვის ან საზოგადოებისა თუ თვით ამ ადამიანის დასაცავად, მაგრამ დაუშვებელია სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესების გამოყენება პოლიციის უსაზღვრო ძალაუფლების გასამართლებლად. თავისუფლების თვითნებური აღკვეთის საწინააღმდეგო გარანტიები მე-5 მუხლშია თავმოყრილი. ამ მუხლზე შექმნილი პრეცედენტული სამართალი, ერთი მხრივ, ასახავს კონტინენტის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემათა მრავალფეროვნებას და, ამავე დროს, მისი მთავარი პრინციპები ხაზს უსვამს საჭიროებას - თავისუფლების დაკარგვა ყველა ეტაპზე იყოს კანონიერი, ემსახურებოდეს დაშვებულ მიზანს და არ გაგრძელდეს საჭიროზე მეტხანს. თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა გამართლებულია შესაბამისი გარემოებებით; პატიმრობა, რომელიც გამართლებული აღარ არის, უნდა დასრულდეს პირის გათავისუფლებით. მე-5 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები, რომლებიც ამცირებს თავისუფლების არასანქცირებული და გრძელვადიანი აღკვეთის საფრთხეს, სხვა გარანტიებით დადგენილ დაცვას, ყველაზე ნათლად კი მე-3 მუხლს, პატიმრობისას არასათანადო მოპყრობის საფრთხესთან მიმართებით. არასათანადო მოპყრობისა და თავისუფლების არასანქცირებული აღკვეთის საფრთხეები განსაკუთრებით რელევანტურია სამართალდარღვევის ეჭვის საფუძველზე დაკავებული პირებისთვის. შედეგად, ეს წამოწევს ისეთ საკითხებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს დანაშაულის გამოძიებაზე პოლიციელთა მიერ და ყურადღებაც, ლოგიკურად, ამ საკითხზე გადადის.

186. *Ireland v the United Kingdom,* 18 იანვარი, 1978, §199.

თავი 4

# დანაშაულის გამოძიება და სისხლის სამართლებრივი პროცესის მდგრადობის უზრუნველყოფა

## შესავალი

პოლიციის ოფიცრებს არსებითი როლი აქვთ სისხლის სამართლებრივი ქმედების შესახებ საჩივრების გამოძიებაში. მას ზოგადი ზედამხედველობით არულებენ - პროკურორის ან მოსამართლის უშუალო ხელმძღვანელობით - თუ თვითონვე, ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე, სისხლის სამართლებრივი პროცესის საწყის ეტაპებზე მათი ჩართულობა მასშტაბურია. ამიტომ, შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, პოლიციის ოფიცრებს მინიჭებული აქვთ ფართო უფლებამოსილება - დაკითხონ ეჭვმიტანილები და მოწმეები, ჩაატარონ ჩხრეკები, უთვალთვალონ პირებს და, ზოგადად, დაამაგრონ მტკიცებულებები. ამ უფლებამოსილების დიდი ნაწილი გულისხმობს მნიშვნელოვან ჩარევას უფლებებში, განსაკუთრებით, ეჭვმიტანილის დაკავებისა და ნამდვილი მტკიცებულების მოძიების უფლებაში. თუმცა, ზოგჯერ პოლიციას ევალება, ჩაერიოს სხვათა უფლებების დასაცავად და თუ საამისოდ სათანადო ნაბიჯები არ გადაიდგმება, დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

ამ თავის ძირითადი ნაწილი ეძღვნება პოლიციის ოფიცერთათვის არსებითი საკითხების გაანალიზებას, რათა მათ შეძლონ სისხლის სამართლებრი-

ვი პროცესის მდგრადობის უზრუნველყოფა დანაშაულის შესახებ ბრალდებების გამოძიებისას. გამოძიების დროს შესაძლოა ამოტივტივდეს რამდენიმე ისეთი საკითხი, რომლებიც წესრიგდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. უფრო თვალნათლივ კი, სამართალდარღვევაში საფუძვლიანად ეჭვმიტანილი პირის თავისუფლების აღკვეთისას შესაძლოა დაისვას საკითხი დაპატიმრების შესაბამისობაზე კონვენციის მე-5 მუხლთან (როგორც ეს მე-3 თავში აღინიშნა). თუმცა, ასევე რელევანტურია კონვენციის სხვა გარანტიებიც. სახლდობრ, ჩხრეკისა და თვალთვალისას ამუშავდება კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან ამ ქმედებებს მოჰყვება ჩარევა პირთა პირადი ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემის უფლებაში. ეჭვმიტანილთა დაკითხვისას, რასაც თან ახლავს არასათანადო მოპყრობა ან მუქარა ასეთი მოპყრობის შესახებ, წამოიჭრება მე-3 მუხლით გათვალისწინებული საკითხები (როგორც ეს მე-2 თავშია განხილული). საპოლიციო გამოძიების ამ ასპექტებს სხვა განზომილებაც აქვთ - ეს პრაქტიკა სისხლის სამართლებრივი პროცესის ნაწილია და შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს სასამართლო განხილვის სამართლიანობაზე, მე-6 მუხლის თანახმად.

## კონვენციით წარმოშობილი პოზიტიური ვალდებულება - გამოიძიონ ბრალდებები სისხლის სამართლის დარღვევათა შესახებ, ადამიანის უფლებათა დასაცავად.

როგორც წინა თავებში აღინიშნა, ზოგჯერ პოლიციის ოფიცრებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, გამოიძიონ ქმედება, რომელიც შესაძლოა სამართალდარღვევა იყოს. ეს ნაწილია პასუხისმგებლობისა, ისეთი ქმედებისაგან დაიცვან პირები, რომელიც შესაძლოა არასათანადო მოპყრობა იყოს - როცა პოლიციელთათვის ცნობილია (ან უნდა სცოდნოდათ) არასათანადო მოპყრობის საფრთხის შესახებ.[187] ანალოგიური პასუხისმგებლობა წარ-

187. *PF and EF v the United Kingdom*, 23 ნოემბერი, 2010 (სექტანტთა წინასწარ დაგეგმილი საპროტესტო აქცია, რომელიც ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა და მიზნად ისახავდა სკოლის მოსწავლეებისა და მათი მშობლების დამცირებას: ქმედება მოხვდა მე-3 მუხლის ფარგლებში, რადგან მან მიაღწია სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. შესაბამისად, პოლიციას დაეკისრა პოზიტიური ვალდებულება - გაეტარებინა პრევენციული ღონისძიებები; თუმცა, იმის განსაზღვრისას, გადაიდგა თუ არა გონივრული ნაბიჯები, საჭირო იყო დისკრეციის ფარგლების დადგენა. ამ საქმეში სასამართლომ გაითვალისწინა ჩრდილოეთ ირლანდიის საზოგადოებაში არსებული დაძაბულობა და მძიმე ემოციური ფონი და ჩათვალა: განმცხადებლებმა ვერ აჩვენეს, რომ პოლიციამ არ გადადგა ყველა გონივრული ნაბიჯი, რაც მას მოეთხოვებოდა. საქმე დაუშვებლად ცნეს).

მოიშობა მე-2 მუხლით - ადამიანთა სიცოცხლის დაცვა ამოცნობადი საფრთხ-ისაგან, როცა შესაძლებელია გონივრული ნაბიჯების გადადგმა - და მე-8 მუხლით, როცა აუცილებელია პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უზრუნველყოფა. მაშასადამე, პატიმრებზე მზრუნველობისა და დაცვის ვალდებ-ულება გულისხმობს პოზიტიური ნაბიჯების გადადგმასაც იმისათვის, რომ ეს პირები დაიცვან სხვა პატიმართა ძალადობის საფრთხისგან[188]; უფრო მნიშ-ვნელოვანი კი ის არის, რომ აღნიშნული ვალდებულება ასევე გულისხმობს გონივრული ნაბიჯების გადადგმას მოწყვლადი ადამიანების დასაცავად არასა-თანადო მოპყრობისაგან, როცა ჩნდება ეჭვი ოჯახური ძალადობის შესახებ.

— საქმეში *Osman v the United Kingdom* განმცხადებელი ჩიოდა, რომ პოლიციამ არასაკმარისი ზომები მიიღო პირთა დასაცავად გაუწონასწორე-ბელი მასწავლებლის ძალადობის საფრთხისაგან, რომელსაც არაჯანსაღი დამოკიდებულება გაუჩნდა მოსწავლის მიმართ. საქმის კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით (რომელშიც მასწავლებელმა ბიჭსა და მის მამას ცეცხლი გაუხ-სნა, რის შედეგადაც მამა გარდაიცვალა), სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლი-ციას ვერ ეცოდინებოდა გარდაცვლილის სიცოცხლისთვის საშიში რეალური და გარდაუვალი საფრთხის შესახებ. გონივრულ ფარგლებში ვერც იმას ივარ-აუდებდნენ, რომ პოლიციის მიერ გადადგმული რაიმე ნაბიჯი ამ საფრთხეს გაანეიტრალებდა. შედეგად, მოცემულ გარემოებებში დარღვევა არ დადგინდა. თუმცა, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მე-2 მუხლი სახელმწიფოებს აკის-რებდა პოზიტიურ ვალდებულებას - ქმედით რეაგირებას ისეთ სიტუაციებზე, როცა ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ (ან იმ დროისათვის უნდა სცოდ-ნოდათ) "მესამე მხარის დანაშაულებრივი ქმედებებით გამოწვეული, კონკრე-ტული პირისა ან პირების სიცოცხლისათვის საშიში რეალური და გარდაუვალი საფრთხის შესახებ". ეს ვალდებულება დაირღვეოდა, თუ დაადგენდნენ, რომ "ხელისუფლების ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ვერ შეძლეს იმ ღონისძიებების გატარება, რომლებიც, გონივრული შეფასებით, შესაძლებელს გახდიდა ამ საფრთხის თავიდან აცილებას".[189]

— საქმეში *Opuz v Turkey* ხელისუფლების ორგანოებისთვის ცნობილი იყო განმცხადებელსა და მის დედაზე განმცხადებლის მეუღლის უხეში ძა-ლადობისა და მუქარის ფაქტები, თუმცა, მათ ეს "ოჯახური საქმედ" მიიჩ-ნიეს და, მოძალადე ქმრის მიერ მეუღლის დედის მოკვლამდე, ქმედითი სისხლის სამართლებრივი დევნა მხოლოდ ერთ ინციდენტს მოჰყვა. ქალები გამუდმებით ითხოვდნენ დაცვას, მაგრამ მათი თხოვნები იგნორირებუ-ლი იქნა. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი,

188. *Cf Pantea v Romania*, 3 ივნისი, 2003, §177-196.

189. *Osman v the United Kingdom*, 28 ოქტომბერი, 1998, §116, 199-121.

რადგან სასიკვდილო თავდასხმა არა მხოლოდ შესაძლებელი იყო, არამედ განჭვრეტადიც, წინამორბედი ძალადობრივი ინციდენტების გათვალისწინებით. ხელისუფლების ორგანოებმა აშკარად არაადეკვატური რეაგირება მოახდინეს განმცხადებლის თხოვნაზე მათი დაცვის შესახებ. ასევე არსებითი საკითხია ის, რომ საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების თანახმად, აღნიშნულ გარემოებებში გამოვლინდა მე-14 მუხლის დარღვევაც, მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთად. აღნიშნული სტანდარტებით, ხელისუფლების მოხელეთა მარცხი (თუნდ გაუფრთხილებლობით გამოწვეული) - დაიცვან ქალები ოჯახური ძალადობისაგან - არღვევს ქალთა უფლებას, თანაბრად იყვნენ დაცული სამართლით. თურქეთში სახელმწიფო მოხელეთა მიერ გამოვლენილი პასიურობით შეიქმნა ატმოსფერო, რომლითაც წახალისდა ოჯახური ანუ გენდერზე დაფუძნებული ძალადობა, ეს კი დისკრიმინაციაა ქალების მიმართ.[190]

ცოტა ხნის წინათ გაფართოვდა ჩარევის ვალდებულების ფარგლები. დღეს ბევრი ევროპული სახელმწიფო ებრძვის ადამიანებით, უპირველესად, ქალებითა და არასრულწლოვნებით ვაჭრობას - ტრეფიკინგს. მათ შორისაა ტრეფიკინგის წყარო და ტრეფიკინგის მსხვერპლთა სატრანზიტო და დანიშნულების ქვეყნები. ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც ძალაში 2008 წელს შევიდა, მიზნად ისახავს ტრეფიკინგის აღმოფხვრას, მის მსხვერპლთა დაცვას და ტრეფიკერთა დასჯას. სახელმწიფოების ვალდებულებათა შესრულებას მონიტორინგს უწევს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა დამოუკიდებელი ჯგუფი (GRETA), მხარეთა კომიტეტთან ერთად (რომელიც დაკომპლექტებულია სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან). ისინი სახელმწიფოებისათვის იღებენ რეკომენდაციებს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უნდა გატარდეს, რომ GRETA-ს დასკვნები შესრულდეს. როცა ტრეფიკინგის მსხვერპლი მონობაში იმყოფება ან იძულებით თუ სავალდებულო სამუშაოს ასრულებს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის მნიშვნელობით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სააგენტოებმა - მათ შორის პოლიციამ - ამაზე ქმედითი რეაგირება უნდა მოახდინონ. ეს არის პოზიტიური ვალდებულების მაგალითი უფლებათა "პრაქტიკულობისა და ქმედითობის" უზრუნველსაყოფად.

— საქმეში *Rantsev v Cyprus and Russia* სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ პრევენციისა და დაცვის პოზიტიური ვალდებულება - სასაზღვრო ტრეფიკინგის კონტექსტში - ჩნდება როგორც წყაროში, ასევე დანიშნულების ქვეყანაში (პოტენციურად - სატრანზიტო ქვეყანაშიც). ამ საქმეში ახალგაზრდა რუსი ქალი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, მაღალსართულიანი კო-

190. *Opuz v Turkey*, 9 ივნისი, 2009, §184-202.

რეუსის ფანჯრიდან გადმოვარდნის შემდეგ. ეს შემთხვევა მოხდა კვიპროსში, სადაც ქალი სამუშაოდ ჩავიდა "პროფესიული" ვიზით. იგი გარდაიცვალა ერთ საათში მას შემდეგ, რაც პოლიციამ კაბარეს მენეჯერს - სადაც ქალი გაქცევამდე სამი დღის განმავლობაში მუშაობდა - სთხოვა, რომ ის პოლიციის განყოფილებიდან წაეყვანათ. მოკვლევით დადგინდა, რომ ქალი გარდაიცვალა ბინიდან გაქცევის მცდელობისას, ვითარებაში, რომელიც უბედურ შემთხვევას უფრო ჰგავდა, რადგან არ არსებობდა მტკიცებულება, სისხლის სამართლის დანაშაულზე რომ მიანიშნებდა. გარდაცვლილის მამამ მოიშველია ანგარიშები, რომლებშიც საუბარი იყო კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის ფესვგამდგარ პრაქტიკაზე კვიპროსში, კაბარე "ინდუსტრიისა" და "პროფესიული" ვიზების როლზე ასეთი ტრეფიკინგის ხელშეწყობაში და წარმატებით დაამტკიცა, რომ კვიპროსის პოლიციამ ვერ შეძლო მისი ქალიშვილის დაცვა ტრეფიკინგისაგან და მის გარდაცვალებაზე პასუხისმგებელი პირების დასჯა. მან ასევე დაასაბუთა, რომ რუსეთის ხელისუფლების ორგანოებმა ვერ შეძლეს ტრეფიკინგის ამ შემთხვევის გამოძიება და ვერ გადადგეს ნაბიჯები ასეთი საფრთხისაგან ქალის დასაცავად.[191]

## დანაშაულის აღკვეთა და გამოძიება - თვალთვალი და ჩხრეკებით მოპოვებული მტკიცებულებები: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი

გადაწყვეტილება - ჩატარდეს ადამიანის ან შენობების ჩხრეკა, ან დაწესდეს თვალთვალი მიმოწერისა და ელექტრონული გზავნილების გაშიფვრის გზით ან სახლსა თუ მანქანაში ელექტრონული მოსასმენი საშუალებების ფარული მონტაჟით - პირადი ან ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის ან მიმოწერის პატივისცემის უფლებაში ჩარევის საფუძველია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით. ის ასე იკითხება:

1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერე-

191. *Rantsev v Cyprus and Russia*, 7 იანვარი, 2010, §272-309.

სებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

"პირადი ცხოვრება" ფართო ტერმინია და შეუძლებელია მისი ამომწურავად განმარტება. იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სატელეფონო მოსმენები და ელექტრომოწყობილობებით თვალთვალი, პოლიციის მიერ მედიისთვის კადრების გადაცემა, მონაცემთა დამახსოვრება და იძულებითი სამედიცინო გამოკვლევა. "საცხოვრებელი" შეიძლება ბევრგვარ ფართს ეწოდოს მე-8 მუხლის მიზნებისათვის. მართლაც, "საცხოვრებელი" შეიძლება გასცდეს ოჯახურ კერას და მოიცვას სამსახურებრივი შენობებიც (შესაბამისად, კომპანიის ოფისებისა და შენობების ჩხრეკა ასევე მე-8 მუხლის ფარგლებში ხვდება).[192]

— საქმე *Niemietz v Germany* ეხებოდა იურისტის ოფისის ჩხრეკას სასამართლოს ნებართვის საფუძველზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ზოგჯერ სამსახურებრივი შენობა "საცხოვრებლის" ფარგლებში ხვდება. მან ხაზი გაუსვა, რომ ხშირად რთულია ზუსტი ზღვრის გავლება ოფისსა და საცხოვრებელ სახლს შორის, "რადგან შესაძლებელია პროფესიული და სამსახურებრივი საქმიანობის შესრულება საკუთარ სახლში, ისევე, როგორც სხვა, არასამსახურებრივი საქმიანობა ოფისსა ან კომერციულ დაწესებულებებში".[193]

პირადი ინფორმაციის მოპოვება პოლიციის მიერ, მისი შენახვა, გამოყენება ან გაცემა მე-8 მუხლში ჩარევაა.[194] "საცხოვრებლის" პატივისცემა შესაძლოა საფუძველი გახდეს ისეთი საკითხების განსახილველად, როგორიცაა: საცხოვრებელ სახლში ფიზიკური შეღწევა ჩხრეკის მიზნით, ასევე, ჩარევა იდუმალი სატელეფონო მოსმენების გზით.[195] აშკარაა, "მიმოწერა" მჭიდროდ უკავშირდება როგორც "პირად", ასევე "ოჯახურ ცხოვრებას" და საკმარისად ფართოა კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების მოსაცავად. ამგვარად, ტექნიკური საშუალებები, რომლებსაც მიმართავენ დანაშაულის პრევენციის ან გამოძიების ეტაპებზე - კერძოდ: მიმოწერის გაშიფვრა,[196] ელექტრონული მოსასმენი მოწყობილობების გამოყენება,[197] ელექტრონული

---

192. *Stés Colas Est and Others v France*, 16 აპრილი, 2002, §40-50.

193. *Niemietz v Germany*, 16 დეკემბერი, 1992, §30-31.

194. *Rotaru v Romania*, 4 მაისი, 2000.

195. *Klass v Germany*, 6 სექტემბერი, 1978, §41 (ეს საკითხი დაისვა, მაგრამ არ განუხილავთ).

196. *Malone v the United Kingdom*, 2 აგვისტო, 1984, §64 (სატელეფონო მოსმენები).

197. *E.g. Khan v the United Kingdom*, 12 მაისი, 2000, §25 (საუბრის ფირზე ჩაწერით მოპოვებული მტკიცებულება); *PG and JH v the United Kingdom*, 25 სექტემბერი, 2001,

გზავნილების მონიტორინგი[198] და GPS-ის საძიებო მოწყობილობები[199] - მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას გულისხმობს, მიუხედავად იმისა, შემდგომში გამოიყენებენ თუ არა ამ ფორმით მოპოვებულ მონაცემებს.[200] თუმცა, სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მიზნით საზოგადოებრივ ადგილებზე დაკვირვებისას მე-8 მუხლი ეხთვება მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფოს ქმედება სცდება უბრალო დაკვირვებას და გულისხმობს აქტიურ მონიტორინგს პირებზე.[201] ჩხრეკა, მათ შორის ინტიმურიც, შესაძლოა მე-8 მუხლის ფარგლებში მოექცეს, როცა მასში იძულების რაღაც ხარისხი ეხთვება; პირის ნებაყოფლობით დამორჩილება გაჩხრეკაზე (მაგ: აეროპორტში) "ჩარევა" არ არის.[202] პირად ცხოვრებაში ჩარევად მიიჩნევა თითის ანაბეჭდებისა და დნმ-ის ნიმუშების აღება და შენახვა ნებართვის გარეშე: თითის ანაბეჭდები უნიკალურ ინფორმაციას შეიცავს პირის შესახებ და მათი შენახვა ვერ ჩაითვლება ნეიტრალურად ან უმნიშვნელოდ; ბიოქიმიურ ნიმუშებში კი თავმოყრილია ვრცელი პერსონალური ინფორმაცია - დნმ-ის სტრუქტურის საშუალებით შესაძლებელია გენეტიკური ურთიერთობების დადგენა და დასკვნების გაკეთება პირის ეთნიკურ წარმოშობასთან დაკავშირებით.[203]

## დადგენა - გამართლებულია თუ არა მე-8 მუხლში ჩარევა

მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში *ჩარევა* გამართლებულად რომ ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, რამდენიმე პირობას უნდა აკმაყოფილებდეს. ესენია: (i) ჩარევა უნდა ემსახურებოდეს

---

§ 37 და 42 (თვალთვალი, ფარული მოსასმენი აპარატურა და სატელეფონო ზარების დეტალური ამონაწერის მოპოვება).

198. *Copland v the United Kingdom,* 3 აპრილი, 2007, §41-42.

199. *Uzun v Germany*, 2 სექტემბერი, 2010, §49-53 (თვალთვალი GPS მოწყობილობებით).

200. *Kopp v Switzerland*, 25 მარტი, 1998, §51-53.

201. *Peck v the United Kingdom,* 28 იანვარი, 2003, §57-63.

202. *Gillan and Quinton v the United Kingdom*, 12 იანვარი, 2010, §61-66 (ჩხრეკის უფლებამოსილების გამოყენება ტერორიზმთან ბრძოლის აქტის თანახმად, 2000, გვ. 44-47: ნებართვის გაცემას - პირები ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს გააჩერონ წინასწარ შეუტყობინებლად და იმის უფლებაც არ მისცენ, რომ თვითონვე განსაზღვრონ, სად გაჩხრიკონ - ვერ შევადარებთ მოგზაურთა გაჩხრეკას აეროპორტებში ან ვიზიტორთა გაჩხრეკას საჯარო დაწესებულებებში, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევებში პირები ჩხრეკას დათანხმდნენ, როცა გადაწყვიტეს, ემოგზაურათ ან რომელიმე საჯარო დაწესებულებას სწვეოდნენ.

203. *S and Marper v the United Kingdom*, 4 დეკემბერი, 2008, §68-86.

ლეგიტიმური მიზანს, (ii) შეესაბამებოდეს კანონს და (iii) აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში. თუ სახელმწიფო რომელიმე ამ პირობას ვერ აკმაყოფილებს, დადგინდება, რომ მან ეს გარანტია *დაარღვია.*

როცა სახელმწიფო თვალთვალის მართლზომიერებას ასაბუთებს, აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მიზეზებზე, როგორიცაა: ეროვნული უშიშროება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება ან უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან აცილება. სახელმწიფოსთვის რთული არ არის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამგვარად, პირველი არსებითი საკითხი ჩარევის მართლზომიერების დასადგენად იქნება განსაზღვრა - ჩარევა "კანონის შესაბამისია თუ არა".

## "კანონთან შესაბამისობა"

აშკარაა, რომ არასანქცირებული მოსმენა, რომელიც მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, არღვევს მე-8 მუხლს.[204] თუმცა, არსებობს მოლოდინი, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართალი საკმარის სამართლებრივ რეგულაციებს აწესებს თვითნებური ჩარევის წინააღმდეგ, ანუ კანონი ასევე უნდა აკმაყოფილებდეს ხელმისაწვდომობისა და განჭვრეტადობის მოთხოვნებს[205]. ჩხრეკასა და ამოღებას, ასევე, პირებზე თვალთვალის დაწესებას, საკმარისად მკაფიო სამართლებრივი საფუძველი უნდა ჰქონდეს შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. მხოლოდ ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობა, თუნდ ეს ქმედება მას სრულად შეესაბამებოდეს, საკმარისი არ არის.[206] ის აუცილებელია იმისათვის, რომ ნებისმიერი დისკრეციის გამოყენების ფარგლები და მანერა სათანადოდ მკაფიო იყოს. ზოგადი უფლებამოსილება - გადაიდგას დანაშაულის გამოძიებისთვის საჭირო ნაბიჯები - საკმარისი სამართლებრივი საფუძველი არ არის კონკრეტული ღონისძიებების გამოსაყენებლად, როგორიცაა, ტელეკომუნიკაციის საშუალებათა ფარული მოსმენა.[207] აუცილებელია, კანონში დაზუსტებული იყოს გარემოებები, რომლებშიც დასაშვებია მოსმენების დაწესება ტელეკომუნიკაციის საშუ-

204. *MM v the Netherlands*, 8 აპრილი, 2003, §44-46 (ერთ-ერთი მხარის მიერ სატელეფონო საუბრების ფირზე ჩაწერა, პოლიციის დახმარებით, მაგრამ წინასწარი სასამართლო გამოძიებისა და გამომძიებელი მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანების გარეშე, როგორც ამას ითხოვდა კანონმდებლობა: დარღვევა).

205. იხ. ზემოთ, გვ.20.

206. *Malone v the United Kingdom,* 2 აგვისტო, 1984, §79.

207. *Kruslin v France,* 24 აპრილი, 1990, §17.

ალებებზე, ასევე, რა მიზნით შეიძლება ნებისმიერი საუბრის ჩანაწერის გამოყენება და რა ვადით უნდა ინახებოდეს ის.[208] გარდა ამისა, კანონის მიზანია, ადამიანებმა შეძლონ მეტი სიზუსტით განჭვრეტა, თუ რა გარემოებებში გახდებიან ამგვარი ზემოქმედების ობიექტები.[209]

— საქმეში *Malone v the United Kingdom* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კანონი საკმარისი სიზუსტით არ განსაზღვრავდა იმ ფარგლებსა და ფორმას, რომლებშიც დასაშვები იყო საკომუნიკაციო საშუალებათა მოსმენის უფლებამოსილების გამოყენება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ "კანონთან შესაბამისობა" ნიშნავდა არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონის არსებობას, არამედ მიანიშნებდა მის ხარისხზეც, რომელიც შესაბამისი უნდა ყოფილიყო კანონის უზენაესობის ცნებისა. მაშასადამე, შიდასახელმწიფოებრივი სამართლით საკმარისად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები და ფორმა, რომლებშიც დასაშვებია მისი გამოყენება.[210]

— საქმეში *Perry v the United Kingdom* პოლიციის განყოფილებაში განმცხადებლის მისვლის ფარულად გადაღება არ იყო "კანონის შესაბამისი", რადგან პოლიციამ ვერ შეძლო საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცედურების დაცვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ შენობებში - მათ შორის პოლიციის განყოფილებებშიც - უსაფრთხოების კამერების გამოყენება, როცა ეს ლეგიტიმურ და განჭვრეტად მიზანს ემსახურება, თავისთავად არ წამოწევს მე-8 მუხლით დაცულ საკითხს. თუმცა, განსხვავებულია სიტუაცია, როცა კამერებით სარგებლობა სცდება მათი ჩვეულებრივი ან მოსალოდნელი გამოყენების ფარგლებს - ანუ როცა პოლიციის ოფიცრები ცდილობენ, პირი კადრში დააფიქსირონ მოწმეებისათვის საჩვენებლად და არა ეჭვმიტანილის ამოცნობის მიზნით.[211]

— საქმეში *Gillan and Quinton v the United Kingdom* პოლიციამ გაჩხრიკა ორი პირი, რომლებიც ცდილობდნენ, დასწრებოდნენ იარაღის ბაზრობის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციას. წესდება პოლიციის უფროს ოფიცრებს უფლებამოსილს ხდიდა, ფორმიანი პოლიციელებისათვის ადამიანთა გაჩერებისა და გაჩხრეკის ნებართვა მიეცათ - სამართალდარღვევის შესახებ გონივრული ეჭვის არარსებობის შემთხვევაშიც - თუკი მიიჩნევდნენ, რომ

208. Ibid. §34.

209. *Khan v the United Kingdom*, 12 მაისი, 2000, §26.

210. *Malone v the United Kingdom,* 2 აგვისტო, 1984, §67-68.

211. *Perry v the United Kingdom,* 17 ივლისი, 2003, §44-49.

ეს "მიზანშეწონილი იყო ტერორისტული აქტის აღსაკვეთად". სასამართლომ მსჩიდ დაადგინა, რომ იძულებითი ღონისძიების გამოყენება, რაც პირს აიძულებდა დეტალურ ჩხრეკას დამორჩილებოდა, უტოლდებოდა აშკარა ჩარევას პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში. გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ მიიჩნია, რომ დამცირებისა და დათრგუნვის ელემენტი, რომელიც სახალხოდ ჩხრეკას ახასიათებს, ზოგჯერ ჩარევას კიდევ უფრო ამძიმებს. ადამიანთა გაჩერებისა და ჩხრეკის უფლებამოსილება ეფუძნებოდა წესდებასა და საპროცესო კოდექსს, თუმცა დადგინდა, რომ ეს დებულებები სათანადოდ ვერ იცავდა თვითნებური ჩარევისაგან და ხარვეზიანი იყო ორი მიზეზის გამო: პირველი, ნებართვა პირის გაჩერებისა და ჩხრეკის შესახებ - თუ პოლიციის ოფიცრები ამას "მიზანშეწონილად" მიიჩნევდნენ (და არა "აუცილებლად") ტერორისტული აქტის აღსაკვეთად - ნიშნავდა იმას, რომ არანაირი მოთხოვნა არ არსებობდა ამ უფლებამოსილების პროპორციულობის შესაფასებლად, აღნიშნული ნებართვის გადასინჯვისა და კონტროლის არსებული მექანიზმები კი ან არასათანადო იყო, ან არასოდეს გამოყენებულა პრაქტიკაში; მეორე, პოლიციის ცალკეული ოფიცრებისათვის მინიჭებული უფლებამოსილება ძალზე ფართო იყო და არ მოითხოვდა გონივრული ეჭვის ჩვენებას. ამ უფლებამოსილებით სარგებლობა შეიძლებოდა "წინათგრძნობის" ან "პროფესიული ინტუიციის" საფუძველზე. ჩხრეკის მიზანი იყო იმ ნივთების მოძებნა, რომელთა გამოყენებაც ტერორიზმთან კავშირში შეიძლებოდა. ეს კი ძალზე ფართო კატეგორიის მოთხოვნა გახლდათ და ბევრ ისეთ ნივთს გულისხმობდა, რომლებიც შეიძლება ქუჩაში ეტარებინათ. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ასეთი ფართოდ ფორმულირებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება შესაძლებელი იყო არა მხოლოდ დემონსტრანტებისა და საპროტესტო აქციის მონაწილეების, არამედ (სტატისტიკის თანახმად) ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგაც. მაშასადამე, დებულებები არასაკმარისად იყო განსაზღვრული და არ მოიცავდა სამართლებრივი დაცვის ადეკვატურ გარანტიებს მისი ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებდა "კანონთან შესაბამისობის" ტესტს.[212]

პოლიციის მიერ პირებზე ინფორმაციის შენახვა სამართლებრივ საფუძველს საჭიროებს ეროვნულ სამართალში. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ უამრავ ადამიანზე აწესებდნენ თვალთვალს და ფირზე აღბეჭდავდნენ ძალიან ბევრ პირად ინფორმაციას, ხშირად - პირწმინდად პოლიტიკური მიზეზებით.

— საქმეში *Rotaru v Romania* არსებობდა რუმინული სადაზვერვო სამსახურების მიერ შექმნილი ფაილი განმცხადებლის შესახებ, რომელიც ბევრ

212. *Gillan and Quinton v the United Kingdom*, 12 იანვარი, 2010, §76-87.

ინფორმაციას შეიცავდა მასზე. სასამართლომ დაადგინა, რომ რადგან კომუნიკაციაზე ფარული დაკვირვების ღონისძიებათა პრაქტიკაში გამოყენება საჯარო მონიტორინგს არ ექვემდებარება ..., კანონის უზენაესობას ეწინააღმდეგება ამ დისკრეციის შეუზღუდავი ფორმით მინიჭება აღმასრულებლისთვის. შესაბამისად, კანონმა უნდა მიანიშნოს ასეთი დისკრეციის ფარგლები ... საკმარისი სიზუსტით, მისი გამოყენების ლეგიტიმური მიზნის გათვალისწინებით, რათა პირები სათანადოდ დაიცვას თვითნებური ჩარევებისაგან.[213]"

## "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში"

მეორე საკითხია იმის დადგენა, თვალთვალი, ინფორმაციის შეგროვება ან კომუნიკაციის მოსმენა "აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში". გამოძიებისას და სხვა სამუშაოების შესრულების დროს პოლიციამ შესაძლოა გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლით მინიჭებული უფლებამოსილება თითის ანაბეჭდებისა და პერსონალური ინფორმაციის მოპოვების მიზნით. ასეთი ტიპის ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში ხვდება და, შესაბამისად, მისი მოპოვება, შენახვა და გამოყენება ამ მუხლითაა დაცული. მაშასადამე, ამ საკითხთან დაკავშირებული კანონები იმაზე შორს არ უნდა წავიდეს, ვიდრე ეს "აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში".

საპოლიციო მომსახურების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სათანადო ღონისძიებების დანერგვა, რათა უზრუნველყონ შესაბამისობა ეროვნულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. მაგალითად, თუ ეროვნული სამართლით პოლიციელებისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები ძალიან ფართოა, ამ უფლებამოსილების მქონე პოლიციის  ოფიცრებმა ის უნდა გამოიყენონ სათანადო მიზნით და მხოლოდ მაშინ, როცა ამის აშკარა აუცილებლობა არსებობს. ამით შემცირდება პერსპექტიული საჩივრების რაოდენობა, როგორც შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებში, ასევე სტრასბურგშიც. ჩარევის აუცილებლობას ყველაზე კარგად შიდასახელმწიფოებრივი ორგანოები განსაზღვრავენ, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დაცვის შიდასახელმწიფოებრივი გარანტიები საკმარისი იყოს ამ უფლებამოსილების თვითნებური გამოყენებისაგან დასაცავად. შესაბამისად, სასამართლო თითოეულ საქმეში ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რამდენად არსებობს "სათანადო და ქმედითი გარანტიები ამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ".[214] უნდა ინახებოდეს

213. *Rotaru v Romania*, 4 მაისი, 2000, §55.

214. *Kennedy v the United Kingdom*, 18 მაისი, 2010, §155-170.

როგორც წერილობითი გადაწყვეტილებები, ასევე ჩანაწერები, რომელთა საფუძველზეც მიღებულია აღნიშნული გადაწყვეტილებები. ეს ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.

ამ გარანტიების არსებობისა და ეფექტიანობის შეფასება სასამართლოს საშუალებას მისცემს უზრუნველყოს, რომ მათ, ვინც იღებს გადაწყვეტილებებს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, გაითვალისწინონ ძლიერი სოციალური საჭიროების არსებობა. შესაბამისად, როცა სტრასბურგის სასამართლო აფასებს, რამდენად რელევანტურია და საკმარისი ამა თუ იმ სატელეფონო მოსმენისა თუ ზედამხედველობის საფუძვლები, იგი იკვლევს შიდასახელმწიფოებრივი გარანტიების ხარისხს, განსაკუთრებით კი იმას, გაითვალისწინეს თუ არა შემდეგი გარემოებები მათ, ვინც იღებს გადაწყვეტილებებს ეროვნულ დონეზე: "შესაძლო ღონისძიებების ბუნება, ფარგლები და ხანგრძლივობა; მათი გამოყენებისთვის აუცილებელი საფუძვლები; ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, გასცენ ნებართვა ამგვარ ღონისძიებათა გამოყენების ან მათზე ზედამხედველობის შესახებ; და დაცვის საშუალება, რომელსაც ეროვნული სამართალი ითვალისწინებს"[215]. მნიშვნელოვანია ჩარევის ხარისხი: უფრო მკაცრი სტანდარტები გამოიყენება თვალთვალის ზოგიერთ ფორმასთან მიმართებით, როგორიცაა ტელეკომუნიკაციებზე დანერგილი თვალთვალი; ნაკლებ მომთხოვნია სტანდარტები, თუ ღონისძიება ნაკლებ ექსპანსიონისტურია - მაგალითად, როცა უთვალთვალებენ მოძრაობას საზოგადოებრივ ადგილებში.[216] მაგრამ ყოველთვის საჭიროა იმ მიზეზების ყურადღებით შესწავლა, რომლებიც წინ უძღოდა ჩარევას, რათა ისინი იყოს ნამდვილად პროპორციული და რელევანტური, განსაკუთრებით, როცა მოგვიანებით თანხმდებიან თვალთვალის გასაიდუმლოებაზე.

— საქმეში *Peck v the United Kingdom* განმცხადებელმა არ იცოდა, რომ საკაბელო ტელევიზია მას იღებდა, როცა თავის მოკვლა სცადა დასახლებულ პუნქტში, ცარიელ ქუჩაზე, მაგრამ გადაღებამ პოლიციას შესაძლებლობა მისცა, განმცხადებლისთვის სამედიცინო დახმარება გაეწიათ. მოგვიანებით, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ჩანაწერების ასლები მოიპოვა და გაავრცელა საბედისწერო ინციდენტის ფოტოსურათები და ვიდეოკადრები, რითაც სცადა CCTV-ის (ფარული ვიდეოდაკვირვების სისტემის) უპირატესობის დემონსტრირება. ეს მასალები გაზეთებსა და ტელევიზიაშიც გამოჩნდა, რამაც შესაძლებელი გახადა განმცხადებლის ამოცნობა. სტრასბურგის სასამართლოსათვის საზოგადოებრივ ადგილებში პირის მოქმედებზე მონიტორინგი ფოტოაპარატურის საშუალებით, მის პირად ცხოვრებაში ჩარევა

215. *Klass and Others v Germany*, 6 სექტემბერი, 1978, §50.

216. *Uzun v Germany,* 2 სექტემბერი, 2010, §49-53, 64-74, და 77-81.

არ არის, მაგრამ ინფორმაციის სისტემატური ან მუდმივი ჩაწერა შეიძლება ასეთად ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში ვიდეოთვალთვალი საგრძნობლად სცდებოდა უბრალოდ შტაბეჭდილების მოხდენას გამვლელებზე ან უსაფრთხოების მიზნით დაკვირვებას და გულისხმობდა უფრო მეტს, ვიდრე განმცხადებელს გონივრულად შეეძლო განეჭვრიტა. ამგვარად, ინფორმაციის გაცემა ნიშნავდა სერიოზულ ჩარევას პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი იყო მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან არ არსებობდა სათანადო და საკმარისი მიზეზები მასალების პირდაპირ - განმცხადებლის თანხმობის ან მისი ვინაობის დაფარვის გარეშე - გავრცელების მართლზომიერების საჩვენებლად.[217]

— საქმეში *S and Marper v the United Kingdom* მე-8 მუხლის დარღვევად ჩაითვალა ორი განმცხადებლის თითის ანაბეჭდებისა და დნმ-ის ნიმუშების აღება. ისინი ეჭვმიტანილნი იყვნენ დანაშაულების ჩადენაში, მაგრამ მსჯავრდებულნი არასოდეს ყოფილან. მონაცემები განუსაზღვრელი ვადით უნდა შენახულიყო. ერთ-ერთი განმცხადებელი 11 წლის არასრულწლოვანი იყო, როცა მისგან ზემოაღნიშნული მონაცემები აიღეს. აღიარებული იქნა, რომ ინფორმაციის შენახვა დანაშაულის აღკვეთის ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა, რადგან ხელს უწყობდა მომავალ დამნაშავეთა იდენტიფიცირებას (და დანაშაულის აღკვეთას). უმთავრესი საკითხი ამ ღონისძიებების პროპორციულობასთან მიმართებით არსებობდა. ამ ორი განმცხადებლის შემთხვევაში, რომლებიც მხოლოდ ეჭვმიტანილნი იყვნენ გარკვეულ დანაშაულების ჩადენაში, მაგრამ მსჯავრდებულნი არასოდეს ყოფილან, მათი თითის ანაბეჭდების, უჯრედოვანი ნიმუშებისა და დნმ-ის სინჯების შენახვა ვერ გამართლდებოდა. ევროპის სხვა ქვეყნების სამართალსა და პრაქტიკაში მიღწეული კონსენსუსით, შენახული ინფორმაცია უნდა ყოფილიყო მათი მოპოვების მიზნის პროპორციული, შენახვა კი - დროში შეზღუდული. არსებობდა სტიგმის რეალური საფრთხე საზოგადოებისგან, რომ პირებს, რომლებიც არცერთი დანაშაულისთვის არ ყოფილან მსჯავრდებულნი (და ნებისმიერ შემთხვევაში, უდანაშაულობის პრეზუმფციით სარგებლობდნენ) ისევე მოპყრობოდნენ, როგორც დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულებს. მართლაც, ამგვარი ინფორმაციის შენახვა ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებულად საზიანო იქნებოდა, მომავალში მათი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის თვალსაზრისით. საქმეში *S and Marper v the United Kingdom* შესაბამისი საკანონმდებლო დებულებებით შესაძლებელი იყო თითის ანაბეჭდებისა და დნმ-ის ნიმუშების აღება სამართალდარღვევის ეჭვის საფუძველზე დაკავებული ნებისმიერი პირისაგან. ამ ინფორმაციის შენახვა შეიძლებოდა იმის მიუხედავად, პირს მსჯავრი დასდეს თუ არა. ნიმუშებისა

217. *Peck v the United Kingdom*, 28 იანვარი, 2003, §76-87.

და თითის ანაბეჭდების გამოყენება შეიძლებოდა პიპოთეტური ჩხრეკებისას, გაუხსნელ დანაშაულებთან მიმართებით. სასამართლომ დაადგინა: ამ უფლებამოსილებამ, იმის გამო, რომ "ბლანკეტური და არადისკრიმინაციული" იყო, ვერ შეძლო "სამართლიანი წონასწორობის დამყარება საჯარო და კერძო ინტერესებს შორის...". შესაბამისად, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა არაპროპორციულად ჩაითვალა და დადგინდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.[218]

— საქმეში *Keegan v the United Kingdom* სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან პოლიციამ ვერ შეძლო სახლის იმჟამინდელ ბინადართა ვინაობის სათანადოდ დაზუსტება. პოლიციის ოფიცრები ძალის გამოყენებით შევიდნენ განმცხადებლების სახლში და ფართო გაჩხრიკეს მცდარი რწმენით, რომ შეიარაღებული ყაჩაღი ამ სახლში ცხოვრობდა. სასამართლოს სურდა ელიარებინა, რომ სათანადო მიზეზები არსებობდა ჩხრეკისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში მიზეზები საკმარისად ვერ ჩაითვალა - იმის გათვალისწინებით, რომ პოლიციას ჩხრეკამდე სათანადო სიფრთხილე არ გამოუჩენია. უფლებამოსილების გადამეტებისაგან პირთა დაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, არც ის არგუმენტი იყო საგულისხმო, რომ პოლიციას ეს ბოროტი განზრახვით არ ჩაუდენია.[219]

## "სამართლიანი სასამართლო მოსმენის" მნიშვნელობა - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი

კონვენციის მე-6 მუხლზე სტრასბურგის სასამართლომ შთამბეჭდავი რაოდენობის საქმეები განიხილა და შესაბამისი პრეცედენტული სამართალი ჩამოაყალიბა. ამ საქმეთაგან ბევრი ეხება შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის წესში არსებულ სისტემურ სისუსტეებს, კერძოდ, სახელმწიფოთა მარცხს - "სასამართლო განხილვა გონივრულ ვადაში" უზრუნველყონ. გამოვლენილი სისუსტეების უმრავლესობა პირდაპირ არ უკავშირდება პოლიციელთა ქმედებებს ან უმოქმედობას (და უფრო მეტად ფოკუსირებულია სასამართლო სისტემის ხარვეზებზე), თუმცა, ზოგიერთი პრეცედენტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიციის პრაქტიკაზე.

218. *S and Marper v the United Kingdom*, 4 დეკემბერი, 2008, §95-99 და 105-126.

219. *Keegan v the United Kingdom*, 18 ივლისი, 2006, §29-36.

მე-6 მუხლი ასე იკითხება:

1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა, მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებებისას, როდესაც საქვეყნოობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.

2. ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

(a) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

(b) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

(c) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

(d) დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;

(e) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

მე-6 მუხლი მიზანმიმართულადაა განმარტებული, რაც კიდევ უფრო ამყარებს სამართლიანობის პრინციპს მართლმსაჯულების განხორციელებაში, რადგან

კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში "მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელების უფლება იმდენად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, რომ ვიწრო განმარტება.... შესაბამისობაში ვერ მოვა ამ დებულების მიზანსა და ჩანაფიქრთან".[220] ბრალდებულისთვის გარანტიების მიცემა, რომ მას არ დასჯიან კონკრეტული სამართალდარღვევისთვის, სისხლის სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებს არასამართლიანს გახდის, თუ ხელისუფლების ორგანოები ბრალდებულისთვის მიცემულ პირობას გატეხენ.[221] მე-6 მუხლის ფუნდამენტური და ყოვლისმომცველი ცნებაა "სამართლიანობა", რომელიც ასახულია 1-ლ პუნქტში და ეხება შემდეგ უფლებებს:

- "სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება";
- "გონივრულ ვადაში";
- "კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ";

და

- "რომელიც თავის გადაწყვეტილებას საქვეყნოდ აცხადებს, გარდა განსაზღვრული და ამომწურავად ფორმულირებული გარემოებებისა".

გარდა ამისა, მე-2 და მე-3 პუნქტები დამატებით უფლებათა მინიმუმს ანიჭებს პირებს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა. ამ უფლებებს შორისაა:

- ითვლებოდეს უდანაშაულოდ ბრალის დამტკიცებამდე;
- ეცნობოს მისთვის წარდგენილი ბრალდება;
- ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობები საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;
- დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან გაეწიოს იურიდიული მომსახურება;
- დაკითხოს (და დაიკითხონ) მოწმეები;
- ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით.

ნებისმიერ შემთხვევაში, მე-6 მუხლთან დაკავშირებით დასმული მთავარი შეკითხვა ასეთია: იყო თუ არა სისხლის სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, ანუ ისეთი, "როგორსაც მართლმსაჯულების სათანადოდ განხ-

220. *Delcourt v Belgium*, 17 იანვარი, 1970, §25.

221. *Mustafa (Abu Hamza) v the United Kingdom*, სასამართლოს გადაწყვეტილება, 18 იანვარი, 2011.

ორციელება ითხოვდა" ამ კონკრეტულ გარემოებებში.[222] ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ "სამართლიანობა" ოთხი ნაწილისაგან შედგება: სამართალწარმოება, რომელიც შეჯიბრობითია; მტკიცებულებათა სამართლიანი წესები; სამართლებრივი მდგრადობა; და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა. "სამართლიანი სასამართლო განხილვის" მოთხოვნა სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას უფრო მკაცრია, ვიდრე სამოქალაქო სამართალწარმოების დროს, რადგან დებულების ტექსტი ნათელს ხდის, რომ სისხლის სამართლის საქმეებში დამატებითი გარანტიები გამოიყენება (მე-2 და მე-3 პუნქტები).[223]

მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის თანახმად, პირს შეუძლია საკუთარ უფლებებზე უარი თქვას (მაგალითად, უარი დაკითხვისას ადვოკატის მომსახურებაზე), ეს დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა  "მისი საკუთარი სურვილითა და მყარი გადაწყვეტილებით" ხდება, იმ პირობით, რომ საქმეში საჯარო ინტერესი არ ფიგურირებს.[224]

## როდის გამოიყენება მე-6 მუხლი?

მე-6 მუხლი გამოიყენება ყველა "სისხლის სამართლებრივი ბრალდების" დროს. მისი განმარტება ავტონომიურია და დამოკიდებული არ არის შიდასახელმწიფოებრივ კლასიფიკაციაზე. უნდა გამოვყოთ ორი მთავარი საკითხი: პირველი, სისხლის სამართლის გამოძიების ის ეტაპი, რომელზეც, შეიძლება ითქვას, "სისხლის სამართლებრივი ბრალდება" წარდგენილია და მეორე, არსებობს გარემოებები, რომლებშიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლით უბრალო დისციპლინური სამართალდარღვევად მიჩნეული ან ადმინისტრაციული სახელით აღსრულებული საკითხი, შესაძლოა, მაინც "სისხლის სამართლებრივ ბრალდებად" ჩაითვალოს ამ უფლების მნიშვნელობისთვის.

პირველი საკითხი მნიშვნელოვანია იმ ეტაპის გამოსავლენად, საიდანაც მე-6 მუხლი იწყებს მოქმედებას. "ბრალდების" კონცეფცია დამოკიდებული არ არის შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე. იგი გულისხმობს იმას, რომ "უფლებამოსილმა ორგანომ პირს ოფიციალურად შეატყობინოს მისთვის წაყენებული ბრალდება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შესახებ"

222. *Vaudelle v France,* 30 იანვარი, 2001, §57-66.

223. *Dombo Beheer BV v the Netherlands*, 27 ოქტომბერი, 1993, §32.

224. *Albert and Le Compte v Belgium*, 10 თებერვალი, 1983, §35.

- როცა ეს ექვმიტანილის მდგომარეობაზე "არსებით" ზეგავლენას ახდენს.[225] შესაძლებელია მე-6 მუხლით დაცული უფლებები მაშინაც გამოიყენონ, როცა პირის შიდასახელმწიფოებრივი სამართლით ბრალი ჯერ ოფიციალურად არ წაყენებია. ეს იმას ნიშნავს, რომ მე-6 მუხლის ფარგლებში შეიძლება მოხვდეს სისხლის სამართალწარმოების საწყისი პროცედურები - მაგალითად, პირის დაკავება;[226] დაკავების ან ჩხრეკის ორდერის გაცემა;[227] ჩვენების მიცემაზე მოთხოვნის თავსმოხვევა[228] ან სხვა ოფიციალური ღონისძიებები, რაც ირიბად გულისხმობს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას და, ანალოგიურად, "არსებით ზეგავლენას ახდენს ექვმიტანილის მდგომარეობაზე".

მეორე საკითხია, არის თუ არა სამართალწარმოება "სისხლის სამართლებრივი", მიუხედავად იმისა, რომ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იგი "დისციპლინურად" ან "ადმინისტრაციულად" მოიხსენიება. შიდასახელმწიფოებრივი კლასიფიკაცია გადამწყვეტი ფაქტორი არ არის, თუ დანაშაულის კლასიფიცირება, თავისი არსით, ამ სამართალში "სისხლის სამართლებრივია". ასეთ დროს გამოიყენება მე-6 მუხლი. "ადმინისტრაციულ" სამართალდარღვევებთან მიმართებით მნიშვნელოვანია არა ფორმა, არამედ შინაარსი; შესაბამისად, არსებითი მნიშვნელობა აქვს სასჯელის სიმკაცრეს, რომელიც პირს ბრალის დამტკიცებისას შეიძლება შეეფარდოს. ზოგადი წესისამებრ, თუ სასჯელი თავისუფლების დაკარგვას გულისხმობს, პირს სისხლის სამართლებრივი ბრალდება უნდა წაეყენოს. თუმცა, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ამ დანაშაულს სხვა ევროპული ქვეყნები მოიხსენიებენ თუ არა როგორც "სისხლის სამართლებრივს".

— საქმეში *Öztürk v Germany* განმცხადებელი გაჩერებულ მანქანას შეეჯახა. შედეგად, იგი ადმინისტრაციულმა სასამართლომ დააჯარიმა და ზიანის ანაზღაურება დააკისრა. ამ გადაწყვეტილების წარუმატებლად გასაჩივრების შემდეგ მას დაევალა დამატებითი ხარჯებისა და დანახარჯების გადახდა, თარჯიმნის ანაზღაურების ჩათვლით. თავის განაცხადში იგი ჩიოდა, რომ დაირღვა თარჯიმნის უფასო მომსახურებით სარგებლობის უფლება, 6(3)(e) მუხლის თანახმად; სახელმწიფო კი დავობდა, რომ საქმე არ ეხებოდა სისხლის სამართლებრივ ბრალდებას. სასამართლომ თავდაპირველად აღნიშნა,

---

225. *Deweer v Belgium,* 27 თებერვალი, 1980, §46.

226. *B v Austria*, 28 მარტი, 1990, §48.

227. *Eckle v Germany,* 15 ივლისი, 1982, §73-75.

228. *O'Halloran and Francis v the United Kingdom*, 29 ივნისი, 2007, §35 (მოძრაობის წესების შესახებ კანონის მოთხოვნა, რომ ავტომობილის მძღოლმა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია საკუთარ თავზე).

რომ სისხლის სამართლის ფაქტები, როგორც წესი, მოიცავდა "დანაშაულებს, რომლის ჩამდენებსაც ეკისრებოდათ სანქციები *inter alia* შემაკავებელი მიზნით და ისინი, ხშირად, ჯარიმებსა და თავისუფლების აღმკვეთ ღონისძიებებს" გულისხმობდა. გარდა ამისა, სატრანსპორტო დანაშაულები ევროპულ სამართლებრივ სისტემათა უმრავლესობაში კლასიფიცირდებოდა როგორც "სისხლის სამართლებრივი" და არა "ადმინისტრაციული". ეს იყო სამართლებრივი წესი, რომელიც მიემართებოდა "არა სპეციალური სტატუსის მქონე კონკრეტულ ჯგუფს - დისციპლინური სამართლის მსგავსად - არამედ ყველა მოქალაქეს, როგორც სატრანსპორტო საშუალებათა მომხმარებლებს". ამ სამართალდარღვევისთვის, სანქციის სახით, დანესებული იყო ჯარიმა. შესაბამისად, ადმინისტრაციული სახელის დანესება (მიუხედავად იმისა, რომ შედარებით მსუბუქი სანქცია იყო) სისხლის სამართლებრივი ბრალდების გამორკვევას ნიშნავდა.[229]

## დანაშაულის გამოძიება - საიდუმლო აგენტების გამოყენება და სხვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი

მე-6 მუხლის თვალსაზრისით, არსებითი განსხვავებაა სისხლის სამართლებრივი ქმედების გამოძიებასა და ამ ქმედების წაქეზებას შორის. სტრასბურგის სასამართლომ აღიარა ფარული აგენტების, ინფორმატორებისა და საიდუმლო მეთოდების გამოყენების საჭიროება ორგანიზებულ დანაშაულსა და კორუფციასთან ბრძოლის საქმეში (მართლმსაჯულების სფეროში არსებული კორუფციის ჩათვლით) და ხაზგასმით აღნიშნა: იმისათვის, რომ პოლიციის მხრიდან წაქეზების საფრთხე არ შეიქმნას, აუცილებელია, ამგვარი ტექნიკური მეთოდებით სარგებლობა განსაზღვრულ ჩარჩოებში მოექცეს. რა თქმა უნდა, "კონვენცია არ კრძალავს წინასწარი გამოძიების ეტაპზე ისეთ წყაროებზე დაყრდნობას, როგორებიც არიან ანონიმური ინფორმატორები, როცა დანაშაულის ხასიათი ამის საშუალებას იძლევა". თუმცა, "პირის მსჯავრდებისათვის ასეთი წყაროების შემდგომი გამოყენება საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ სხვა საკითხია და დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის ადეკვატური და საკმარისი საშუალებები. ასევე უნდა არსებობდეს ნათელი და განჭვრეტადი პროცედურები ნებართვის გასაცემად - განსახილველი საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელებისა და მათზე ზედამხედველობისათვის". მეტიც, "ფარულ აგენტთა გამოყენების შეზღუდვა შეიძლება

229. *Öztürk v Germany*, 21 თებერვალი, 1984, §53-54.

იმ პირობით, რომ ის დაექვემდებარება მკაფიო შეზღუდვებსა და დაცვის გარანტიებს, თუმცა, საჯარო ინტერესი ვერ გაამართლებს პოლიციის მიერ წაქეზების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრალდებული დადგება საფრთხის წინაშე, რომ დასაწყისშივე დაკარგავს სამართლიანი სასამართლო განხილვის შესაძლებლობას".[230]

პოლიციის მხრიდან წაქეზებაა, "როცა შესაბამისი ოფიცრები - უშიშროების ძალების წევრები იქნებიან თუ მათი მითითებებით მოქმედი სხვა პირები - მხოლოდ პასიური ფორმით არ იძიებენ სისხლის სამართლებრივ ქმედებებს. ისინი ისეთ ზემოქმედებას ახდენენ სუბიექტზე, რომელიც დანაშაულისკენ წააქეზებს, სხვა შემთხვევაში იგი ამას არ ჩაიდენდა. წაქეზების მიზანია დანაშაულის ფაქტის დადგენა ანუ მტკიცებულების მოპოვება, რაც საშუალებას იძლევა, დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა.[231] მაშასადამე, ფარული აგენტების გამოყენება შეზღუდული უნდა იყოს და ახლდეს დაცვის სათანადო გარანტიები.

— საქმეში *Teixeira de Castro v Portugal* სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ორი პოლიციელი (ფარული აგენტები) ნარკოტრაფიკის ოპერაციის დროს განმცხადებელს მიადგნენ და ჰეროინით მომარაგება სთხოვეს. ოფიცრებს განმცხადებლის სახელი აცნობეს და მათ ის დააკავეს, როცა ნარკოტიკის შეკვრებს გადასცემდათ. განმცხადებელმა მოიხმო მე-6 მუხლი და ჩიოდა, რომ მის საქმეზე სამართლიანი სასამართლო განხილვა არ ჩატარებულა, რადგან სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულმა პოლიციის ოფიცრებმა - რომლებიც საკუთარი ინიციატივით მოქმედებდნენ, როგორც *agents provocateurs*, სასამართლო ზედამხედველობის გარეშე - იგი წააქეზეს დანაშაულის ჩადენისაკენ. სასამართლოსთვის პოლიციის ოფიცრების ქმედება გასცდა ფარული აგენტებისათვის დასაშვებ ზღვარს, "რადგან მათ დანაშაულის ინსპირირება მოახდინეს და არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ამ ჩარევის გარეშე დანაშაული მოხდებოდა". შესაბამისად, "განმცხადებელმა დასაწყისშივე დაკარგა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება". სასამართლომ აღიარა, რომ ორგანიზებული დანაშაულის ზრდა სათანადო ღონისძიებების გატარებას საჭიროებდა, მაგრამ სამართლიანი მართლმსაჯულება "ვერ შეენირებოდა ამ ნაბიჯების მიზანშეწონილობას", რადგან პოლიციის მიერ წაქეზებით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება და ამის გამართლება საჯარო ინტერესით დაუშვებელია.[232]

— საქმეში *Ramanauskas v Lithuania* პროკურორი დამნაშავედ ცნეს

230. *Ramanauskas v Lithuania*, 5 თებერვალი, 2008, §53-54.

231. *Ramanauskas v Lithuania,* 5 თებერვალი, 2008, §54-55.

232. *Teixeira de Castro v Portugal,* 9 ივნისი, 1998, §34-39.

ქრთამის აღებაში, რადგან პირს - რომელიც მანამდე რამდენჯერმე დაუკავშირდა მას - ფულის სანაცვლოდ დაჰპირდა, რომ მესამე მხარისთვის გამამართლებელ განაჩენს გამოიტანდა. ეს პირი მოგვიანებით პოლიციის სპეციალური ანტიკორუფციული განყოფილების ოფიცერი აღმოჩნდა. დიდი პალატის აზრით, დაირღვა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, რადგან არ არსებობდა არანაირი მინიშნება, რომ ამგვარი ჩარევის გარეშე დანაშაული მოხდებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებს არანაირი ზომები არ მიუღიათ განმცხადებლის ბრალდებათა სათანადოდ გამოსაძიებლად ამ წაქეზების შესახებ.[233]

— საქმეში *Milinienė v Lithuania* დარღვევა არ დადგინდა. აქ მოსამართლე დამნაშავედ ცნეს კორუფციაში - მას შემდეგ, რაც ფიზიკურმა პირმა მათ შორის საუბარი და მსჯელობა ფარულად ჩაიწერა, მერე კი ამ ფირით პოლიციას მიმართა. სასამართლომ აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ მოვლენებზე "ზეგავლენა" მოახდინა (ნებართვის გაცემით - ამ პირს ფინანსური სარგებელი შეეთავაზებინა მოსამართლისათვის; ამავე დროს იგი შესაბამისი ტექნიკითაც აღჭურვა საუბრის ჩასაწერად), მას "უფლებამოსილებისათვის არ გადაუმეტებია, რადგან პოლიცია ვალდებულია, გადაამოწმოს სისხლის სამართლებრივი საჩივრები და ებრძოლოს მართლმსაჯულებაში არსებული კორუფციის კოროზიულ გავლენას სამართლის უზენაესობაზე დემოკრატიულ საზოგადოებაში". გარდა ამისა, გადამწყვეტი იყო ურთიერთობა მოსამართლესა და კერძო პირს შორის. "შეიძლება ითქვას, პოლიცია მხოლოდ "შეუერთდა" სისხლის სამართლებრივ ქმედებას და მისი ინიციატორი თვითონ არ ყოფილა".[234]

## ეჭვმიტანილთა დაკითხვა: დაკავებულთა უფლებები საპოლიციო პატიმრობისას

ეჭვმიტანილთა დაკითხვა საპოლიციო უფლებამოსილების განხორციელების არსებითი ნაწილია, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ეჭვმიტანილის უფლებათა აღიარების პარალელურად. ამ დროს იკვეთება ორი მთავარი საკითხი: პირველი,

233. *Ramanauskas v Lithuania,* 5 თებერვალი, 2008, §62-74 (და 50-ე პარაგრაფში სასამართლომ აღნიშნა, რომ კორუფციის შესახებ ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის კონვენციის (ETS 173(1999)) 23-ე მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს, გაატარონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის სპეციალური საგამოძიებო საშუალებათა გამოყენებას).

234. *Milinienė v Lithuania,* 24 ივნისი, 2008, §35-41.

დუმილის უფლების პატივისცემა და უფლება - პირმა არ მოახდინოს თვითინკრიმინაცია; მეორე, დაკავებულთა უფლებები საპოლიციო პატიმრობისას (განსაკუთრებით, ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება).

## დუმილის უფლება; დაკავებულის უფლება - არ მოახდინოს თვითინკრიმინაცია: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი

დუმილის უფლების და პირის თვითინკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული უფლების არსი მოიცავს არასათანადო იძულებისაგან დაცვის გარანტიებს ბრალდებულისათვის, რათა რაც შეიძლება შემცირდეს მართლმსაჯულების ხარვეზებით განხორციელების საფრთხე, რომლის არსებობაც დამოკიდებულია ყველა ფაქტზე. მე-6 მუხლში კონკრეტულად არ არის მოხსენიებული დუმილის შენარჩუნების უფლება პოლიციის მიერ დაკითხვისას, მასში არც თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო გარანტიებზეა საუბარი, მაგრამ ეს უფლებები "ზოგადად აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებია, რომლებიც მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი პროცედურის ცნების ამომავალ პრინციპებად გვევლინება".[235] არსი ისაა, რომ ბრალდების მხარემ ფაქტების დამტკიცება უნდა შეძლოს იძულების ან ზეწოლის მეთოდების გამოყენების გარეშე. კერძოდ, უფლება - არ მოახდინო თვითინკრიმინაცია - მჭიდროდ უკავშირდება უდანაშაულობის პრეზუმფციას. იგი გულისხმობს "ბრალდებულის სურვილის პატივისცემას - შეინარჩუნოს დუმილი" (და არა სავალდებულო ძალის გამოყენებას ნამდვილი მტკიცებულების მოსაპოვებლად, როგორიცაა: დოკუმენტები, ამონასუნთქი, სისხლისა და შარდის ნიმუშები და სხეულის ქსოვილი დნმ-ის ანალიზის ჩასატარებლად).[236]

— საქმეში *Aleksandr Zaichenko v Russia* განმცხადებელს თავისი უფლება - შეენარჩუნებინა დუმილი - თვითინკრიმინაციული განცხადების შემდეგ გააცნეს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას ევალებოდა, ეცნობებინა თვითინკრიმინაციის წინააღმდეგ მისი პრივილეგიისა და დუმილის უფლების შესახებ. ამ შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლისთვის მიყენებული ზიანი სასამართლო განხილვაზე არ ანაზღაურებულა. შესაბამისად, დაირღვა მე-6(1) მუხლი.[237]

---

235. *John Murray v the United Kingdom*, 8 თებერვალი, 1996, §45.

236. *Saunders v the United Kingdom*, 17 დეკემბერი, 1996, §69.

237. *Aleksandr Zaichenko v Russia*, 18 თებერვალი, 2010, §55-60.

— საქმეში *Heaney and McGuinness v Ireland and Quinn v Ireland* შეკითხვებზე პასუხის გაუცემლობის გამო სანქციების დაწესებით დაირღვა მე-6 მუხლი. განმცხადებლები დააკავეს მძიმე სისხლის სამართლებრივი ბრალდებებით და, შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, მათ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ევალებოდათ. უარის გამო თითოეულ მათგანს მიესაჯა პატიმრობა 6 თვემდე ვადით. სასამართლომ არ მიიღო სახელმწიფოს არგუმენტი, რომ განსახილველი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა პროპორციულ პასუხს სცემდა საფრთხეს, რომელსაც ტერორიზმი უქმნიდა საზოგადოებრივ წესრიგს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოგვარების ასეთი გზა "ვერ გაამართლებდა დებულებას, რომელიც აზრს აკარგვინებდა განმცხადებელთა უფლებებს - შეენარჩუნებინათ დუმილი და არ მოეხდინათ თვითინკრიმინაცია.[238]

მოტყუებითა და სხვა ხერხებით მოპოვებული განცხადებების გამოყენება წამოწევს ისეთ საკითხებს, როგორიცაა - სამართლიანი იქნება თუ არა ასეთი მეთოდებით მოპოვებული მტკიცებულების დაშვება შემდგომ სასამართლო პროცესებზე.

— საქმეში *Allan v the United Kingdom* განმცხადებელი, რომელიც ეჭვმიტანილი იყო ძარცვისას ჩადენილ მკვლელობაში, ჩიოდა, რომ პოლიციის ინფორმატორის ჩასმა მის საკანში - რათა განმცხადებლისაგან მიეღო ინფორმაცია იმ დანაშაულებში მონაწილეობის შესახებ, რომელთა ჩადენაშიც ეჭვმიტანილი იყო - არღვევდა მე-6 მუხლს. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა სამართლიანი სასამართლო მოსმენის გარანტიები და აღნიშნა, რომ დუმილის უფლების მიზანია "ეჭვმიტანილი პირის თავისუფლების დაცვა, რათა თვითონ აირჩიოს - ილაპარაკოს თუ დუმილის უფლება გამოიყენოს საპოლიციო დაკითხვისას". ამგვარად, "ასეთი არჩევანის თავისუფლება არსებითად ილახება იმ საქმეებში, რომლებშიც ეჭვმიტანილი დაკითხვისას დუმილის უფლებას იყენებს, ხელისუფლების ორგანოები კი მახეს უგებენ მისგან აღიარებების ან სხვა ინკრიმინაციული განცხადებების მოსაპოვებლად - რაც დაკითხვისას ვერ მოახერხეს - და ასე მოპოვებული აღიარებითი ჩვენებები ან განცხადებები მტკიცებულად დაერთვის საქმეს სასამართლო განხილვისას". ამ საქმეში სასამართლოზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ინფორმატორი "დამუშავებული" იყო პოლიციის მიერ და მიცემული ჰქონდა ინსტრუქცია - "რამდენადაც შეეძლო, მისწოლოდა". შესაბამისად, ინფორმატორი აღიქმებოდა სახელმწიფოს აგენტად, რომელსაც *de facto* ევალებოდა განმცხადებლის დაკითხვა.[239]

238. *Heaney and McGuinness v Ireland and Quinn v Ireland,* 21 დეკემბერი, 2000, §58 და 59.

239. *Allan v the United Kingdom*, 5 ნოემბერი, 2002, §45-53.

## ადვოკატზე ხელმისაწვდომობა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, საპოლიციო პატიმრობაში მყოფ ექვმიტანილთა დაკითხვისას მეორე ფუნდამენტური საკითხია მათი ხელმისაწვდომობა ადვოკატზე. CPT-ს მიდგომის მოკლე მიმოხილვა დაგვეხმარება, ავხსნათ ბოლოდროინდელი ძვრები სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, განსაკუთრებით, კონვენციის მე-6(3)(c) მუხლის განმარტების კონტექსტში.

## CPT-ის სტანდარტები

წამების აღკვეთის ევროპული კომიტეტი, CPT, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ პირთა დაცვას, რომლებსაც აკავებენ სისხლის სამართლებრივ დანაშაულზე ეჭვის საფუძველით. კომიტეტის მიზანია არასათანადო მოპყრობის აღკვეთა; ამისათვის იგი მოითხოვს, რომ დაკავებისთანავე პირს მიეცეს უფლება, ამ ფაქტის შესახებ მესამე მხარეს აცნობოს; მას უნდა შესთავაზონ ადვოკატი და მისცენ საშუალება, ხელი მიუწვდებოდეს ექიმზე. ამ უფლებებით უნდა ისარგებლოს ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც პატიმრობაში დარჩება, მისი სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად.[240] გარდა იმისა, რომ ისინი "გადამარწმუნებელ ეფექტს ახდენენ პირებზე, რომლებიც აპირებენ არასათანადო მოპყრობას"[241], ეს გზები ეფექტიანია წამების ან არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების შესახებ ბრალდებათა ან სხვა ინფორმაციის გასავრცელებლად; ასევე, პოტენციურად, მნიშვნელოვანი საშუალებებია ნებისმიერი არასათანადო მოპყრობის მტკიცებულებათა შესაგროვებლად და შესაბამისი ორგანოებისათვის გადასაცემად. მართლაც, როგორც სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, "საპოლიციო პატიმრობაში ყოფნისას წამების ბრალდებების დასაბუთება მსხვერპლისთვის ძალზე რთულია, თუ იგი იზოლირებულია გარესამყაროსგან და ხელი არ მიუწვდება ექიმზე, ადვოკატებზე, ოჯახსა ან მეგობრებზე, რომლებიც მის დახმარებასა და საჭირო მტკიცებულებების შეგროვებას შეძლებდნენ...".[242] ეს უფლებები არარეალური იქნება, თუ პირებს მათ შესახებ არ ეცოდინებათ. შესაბამისად, შემაჯამებელი უფლებაა, პირებს საჯაროდ ეცნობოთ ამ უფლებათა შესახებ "დაუყოვნებლივ და მათთვის გასაგებ ენაზე"; და ამის უზრუნველსაყოფად, "პოლიციის მიერ დაკავებულ პირებს დაპატიმრებისთანავე სისტემატურად უნდა ეძლეოდეთ სპეციალური ფურცლები,

240. CPT-ს საქმიანობის შესახებ მე-12 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2002) 15, § 41.

241. CPT-ს საქმიანობის შესახებ მე-6 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (96) 21, §15.

242. *Mammadov (Jalaloglu) v Azerbaijan*, 11 იანვარი, 2007, §74.

სადაც გასაგები ფორმით იქნება ეს უფლებები ჩამოყალიბებული. გარდა ამისა, დაკავებულმა პირებმა ხელი უნდა მოაწერონ განცხადებას, რითაც დაადასტურებენ, რომ მათ გააცნეს თავიანთი უფლებები."[243]

თუმცა, CPT-მ დაუშვა, რომ გამონაკლის შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს ექვმიტანილის მიერ შერჩეულ ადვოკატზე ხელმისაწვდომობისა და მესამე მხარისათვის დაპატიმრების ფაქტის შეტყობინების დაყოვნება, რათა დაცული იყოს გამოძიების ლეგიტიმური ინტერესები. CPT-მ ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამგვარი გამონაკლისები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, მკაცრ შეზღუდვებს ექვემდებარებოდეს და თან ახლდეს შესაბამისი დამატებითი გარანტიები (მაგალითად, ნებისმიერი დაყოვნება წერილობითი ოქმის სახით გაფორმდეს, დაყოვნების მიზეზების მითითებით, და ამისთვის გაიცეს უფროსი პოლიციის ოფიცრის - რომელიც საქმესთან არ არის დაკავშირებული - პროკურორის ან მოსამართლის ნებართვა). თუმცა, დაცვის გარანტიები უნდა გამოიყენონ ისე, რომ პოლიციას ხელი არ შეეშალოს თავისი უფლებამოსილების განხორციელებაში:

> "ადვოკატს შეუძლია, სათანადო ღონისძიებებს მიმართოს არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში. CPT აცნობიერებს, რომ საპოლიციო გამოძიების ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გამონაკლის შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს პირის მიერ შერჩეულ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის დაყოვნება კონკრეტული დროით. თუმცა, ამას შედეგად არ უნდა მოჰყვეს ის, რომ ამ პერიოდში პირს სრულად ეთქვას უარი ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების გამოყენებაზე. ასეთ საქმეებში სხვა დამოუკიდებელი დამცველიც უნდა მონაწილეობდეს."[244] "რა თქმა უნდა, CPT აცნობიერებს, რომ ამ უფლების გამოყენება შესაძლოა გამონაკლის შემთხვევებში შეიზღუდოს გამოძიების ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად. თუმცა, ამგვარი გამონაკლისები უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და დროში მკაცრად შეზღუდული. ამავე დროს, მათ გამოყენებას უნდა ახლდეს შესაბამისი დამატებითი გარანტიები (მაგალითად, მესამე მხარისთვის შეტყობინების ნებისმიერი დაყოვნება წერილობით ოქმის სახით უნდა გაფორმდეს, დაყოვნების მიზეზების მითითებით, და ამისთვის უნდა გაიცეს უფროსი პოლიციის ოფიცრის - რომელიც საქმესთან არ არის დაკავშირებული - ან პროკურორის ნებართვა).[245]

243. CPT-ს საქმიანობის შესახებ მე-12 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2002) 15, § 44.

244. CPT-ს საქმიანობის შესახებ მე-12 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2002) 15, § 41.

245. Ibid. §43.

CPT-სთვის ადვოკატზე ხელმისაწვდომობა მოიცავს მასთან განცალკევებულად მოთათბირების უფლებას, დაკითხვების დროს იურიდიული წარმომადგენლის დასწრებას და გადახდისუუნარო პირთათვის უფასო იურიდიული დახმარების შესაძლებლობას.[246] და კიდევ - ამით არ უნდა ჩაერიონ საპოლიციო გამოძიების ლეგიტიმურ ინტერესებში: "პოლიციას ხელი არ უნდა შეეშალოს დაკავებული პირის დაკითხვაში გადაუდებელ საკითხებთან დაკავშირებით, თუნდ დამცველის მონაწილეობის გარეშე (რომელსაც შესაძლოა მაშინვე არ ეცალოს), ან პირს შეეცვალოს ადვოკატი, თუ იგი ხელს უშლის დაკითხვის სათანადოდ ჩატარებას."[247]

CPT-მ სახელმწიფოებს აცნობა, რომ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე უნდა შემუშავდეს ქცევის კოდექსი ექვმიტანილის დაკითხვისას - წესების ან სახელმძღვანელო პრინციპების ფორმით. ეს აუცილებელია, რათა დაკითხვები მის "ზუსტ მიზანს" ეხმიანებოდეს და დაკავებული პირები დაცული იყვნენ არასათანადო მოპყრობის საფრთხისაგან. კონკრეტული დებულებებით უნდა რეგულირდებოდეს მოწყვლადი ადამიანების დაკითხვა, როგორებიც არიან: ახალგაზრდები ან შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირები, ასევე, ნარკოტიკების ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ან შოკურ მდგომარეობაში მყოფი პირები. კერძოდ, არასრულწლოვნებს არასოდეს უნდა მოსთხოვონ დოკუმენტზე ხელმოწერა მისი იურიდიული წარმომადგენლის ან ნდობით აღჭურვილი სრულწლოვანის დაუსწრებლად.[248] საპოლიციო პატიმრობაში მყოფი პირების თვალის ახვევის პრაქტიკა ცალსახად უნდა აიკრძალოს, როგორც სასტიკი ქცევის გამოხატულება, რადგან ის ხშირად ფსიქოლოგიურ არასათანადო მოპყრობას უტოლდება, მაშინაც, როცა ფიზიკურად მათ არასათანადოდ არ მოპყრობიან (კომიტეტისთვის ნათელია, რომ ამ პრაქტიკის დანერგვის მიზეზი არის ის, რომ პატიმრებმა ვერ ამოიცნონ მათზე ფიზიკურად მოძალადე სამართალდამცველი პირები, თუმცა, პოლიციის ოფიცრები ამ მოსაზრებას უპირისპირდებიან განსხვავებული ან ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტებით).[249] დაკავებულის პატიმრობის ოქმში უნდა შევიდეს ინფორმაცია მისი ფიზიკური მდგომარეობის შესახებ, ასევე, სამართლებრივ უფლებებთან დაკავშირებით მისთვის რჩევების მიცემასა და ამ უფლებათა გამოყენებაზე და ეს ოქმი ხელმისაწვდომი უნდა იყოს

---

246. ჩაინიშნეთ CPT-ს მოსაზრება, რომ ეს უნდა იყოს ხელმისაწვდომი პირებისათვის, რომლებიც იძულების წესით პოლიციაში რჩებიან, მათი სტატუსის მიუხედავად. CPT-ს საქმიანობის შესახებ მე-12 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2002) 15, § 41.

247. Ibid.

248. იხ., მაგალითად,CPT/Inf (2004) 16 (თურქეთი), §27.

249. მე-12 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2002) 15, §38.

ადვოკატისათვის.[250] გარდა ამისა, კომიტეტი მიესალმება დაკითხვების ელექტრონული ჩანაწერის არსებობას, რაც იქნება ექვმიტანილთა დაცვის გარანტია არასათანადო მოპყრობის ან ასეთი მოპყრობით დამუქრების წინააღმდეგ; ამავე დროს ის დაკითხვაში მონაწილე პოლიციელებსაც დაიცავს დაუსაბუთებელი ბრალდებებისაგან - არასათანადო ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლის შესახებ.[251] რაც შეეხება მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო განხილვაზე, "ასეთი ელექტრონული ოქმის არსებობა შეამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ მოპასუხემ მოგვიანებით შეცვალოს მიღგომა ცრუ მტკიცებით, თითქოს კონკრეტული განცხადებები არ გაუკეთებია."[252]

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ექვმიტანილთა დასაკითხად სათანადო ინფრასტრუქტურისა და დაკითხვის მარეგულირებელი წესების არსებობა. პირველი, პოლიციის შენობები დამამცირებლად არ უნდა გამოიყურებოდეს; დაკითხვისთვის განკუთვნილი ოთახები ძირითად საბაზისო სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს; ოთახს უნდა ჰქონდეს სათანადო განათება, გათბობა და ვენტილაცია; დაკითხვის ყველა მონაწილე უნდა იჯდეს ერთნაირ და თანაბრად კომფორტულ სკამზე; ოფიცერი, რომელიც დაკითხვას აწარმოებს, არ უნდა იჯდეს მოშორებით, გამორჩეულ ან ამაღლებულ ადგილას (ექვმიტანილთან შედარებით); ოთახი შეღებილი უნდა იყოს ნეიტრალურ ფერებში; კომიტეტი იმთავითვე კრძალავს დაკითხვებს შავად შეღებილ ოთახში, სადაც დამონტაჟებულია პროჟექტორები, მიმართული დასაკითხი პირის სკამისაკენ.[253] მეორე, პოლიციის განყოფილებაში არ უნდა იყოს "საეჭვო ნივთები", როგორიცაა ხის ჯოხები, ცოცხის ტარები, ბეისბოლის ჯოხები, მეტალის წნელები, მსხვილი ელექტროკაბელები, ცეცხლსასროლი იარაღების ან დანების იმიტაციები. მათი იქ ყოფნა სარწმუნოობას სძენს ბრალდებებს, რომ აღნიშნულ შენობებში დაკავებულ პირებს დაემუქრნენ ან ამ იარაღებით სცემეს (ასეთი "საეჭვო ნივთების" იქ არსებობას, ჩვეულებრივ, იმით ამართლებენ, რომ ექვმიტანილებს ჩამოართვეს; მაგრამ თუ ეს ნივთები ნამდვილი მტკიცებულებებია, ისინი სათანადოდ უნდა დალუქონ და საგანგებოდ გამოყოფილ საწყობში შეინახონ).[254]

---

250. მე-2 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (92) 3, § 40.

251. Ibid. §39; და მე-12 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2002) 15, §36.

252. მე-2 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (92) 3, § 36. დამატებით, იხ. *Evans, M. and Morgan, R., Preventing Torture* (წამების აღმოფხვრა), Clarendon Press, Oxford, 1998, გვ.267-274 და 288-291.

253. მე-12 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2002) 15, §37.

254. Ibid. §39.

## იურიდიულ წარმომადგენელზე ხელმისაწვდომობა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(3)(c) მუხლი

CPT ხაზს უსვამს, რომ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების არსი ისაა, რომ ადვოკატმა პატიმრისაგან მიიღოს ინფორმაცია ან ბრალდებები არასათანადო მოპყრობის შესახებ და ამ უფლების მიზანს არ წარმოადგენს დაკითხვის გზით მოპოვებული მტკიცებულების სამართლიანობის უზრუნველყოფა. მე-6(3)(c) მუხლის არსი სამართლიანობის უზრუნველყოფაა. იგი ბრალდებული პირისათვის უზრუნველყოფს სამ ურთიერთგადაჯაჭვულ უფლებას: "დაიცვას თავი პირადად"; დაიცვას თავი "მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით"; და "თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი დახმარებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები". აქ პოლიციის ოფიცრებისთვის მნიშვნელოვანია იურიდიულ წარმომადგენელზე ხელმისაწვდომობა დაკითხვისას, რაც პოლიციის მიერ დაკავების პერიოდში ძირითადად მოითხოვს ადვოკატის მონაწილეობას დაკითხვის პროცესში, ბრალდებულისათვის "გამოუსწორებელი ზიანის" მიყენების თავიდან ასაცილებლად.[255] თუ პირი გადაწყვეტს, არ ისარგებლოს ამ უფლებით, ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს დაკავებულის თავისუფალ ნებაზე დაფუძნებული და არა პოლიციის მხრიდან არასწორი ზემოქმედების შედეგი. ასეთი ზემოქმედება აშკარაა, როცა პირი დუმს ან უარს აცხადებს, უპასუხოს შეკითხვებს. თუმცა, ცხადია, რომ ექვმიტანილს ხელი უნდა მიუწვდებოდეს იურიდიულ წარმომადგენელზე *ნებისმიერი* დაკითხვის დაწყებისთანავე.

— საქმეში *Averill v the United Kingdom* სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრობის პირველი 24 საათის განმავლობაში დამცველის ხელმისაწვდომობაზე უარის თქმით დაირღვა ამ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნები, 1-ლ ქვეპუნქტთან ერთობლიობაში. განმცხადებელი დააკავეს და დაკითხეს სიფრთხილის ზომების გამოყენებით, რადგან იგი ექვმიტანილი იყო ჩრდილოეთ ირლანდიაში ტერორისტული აქტის შედეგად ჩადენილ მკვლელობებში. ამ პერიოდში იურიდიულ დახმარებაზე უარის თქმით შეილახა დაკავებულის უფლებები იმ "ფუნდამენტური დილემის" გამო, რომელსაც იგი აღნიშნულ გარემოებებში გადააწყდა: დუმილის უფლების გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო, სასამართლო განხილვაზე დასკვნები მის წინააღმდეგ გამოეტანათ, შეკითხვებზე პასუხის გაცემით კი მისი დაცვის პოზიცია შესუსტდებოდა და გამამტყუნებელი დასკვნების გამოტანის საფრთხე არცერთ ეტაპზე არ იქნებოდა გამორიცხული. სამართლიანობის

255. *Salduz v Turkey*, 27 ნოემბერი, 2008.

თვალსაზრისით, ასეთი დიდემის პირობებში ბრალდებულის უფლებების გამოუსწორებლად დაზიანების საფრთხე მოითხოვდა, რომ განმცხადებელი დამცველს დაკითხვის დაწყებამდე შეხვედროდა.[256]

— საქმეში *Salduz v Turkey* არასრულწლოვანს მსჯავრი დასდეს საიდუმლო ორგანიზაციის დახმარებისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის გამო. გა-ნაჩენი დიდწილად დაეფუძნა პოლიციაში დაკითხვისას გაკეთებულ განცხადე-ბას, რა დროსაც მას ხელი არ მიუწვდებოდა ადვოკატზე. სტრასბურგის სა-სამართლოს აზრით, სამართლიანი განხილვის უფლებათა "პრაქტიკულობისა და ქმედითობის" უზრუნველსაყოფად, მე-6(1) მუხლი მოითხოვს, რომ "როგორც წესი, ექვმიტანილს ადვოკატზე ხელი მიუწვდებოდეს პირველი საპოლიციო დაკითხვისთანავე, თუ ცალკეული საქმის კონკრეტული გარემოებებიდან არ იკვეთება საფუძვლიანი მიზეზები ამ უფლების შესაზღუდად". მეტიც, "მა-შინაც, როცა არსებობს დასაბუთებული მიზეზები, რომლებიც გამონაკლის შემთხვევებში ამართლებს ადვოკატის ხელმისაწვდომობაზე უარის თქმას, ამგვარმა შეზღუდვამ - როგორიც უნდა იყოს დასაბუთებული - უსაფუძვლო ზიანი არ უნდა მიაყენოს ბრალდებულის უფლებებს". ამ საქმეში განმცხადე-ბელი დაზარალდა მისთვის ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზ-ღუდვით, რადგან პოლიციისთვის გაკეთებული განცხადება მისი მსჯავრდების საფუძველი გახდა. სასამართლოს აზრით, მიყენებული ზიანი ვერ გამოასწო-რა ვერც ადვოკატის დახმარების უზრუნველყოფამ შემდგომ ეტაპზე და ვერც სამართალწარმოების შეჯიბრობითობის პრინციპზე დაფუძნებამ.[257]

— საქმეში *Panovits v Cyprus* წინასასამართლო ეტაპზე არასრულწლოვანი დაკითხეს მეურვის დაუსწრებლად და მას საკმარისად არ ეცნობა იურიდიული წარმომადგენლით სარგებლობის უფლების შესახებ. ჩაითვალა, რომ ამით დაირღვა მისი დაცვის უფლებები მე-6(3)(c) მუხლის თანახმად, მე-6(1) მუხლთან ერთობლიობაში. აღიარებითი ჩვენება ნებაყოფლობითად ცნეს და, შესაბამისად, საქმეს დაერთო მტკიცებულებად; მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო ერთადერთი მტკიცებულება, რაზე დაყრდნობითაც განმცხადე-ბელი ბრალეულად ცნეს, მაინც მნიშვნელოვან ელემენტი გახლდათ. "მოცე-მულ გარემოებებში ხელისუფლების ორგანოების პასიური დამოკიდებულება" სასამართლოსთვის "აშკარად არ აღმოჩნდა საკმარისი მათი პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად - განმცხადებლისთვის მიეწოდებინათ საჭირო ინფორმაცია, რაც მას იურიდიული წარმომადგენლით სარგებლობის შესაძლებლობას მისცემდა". მართალია, განმცხადებელი დაკითხვის დაწყე-ბამდე გააფრთხილეს შედეგების შესახებ, მაგრამ "უბრალო გაფრთხილება,

256. *Averill v the United Kingdom*, 6 ივნისი, 2000, §59.

257. *Salduz v Turkey*, 27 ნოემბერი, 2008, §50-63.

რომელსაც შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ითვალისწინებდა, საკმარი-სი ვერ იქნებოდა იმისთვის, რომ მას სათანადოდ გაეაზრებინა საკუთარი უფლებები". არც სამართალწარმოების შემდგომ საფეხურებზე ანაზღაურე-ბულა წინასასამართლო ეტაპზე მიყენებული ზიანი. სასამართლომ დაას-კვნა, რომ დაირღვა მე-6(3)(c) მუხლი, მე-6(1) მუხლთან ერთობლიობაში, განმცხადებლის აღიარებითი ჩვენების გამოყენებამ სასამართლო განხილ-ვის შემდგომ ეტაპზე კი ცალკე დაარღვია მე-6(1) მუხლი.[258]

— ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, საქმეში *Aleksandr Zaichenko v Russia* განმცხადებელმა თვითინკრიმინაციული განცხადებები გააკეთა მას შემდეგ, რაც გზაზე მისი ავტომობილი შეამოწმეს და ამ პროცესს მისი იურიდიული წარმომადგენელი არ ესწრებოდა. დადგინდა, რომ "ამ დროს განმცხადებლის მოქმედების თავისუფლება მნიშვნელოვნად არ შეზღუდუ-ლა. მას შეეძლო, იურიდიული დახმარება სამართალწარმოების ამ ეტაპზევე მოეთხოვა". პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას იგი არც დაუკავებიათ და არც დაუკითხავთ ფორმალურად, განცხადებები გააკეთა მისი ავტომობი-ლის ინსპექტირებისას, საგზაოდ, ორი მოწმის თანდასწრებით.[259]

## არარსებითად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა სისხლის სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე

ზოგადად შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოები წყვეტენ, უნდა დაიშვას თუ არა არასათანადოდ მოპოვებული მტკიცებულება სისხლის სამართალწარ-მოების შემდგომ ეტაპებზე. ამგვარად, მაშინაც, როცა ცხადია, რომ პოლი-ციის ოფიცრებმა მტკიცებულება მოიპოვეს შიდასამართლებრივი ნორმების ან ევროპული კონვენციის დარღვევით და მტკიცებულება ასეთი გზით ხვდება სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაზე, ეს სისხლის სამართალ-წარმოებას თავისთავად არასამართლიანს არ ხდის, თუ სხვა გარანტიებით უზრუნველყოფილია დაცვის მხარის უფლებათა პატივისცემა (მაგალითად, თუ განმცხადებელს მიეცა საშუალება, მტკიცებულების ნამდვილობა ეჭვქვეშ დააყ-ენოს და მის გამოყენებას წინ აღუდგეს; თუ განმცხადებელმა აღიარებითი ჩვენებები ნებაყოფლობით მისცა; და თუ ეჭვქვეშ არ აყენებს მტკიცებულება-თა სანდოობასა და სიზუსტეს გარემოებები, რომლებშიც ისინი მოიპოვეს).[260]

---

258. *Panovits v Cyprus*, 11 დეკემბერი, 2008, §64-77 და 84-86.

259. *Aleksandr Zaichenko v Russia*, 18 თებერვალი, 2010, §46-51.

260. *Khan v the United Kingdom*, 12 მაისი, 2000, §36-37.

— საქმეში *Schenk v Switzerland* განმცხადებელი დამნაშავედ ცნეს ცოლის მკვლელობის წაქეზებაში, ნაწილობრივ, ცოლთან საუბრის ჩანაწერის საფუძველზე, რომელიც ფირზე ჩაიწერა მისი თანხმობის გარეშე - ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა. განმცხადებელი ჩიოდა, რომ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებით, მისი საქმის სასამართლო განხილვა არასამართლიანად იქცა. სასამართლომ "პრინციპულად და აბსტრაქტულად არ გამორიცხა უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების ... დაშვება სასამართლო განხილვაზე", მაგრამ ყურადღება გაამახვილა სასამართლო განხილვის სამართლიანობის შეფასებაზე. წინამდებარე საქმეში დაცვის უფლებები არ უგულებელუყვიათ: განმცხადებელმა ჩანაწერის ნამდვილობა გაასაჩივრა და მის მტკიცებულებად გამოყენებასაც წინ აღუდგა, თუმცა, წარუმატებლად; გარდა ამისა, მსჯავრდება მხოლოდ ამ ჩანაწერის საფუძველზე არ მომხდარა. ამ გარემოებებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლო განხილვა არასამართლიანი არ ყოფილა.[261]

— საქმეში *Khan v the United Kingdom* განმცხადებელი მრავალრიცხოვანი სტუმრებიდან ერთ-ერთი იყო, ვინც ნარკოტრაფიკში ეჭვმიტანილის სახლში იმყოფებოდა. პოლიციას იქ მოსასმენი აპარატურა ჰქონდა დამონტაჟებული. საუბარში, რომელიც იწერებოდა, განმცხადებელმა აღიარა, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობდა. საქმის განხილვისას განმცხადებელმა სცადა, გაესაჩივრებინა მოსმენის გზით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოსამართლემ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, არ ესარგებლა მისი დისკრეციული უფლებით და ამ მტკიცებულების დაშვებაზე უარი არ ეთქვა, განმცხადებელმა თავი დამნაშავედ ცნო. სასამართლომ აღიარა, რომ დაირღვა განმცხადებლისათვის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებები, თუმცა, მან არ დაადგინა, რომ სასამართლო მოსმენა არასამართლიანი იყო კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში. ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო იმ ფაქტს, რომ ეროვნულ სასამართლოებს ჰქონდათ დისკრეციული უფლება - უარი ეთქვათ მტკიცებულებათა მიღებაზე, როცა მათი დასაშვებობა არსებით უსამართლობას იწვევდა.[262]

— საქმეში *Allan v the United Kingdom* განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი მსჯავრდება დაეფუძნა ფარული ვიდეო და აუდიო კამერებით მოპოვებულ მტკიცებულებას - რომელიც დამონტაჟებული იყო პოლიციის საკანსა და განყოფილებაში, შეხვედრებისთვის გამოყოფილ ოთახში - და პოლიციის ინფორმატორის ჩვენებას, რომელიც მის საკანში მოათავსეს ერთადერთი

261. *Schenk v Switzerland,* 12 ივლისი, 1988, §46-47.

262. *Khan v the United Kingdom*, 12 მაისი, 2000, §36-40.

მიზნით - მისგან მიეღო ინფორმაცია სავარაუდო დანაშაულის შესახებ. *Khan*-ის საქმეში შემუშავებულ პრინციპებზე დაყრდნობით, სასამართლომ დაადგინა, რომ ვიდეო და აუდიო ჩანაწერების გზით მოპოვებული მტკიცებულებები არ ეწინააღმდეგებოდა მე-6 მუხლით დაცულ მოთხოვნას - სასამართლო განხილვა ყოფილიყო სამართლიანი: არ მტკიცდებოდა, რომ განმცხადებელმა განცხადებები არანებაყოფლობით გააკეთა; მას სამართალწარმოების ყველა ეტაპზე მიეცა საშუალება, რომ მტკიცებულების უტყუარობა გაესაჩივრებინა. მეორე მხრივ, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას ეწინააღმდეგებოდა იმ მტკიცებულების გამოყენება, რომელიც მოიპოვა განმცხადებლის საკანში "კონკრეტული მიზნით ჩასმულმა ინფორმატორმა. მას განმცხადებლისგან უნდა მიეღო ინფორმაცია იმ დანაშაულში მონაწილეობის შესახებ, რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილი იყო". *Khan*-ის საქმისაგან განსხვავებით, სავარაუდო აღიარებები ინფორმატორთან იყო "არა სპონტანური და ბუნებივი განცხადებები, ნებაყოფლობით გამოთქმული განმცხადებლის მიერ, არამედ ინფორმატორის მიერ დაჟინებული დაკითხვით მიღებული ჩვენებები".[263]

მეორე მხრივ, როცა მტკიცებულება მოპოვებულია არასათანადო მოპყრობის გზით (ანუ მე-3 მუხლის დარღვევით), მისი შემდგომი გამოყენება სასამართლო განხილვაზე ზოგადად მიიჩნევა მე-6 მუხლით დაცული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევად. პოლიციის ოფიცერთა არასათანადო მოპყრობა ეჭვმიტანილისგან აღიარებითი ჩვენების მისაღებად, არასათანადო მოპყრობას დაკითხვის საშუალებად აქცევს. გარდა ამისა, როგორც მე-2 თავშიც აღინიშნა, სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან არასათანადო მოპყრობა კონკრეტული მიზნით, როგორიცაა აღიარებითი ჩვენების ან ინფორმაციის გამოძალვა, მიიჩნევა მე-3 მუხლის განსაკუთრებულად მძიმე დარღვევად.[264] მოკლედ რომ ითქვას, "ისეთი მტკიცებულების გამოყენება, რომელიც მოპოვებულია კონვენციით გარანტირებული ერთ-ერთი არსებითი და აბსოლუტური უფლების დარღვევის შედეგად, სამართალწარმოებას ყოველთვის არასამართლიანს ხდის".[265] მე-3 მუხლი "დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას" იცავს, შესაბამისად, "ისეთ რთულ გარემოებებშიც კი, როგორიცაა ტერორიზმსა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, კონვენცია აბსოლუტური მნიშვნელობით კრძალავს წამებას და არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, მსხვერპლის ქცევის მიუხედავად".[266] შიდასახელმწი-

263. *Allan v the United Kingdom*, 5 ნოემბერი, 2002, §46-48 და 52-53.

264. იხ. ზემოთ გვ.44

265. *Gäfgen v Germany,* 1 ივნისი, 2010, §165.

266. *Jalloh v Germany,* 11 ივლისი, 2006, §99 (პირღებინების გამომწვევი მედიკამენ-

ფორებრივ დონეზე იმის დადგენა, რომ აღიარება ნებაყოფლობითი იყო, ევროპული სასამართლოსთვის გადამწყვეტი არ არის.

— საქმეში *Harutyunyan v Armenia* განმცხადებელსა და ორ მოწმეს წამებითა და დამცირებით აიძულეს განცხადებების გაკეთება. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი და აღნიშნა: "დაუშვებელია ინკრიმინაციულ მტკიცებულებაზე დაყრდნობა - იქნება ეს აღიარებითი ჩვენების თუ ნივთმტკიცების სახით, რომელიც მოპოვებულია ძალადობრივი ქმედების ან სასტიკი თუ სხვა ფორმის არასათანადო მოპყრობის შედეგად (და შესაძლოა წამებად კვალიფიცირდეს) - მსხვერპლის ბრალის დასამტკიცებლად, მისი მტკიცებულებითი ღირებულების მიუხედავად. ნებისმიერი სხვა დასკვნით არაპირდაპირ ლეგიტიმური ხდება მორალურად გაუმართლებელი ქმედება, რომლის აღკვეთაც სურდათ კონვენციის მე-3 მუხლის ავტორებს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, "ამით სისასტიკე გადაფარავს სამართალს"[267].

— საქმეში *Magee v the United Kingdom* განმცხადებელი *incommunicado* ჰყავდათ ჩრდილოეთ ირლანდიის დროებითი მოთავსების ცენტრში. მას შემდეგ, რაც პოლიციის ოფიცრებმა მორიგეობით ხუთჯერ დაკითხეს ხანგრძლივად, მან აღიარა ტერორისტული აქტის დაგეგმვაში მონაწილეობა. განმცხადებელს უარი ეთქვა თავდაპირველ მოთხოვნაზე - ენახა ადვოკატი. იგი ჩიოდა, რომ სამარტოო საკანში ისეთ გარემოში იყო მოთავსებული, რამაც თვითინკრიმინაცია აიძულა. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი არ გამხდარა, პოლიციელებს აღიარებითი ჩვენება ნებაყოფლობით მისცა და ეს ინკრიმინაციული განცხადებები საკმარისი საფუძველი იყო მის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის დასაწყებად. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის აკრძალვა 48 საათზე მეტხანს, იმ სიტუაციაში, როცა დაცვის უფლებები გამოუსწორებლად დაზარალდა - ეწინააღმდეგებოდა მე-6 მუხლის (1) და (3)(c) პუნქტებით დაცულ გარანტიებს. სასამართლოს აზრით, "პატიმრობის მკაცრი პირობები და განმცხადებლის მოწყვეტა გარესამყაროსგან მიზნად ისახავდა ფსიქოლოგიურ ზეგავლენას მასზე და იმ სიმტკიცის შერყევას, რომელიც მან პატიმრობის დასაწყისში გამოავლინა დუმილის უფლების გამოყენებით". ამგვარ გარემოებებში,

ტის გამოყენება მტკიცებულების მოსაპოვებლად, რომლის მიღებაც შესაძლებელი იყო ნაკლებ ინტრუზიული მეთოდების გამოყენებით, ჩაითვალა მძიმე ჩარევად განმცხადებლის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგრადობაში - მისი სურვილის საწინააღდეგოდ - შესაბამისად, დაირღვა მე-3 და მე-6 მუხლები).

267. *Harutyunyan v Armenia*, 28 ივნისი, 2007, §63; ბოლო ციტატა აღებულია აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან *Rochin v California* (342 US 165 (1952)).

"პროცედურული სამართლიანობა მოითხოვდა, განმცხადებელს დამცველთან კონტაქტი დაკითხვის საწყის ეტაპზევე ჰქონოდა, რაც გააწეიტრალებდა დამამცირებელ გარემოს, რომელშიც იგი მოათავსეს და სპეციალურად იყო შექმნილი მისი სურვილის ჩასახშობად და მის გასატეხად.[268]"

— საქმეში *Gäfgen v Germany* პოლიციამ განმცხადებლისაგან მტკიცებულება მოიპოვა დაკითხვის ისეთი მეთოდებით, რომლებიც, კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით, არასათანადო მოპყრობას უტოლდებოდა. პოლიციამ არასათანადო მოპყრობა აუცილებლად მიიჩნია ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად, რომელიც განმცხადებელს უკვე მოკლული ჰყავდა, თუმცა, პოლიციამ ამის შესახებ არ იცოდა. შედეგად, განმცხადებელი დანაშაულში გამოუტყდა პოლიციელებს და ისინი იმ ადგილას მიიყვანა, სადაც მსხვერპლის სხეული დამალა. ამის შემდეგ, განმცხადებელმა აღიარებითი ჩვენება პროკურორთანაც გაიმეორა. სტრასბურგის სასამართლოში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სადავო ნივთიერი მტკიცებულება გადამწყვეტი აღმოჩნდა (და არა უბრალოდ დამატებითი) მსჯავრდებისათვის, რადგან მისგან მოპოვებული აღიარებითი ჩვენება, თვითინკრიმინაციული მტკიცებულების სახით, სრულად გამოიყენეს მისი მსჯავრდებისას მტკიცებულებისთვის. სასამართლო განმცხადებელს არ დაეთანხმა. ორი საკითხი საჭიროებდა შესწავლას: პირველი, რამდენად მიეცა განმცხადებელს შესაძლებლობა, რომ გაესაჩივრებინა მტკიცებულების ნამდვილობა და გამოყენება; და მეორე, მტკიცებულების სანდოობისა და სიზუსტის შესაფასებლად, სასამართლომ გადაწყვიტა, ემსჯელა მტკიცებულების ხარისხსა და იმ გარემოებებზე, რომლებშიც ის მოიპოვეს. "აუცილებელი არ არის, სამართლიანობა ეჭვქვეშ დადგეს, როცა მოპოვებული მტკიცებულება სხვა მასალებით არ მყარდება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ მტკიცებულება ძალიან ძლიერია და მისი სანდოობა ეჭვს არ ბადებს, დამხმარე მტკიცებულების საჭიროება კიდევ უფრო მცირდება". ამასთან დაკავშირებით, დიდმა პალატამ, მეორე აღიარებითი ჩვენების ფონზე, დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არასათანადო მოპყრობის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საქმიდან არ ამოიღეს, მთლიანობაში, სასამართლო განხილვის სამართლიანობაზე ამას გავლენა არ მოუხდენია.[269]

---

268. *Magee v the United Kingdom*, 6 ივნისი, 2000, §38-46.

269. *Gäfgen v Germany*, 1 ივნისი, 2010, §162-188.

## უდანაშაულობის პრეზუმფცია: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(2) მუხლი

მე-6 მუხლის თანახმად, ბოლო საკითხი, რომელიც რელევანტურია პოლიციის ოფიცრებისათვის, გამომდინარეობს ამ მუხლის მე-2 პუნქტიდან. იგი უზრუნველყოფს, რომ "ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად". თუმცა, უდანაშაულობის პრეზუმფციის პატივისცემის ვალდებულება ეკისრებათ არა მხოლოდ მოსამართლეებს, არამედ სხვა საჯარო მოხელეებსაც. კერძოდ, პოლიციელთა მიერ მედიასთან გაკეთებული განცხადებებით არ უნდა შეირყეს უდანაშაულობის პრეზუმფცია და სასამართლო განხილვა არასამართლიანი არ უნდა გახდეს.

— საქმეში *Allenet de Ribemont v France* პოლიციის ორმა უფროსმა ოფიცერმა განმცხადებელი, რომელიც ახალი დაკავებული ჰყავდათ, პრესკონფერენციაზე მოიხსენია როგორც მკვლელობის ერთ-ერთი წამქეზებელი. სასამართლო აღიარებს, რომ მე-6(2) მუხლი ხელს ვერ შეუშლის იმას, საზოგადოება ინფორმირებული იყოს სისხლის სამართლებრივ გამოძიებებში არსებული პროგრესის შესახებ, თუმცა, იგი ხაზს უსვამს, რომ ამისთვის აუცილებელი არ არის, პოლიციელებმა "სრული დისკრეციითა და სიფრთხილით" იმოქმედონ, როცა საქიროა უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა". ამ საქმეში გაკეთებული განცხადება იყო ნათელი დეკლარირება იმისა, რომ განმცხადებელი დამნაშავე გახლდათ. ამან გამოიწვია, ერთი მხრივ, ის, რომ საზოგადოებამ ირწმუნა განმცხადებლის ბრალეულობა და, მეორე მხრივ, ხელი შეუშალა შესაბამისი ფაქტების ობიექტურ შეფასებას. ამგვარად, დადგინდა, რომ დაირღვა პუნქტი (2).[270]

## დასკვნა

ზემოთ დისკუსიამ გვაჩვენა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის კონკრეტული ასპექტების ცოდნას დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებული საპოლიციო პასუხისმგებლობების განხორციელებისას. მათი დიდი ნაწილი იმას ემსახურება, რომ არ დაზარალდეს სისხლის სამართლებრივი დევნის შემდეგი ეტაპები: ბრალდებულისთვის სამართლიანობა იმ მომენტიდან იწყება, როცა მას ატყობინებენ, რომ ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში და, შესაბამისად, მისი მდგომარეობა "არ-

270. *Allenet de Ribemont v France*, 10 თებერვალი, 1995, §38.

სებითად იცვლება". გარდა ამისა, აქ იგულისხმება ჩხრეკა და თვალთვალიც, როცა ამით ერევიან პირის პირად ცხოვრებაში, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემაში. საპოლიციო მომსახურების ამგვარი ასპექტების განხორციელებისას პოლიციის ოფიცრები მგრძნობიარედ უნდა მოეკიდონ პირთა უფლებებს, რათა მათ საქმეს გამოუსწორებელი ზიანი არ მიადგეს.

თავი 5

# დემოკრატიული თავისუფლებების უზრუნველყოფა საპოლიციო მომსახურების გზით

> გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი ქვაკუთხედი და საბაზისო პირობაა მისი განვითარებისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციისათვის.[271]

## შესავალი

დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიციის ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო, რთული და მნიშვნელოვანი როლია საპოლიციო მომსახურების უზრუნველყოფა დემოკრატიული თავისუფლებებით სარგებლობისას. ეს თავისუფლებები მოიცავს გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებებს, ასევე აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. მათში ასევე მოიაზრება პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემის უფლება.

დემოკრატიული თავისუფლებები არსებითია დემოკრატიული საზოგადოებისათვის, სადაც ხდება აზრებისა და ინფორმაციის გაცვლა. პოლიციის ფუნქცია დემოკრატიული პროცესის ხელშეწყობაა; მან უნდა უზრუნველყოს, რომ ადამიანებმა და ასოციაციებმა შეძლონ მათი გამოხატვისა და გაერთიანების უფლებებით

271. *Stoll v Switzerland*, 10 დეკემბერი, 2007, §101.

სარგებლობა, კონვენციის დებულებათა შესაბამისად. ამ პროცესში პოლიციას შეიძლება დასჭირდეს რთული სამართლებრივი და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება საპირისპირო ინტერესების დასაბალანსებლად. ზოგჯერ პოლიცია შეიძლება აღმოჩნდეს შუაგულ კონფლიქტში, რომელიც საჭიროებს ზომების მიღებას დემოკრატიული თავისუფლებებით სარგებლობისათვის.

პოლიციის სამსახური დემოკრატიული თავისუფლებებით სარგებლობაში მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში უნდა ჩაერიონ - როცა სამართლით ეს დაშვებულია - და პოზიტიური მიზნით. ნებისმიერი ასეთი ჩარევა პროპორციული უნდა იყოს. ზოგჯერ პოლიციას მოეთხოვება, გონივრული ნაბიჯები გადადგას დემოკრატიული თავისუფლებებით სარგებლობის დასაცავად - მაგალითად, შეკრებილთა დასაცავად იმ პირთა თავდასხმისაგან, რომლებიც ამ თავყრილობას ეწინააღმდეგებიან.

არსებითია ის, რომ პოლიციის სამსახურებმა და ცალკეულმა ოფიცრებმა თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას ნეიტრალობა შეინარჩუნონ. პოლიციის ფუნქციებში არ შედის პოლიტიკური სიტყვის (და ა.შ.) მოწონება ან დაწუნება, თუ  ის არ მოიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს (მაგ: ძალადობისკენ წაქეზება). ეს ასეა მაშინაც, როცა პირები შეურაცხმყოფელ ან მიუღებელ მოსაზრებებს გამოხატავენ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს: შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის წესები აღიარებულია იმ პირობით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დაცული იქნება ევროპის მინიმალური მოლოდინი. ბევრ ევროპულ ქვეყანაში პოლიციაა პასუხისმგებელი იმ გადაწყვეტილებაზე, როდის და რა პირობებში შეიკრიბონ ადამიანები. თუმცა, შესაძლებელია ამ საკითხის სხვაგვარად მოწესრიგებაც. მაგალითად, ჰოლანდიაში შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერს უნდა ეცნობოს დაგეგმილი საჯარო შეკრების შესახებ და მას უფლება აქვს, პირობები დაანესოს შეკრებისთვის ან აკრძალოს ის.[272] სერბეთში შეტყობინება შეკრებაზე შედის შინაგან საქმეთა სამინისტროში.[273] პირობების დაწესებაზე გადაწყვეტილებას იღებს ის ორგანო, რომელსაც ეცნობება შეკრების შესახებ, ან ექსკლუზიურად, ან მუნიციპალურ თუ სხვა ორგანოებთან ერთად. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მთამბეჭდავი პრეცედენტული სამართალი აქვს შექმნილი ამ თემაზე. იგი ნათელს ხდის, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება შეკრების თავისუფლების შეზღუდვაზე უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, ეფუძნებოდეს კანონიერ უფლე-

---

272. საჯარო შეკრებების აქტი (20 აპრილი, 1988), თავი 5.

273. საჯარო შეკრებების აქტი (1992), მუხლი 6.

ხამოსილებას და იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.[274] მაშინაც, როცა წინასწარ გაცემულია თანხმობა პროტესტის გამოხატვაზე, მაინც შეიძლება წამოიჭრას საზოგადოებრივი წესრიგის საკითხი.

ამ თავში ყურადღება მახვილდება იმის ახსნაზე, თუ რა პრაქტიკული გავლენა აქვთ დემოკრატიულ თავისუფლებებს საპოლიციო მომსახურებაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წლების განმავლობაში ბევრი პრეცედენტი შექმნა ამ საკითხებით წარმოშობილი სირთულეების შესახებ. აქვე საუბარი იქნება პოლიციის ოფიცრებისთვის მნიშვნელოვან ზოგიერთ შედეგზე.

## ზოგადი წარმოდგენა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8-11 მუხლებში ჩარევა

კონვენციის მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლები პირებს გარკვეულ კვალიფიციურ უფლებებს ანიჭებს:

- პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემის უფლება;
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
- გამოხატვის თავისუფლება;
- შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება.

ეს უფლებები განსხვავდება სიცოცხლის უფლებისა (მე-2 მუხლი) და წამების ან არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვისაგან (მე-3 მუხლი) - იმით, რომ მე-8-11 მუხლებთან მიმართებით, არსებობს ნათლად განსაზღვრული სიტუაციები, როცა შესაძლებელია ამ უფლებების განხორციელებაში ჩარევა სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან. თუმცა, ნებისმიერი *ჩარევა* აღნიშნულ უფლებებში მთელ რიგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომ გამართლებულად მიიჩნიონ კონვენციის თანახმად. ეს პირობებია: (i) ჩარევა უნდა იყოს კანონის შესაბამისი, (ii) ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და (iii) აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში. როცა სახელმწიფო ამ პირობათაგან რომელიმეს ვერ აკმაყოფილებს, დადგინდება, რომ *დაირღვა* კონვენციის კონკრეტული დებულება. პირველ რიგში, აუცილებელია იმის განხილვა, როგორია თითოეული გარანტიით დანესებული დაცვის ფარგლები.

274. მაგ. *Djavit An v Turkey*, 20 თებერვალი, 2003 და *Barankevich v Russia*, 26 ივლისი, 2007.

## პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის დაცვის უფლება: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი

კონვენციის მე-8 მუხლი იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემის უფლებას. იგი შესაძლოა რელევანტური იყოს საპოლიციო საქმიანობის რამდენიმე სიტუაციასთან დაკავშირებით. ამაზე უკვე იყო საუბარი წინა თავში, დანაშაულის აღკვეთასა და გამოძიებასთან მიმართებით.[275]

## აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი

მე-9 მუხლი იცავს რელიგიური და არარელიგიური რწმენის უფლებას, ამ რწმენის შეცვლისა და გაცხადების თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან განკერძოებით. მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებებით სარგებლობენ როგორც ცალკეული ინდივიდები, ასევე რელიგიური ასოციაციები. ამ მუხლით დაცული რწმენის ფარგლები ფართოა. იგი მოიცავს პაციფიზმს, ვეგანიზმს, ტრადიციულ რწმენებს და როგორც ყველა მთავარ, ასევე ნაკლებად ცნობილ რელიგიურ დენომინაციებსაც. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლომ აღიარა, რომ მე-9 მუხლით დაცულ ფარგლებში ხვდებიან სადავო რწმენასთან დაკავშირებული კონკრეტული ორგანიზაციებიც (მაგ: საიენტოლოგიის ეკლესია).

ნებისმიერ გარემოებაში დაუშვებელია რწმენის *თავისუფლებაში* ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან. არ შეიძლება პოლიციის ქმედებები ადამიანის წინააღმდეგ იყოს მიმართული მხოლოდ მისი რწმენის გამო. თუმცა, ამგვარი რწმენის გაცხადებაში ჩარევა შესაძლებელია კონკრეტულ გარემოებებში. ჩარევა მე-9 მუხლის შესაბამისია, როცა ის ეფუძნება კონკრეტულ სამართლებრივ დებულებას, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სტრასბურგის სასამართლომ იმსჯელა რელიგიური ჯგუფების წევრთა დაკავებასა და მსჯავრდებაზე პროზელიტიზაციის გამო. ერთ საქმეში - საბერძნეთის წინააღმდეგ - სასამართლომ დაადგინა: აუცილებელია იმის დემონსტრირება, რომ მოხდა მართლსაწინააღმდეგო ზეწოლა პირზე, რათა მას სხვა რწმენა

275. იხ. გვ.80-90

მიიღო. ეს უფრო შესაძლებელია იმ შემთხვევებში, როცა პროზელიტიზმით დაკავებული პირები ავტორიტეტით სარგებლობენ მათ თვალში, ვისი მოქცევაც სურთ, რადგან ამ ადამიანებს, თუ ახალ სწავლებას არ გაიზიარებენ, საპირისპირო შედეგი აშინებთ.[276]

გარდა იმისა, რომ სახელმწიფოსაგან ამ უფლებების პატივისცემას ითხოვს, მე-9 მუხლი მას შესაძლოა ავალდებულებდეს პოზიტიური ნაბიჯების გადადგმას კონკრეტულ შემთხვევებში.

— საქმეში *გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ*, განმცხადებლები (რელიგიური უმცირესობის წევრები) ჩიოდნენ, რომ რელიგიური უმრავლესობის წევრები არასათანადოდ მოეპყრნენ, ხელისუფლების ორგანოებმა კი ამაზე რეაგირება არ მოახდინეს. სასამართლომ დაადგინა: "ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა, თავიანთი უმოქმედობით, ვერ შეძლეს დაკისრებული მოვალეობების შესრულება - მათ არ მიიღეს საქმიო ღონისძიებები იმისათვის, რომ მართლმადიდებელ ექსტრემისტთა ჯგუფი ... შემწყნარებლური ყოფილიყო განმცხადებელთა რელიგიური გაერთიანების მიმართ და მათთვის საშუალება მიეცა, დაუბრკოლებლად ესარგებლათ რელიგიის თავისუფლებით."[277]

მე-9 მუხლი გარკვეულწილად პოლიციის სამსახურის მენეჯმენტსაც შეეხება. როცა ქვეყნის ან ტერიტორიის მოსახლეობის უმრავლესობა ერთი რელიგიის მიმდევარია, ეს შესაძლოა აისახოს პოლიციის სამსახურის შემადგენლობაზეც. თავისთავად, ეს პრობლემას არ ქმნის, თუმცა, საჭიროა ძალისხმევა იმისათვის, რომ პოლიციის კულტურა და ეთნოსი ექსკლუზიურად ერთ რელიგიასთან არ ასოცირდებოდეს. გარდა ამისა, შესაძლოა საჭირო გახდეს ნაბიჯების გადადგმა ოფიცერთა მხრიდან პროზელიტიზმის აღსაკვეთად პოლიციის სამსახურებში. ამის მიზეზია ის, რომ ამგვარ დისციპლინურ გარემოში, როგორიცაა პოლიცია და შეიარაღებული ძალები, ეს შესაძლოა აღქმული იქნას შევიწროებად ან ძალაუფლების გადამეტებად.[278]

276. *Kokkinakis v Greece*, 25 მაისი, 1993 და *Larissis and Others v Greece*, 24 თებერვალი, 1998.

277. გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ, 3 მაისი, 2007, §134.

278. *Larissis v Greece*, 24 თებერვალი, 1998, §51.

## გამოხატვის თავისუფლება: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი

მე-10 მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლებას - უფლებას, რომელიც სტრასბურგის სასამართლომ განმარტა როგორც "დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი ქვაკუთხედი, ერთ-ერთი საბაზისო პირობა მისი განვითარებისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციისათვის."[279] იგი ეხება არა მხოლოდ იმ იდეებს, რომლებსაც კეთილგანწყობით იღებენ, არამედ მოსახლეობის გარკვეული ნაწილებისათვის შოკისმომგვრელსა და შეურაცხმყოფელსაც.[280]

მე-10 მუხლი გამოხატვის ბევრ სხვადასხვა ფორმას მოიცავს. მათი ამომწურავი სია არ არსებობს, თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იგი მოიცავს შემდეგ მედიასაშუალებებს: წიგნები,[281] მელტფილმები,[282] ინტერნეტი,[283] რადიო[284] და ხელოვნების ნიმუშები.[285] მე-10 მუხლის ფარგლებში ხვდება ასევე აზრთა ფართო სპექტრი, მაგალითად, პოლიტიკური ფიგურების კრიტიკა[286] და სხვადასხვა რელიგიურ რწმენასთან დაპირისპირებები.[287] ხშირია კვეთა სხვა უფლებებთან. როცა პირი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს, ეს შესაძლოა (i) სხვა უფლებით სარგებლობასაც მოიცავდეს და (ii) გავლენას ახდენდეს სხვებზე. მაგალითად, პირი, რომელიც საჯაროდ გამოხატავს თავის რელიგიურ შეხედულებებს, შესაძლოა ერთდროულად სარგებლობდეს როგორც მე-9, ასევე მე-10 მუხლებით დაცული უფლებებით. შესაძლოა რელევანტური იყოს მე-11 მუხლით გარანტირებული შეკრების თავისუფლებაც - მაგალითად, საქმეში უნგრეთის წინააღმდეგ, სასამართლომ განაცხადა: "ის უბრალო ფაქტი, რომ გამოხატვა საჯარო ადგილას მოხდა, ამ მოვლენას აუცილებლად შეკრებად არ აქცევს."[288]

— საქმეში *Chorherr v Austria* საჯარო შეკრებაზე განმცხადებელს ხელში

279. *Handyside v the United Kingdom*, 7 დეკემბერი, 1976.

280. Ibid.

281. Ibid.

282. *Leroy v France*, 2 ოქტომბერი, 2008.

283. *Perrin v the United Kingdom*, 18 ოქტომბრის სასამართლო გადაწყვეტილება, 2005.

284. *Barthold v Germany*, 23 მარტი, 1985.

285. *Muller v Switzerland*, 24 მაისი, 1988.

286. *Oberschlick v Austria*, 23 მაისი, 1991.

287. *Otto-Preminger Institute v Austria*, 20 სექტემბერი,1994.

288. *Faber v Hungary*, 24 ივლისი, 2012, §38.

ექრია პოლიტიკური მესიჯის შემცველი პლაკატი. შესაბამისად, ის გამოხატავდა პოლიტიკურ მოსაზრებას და ამის გამო მოხვდა მე-10 მუხლის დაცვის ფარგლებში. მისმა პლაკატმა შეკრების ზოგიერთი წევრი გააღიზიანა, მათ არ მოეწონათ არც მესიჯი და არც ის, როგორ ეწინააღმდეგებოდა იგი მათ მოსაზრებებს. განმცხადებელი არ დაემორჩილა პოლიციის ბრძანებას - შეეწყვიტა დემონსტრაცია იმ საფუძვლით, რომ არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს. იგი დააკავეს და დააჯარიმეს. სტრასბურგის სასამართლომ არ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა, რადგან როგორც დაკავება, ასევე მსჯავრდება ავსტრიის კანონმდებლობას შეესაბამებოდა და მიზნად ისახავდა შეკრებაზე არეულობის აღკვეთას.[289]

## შეკრება და გაერთიანება: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი

მე-11 მუხლით გარანტირებულია მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების უფლება. ის მოიცავს ისეთ მშვიდობიან შეკრებებს, როგორიცაა მსვლელობები, პროცესიები, აღლუმები, კერძო და საჯარო შეხვედრები, დემონსტრაციები და საპროტესტო აქციები. მე-11 მუხლით დაცული უფლებები გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება - მუხლში არსებობს კონკრეტული დათქმა, რომლითაც დასაშვებია შეზღუდვების დაწესება გარკვეული ჯგუფების, მათ შორის, პოლიციელების გაერთიანების თავისუფლებაზე.

შეკრების თავისუფლების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ამოცანაა პოლიციელებისათვის, როგორც ოპერატიული მოთხოვნების შესრულების, ასევე შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის დაცვის თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ პოლიციას მოეთხოვება, თავი შეიკავოს გაუმართლებელი ჩარევებისაგან, შეიძლება იყოს სიტუაციები, რომლებშიც მას ეკისრება პოზიტიური ვალდებულება - დაიცვას გაერთიანების თავისუფლება სხვათა, მათ შორის, კერძო პირთა თავდასხმისაგან.

— საქმეში *Oya Ataman v Turkey* სასამართლომ განაცხადა: "როცა დემონსტრანტები ძალადობას არ მიმართავენ, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო ორგანოებმა გარკვეული ტოლერანტობა გამოხატონ მშვიდობიანი შეკრებების მიმართ, თუ მათ არსებითად არ უნდა შეეზღუდოთ მე-11 მუხლით გარანტირებული შეკრების თავისუფლება."[290]

---

289. *Chorherr v Austria*, 25 აგვისტო, 1993, §33.

290. *Oya Ataman v Turkey,* 5 დეკემბერი, 2006, §41 და 42.

მე-11 მუხლი ძალადობრივ შეკრებას არ იცავს. შეკრებისას პოლიციამ აქცენტი სწორედ იმ პირებზე უნდა გააკეთოს, რომლებიც ძალადობას მიმართავენ.[291] თუმცა, შეკრებისთვის აუცილებელია ადამიანთა გარკვეული რაოდენობა. რამდენიმე ადამიანის თავშეყრა, კონვენციის შინაარსით, შეკრებად არ ითვლება.

— საქმეში *Tatar and Faber v Hungary* ორი ადამიანი უნგრეთის პარლამენტისაკენ გაეშურა და შენობის ირგვლივ არსებულ ღობეს ჭუჭყიანი ტანსაცმელი მიაკრეს ცამეტი წუთის განმავლობაში. ეს იყო კომენტარი ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე. ისინი დამნაშავედ ცნეს შეკრების გამართვაში შეტყობინების გარეშე. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელთა ქმედებები შეკრება არ იყო, რადგან "მონაწილეები განზრახ არ შეყრილან".[292]

სტრასბურგის სასამართლოს თქმით, დემოკრატია ერთადერთი პოლიტიკური მოდელია, რომელიც კონვენციაში მოიაზრება და მას შეესაბამება[293] და "შეკრების თავისუფლების უფლების დაცვა დამოკიდებული ვერ იქნება ხელისუფლების ორგანოთა სურვილსა და აღქმაზე - რა იმსახურებს ნებართვას და რა არა."[294] გარდა ამისა, მან დაადგინა, რომ "ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ჩარევაა გამოხატვის თავისუფლებაში - როგორ შოკისმომგვრელად და მიუღებლადაც უნდა ეჩვენებოდეთ ზოგიერთი მოსაზრება ან გამოყენებული სიტყვა ხელისუფლების ორგანოებს - აზიანებს და ხშირად საფრთხეს უქმნის დემოკრატიას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ძალადობისაკენ მოუწოდებენ ან უარყოფენ დემოკრატიულ პრინციპებს."[295]

როცა პოლიციის ქმედება მიზნად ისახავს შეკრების თავისუფლების დაკნინებას, დიდი ალბათობით, დადგინდება ამ გარანტიის დარღვევა. სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილულ რამდენიმე საქმეში მშვიდობიანი მომიტინგეები დააკავეს საეჭვო საფუძვლებით.

— მაგალითად, საქმეში *Hyde Park and Others v Moldova (#5 და 6)* კანონიერი საპროტესტო აქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს იმის გამო, რომ დოკუმენტებში, სავარაუდოდ, შეცდომები იყო დაშვებული, ან გაიყვანეს პირადობის დამადასტურებელი საბუთების დამატებით შესასწავლად. ისინი ასევე დამნაშავედ ცნეს შეკრების შესახებ შიდასახელმწიფოებრივი

---

291. *Ziliberberg v Moldova*, 1 თებერვალი, 2005.

292. *Tatar and Faber v Hungary*, 12 ივნისი, 2012, §39.

293. *Christian Democratic People's Party v Moldova*, 14 თებერვალი, 2006, §63.

294. *Hyde Park and others v Moldova*, 31 მარტი, 2009, §30.

295. *Faber v Hungary*, 24 ივლისი, 2012, §37.

კანონმდებლობის დარღვევაში. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა უფლება შეკრების თავისუფლების შესახებ.[296]

სტრასბურგის სასამართლო განსაკუთრებით მკაცრ პოზიციას იკავებს ისეთი დემონსტრაციების შეზღუდვასთან მიმართებით, რომლებიც მოიცავს პოლიტიკური პარტიების ლეგიტიმურ საქმიანობებს.

— საქმეში *Christian Democratic People"s Party v Moldova* განმცხადებელმა პოლიტიკურმა პარტიამ აქცია მოაწყო მოლდოვას მთავრობის წინადადების წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც რუსული ენის სწავლება სავალდებულო უნდა გამხდარიყო სკოლის მოსწავლეებისათვის 7 წლის ასაკს ზემოთ. ხელისუფლების ორგანოებმა, მას შემდეგ რაც მიიღეს შეტყობინება აქციის შესახებ, შეკრების ადგილი შეცვალეს ორგანიზატორებთან კონსულტაციის გარეშე, თუმცა, მათ აქცია მაინც იმ ადგილას გამართეს, სადაც თავდაპირველად იგეგმებოდა. პასუხად, ხელისუფლების ორგანოებმა ქრისტიან-დემოკრატიულ სახალხო პარტიას საქმიანობები შეუჩერეს ერთი თვის ვადით. აქციის ჩანაწერებში ჩანდა, რომ მონაწილეები მშვიდობიანად შეიკრიბნენ. სასამართლომ დაადგინა მე-11 მუხლის დარღვევა და განაცხადა, რომ "პოლიტიკური პარტიის საქმიანობათა აკრძალვის გამართლება შეიძლება მხოლოდ ძალზე სერიოზული დარღვევებით, რომლებიც საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ პლურალიზმს ან ფუნდამენტურ პოლიტიკურ პრინციპებს.[297]"

## პოზიტიური ვალდებულებები

მე-10 მუხლი მხოლოდ იმ სიტუაციებს არ ჩამოთვლის, რომლებშიც დასაშვებია გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაში ჩარევა. დემოკრატიულ საზოგადოებაში ამ უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, არსებობს სიტუაციები, რომლებშიც სახელმწიფო ვალდებულია, გონივრული ნაბიჯები გადადგას ამ უფლებით სარგებლობის დასაცავად.

— საქმეში *Ozgur Gundem v Turkey* დამცირებისა და ძალადობის გრძელვადიანი კამპანია წარიმართა გაზეთის წინააღმდეგ, რომელსაც კავშირი ჰქონდა ქურთ მშრომელთა პარტიასა (PKK) და მის თანამშრომლებთან. ამ კამპანიას შედეგად მოჰყვა რამდენიმე ადამიანის სიკვდილი. გაზეთიდან შესული თხოვნის მიუხედავად, ხელისუფლების ორგანოებმა არაფერი გაა-

296. *Hyde Park and Others v Moldova* (#5 და 6), 14 სექტემბერი, 2010.

297. *Christian Democratic People's Party v Moldova*, 14 თებერვალი, 2006, §76.

კეთეს მათ დასაცავად, რითაც დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.[298]

რაც შეეხება გონივრულ საფუძველზე ჩნდება ეჭვი, რომ პირს ან ორგანიზაციას თავს დაესხმებიან გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის გამო (როგორი არაპოპულარულიც უნდა იყოს იგი), შესაძლოა აუცილებელი გახდეს პოლიციის მიერ ნაბიჯების გადადგმა მათ დასაცავად. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ეს არ არის შედეგზე ორიენტირებული ვალდებულება. პოლიციამ შესაძლოა ვერ უზრუნველყოს, რომ მის დასაცავ ტერიტორიაზე არავინ დაზარალდეს. ამგვარი ნაბიჯების ზუსტი ბუნების აბსტრაქტულად განსაზღვრა შეუძლებელია. პროფესიული საპოლიციო გადაწყვეტილებები, დაფუძნებული ეროვნულ კანონმდებლობასა და პოლიციის პრაქტიკაზე, მიჩნეულია საკმარისად.

# ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8-11 მუხლებში ჩარევის გამართლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, მე-8-11 მუხლებით გარანტირებული უფლებები შესაძლოა შეიზღუდოს - კონკრეტულ შემთხვევებში და დადგენილი პირობების თანახმად. პირველი, ჩარევა უნდა ემსახურებოდეს "ლეგიტიმურ მიზანს"; მეორე, ჩარევა "უნდა შეესაბამებოდეს კანონს"; მესამე, ჩარევა არ უნდა აღემატებოდეს იმას, რაც "აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში". ეს ყველაზე რთული საკითხებია კონვენციის განმარტებისას და ასევე რთული იქნება პოლიციის ოფიცრებისათვის თავიანთი ქმედებების გამართლება, როცა ეს მოეთხოვებათ.

## "კანონთან შესაბამისობა"

კონვენციის მე-8 მუხლი მოითხოვს, რომ მის მიერ დაცულ უფლებებში ჩარევა იყოს "კანონის შესაბამისი". მე-8-11 მუხლები ითხოვს, რომ ნებისმიერი ჩარევა იყოს "კანონით გათვალისწინებული". ამ ტერმინებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ. მათი მიზანია, რომ პირმა გონივრულ ფარგლებში შეძლოს შესაბამის უფლებაზე დანესებული შეზღუდვების განჭვრეტა. ეს არსებითი გარანტიაა ხელისუფლების ორგანოთა თვითნებური ქმედების წინააღმდეგ. განჭვრეტადობა მოითხოვს: (i) ეროვნულ კანონმდებლობაში არსებობდეს სამართლებრივი საფუძველი, (ii) კანონი იყოს ხელმისაწვდომი და (iii) კანონმა პირს შესაძლებლობა მისცეს, შეაფასოს თავისი ქმედების შედეგები.

298. *Ozgur Gundem v Turkey*, 16 მარტი, 2000, §44.

რაც შეეხება (i) მოთხოვნას, სამართლებრივი საფუძველი უნდა არსებობდეს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემის საკანონმდებლო აქტში ან სხვა სამართლებრივ ნორმაში. პრეცედენტული სამართალი შესაძლოა იყოს "კანონი".[299] იმისათვის, რომ იგი, კონვენციის მნიშვნელობით, "კანონად" კვალიფიცირდეს, მასში გონივრული სიზუსტით უნდა იყოს მითითებული გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებისათვის მინიჭებული ნებისმიერი დისკრეციის ფარგლები.[300] პოლიციის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების დსაცავად, საჭიროა შესაბამისი კანონმდებლობისა და სათანადო სახელმძღვანელო პრინციპების სრული სიზუსტით დაცვა.

## "ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს"

მე-8-11 მუხლებით დაკონკრეტებულია რიგი ლეგიტიმური მიზნებისა, რომლებსაც უნდა ემსახურებოდეს დაცულ უფლებებში ჩარევა. ეს მიზნები მსგავსია სხვადასხვა მუხლის შემთხვევაში, თუმცა, მათ შორის მაინც არის მნიშვნელოვანი განსხვავებები. მაგალითად, მე-8, მე-10 და მე-11 მუხლებში ეროვნული უშიშროება ლეგიტიმურ მიზნებს შორისაა. თუმცა, მე-9 მუხლი (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება) მას ლეგიტიმურ მიზნად არ მოიხსენიებს. საპოლიციო თვალსაზრისით, ყველაზე რელევანტური მიზნებია უსაფრთხოების ან დანაშაულის აღკვეთა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ასევე სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. უნდა არსებობდეს კავშირი გასაჩივრებულ ქმედებასა და შესაბამის მიზანს შორის. პრაქტიკაში ამის დადგენა რთული არ არის. მაგალითად, შეკრებათა შეზღუდვის ან აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებები ხშირად მიზნად ისახავს უწესრიგობის აღკვეთას.

## "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში"

იმისათვის, რომ პოლიციის ქმედება იყოს "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში", იგი უნდა (i) ასახავდეს ძლიერ სოციალურ საჭიროებას, (ii) იყოს მისაღწევი მიზნის პროპორციული და (iii) ამ ქმედებისათვის არსებობდეს სათანადო და საკმარისი მიზეზები.

პროპორციულობის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია სამი მთავარი საკითხი:

- ჩარევის ფარგლები;

299. *Sunday Times v the United Kingdom*, 26 აპრილი, 1979.

300. *Malone v the United Kingdom*, 2 აგვისტო, 1984.

- იყო თუ არა ხელმისაწვდომი სხვა ნაკლებ შემზღუდველი საშუალებები;
- ხელმისაწვდომი პროცედურული გარანტიები.

რთულია ქმედების პროპორციულობის შეფასება განცალკევებულად. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება ისეთი საკითხები, როგორიცაა: ჰქონდა თუ არა ამ ქმედებას ალტერნატივები, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ლეგიტიმური მიზანი, რომელსაც ის ემსახურებოდა და სხვა. პოლიციის ოფიცრებს ხშირად ევალებათ იმ ქმედებების დასაბუთება, რომლითაც შეზღუდეს მე-8-11 მუხლებით დაცული უფლებები. კერძოდ, პოლიციას შესაძლოა მოსთხოვონ ქმედებათა დასაბუთება კონტროლის მექანიზმების (მაგ: პოლიციის ომბუდსმენი) მიერ ჩატარებული ნებისმიერი გამოძიებისას. გარდა ამისა, ამით შესაძლოა გაადვილდეს პოლიციის გადაწყვეტილებათა და ქმედებათა სირთულეების ნათლად წარმოჩენა საზოგადოების, მედიისა და სამოქალაქო სექტორისათვის.

## პროპორციულობა

ქვემოთ მოყვანილი მსჯელობა პოლიციის ოფიცრებს გაუადვილებს ამა თუ იმ ქმედების პროპორციულობის შეფასებას. ეს მათ გამოადგებათ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რათა აჩვენონ, რომ ყველა შესაბამისი ფაქტორი გათვალისწინებულია. ეს ასევე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გადაწყვეტილებები იყოს გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და ანგარიშვალდებული. ბევრ შემთხვევაში არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აცნობიერებს, რომ "თანამედროვე საზოგადოებებში პოლიციის საქმიანობა რთულია, ადამიანის ქმედების განჭვრეტა - შეუძლებელი, ოპერატიული არჩევანი კი პრიორიტეტებისა და რესურსების მიხედვით უნდა გაკეთდეს და, ამ ყველაფრის გათვალისწინებით"[301], პოლიციის ორგანოებს უნდა მიეცეთ ლავირების გარკვეული ფარგლები კონკრეტულ სიტუაციაში მოქცევისათვის.

ნებისმიერ სიტუაციაში, პოლიციასა და სხვა შესაბამის ორგანოებს შეუძლიათ სხვადასხვაგვარი ქმედება და გადაწყვეტილების მიღება. ქვემოთ განხილული საკითხების გათვალისწინებით, პოლიციის ოფიცრები თავისუფლად შეძლებენ იმის ჩვენებას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი პროპორციული იყო. ეს საკითხებია:

1. მათი ქმედების მიზეზ(ებ)ი;
2. შესაძლებელი იყო თუ არა სხვა, ნაკლებ შემზღუდველი საშუალებების

301. *Kontrova v Slovakia,* 31 მაისი, 2007, §50.

გამოყენება იმავე მიზნის მისაღწევად;

3. დეტალები შესაბამისი სამართლებრივი და ადმინისტრაციული დებულე-ბების შესახებ და რამდენად დაიცვეს ისინი;

4. რამდენად საჭირო იყო ამ ნაბიჯის გადადგმა და მისი განჭვრეტადი შედეგები;

5. რამდენად მოახდინს ეს ქმედება გავლენას სხვებზე;

6. დასტური, რომ შესაბამის ქმედებას ლეგიტიმური მიზეზი ჰქონდა - ამ გადაწყვეტილების მიზეზების მითითებით - და რომ ის დისკრიმი-ნაციული არ იყო.

7. გადაწყვეტილება მიიღეს თუ არა ყველა შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე.

ამ შეკითხვებზე პასუხები პოლიციის ოფიცრებს დაეხმარებათ თავიანთი ქმედებების დაცვაში, ნებისმიერი შემდგომი გამოძიებისას ან რაიმე სახ-ით გადასინჯვისას.

## პოზიტიური ვალდებულებები

კონვენციის მე-8-11 მუხლებით მინიჭებული უფლებები სახელმწიფო ორ-განოებს (პოლიციის ჩათვლით) ავალდებულებს კონკრეტული ნაბიჯების გა-დადგმას იმისათვის, რომ პირებმა, ამ მუხლების თანახმად, ისარგებლონ თავიანთი უფლებებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს უფლებები უფრო მეტია, ვიდრე სახელმწიფოზე დაკისრებული ვალდებულება - არ ჩაერიოს ამ უფლებებით სარგებლობაში. მაგალითად, საქმეში *Ozgur Gundem v Turkey* დადგინდა, რომ თურქეთს ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება - გაეტა-რებინა საგამოძიებო და დაცვითი ღონისძიებები ქურთული გაზეთის წი-ნააღმდეგ მიმართული დამცირებისა და ძალადობის კამპანიის საპასუხოდ.[302]

ისეთ სიტუაციებში, როცა მოსალოდნელია დაგეგმილი შეკრების გადაზრდა უწესრიგობაში, პოლიციას ან სხვა უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ მოიხმონ ეროვნული კანონმდებლობა, რომლითაც ნებადართულია შეკრებების აკრძალვა. თუმცა, ძალადობის საფრთხე საკმარისი საფუძველი არ არის

302. *Ozgur Gundem v Turkey*, 16 მარტი, 2000.

შეკრების აკრძალვისათვის. არეულობის უბრალო საფრთხე რომ საკმარისი საფუძველი იყოს ამისათვის, მას მარტივად - და არასათანადო მიზეზებით - გამოიყენებდნენ ამ მიზნით. შესაბამისად, თუ მზადდება სანინააღმდეგო საპროტესტო აქცია, სახელმნიფო ვალდებულია, გონივრული ნაბიჯები გადადგას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რათა ხელი შეუნყოს შეკრებას პოლიციელთა იქ ყოფნით (და სხვა საშუალებებით)[303]. საქმეში ავსტრიის ნინააღმდეგ, რომელიც შეეხებოდა ექიმთა შეკრებას აბორტის ნინააღმდეგ და საპროტესტო აქციას, სასამართლომ დაადგინა, რომ აუცილებელია კონკრეტული ღონისძიებების გატარება (მაგ: პოლიციელთა იქ განლაგება) შეკრების თავისუფლების უზრუნველსაყოფად.[304] სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ "ხელშემკვრელი სახელმნიფოების ვალდებულებაა გონივრული და სათანადო ზომების მიღება კანონიერი დემონსტრაციების მშვიდობიანად ჩასატარებლადაც, თუმცა, მათ ამის აბსოლუტური უზრუნველყოფა არ შეუძლიათ და ფართო დისკრეციით სარგებლობენ გამოსაყენებელი საშუალებების შერჩევისას."[305]

— საქმეში *Faber v Hungary* განმცხადებელი დაჯარიმდა იმის გამო, რომ უარი განაცხადა, არ გამოეფინა დროშა სადავო ისტორიული კონოტაციებით. მან იგი შეკრებასთან ახლოს გამოფინა და პოლიციამ თავისი ქმედება იმით გაამართლა, რომ არეულობის შეეშინდა. სასამართლომ ეს საფუძველი გულისყურით შეისნავლა და დაადგინა, რომ "საფრთხის უბრალო არსებობა არასაკმარისია მოვლენის აკრძალვისათვის: ხელისუფლების ორგანოებმა პოტენციური არეულობის ზუსტი სურათი უნდა ნარმოადგინონ ძალადობრივი შეტაკების გასანეიტრალებლად საჭირო რესურსების შესაფასებლად."[306]

შეკრების აკრძალვის ნებისმიერი გადანყვეტილება მნიშვნელოვანი ჩარევაა მე-11 მუხლით გარანტირებული უფლებით სარგებლობაში. შესაბამისად, იგი საჭიროებს ძლიერ არგუმენტაციას და უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.[307]

თუმცა, სასამართლომ აღიარა, რომ პოლიცია და სხვა სახელისუფლებო ორგანოები უკეთ შეძლებენ მოსალოდნელი არეულობის აღსაკვეთად საჭირო რესურსების შეფასებას. *Faber*-ის საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ "ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს უკეთ შეუძლიათ შეაფასონ უს-

303. *Plattform "Ärzte für das leben" v Austria*, 21 ივნისი, 1988.

304. Ibid.

305. *Faber v Hungary*, 24 ივლისი, 2012, §39.

306. Ibid. §40.

307. იხ. ქვემოთ გვ.121-125.

აფირთხოების რისკები და მღელვარების ხარისხი, ასევე, სავარაუდო რისკე-ბით განპირობებული სათანადო ღონისძიებები."[308]

## საზოგადოებრივი შეკრებები - საპოლიციო მომსახურების უზრუნველყოფა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აჩვე-ნებს, რომ საზოგადოებრივ შეკრებებზე საპოლიციო მომსახურების უზრუნვე-ლყოფა ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის პოლიციის სამსახურებს და სხვა სახელისუფლებო ორგანოებს ევროპის მასშტაბით. სტრასბურგის სასამართლოს თავის საქმეებში ნამსჯელი აქვს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: განმეორებითი უარი შეკრების ჩასატარებლად საქირო ნებართვის გაცემაზე[309], არაპროპორციული ჩარევები შეკრების უფლებით სარგებლობაში[310] და ხელისუფლების ორგანოთა მარ-ცხი, დაეცვათ შეკრებილები კერძო პირთა თავდასხმისაგან.[311]

დემოკრატიული თავისუფლებების გამოყენებასთან მიმართებით, ბევრი განსხ-ვავებული სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას, რაც განსაკუთრებით რთულს ხდის საპოლიციო საქმიანობას.[312] იგი საჭიროებს დეტალურ დაგეგმარებას, კარგად გადამზადებულ თანამშრომლებს, სათანადო აღჭურვას და საკმარის მოქნილო-ბას, რომ რეაგირება შეძლონ ახალ, ხშირად, წინამძღვრების გარეშე შექმნილ სიტუაციებზე. ეს სირთულეები კიდევ უფრო მძაფრდება იმ ფაქტით, რომ პოლი-ციას მოეთხოვება არა მხოლოდ რეაგირება მოვლენებზე, არამედ შეკრების მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველყოფაც. ამისათვის, შესაძლოა, საჭირო გახდეს აქტიური ნაბიჯების გადადგმა, ამ უფლებებით სარგებლობის დასაცავად.

პოლიციის ყველა ოფიცერს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგები ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესახებ. ისინი ფოკუსირებული უნდა იყოს პოლიციის ოპერა-ციების ისე დაგეგმვასა და გაკონტროლებაზე, რომ მინიმუმამდე შემცირდეს მო-მაკვდინებელი ძალის გამოყენება[313]. ნებისმიერი გამოყენებული ძალა უნდა იყოს მართლზომიერი და მკაცრად აუცილებელი მოცემულ ვითარებაში, მშვიდობიანი

308. *Faber v Hungary*, 24 ივლისი, 2012, §42.

309. *Alekseyev v Russia*, 21 ოქტომბერი, 2010.

310. *Oellinger v Austria*, 29 ივნისი, 2006.

311. *Gldani v Georgia*, 3 მაისი, 2007.

312. იხ. მაგალითად, *Giuliani and Gaggio v Italy*, 25 აგვისტო, 2009, §238.

313. *McCann and Others v the United Kingdom*, 27 სექტემბერი, 1995.

შეკრებისა და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებები კი - დაცული. პოლიციის ოფიცრებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ოპერაციებს, გავლილი უნდა ჰქონდეთ სათანადო ტრენინგები და გააჩნდეთ შესაბამისი გამოცდილება.[314] მათ წინასწარ უნდა განჭვრიტონ ძალის გამოყენების შედეგები და საპოლიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ყოველთვის გაითვალისწინონ ძალის გამოყენების მინიმუმამდე შემცირების მოთხოვნა.

## საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, წარმატებული საპოლიციო მომსახურება შესაძლებელია მხოლოდ მოსახლეობის ხელშეწყობითა და დახმარებით. პოლიციამ ყველა ღონეს უნდა მიმართოს ამ მხარდაჭერის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. მოსახლეობასთან კავშირი შეუფასებელია დაძაბულობასა და პოტენციურ პრობლემებზე ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით - ისევე, როგორიც არსებული დაძაბულობის განსამუხტავად და რთული სიტუაციების მოსაგვარებლად. პოლიცია ხალხს მხოლოდ დაძაბულობის ან არეულობის დროს არ უნდა დაუახლოვდეს, ეს უნდა იყოს განგრძობადი პროცესი. ამ გზით ჩამოყალიბდება მტკიცე კავშირურთიერთობა საზოგადოებასთან, რომელსაც ძალუძს რთულ სიტუაციებში დახმარება. პოლიცია ყველას უნდა დაუკავშირდეს, ვისაც კი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ოპერაცია შეეხო. მოვლენების დროს კომუნიკაცია შეამცირებს გაუგებრობას და სხვებისა თუ პოლიციის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას. ამ პროცესის წასახალისებლად უნდა არსებობდეს ტექნიკური საშუალებები.

საზოგადოებრივი წესრიგის საპოლიციო მომსახურებით დაცვა და პოლიციის საქმიანობა მოსახლეობასთან მიმართებით მჭიდროდაა გადაჯაჭვული. ადგილობრივი პოლიციის ოფიცრები, რომლებმაც დეტალურად იციან იმ არეალის თავისებურებები, მუდმივად უნდა პატრულირებდნენ. ესენი ის ოფიცრები არიან, პოლიციის სახელით რომ მოქმედებენ არეულობისას. დაძაბულობის დროს სწორედ მათი საშუალებით მუშაობს "დროული შეტყობინების" სისტემა. მოსახლეობასთან პოლიციის ურთიერთობა ყოველდღიური რეალობა უნდა იყოს და მას ხელს უნდა უწყობდეს - და არა აკნინებდეს - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა საპოლიციო მომსახურების გზით. ეს გასათვალისწინებელია, როცა იღებენ გადაწყვეტილებას - ჩაერიონ თუ არა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისას.

პოლიციის ქმედებები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს უნდა იყოს

314. *Andronicou and Constantinou v Cyprus*, 9 ოქტომბერი, 1997.

მართლზომიერი და პროპორციული.[315] გადამეტებულმა ძალამ შესაძლოა დააზიანოს პოლიციის ურთიერთობა მოსახლეობასთან და სამომავლოდ კიდევ უფრო გაართულოს მისი მუშაობა. იგი არღვევს მოსახლეობასა და პოლიციას შორის კავშირს, რასაც მივყავართ ნდობისა და ურთიერთობის მსხვრევამდე.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ოპერაციებისას პოლიცია ხელმისაწვდომი და ხელშესახები უნდა იყოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მათ უნდა შეეძლოთ დიალოგისა და მოლაპარაკებების წარმართვა საჯარო შეკრების მონაწილეებსა და ამ შეკრებით დაზარალებულ პირებთან. პოლიციამ შეძლებისდაგვარად უნდა აცნობოს საზოგადოებას თავისი გეგმების შესახებ, რითაც მაქსიმალურად შემცირდება მისი ქმედებით გამოწვეული გაუგებრობის ფაქტები. პოლიციამ უნდა სცადოს კავშირის დამყარება და შენარჩუნება იმ პირებთან, რომლებზეც გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვამ - კერძოდ, შეკრების მონაწილეებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებთან. ხალხთან ურთიერთობა მარტივად გასაგები ენით უნდა წარიმართოს. ის წინასწარ უნდა დაგეგმონ და მართონ, რათა თავიდან აიცილონ დაბნეულობა და გაუგებრობები.

### პოლიციის უფლებამოსილება (მაგ: ძალის გამოყენება, დაკავება, სისხლის სამართლებრივი გამოძიება)

პოლიციამ საკუთარი უფლებამოსილება - დაკავშირებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ოპერაციებში ჩართულობის ნებისმიერ ასპექტთან - ყოველთვის უნდა გამოიყენოს სათანადო და პროპორციული ფორმით. ჩარევის უფლებამოსილება უნდა ითვლებოდეს სათადარიგო - და არა სავალდებულო - ასპექტად. როცა პოლიციას აქვს ჩარევის უფლებამოსილება, მან ის ავტომატურად არ უნდა გამოიყენოს. ჩარევამ ხშირად შეიძლება გაამწვავოს კონფლიქტი და დაძაბულობამ კიდევ უფრო იმატოს, რაც გაზრდის ძალადობის შანსებს. ასევე, შემცირდება პოლიციისადმი ნდობის ხარისხიც.

როცა შეკრების დროს პოლიცია კანონდარღვევებს აფიქსირებს, უნდა განიხილონ საკითხი - ნაბიჯები დაუყოვნებლივ უნდა გადაიდგას თუ შეკრების დასრულების შემდეგ. როცა აუცილებელია ზომების მიღება საზოგადოებრივ შეკრებებთან მიმართებით, პოლიციამ უნდა უზრუნველყოს, რომ ეს ღონისძიებები პასუხისმგებელ პირთა წინააღმდეგ იყოს მიმართული და შეკრების მონაწილეები, შეძლებისდაგვარად, არ დაზარალდნენ. ფართომასშტაბიანი მშვიდობიანი შეკრების დროს მცირე ჯგუფის მხრიდან ძალადო-

315. *P.F and E.F v the United Kingdom*, სასამართლოს გადაწყვეტილება, 23 ნოემბერი, 2010.

ბა საკმარისი საფუძველი არ არის მის დასაშლელად. საჭიროების შემთხ-ვევაში, შესაძლებელია პროპორციული და მართლზომიერი ძალის გამოყენება ძალადობაზე პასუხისმგებელ პირთა წინააღმდეგ.[316]

## პოლიციის ოპერაციების დაგეგმვა

საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ჩატარებული ოპერაციების დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ ინფორმაციას. პოლიციის რეაგირების ფარ-გლების, რესურსების რაოდენობის, პოტენციური დაქტიკის (და სხვა) დად-გენისას შესაძლებელია გაითვალისწინონ მსგავს სიტუაციებში მოქმედების გამოცდილება. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ოპერაციების ხელმძღ-ვანელმა პოლიციის ოფიცრებმა უნდა იმსჯელონ, საჭიროებენ თუ არა სპე-ციალისტების - იურიდიული კონსულტანტები, ტექნიკური სპეციალისტები და სხვა - რჩევას. პოლიციის ხელთ არსებული რესურსები, შეძლებისდაგვარად, ოპერაციის სირთულეს უნდა შეესაბამებოდეს. აუცილებელია სხვა სერვისების მობილიზებაც (სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები, ჰოსპიტალები და სახანძრო ბრიგადები), რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს.

დასაშვებია შეკრების ვიდეოფირზე აღბეჭდვა პოლიციისა და სხვა სახელმწიფო ორ-განოების მიერ. ამან შესაძლოა განამტკიცოს საზოგადოებრივი უსაფრთხოება და დამხმარე საშუალებად იქცეს ნებისმიერი დანაშაულის გამოძიებისას. ვიდეოჩა-ნაწერის თვალსაჩინოდ გაკეთებამ შესაძლოა ზოგიერთ ადამიანს ხელი შეუშალოს სისხლის სამართლებრივ ქმედებებში ჩართვაში. თუმცა, თუ ფირზე აღბეჭდვის პროცესი კორექტული არ იქნება, მან შესაძლოა მონაწილეთა დამცირება გამოიწვი-ოს. უნდა არსებობდეს - და პოლიციამ უნდა დაიცვას - სახელმწიფო სტრატეგია ვიდეოჩა-ნაწერების გაკეთების შესახებ. ეს კადრები უნდა გამოიყენონ მხოლოდ სისხლის სამართლებრივი გამოძიების მიზნებისათვის და საჭიროზე მეტი ვადით არ შეინ-ახონ. როცა კადრს ინახავენ იმაზე მეტხანს, ვიდრე ეს აუცილებელია, და იმგვარად, რომ ფირზე შესაძლებელია პირთა ამოცნობა, შესაძლოა დაირღვეს კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.[317]

მედიასთან უნდა შენარჩუნდეს მეგობრული ურთიერთობა; მათ სრულად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი იმ ტერიტორიაზე, სადაც პოლიციის ოპერაცია იმართე-ბა, შესაბამისი უსაფრთხოების უზრუნველყოფით. უნდა გამოიკვეთონ სა-კონტაქტო პირები ინფორმაციისა და ინტერვიუების მისაცემად. ოფიცრებს უნდა ეცნობოთ, როდის და რა პირობებში აქვთ მედიასთან გასაუბრების

316. *Oellinger v Austria*, 29 ივნისი, 2006.

317. იხ. ზემოთ გვ.82 და 115

უფლება. ბრიფინგები დაგეგმილ ოპერაციამდე უნდა ჩატარდეს, რათა საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია და ხალხი აღნიშნულ ადგილს გაერიდოს.

## ბრბოს ფსიქოლოგია

პოლიციამ ეფექტიანად რომ იმოქმედოს შეკრებებზე, აუცილებელია, ის გარკვეულწილად იცნობდეს ბრბოს ფსიქოლოგიას. არსებითია, პოლიციის ოპერაცია არ ეფუძნებოდეს ვარაუდს, რომ ბრბო ძალადობრივი იქნება და დაიწყება არეულობა. შეძლებისდაგვარად ბევრი ინფორმაცია უნდა შეგროვდეს და გაანალიზდეს არეულობის საფრთხის შესაფასებლად. ამით პოლიციის გადაწყვეტილებები დაეფუძნება რეალურ ცნობებსა და პროფესიულ მსჯელობებს და არა ვარაუდს ან უსაფუძვლო ვერსიებს.

პოლიციის ოპერაციებმა, რომლებიც ეყრდნობა ვარაუდს არეულობის დაწყების შესახებ, რეალურად შესაძლოა თვითონ გამოიწვიოს იგი - ტექნიკურმა აღჭურვილობამ და პოლიციის ოფიცერთა დამოკიდებულებამ აგრესიული განწყობა შექმნას, რასაც ხშირად ასეთივე პასუხი მოსდევს ბრბოს მხრიდან. პოლიციის ტაქტიკური სვლა, შეძლებისდაგვარად, პოზიტიურ განწყობას უნდა აღვივებდეს ხალხის მასაში. ასევე არსებითია ინსტრუქციების მიცემა იმ ოფიცრებისთვის, რომლებიც შეკრების ადგილას განათავსეს. თუ მათ ეტყვიან, რომ მოსალოდნელია არეულობა, ისინი, დიდი ალბათობით, სწრაფ და ძალადობრივ რეაგირებას მოახდენენ ნებისმიერ ინციდენტზე, როგორი უმნიშვნელოც უნდა იყოს იგი. თუმცა, თუ სათანადო ინსტრუქტაჟი ჩაუტარდებათ, მათი რეაგირება მოვლენებზე, სავარაუდოდ, უფრო პროპორციული იქნება. დაძაბული სიტუაციები ხშირად განიმუხტება მოლაპარაკებებისა და დიალოგის გზით.

როცა ბრბო პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების მოწმე ხდება, შეიძლება მან ნდობა დაკარგოს მისი რეაგირების ლეგიტიმურობის მიმართ და, შესაბამისად, აღარ მოიქცეს ჩვეული ნორმებით. ამას შედეგად მოჰყვება აგრესია და ძალადობა პოლიციელების და სხვათა მიმართ. ნებისმიერ ბრბოშია მოსალოდნელი ასეთი ადამიანის გამოკვეთა. ხალხის დიდი ნაწილი პატივისცემას გამოხატავს და დაეხმარება პოლიციას, თუმცა, ზოგიერთმა შესაძლოა დაპირისპირება და ძალის გამოყენება მოინდომოს. სხვები ამაზე რეაგირებას მოახდენენ. პოლიციის არასათანადო ქმედებას ყოველთვის აქვს ფარგლები, რომლის მიღმაც ის ლეგიტიმურობას კარგავს ბრბოს თვალში. ამას კი იქამდე მივყავართ, რომ ბრბო დასაშვებად მიიჩნევს ძალის გამოყენებას პოლიციისა და სხვების წინააღმდეგ. მნიშვნელოვანია, რომ პოლიციამ ხალხის მასაში გაერთიანებული ადამიანები ერთმანეთისაგან განასხვაოს. პოლიციის ნებისმიერი ქმედება მიმართული უნდა იყოს

არეულობის გამომწვევი პირებისაკენ და არა მთლიანად ბრბოს წინააღმდეგ.

დიალოგი უმთავრესი მეთოდია იმისათვის, რომ ბრბომ პოლიციისადმი ნდობა არ დაკარგოს. ინფორმაციის მიწოდებით პოლიცია ქრიებს გაფანტავს და ხალხს აუხსნის ამა თუ იმ ქმედების მიზეზს. ამით ხელი შეეშლებათ მათ, ვინც არეულობის გამოწვევას ცდილობს.

მედიაცია ასევე გამოსადეგი საშუალებაა პოლიციასა და შეკრებილებს შორის ეფექტიანი ურთიერთობის დასამყარებლად. იმ შემთხვევებში, როცა აუცილებელია შეზღუდვების დაწესება შეკრებასა ან მის მონაწილეებზე, პოლიციამ უნდა სცადოს შეკრების წარმომადგენლებისაგან წინასწარი თანხმობის მიღება ამგვარ შეზღუდვებზე. ზოგჯერ - მაგალითად, როცა პოლიციის მხრიდან ნდობის ხარისხი ძალზე მცირეა - უმჯობესია მოლაპარაკებები წარიმართოს შუამავლების, მაგალითად, მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი პირების საშუალებით. პოლიციამ ყველანაირად უნდა სცადოს ჯგუფის დამშვიდება - კანონის ფარგლებში და სხვათა უფლებების დაცვით. დიალოგი თავიდანვე უნდა დაიწყოს, რომ საკმარისი დრო დაეთმოს. მასში ჩაბმული უნდა იყვნენ სხვა პირებიც, მაგალითად, ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

## უფლებათა ბოროტად გამოყენება: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-17 მუხლი

კონვენციის მე-17 მუხლში ვკითხულობთ:

> " ამ კონვენციაში არაფერი შეიძლება განიმარტოს ისე, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებას, მონაწილეობდეს რაიმე საქმიანობაში ან განახორციელოს რაიმე ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს, არარად აქციოს კონვენციით განსაზღვრული რომელიმე უფლება თუ თავისუფლება, ან შეზღუდოს ის იმაზე მეტად, ვიდრე ამ კონვენციით არის გათვალისწინებული.

მე-17 მუხლის არსებითი დანიშნულებაა "კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა დემოკრატიული ინსტიტუტების თავისუფალი ფუნქციონირებით".[318] ის ძირითადად გამოყენებულია საქმეებში იმ ექსტრემისტული ჯგუფებისა თუ პირების შესახებ, რომლებიც ცდილობდნენ, ძირი გამოეთხარათ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის ან დაეკნინებინათ სხვათა უფლებები.[319]

---

318. *KPD v Germany*, გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, 20 ივლისი, 1957.

319. მაგ: *Refah Partisi (The Welfare Party) and Others v Turkey*, 13 თებერვალი, 2003, §96.

თავი 6

# პროფესიონალური პოლიციის სამსახურის შენარჩუნება

## ევროპის საბჭოს კოდექსი პოლიციის ეთიკის შესახებ

პოლიციელობა პატივსაცემი პროფესიაა, მაგრამ იგი მნიშვნელოვან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მოთხოვნებს უწესებს პოლიციის ოფიცრებს. მათ უმნიშვნელოვანესი პასუხისმგებლობები აკისრიათ, რომელთა შესრულებაც ხშირად რთულ და საშიშ პირობებში უწევთ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია პირდაპირ ეხება პოლიციის ოფიცრებს მათი მოვალეობებისა და ვალდებულებების შესრულებისას. ამავე დროს, პოლიციის ოფიცრები ადამიანის უფლებათა უპირველეს დამცველებად გვევლინებიან. თავიანთი უფლებამოსილების სათანადოდ შესრულებით ისინი არა მხოლოდ დაიცავენ ინდივიდთა უფლებებს, არამედ შექმნიან სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო პირობებსაც.

ევროპის საბჭოს კოდექსი პოლიციის ეთიკის შესახებ მიღებულია 2001 წელს. ეს არის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია[320], რომელიც ადგენს (რეკომენდაციის დანართში) არასავალდებულო პრინციპებს, შექმნილს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გავლენის მოსახდენად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში დადგენილი ბევრი პრინციპი ასახულია პოლიციის ეთიკის კოდექსშიც. მაგალითად, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს დღემდე *ლაიტმოტივად* გასდევს პროპორციულობის განსაკუთრებული მნიშვნელობა პოლიციელთა მიერ კანონით

320. Rec(2001)10 პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსის შესახებ.

ნებადართული უფლებამოსილების გამოყენებისას; მეორე პრინციპია პოზიტიური ვალდებულება - პირთა დაცვა მესამე მხარის უკანონო ქმედებებისაგან; მესამე კი გამოისახება დემოკრატიულ თავისუფლებათა - როგორიცაა პროტესტის გამოხატვა - დაცვით. ყველა ეს პრინციპი ასახულია კოდექსში[321].

კოდექსში ხაზგასმულია პოლიციის სამსახურის ფუნდამენტური პრინციპები დემოკრატიაში: საჯარო სიმშვიდის, კანონისა და წესრიგის შენარჩუნება საზოგადოებაში; ინდივიდის ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა და პატივისცემა; დანაშაულის პრევენცია და აღმოფხვრა; დანაშაულის გამოვლენა; საზოგადოების დახმარება და მისი მომსახურება. ამ მიზნით, პოლიციის ოპერაციები უნდა აკმაყოფილებდეს კანონის უზენაესობის არსებით პირობებს, ანუ ისინი უნდა ჩატარდეს ეროვნული სამართლისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (შიდასახელმწიფოებრივი სამართალი და რეგულაციები უნდა იყოს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, საკმარისად ნათელი და ზუსტი).

პოლიციის ორგანიზაციულმა სტრუქტურამ - "როგორც კანონის უზენაესობის გარანტმა და საზოგადოებისთვის სერვისების მიმწოდებელმა" - ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების პატივისცემის იდეის შექმნასა და შენარჩუნებას[322]. გარდა ამისა, ორგანიზაციულმა ელემენტებმა უნდა გააძლიეროს საჯარო ურთიერთობები და ეფექტიანი თანამშრომლობა სხვა სათანადო უწყებებთან, ადგილობრივ გაერთიანებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა შესაბამის ჯგუფებთან, ეთნიკური უმცირესობათა ჩათვლით. აუცილებელია საკმარისი ფუნქციური დამოუკიდებლობა სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან. გარდა ამისა, ცალსახად უნდა გაიმიჯნოს პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოსა და პენიტენციალური სისტემების ფუნქციები; პოლიციას არ უნდა ჰქონდეს სხვა ორგანოების მაკონტროლებელი ფუნქცია და მკაცრად უნდა სცემდეს პატივს მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. მეორე მხრივ, საჭიროა ფუნქციური და სათანადო თანამშრომლობა პოლიციისა და საზოგადოებრივი პროკურატურის სამსახურებს შორის (და იქ, სადაც შიდასახელმწიფოებრივი სამართლით პოლიცია საზოგადოებრივ პროკურატურას ან გამომძიებელ მოსამართლეს ექვემდებარება, მას ნათელი ინსტრუქცია უნდა მიეცეს დანაშაულის გამოძიების პოლიტიკის პრიორიტეტებსა და ცალკეულ საქმეებში სისხლის სამართლებრივი გამოძიების პროგრესზე). სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში დაცვის ადვოკატებს პატივი უნდა სცენ, პოლიციის ოფიცრებმა კი უზრუნველყონ, რომ ეფექტიანი გახდეს იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის უფლება, განსაკუთრებით მაშინ, როცა პირს აღეკვეთება თავისუფლება.

321. იხ. ქვემოთ დანართი B.

322. პოლიციის ეთიკის კოდექსი, §12.

ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიონალიზმი (კორუფციის აღმოფხვრასთან ერთად). ამგვარად, პერსონალი უნდა დაიქირაონ ობიექტური - და არა დისკრიმინაციული - საფუძვლებზე დაყრდნობით და სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რაც პოლიციის თანამშრომლებს საშუალებას მისცემს, "იყვნენ ჩამოყალიბებული, სამართლიანნი, კომუნიკაბელურნი, ჰქონდეთ ჯანსაღი შეფასების უნარი, ფართო თვალსაწიერი და, სადაც საჭიროა, ლიდერობისა და მენეჯმენტის უნარები". ასევე სასურველია, რომ კარგად ესმოდეთ სოციალური, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები.[323] ტრენინგები (როგორც საწყისი, ისე მიმდინარე) უნდა ეფუძნებოდეს დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტურ ღირებულებებს (განსაკუთრებით კი მოიცავდეს პრაქტიკულ ტრენინგებს ძალის გამოყენებასა და ლიმიტებზე ადამიანის უფლებათა აღიარებულ პრინციპებთან მიმართებით, ასევე სრულად უნდა გაითვალისწინონ რასიზმისა და ქსენოფობიის აღმოფხვრის საჭიროება). კოდექსში ასახულია სახელმძღვანელო მითითებაც ზოგად თუ კონკრეტულ სიტუაციებში პოლიციის ქმედებებსა და ჩარევებზე. ის ეფუძნება ზოგად პრინციპებს, რომლებიც გამოხატავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს. მაგალითად, "პოლიციის თანამშრომლები გულწრფელნი უნდა იყვნენ, პატივისცემას გამოხატავდნენ საზოგადოების მიმართ და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ იმ პირთა მდგომარეობას, რომლებიც მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან.[324] პოლიციელებმა თავისუფლების აღკვეთას "რაც შეიძლება იშვიათად უნდა მიმართონ, მისი აღსრულებისას კი პატივი სცენ თითოეული დაკავებულის ღირსებას, მოწყვლადობას და პირად საჭიროებებს".[325]

## პოლიციის ოფიცერთა უფლებები

აქამდე მსჯელობაში არაერთხელ გაესვა ხაზი პოლიციის ოფიცერთა პასუხისმგებლობებს. ეს გასაგებიცაა, მაგრამ აუცილებელია იმის გაცნობიერებაც, რომ პოლიციის ოფიცრებს აქვთ უფლებებიც. ევროპის საბჭოს კოდექსი პოლიციის ეთიკის შესახებ მოიცავს დებულებებს პოლიციის თანამშრომელთა უფლებებზეც, მათ შორისაა:

- მკაფიო განცხადება, რომ პოლიციის ოფიცრები "სარგებლობენ იმავე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით, როგორიც აქვთ სხვა მოქალაქეებს. ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ

323. Ibid. §23.

324. Ibid. §44.

325. Ibid. §54.

მაშინ, როცა ეს აუცილებელია პოლიციის უფლებამოსილების განსახორციელებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში - კანონის თანახმად და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად"[326].

- განცხადება, რომ პოლიციის ოფიცრები სრულად უნდა სარგებლობდნენ სოციალური და ეკონომიკური უფლებებით, მათ შორის, წარმომადგენლობითი ორგანიზაციების შექმნის, სათანადო ანაზღაურების მიღებისა და სოციალური დაცვის უფლებით.
- დამოუკიდებელი ტრიბუნალის მიერ გამოტანილი ნებისმიერი დისციპლინური გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებით.
- დაუსაბუთებელი ბრალდებებისაგან დაცვის უფლებით.

აუცილებელია ამ დებულებათა ინკორპორირება შიდასამართლებრივ სისტემებში, რათა პოლიციის ოფიცრები სათანადოდ იყვნენ დაცულნი. აქვე მოკლედ განიხილება ამ კოდექსისა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ურთიერთკავშირი.

## პოლიციის ოფიცრები და გაერთიანების თავისუფლება

მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ პოლიციის ოფიცრები სარგებლობენ იმავე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით, როგორითაც სხვა ადამიანები. ერთ-ერთი ამ უფლებათაგანი გაერთიანების თავისუფლებაა. იგი მოიცავს უფლებას, შექმნან და გაერთიანდნენ პროფესიულ კავშირებსა და სხვა წარმომადგენლობით ასოციაციებში. ნებისმიერი ჩარევა ამ უფლებებში კონკრეტულ დასაბუთებას საჭიროებს; ეს უნდა მოხდეს კანონის შესაბამისად და გამომდინარეობდეს ამ ქვეყნის პოლიციის სამსახურის სპეციფიკურობიდან. რაიმე აკრძალვისთვის საკმარისი არ არის ზოგადი საფუძვლის მითითება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ პოლიციის ოფიცრებს აკისრიათ ლოიალურობის, თავშეკავებისა და სიფრთხილის გამოჩენის სპეციალური ვალდებულება.[327] შესაბამისად, პოლიციის ოფიცრებისა და პოლიციელთა წარმომადგენლობითი ასოციაციების ჩარევა პოლიტიკური მოსაზრებათა გამოხატვაში დასაშვებია, თუ იგი "მიზნად ისახავს იმ მოთხოვნის პატივისცემას, რომ პოლიციის ოფიცრებმა თავიანთი მოსაზრებების გამოხატვისას მიუკერძოებლობა გამოავლინონ საზოგადოების

---

326. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (Rec. (2001)10), მიღებული 2001 წლის 19 სექტემბერს, §31.

327. *Trade Union of the Police in the Slovak Republic and Others v Slovakia*, 25 სექტემბერი, 2012, §57 და 69.

თვალში ნდობისა და ავტორიტეტის შესანარჩუნებლად..."[328]

ბევრ ევროპულ ქვეყანაში პოლიციის ოფიცრებს ეკრძალებათ აქტიური მონაწილეობა პოლიტიკაში. ამის მიზეზი ის არის, რომ პოლიცია პოლიტიკურად ნეიტრალური უნდა იყოს, იმ ფაქტის აღიარებით, რომ ის სახელმწიფოს ემსახურება.[329] ეს მტკიცე არგუმენტია ტოტალიტარული წარსულის მქონე ქვეყნებში, სადაც ასეთი რეჟიმები პოლიციის ძალისხმევით განმტკიცდა.

— საქმეში *Rekvenyi v Hungary* სასამართლომ განაცხადა, რომ "დემოკრატიულ პრინციპების შესაბამისია სურვილი - პოლიციის არსებითი როლი საზოგადოებაში არ შეიბღალოს მისი ოფიცრების პოლიტიკური ნეიტრალობის ღღვევით."[330]

## პოლიციის ოფიცრები და ბრალდებები სამართალდარღვევათა შესახებ

ამ სახელმძღვანელოში არსებითი ადგილი ეთმობა იმ საკითხს, რომ საჭიროა დამოუკიდებლად და ეფექტიანად გამოიძიონ სარწმუნო ბრალდებები, გარკვეულ შემთხვევებში, პოლიციის ოფიცერთა სამართალდარღვევების შესახებ. მაგალითად, სახელმწიფოს ეფექტიანი გამოძიების პოზიტიური ვალდებულება ეკისრება, როცა არსებობს სარწმუნო ბრალდება ან სხვა მინიშნება, რომ პირს არასათანადოდ მოეპყრნენ და ეს მოპყრობა მე-3 მუხლის ფარგლებში ხვდება. ეს მე-3 მუხლის ე.წ. "პროცესუალური ასპექტი" ან "პროცესუალური ნაწილია", თუმცა, აღნიშნული ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვა დებულებების თანახმადაც. თუ არასათანადო მოპყრობის სარწმუნო მტკიცებაზე სახელმწიფოს მიერ ჩატარებული გამოძიება არასათანადოდ ჩაითვალა, დადგინდება კონვენციით დაცული გარანტიის დარღვევა. მაშასადამე, გარანტიის "პროცესუალური ნაწილი" პრაქტიკაში ამ გარანტიის ეფექტიანობას განსაზღვრავს. ამ მიზნით, გამოძიება საკმარისად გულმოდგინედ უნდა ჩატარდეს, რითაც შესაძლებელი გახდება ფაქტების დადგენა, პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოძიების ვალდებულება "ორიენტირებულია არა შედეგზე, არამედ საშუალებებზე": აუცილებელი არ არის, ყველა გამოძიება წარმატებით დასრულდეს ან გამოძიების დასკვნები დაემთხვეს მოვლენათა მოსარჩელისეულ ვერსიას;

328. Ibid. §70.

329. *Rekvenyi v Hungary*, 20 მაისი, 1999, §41.

330. Ibid.

მაგრამ პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებით შესაძლებელი გახდეს საქმის გარემოებების დადგენა და, თუ ბრალდებები გამართლდება, პასუხისმგებელი პირთა გამოვლენა და დასჯა".[331]

ანგარიშვალდებულების ეს მოთხოვნა ნიშნავს, რომ შესაძლოა, პოლიციის ოფიცრები გამოძიების ობიექტები გახდნენ - დისციპლინური ან სისხლის სამართალდარღვევების გამო. იყო გამოძიების ობიექტი, ძალზე სტრესული საკითხია, როგორი პროფესიონალურადაც უნდა წარიმართოს გამოძიება და რანაირიც უნდა იყოს სამართალდარღვევა. პოლიციის ოფიცრები, უმეტესად, ისეთივე უფლებებით სარგებლობენ, როგორითაც სხვა პირები, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია გამოძიება, თუ გამოძიების ობიექტი სისხლის სამართალდარღვევაა. როცა დისციპლინური სამართალწარმოების შედეგი სამოქალაქო უფლებებისთვის განმსაზღვრელია (მაგ: სამსახურიდან გათავისუფლება), მე-6 მუხლით დაცული გარანტიები გამოიყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შიდასახელმწიფოებრივი სამართალი მკაფიოდ გამორიცხავს ამგვარ სამართალწარმოებას და ეს აკრძალვა სახელმწიფოს ინტერესებში არსებულ ობიექტურ საფუძვლებს ემყარება".[332] როცა დისციპლინური სამართალწარმოება კონვენციის მე-6 მუხლს მოიცავს (რაც მოითხოვს, რომ პირმა, ვის წინააღმდეგაც მიმდინარეობს სისხლის სამართალწარმოება, სრულად ისარგებლოს საპროცესო უფლებებით - მის მიმართ სამართალწარმოების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად), პირმა დაცვის დამატებითი გარანტიებით უნდა ისარგებლოს მე-6 მუხლთან მიმართებით. ეს გარანტიები მოიცავს:

- ბრალდების დეტალების ცოდნის უფლებას;
- მოწმეთა გამოძახებისა და ჯვარედინი დაკითხვის უფლებას;
- სასამართლოს მიერ მისი საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას;
- უფლებას, ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობები საკუთარი დაცვის მოსამზადებლად.[333]

გარდა ამისა, დაცული უნდა იყოს იმ პირთა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ვის წინააღმდეგაც მიმდინარეობს სისხლის სამართალწარმოება. ეს უფლება გარკვეულ ფარგლებშია მოქცეული და, შესაბამისად, შესაძლებელია მისი შეზღუდვა ზოგიერთ სიტუაციაში. როცა სისხლის

331. *Barabanshchikov v Russia*, 8 იანვარი, 2009, §54.

332. *Vilho Eskelinen and Others v Finland*, 19 აპრილი, 2007, §62.

333. იხ. ზემოთ გვ.90-93. მე-6 მუხლთან დაკავშირებით დამატებითი დეტალების ნახვა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: *http://echr.coe.int/NR/rdonlyres/687924D0-A8FF-4EE7-99C81707A6FCF466/0/DG2ENHRHAND032006.pdf*

სამართალწარმოება მიმართულია პოლიციის ოფიცერთა წინააღმდეგ, მედიას და საზოგადოებას აინტერესებთ საქმის დეტალები. გარდა ამისა, საზოგადოება დაინტერესებულია იმითაც, არსებობს თუ არა დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმი ასეთი საჩივრების გამოსაძიებლად. თუმცა, დაცულობის ან უსაფრთხოების თვალსაზრისით, შესაძლოა, პრობლემები გაუჩნდეთ იმ პოლიციელებს - ან მათ ოჯახებს - რომელთა ვინაობაც გამჟღავნდება. გარდა ამისა, საზოგადოებისათვის პოლიციის ოფიცრის ვინაობის ცოდნაზე მეტად ის არის საინტერესო, რომ ეს ოფიცერი დისციპლინურ ან სისხლის სამართალწარმოებას დაექვემდებარა. წესისამებრ, მე-6 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება საჯარო უნდა იყოს, თუმცა, რიგ სიტუაციებში, გამოვლენილი საფრთხის საფუძველზე და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების თანახმად - რომლებიც სასამართლოს ბრალდებულის ვინაობის დაფარვის შესაძლებლობას აძლევს - პოლიციის ოფიცერთა ვინაობა არ უნდა გამჟღავნდეს.

## პოლიციის ოფიცერთა დაცვა სასამართლოს მიერ მათი სისხლის სამართლის საქმის განხილვისას

სტრასბურგის სასამართლომ დაუშვა, რომ ზოგჯერ, მონაწილე მოწმეთა დასაცავად, შესაძლოა საჭირო გახდეს სპეციალური ღონისძიებები - მაგალითად, მათი ვინაობის დაფარვა ან მათი დაცვა, ვიდრე ისინი სასამართლოში ჩვენებას აძლევენ. ეს ზოგადი გამოყენების წესია, მაგრამ შესაძლოა განსაკუთრებით რელევანტური იყოს პოლიციის ზოგიერთ ოფიცერთან მიმართებით. თუმცა, დაუშვებელია, სიჩქარის გამო ასეთი ღონისძიებებით ჩაერიონ ბრალდებულის ფუნდამენტურ უფლებაში - სასამართლომ მისი საქმე სამართლიანად განიხილოს. ეს საკითხი ზოგადად განიხილება მტკიცებულების დასაშვებობის სამართლიანობასთან მიმართებით. სასამართლომ ძირითადი განმავლობაში საკუთარი მიდგომა შეიმუშავა. ამ იურისპრუდენციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული სასამართლოების შეფასებას - საჭიროა თუ არა მოწმეების ანონიმურად დატოვება. მოწმეთა ანონიმურობის დაცვის გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს ისეთ საფუძვლებს, რომლებიც ცალკეულ საქმეში რელევანტურიც იყო და საკმარისიც იმის საჩვენებლად, რომ მოწმის ინტერესებმა გადაწონეს ბრალდებულის ინტერესები.

— საქმეში *Lüdi v Switzerland* ჩვენებები მისცა საიდუმლო პოლიციის ოფიცერმა, რომლის ვინაობაც უცნობი იყო განმცხადებლისათვის, თუმცა, იგი მას ხუთჯერ შეხვდა. სახელმწიფოს მტკიცებით, არსებითი იყო საიდუმლო აგენტების ანონიმურობის დაცვა, რათა ნარკომოვაჭრეთა გაშიფვრა მოეხერხებინათ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარ გამოძიებებში ჩართული ოფიცრის ანონიმურობის ლეგიტიმური ინტერესი ისე უნდა დაეცვათ,

რომ არ დაზიანებულიყო დაცვის ინტერესები. აღნიშნული ოფიცრის მოწმედ დაკითხვა ამ საქმეში არც მოიწვიეს არც გამომძიებელმა მოსამართლემ და არც საქმის განმხილველმა სასამართლოებმა. მათ არც დაპირისპირება ჩაუტარებიათ, რათა ამ პირის განცხადებები განმცხადებლის მტკიცებებისთვის შეედარებინათ; არც დაცვის მხარეს ჰქონია ოფიცრის დაკითხვის შესაძლებლობა, რომ მისი სანდოობა ეჭვქვეშ დაეყენებინა. ამგვარად, აღნიშნული გარანტია დარღვეულად ჩაითვალა.[334]

— საქმეში *Van Mechelen and Others v the Netherlands* სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა, რადგან დაცვის მხარემ არა მხოლოდ არ იცოდა პოლიციის ოფიცერთა ვინაობა, არამედ მას არც მათ მანერებზე დაკვირვების საშუალება მიეცა პირდაპირი დაკითხვისას. შესაბამისად, არ ჰქონდა მათი სანდოობის გადამოწმების შესაძლებლობა. სახელმწიფომ ვერ შეძლო სასამართლოსთვის დამაკმაყოფილებლად აეხსნა, ასე უკიდურესად რატომ შეზღუდა ბრალდებულის უფლებები; მან ვერ შეძლო დაებალანსებინა ის ბარიერები, რომლებიც დაცვის მხარეს შეექმნა საქმის წარდგენისას. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარ სიტუაციაში პოლიციის ოფიცრის მდგომარეობა "გარკვეულწილად განსხვავდებოდა სხვა არადაინტერესებული მოწმის ან მსხვერპლის მდგომარეობისაგან" - გამოძიებასთან მისი ახლო კავშირის გამო - შესაბამისად, ანონიმური პოლიციელი მოწმისათვის "უნდა მიემართათ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში".[335]

## ხელსაყრელი სამუშაო პირობების უფლება

პოლიციის ოფიცრებს, ისევე როგორც ყველა საჯარო მოხელეს, აქვთ ხელსაყრელი სამუშაო პირობების უფლება, ასევე, უფლება - "უზრუნველყოფილნი იყვნენ სპეციალური სამედიცინო და უსაფრთხოების ღონისძიებებით, პოლიციის სამსახურის სპეციფიკურობის გათვალისწინებით".[336] ეს საჭიროა იმისათვის, რომ პოლიციელთა პროფესია საზოგადოებაში აღიარონ მნიშვნელოვან საქმიანობად, რომლის დაუფლების სურვილიც ბევრს გაუჩნდება. გარდა ამისა, როცა პოლიციის ოფიცრებს აქვთ სათანადო ანაზღაურება, მათი კორუფციაში ჩაბმის ალბათობა ნაკლებია.

334. *Lüdi v Switzerland*, 15 ივნისი, 1992, §44-50.

335. *Van Mechelen and Others v the Netherlands*, 23 აპრილი, 1997, §56-65.

336. პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი, §32.

# დანართი A. CPT-ის სტანდარტები და პოლიცია

როგორც ზემოთ აღინიშნა,[337] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის, CPT-ს, მუშაობა პირდაპირ უკავშირდება პოლიციის ოფიცრების საქმიანობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ამონარიდები CPT-ს სტანდარტების ბოლო კრებულიდან:[338]

a. დაპატიმრება სამართალდამცველი პირების მიერ;
b. ადვოკატზე ხელმისაწვდომობა, როგორც არასათანადო მოპყრობის აღკვეთის საშუალება;
c. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები;
d. თავისუფლებააღკვეთილი ქალები;
e. ელექტრული განმუხტვის იარაღი;
f. დაუსჯელობის აღმოფხვრა.

## a. დაპატიმრება სამართალდამცველი პირების მიერ

### ამონარიდი მე-2 ზოგადი ანგარიშიდან [CPT/Inf (92) 3]

36. CPT განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიციელთა მიერ დაკავებული პირების სამ უფლებას. ესენია: უფლება, პირმა თავისი დაკავების შესახებ საკუთარი სურვილით შერჩეულ მესამე მხარეს შეატყობინოს (ოჯახის წევრს, მეგობარს, საკონსულოს); ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება; და უფლება, მოითხოვოს, რომ სამედიცინო შემოწმება მის მიერ შერჩეულმა ექიმმა ჩაუტაროს (ნებისმიერი სამედიცინო შემოწმების პარალელურად, რომელსაც ჩაატარებს პოლიციის მიერ გამოძახებული ექიმი).[339] ეს

337. იხ. გვ.24, 51 და 100

338. ამონარიდი CPT/Inf/E (2002) 1 - Rev. 2011.

339. ამ უფლებას მოგვიანებით შემდეგი ფორმულირება მიეცა: ექიმზე ხელმისაწვ-

უფლებები, CPT-ს აზრით, დაცვის სამი ყველაზე ფუნდამენტური გარანტიაა დაკავებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ და მან ამ უფლებებით სარგებლობა თავისუფლების აღკვეთისთანავე უნდა დაიწყოს, იმის მიუხედავად, როგორ აღწერს მას შესაბამისი სამართლებრივი სისტემა (შეპყრობა, დაკავება და სხვა).

37. პოლიციაში დაკავებულ პირებს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ მათი ყველა უფლების შესახებ, 36-ე პუნქტში ჩამოყალიბებული უფლებების ჩათვლით. ამას გარდა, ხელისუფლების ორგანოთა ნებისმიერი შესაძლებლობა, ამ უფლებათაგან რომელიმეს გამოყენება დააყოვნოს მართლმსაჯულების ინტერესების დაცვის მიზნით, უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, ამ შესაძლებლობით სარგებლობა კი - დროში მკაცრად შეზღუდული. რაც შეეხება ადვოკატზე ხელმისაწვდომობისა და საკუთარი სურვილით შერჩეული ექიმის მიერ შემოწმების უფლებებს, ისეთ სისტემებში, სადაც, გამონაკლისის სახით, ადვოკატებისა და ექიმების ამორჩევა შესაძლებელია შესაბამის პროფესიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებული, წინასწარ შედგენილი სიიდან, ამ უფლებებით სარგებლობის დაყოვნების საჭიროება იკარგება.

38. საპოლიციო პატიმრობაში პირთა ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება გულისხმობს როგორც ადვოკატთან დაკავშირებას, ასევე ადვოკატის მიერ მონახულებას (ორივე შემთხვევაში მათი საუბრების კონფიდენციალობის დაცვით). იგი ასევე მოიცავს პირის უფლებას - მის დაკითხვას დაესწროს ადვოკატი.

რაც შეეხება პირთა სამედიცინო შემოწმებას საპოლიციო პატიმრობისას, ყველა ასეთი შემოწმება უნდა ჩატარდეს ისე, რომ პოლიციელები ვერ ისმენდნენ და, სასურველია, ვერც ხედავდნენ ამ პროცესს. გარდა ამისა, ექიმმა ოფიციალურ ოქმში უნდა დააფიქსიროს ამ შემოწმებების შედეგები, ასევე, დაკავებულის განცხადებები და საკუთარი დასკვნები. ეს ოქმი ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაკავებულისა და მისი ადვოკატისათვის.

39. დაკითხვის პროცესთან დაკავშირებით, CPT მიიჩნევს, რომ უნდა არსებობდეს ნათელი წესები ან სახელმძღვანელო პრინციპები, რითაც პოლიცია იხელმძღვანელებს დაკითხვებისას. ისინი უნდა მოიცავდეს *inter alia* შემდეგ საკითხებს: დაკავებულის ინფორმირება იმ პირთა ვინაობის შესახებ (სახელი და/ან ნომერი), რომლებიც დაკითხვას ესწრებიან; და-

---

დომობის უფლება, იმის ჩათვლით, რომ იგი შეამოწმოს მის მიერვე შერჩეულმა ექიმმა, თუ დაკავებულ პირს ამის სურვილი ექნება (პოლიციისგან გამოძახებული ექიმის მიერ ჩატარებული ნებისმიერი სამედიცინო შემოწმების პარალელურად).

დაკითხვისთვის დასაშვები დროის ხანგრძლივობა; დაკითხვებს შორის შესვენების ინტერვალები; ადგილები, სადაც შესაძლოა დაკითხვები ჩატარდეს; უნდა იდგეს თუ არა დაკავებული შეკითხვებზე პასუხის გაცემისას; იმ პირთა დაკითხვა, რომლებიც ნარკოტიკის, ალკოჰოლის ან სხვა ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან. ასევე აუცილებელია, რომ მუდმივად ინახებოდეს ჩანაწერი, სადაც ასახული იქნება: ინტერვიუს დაწყებისა და დასრულების დრო; დაკავებულის მიერ დაკითხვისას გამოთქმული ნებისმიერი მოთხოვნა; და ყველა ის პირი, რომლებიც დაესწრნენ დაკითხვის პროცესს.

CPT აცხადებს, რომ პოლიციელთა დაკითხვების ელექტროჩანაწერის გაკეთება დამატებითი გარანტიაა დაკავებულთა არასათანადო მოპყრობისაგან დასაცავად (ისევე, როგორც მნიშვნელოვანი უპირატესობა პოლიციისათვის).

40. CPT მიიჩნევს, რომ საპოლიციო პატიმრობაში მყოფ პირთა ფუნდამენტური გარანტიები განმტკიცდება (პოლიციელებს კი, სავარაუდოდ, საქმე შეემსუბუქდებათ), თუ თითოეული დაკავებულის შესახებ იარსებებს ერთადერთი და ყოვლისმომცველი საპატიმრო ოქმი, სადაც მისი პატიმრობის ყველა ასპექტი და მის მიმართ გატარებული ყველა ღონისძიება ჩაიწერება (როდის და რა საფუძვლით აღეკვეთა თავისუფლება; როდის გააცნეს უფლებები; სხეულზე ნაპოვნი დაზიანებები, სულიერი ავადმყოფობა და ა.შ; როდის დაუკავშირდა იგი უახლოეს ნათესავებს/საკონსულოს და ადვოკატს და როდის მოინახულეს მათ; როდის მიაწოდეს საკვები; როდის დაიკითხა; როდის გადაიყვანეს ან გაათავისუფლეს იგი და ა.შ.). დაკავებულს ხელი უნდა მოაწერინონ სხვადასხვა ჩანაწერზე (მაგ: პირის მფლობელობაში არსებული ნივთების ჩამონათვალი; ფაქტი, რომ მას უფლებები გააცნეს და მან გამოიყენა ან უარი თქვა მათზე). საჭიროებისას ასეთი ხელმოწერის არარსებობა უნდა აიხსნას. გარდა ამისა, დაკავებულის ადვოკატს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ამ საპატიმრო ოქმზე.

41. გარდა ამისა, დაცვის არსებითი გარანტიაა დამოუკიდებელი მექანიზმის არსებობა იმ საჩივრების განსახილველად, რომლებიც შეეხება მოპყრობას საპოლიციო პატიმრობისას.

42. საპოლიციო პატიმრობა შედარებით ცოტა ხანს გრძელდება. შესაბამისად, ვერ მოვითხოვთ, რომ პატიმრობის პირობები პოლიციის დაწესებულებებში ისეთივე კარგი იყოს, როგორიც სხვა საპატიმრო დაწესებულებებში, სადაც დაკავებულ პირებს გრძელი ვადით ათავსებენ. თუმცა, აუცილებელია, რომ დაცული იყოს ელემენტარული მატერიალური მოთხოვნები.

პოლიციის საკნის ზომა გონივრულად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანთა იმ რაოდენობას, რომელზეც არის გათვლილი; მას უნდა ჰქონდეს სათა-

ნადო - უმჯობესია ბუნებრივი - განათება (მაგ: კითხვისთვის, ოღონდ არა ძილის საათებში) და ვენტილაცია; გარდა ამისა, საკნებში უნდა იდგეს მოსასვენებელი საშუალებები (მაგ: დაფიქსირებული ერთ ან რამდენიმეადგილიანი სკამი), იმ პირებისათვის კი, რომლებიც იძულებულნი არიან, იქ ღამე გაათენონ, გამოყოფილი უნდა იყოს სუფთა ლეიბები და საბნები.

საპატიმროში მყოფ პირებს ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სუფთა და დასაშვებ პირობებში უნდა უწევდეთ და ხელი მიუწვდებოდეთ ჰიგიენის სათანადო საშუალებებზე. მათ საკვები შესაბამის დროებში უნდა მიაწოდონ. რაციონში ყოველდღიურად უნდა შედიოდეს ერთი სრული სადილი (მაგ: უფრო მსუყე, ვიდრე სენდვიჩია).[340]

43. სხვა საკითხია, რა მიიჩნევა გონივრულ ზომად პოლიციის საკნისთვის (ან რაიმე სხვა ტიპის საპოლიციო ოთახისთვის, რომელიც განკუთვნილია დაკავებულთა/პატიმართა მოსათავსებლად). ამ საკითხის შეფასებისას ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი, თუმცა, CPT-ს დელეგაცია მიხვდა, რომ ამასთან დაკავშირებით საჭიროა არსებობდეს ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები. ამჟამინდელი კრიტერიუმებით, იმ ერთადგილიანი საპოლიციო საკნის ფართობი, სადაც დაკავებულებს რამდენიმე საათზე მეტხანს ათავსებენ, უნდა იყოს 7$м^2$, კედლებს შორის 2 ან მეტი მეტრი უნდა იყოს, იატაკიდან ჭერამდე კი - 2.5 მ.

## ამონარიდი მე-6 ზოგადი ანგარიშიდან [CPT/Inf (96) 21]

14. CPT მიესალმება მისი მუშაობისადმი მხარდაჭერას, რომელიც გამოხატულია საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციაში 1257 (1995) ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით. ის განსაკუთრებით კმაყოფილია ინფორმაციით, რომელიც შეიტყო 1257 რეკომენდაციაზე პასუხიდან: მინისტრთა კომიტეტმა წევრ სახელმწიფოთა ხელისუფლების ორგანოებს მოუწოდა, შეასრულონ სახელმძღვანელო პრინციპები საპოლიციო პატიმრობის შესახებ, რომლებიც დადგენილია CPT-ს მე-2 ზოგად ანგარიშში (cf. CPT/Inf (92) 3, § 36- 43).

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის წევრი ზოგიერთი სახელმწიფო არ ასრულებს CPT-ის ზოგ რეკომენდაციას საპოლიციო

340. CPT ადვოკატირებას უწევს იმ აზრს, რომ ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე გაასეირნონ ის დაკავებულები, რომლებსაც საპოლიციო პატიმრობაში 24 საათის ან უფრო მეტი ხნის განმავლობაში უწევთ დარჩენა.

პატიმრობაში მყოფ პირთა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარან-ტიების შესახებ - სახელდობრ, რეკომენდაციას, რომ ამ პირებმა დაკავები-სთანავე შეძლონ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების გამოყენება.

15. CPT ხაზს უსვამს, რომ მისი პრაქტიკიდან გამომდინარე, დამცირებისა და ფიზიკური ძალადობის/არასათანადო მოპყრობის საფრთხე ყველაზე დიდია სწორედ თავისუფლების აღკვეთის შემდგომ. შესაბამისად, პოლიციის გან-ყოფილებაში გადაყვანილი პირებისათვის ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების გამოყენება არსებითი გარანტიაა არასათანადო მოპყრობის წინააღ-მდეგ. ეს შესაძლებლობა გადაარწმუნებს მათ, ვისაც ასეთი მოპყრობა აქვს განზრახული დაკავებულის მიმართ; ამას გარდა, ადვოკატი უკეთ შეძლებს სა-თანადო ზომების მიღებას არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში.

CPT აღიარებს, რომ მართლმსაჯულების ინტერესების დასაცავად, გამონაკ-ლისის სახით, ზოგჯერ შესაძლოა აუცილებელი გახდეს დაკავებულის მიერ შერჩეულ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის დაყოვნება გარკვეული ვადით. თუმ-ცა, ამან არ უნდა გამოიწვიოს აღნიშნული უფლების უგულებელყოფა მთელ განსახილველ პერიოდში. ასეთ შემთხვევებში პირს უნდა მიეცეს საშუალება, დაუკავშირდეს სხვა დამოუკიდებელ ადვოკატს, რომელიც სანდო იქნება და საფრთხეს არ შეუქმნის საპოლიციო გამოძიების ლეგიტიმურ ინტერესებს.

16. CPT-მ მე-2 ზოგად ანგარიშში ხაზი გაუსვა იმასაც, რომ პოლიციის განყოფილებაში გადაყვანილ პირებს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ მათი უფლებების შესახებ.

CPT-ს აზრით, ამისათვის პოლიციამ დაკავების მომენტიდანვე სისტემატუ-რად უნდა გადასცეს პირებს ფორმა, რომელშიც ნათლად იქნება ჩამოყალიბე-ბებული მათი უფლებები. გარდა ამისა, ამ პირებმა ხელმოწერით უნდა დაადასტურონ, რომ ეცნობათ თავიანთი უფლებების შესახებ.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები ადვილი შესასრულებელია, იაფია და ეფექტიანი.

## ამონარიდი მე-12 ზოგადი ანგარიშიდან [CPT/Inf (2002) 15]

33. საზოგადოების ჯანსაღ ფუნქციონირებისათვის არსებითია, რომ პოლიციას ჰქონდეს უფლებამოსილება - შეიპყროს, დროებით დააკავოს და დაკითხოს სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი და სხვა კატ-ეგორიის პირები. თუმცა, ეს უფლებამოსილება თავისთავად წარმოშობს დამცირებისა და ფიზიკური ძალადობის საფრთხეს. CPT-ს საქმიანობის

არის სწორედ გზების ძიებაა ამ საფრთხის მინიმუმამდე შესამცირებლად - ისე, რომ პოლიციას ხელი არ შეეშალოს თავისი მოვალეობების სათანადოდ შესრულებაში. რამდენიმე ქვეყანაში პოზიტიური ცვლილებები აღინიშნა საპოლიციო პრაქტიკის სფეროში; თუმცა, CPT თავის დასკვნებში ხშირად უსვამს ხაზს ამ ძალისხმევის გაგრძელების საჭიროებას.

34. **სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილთა დაკითხვა** შესაბამისი სპეციალისტების საქმეა, რისი დამაკმაყოფილებლად შესრულებაც სპეციალურ ტრენინგებს საჭიროებს. უპირველესად, აბსოლუტურად ნათელი უნდა იყოს *ამგვარი დაკითხვის ზუსტი მიზანი* - სარწმუნო ინფორმაციის მიღება გამოსაძიებელი საკითხის შესახებ სიმართლის დასადგენად, და არა აღიარების მოპოვება პირისგან, რომელიც დაკითხვის წარმმართველ ოფიცერთა თვალში უკვე დამნაშავეა. იმისათვის, რომ სამართალდამცველი პირები ზემოხსენებული მიზნისთვის მოქმედებდნენ, სათანადო ტრენინგების ორგანიზების გარდა, აუცილებელია ქცევის კოდექსის შექმნა სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილთა დაკითხვისთვის.

35. რამდენიმე წლის CPT-ს დელეგაციებს საშუალება აქვთ, ბევრ დაკავებულს გაესაუბრონ სხვადასხვა ქვეყანაში. ეს ადამიანები სარწმუნოდ ჩიოდნენ, რომ გახდნენ ფიზიკური ძალადობის ან სხვაგვარი დამცირებისა თუ ზეწოლის მსხვერპლნი პოლიციის ოფიცრების მხრიდან, რომლებიც ცდილობდნენ, მათგან აღიარებითი ჩვენებები მიეღოთ დაკითხვისას. ცხადია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, სადაც პრემიაა დანესებული *აღიარებითი მტკიცებულების* მოპოვებაზე, ქმნის საფუძველს, რომ დანაშაულის გამოძიებაში ჩართულმა ოფიცრებმა - რომლებიც ხშირად ზეწოლას განიცდიან შედეგის მისაღწევად - ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობას მიმართონ. წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აღკვეთისათვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია დანაშაულის გამოძიების ისეთი მეთოდების ჩამოყალიბება, რომლებისთვისაც არსებითი აღარ იქნება აღიარებითი ჩვენებები და დაკითხვით მოპოვებული სხვა მტკიცებულებები თუ ინფორმაცია ბრალდებულის მსჯავრდებისათვის.

36. **პოლიციელთა მიერ დაკითხვების ელექტრონული ფორმით (ვიდეო და აუდიო) ჩაწერა** - მნიშვნელოვანი დამატებითი გარანტიაა დაკავებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ. CPT კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ასეთი სისტემების დანერგვა სულ უფრო მეტ ქვეყანაში განიხილება. ამ საშუალებით უზრუნველყოფილია დაკითხვის პროცესის სრული და ავთენტიკური ჩანაწერის არსებობა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი ბრალდების გამოძიებას. ეს ორივე მხარის ინტერესებშია - როგორც პირის, ვინც აცხადებს რომ არასათანადოდ

მოეპყრნენ, ასევე პოლიციელების, რომლებსაც უსაფუძვლო ბრალდებებს უყენებენ მათი მხრიდან ფიზიკური ძალადობის ან ფსიქოლოგიური ზეწოლის შესახებ. საპოლიციო დაკითხვის ელექტრონული ოქმები ასევე ამცირებს შესაძლებლობას, ბრალდებულმა მოგვიანებით ცრუ ჩვენება მისცეს და უარყოს კონკრეტული ბრალდებები.

37. CPT-ს არაერთხელ და არაერთ ქვეყანაში აღმოუჩენია ძალზე დამამცირებელი სახის **დაკითხვის ოთახები**: მაგალითად, მთლიანად შავად შეღებილი ოთახები, რომლებშიც განათება მიმართულია იმ ადგილისკენ, სადაც დასაკითხი პირი ზის. ამგვარი ოთახები პოლიციის სამსახურში არ უნდა არსებობდეს.

გარდა იმისა, რომ ოთახს უნდა ჰქონდეს სათანადო განათება, გათბობა და ვენტილაცია, დაკითხვის ყველა მონაწილე უნდა იჯდეს ერთნაირ და თანაბრად კომფორტულ სკამზე. ოფიცერი, რომელიც დაკითხვას აწარმოებს, არ უნდა იჯდეს მოშორებით, გამორჩეულ ან ამაღლებულ ადგილას (ექვმიტანილთან შედარებით). ოთახი შეღებილი უნდა იყოს ნეიტრალურ ფერებში.

38. ზოგიერთ ქვეყანაში CPT წააწყდა საპოლიციო პატიმრობაში მყოფ პირთა **თვალის ახვევის** პრაქტიკას - კერძოდ, დაკითხვებისას. CPT-ს დელეგაციებმა სხვადასხვა, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი განმარტებები მიიღეს პოლიციის ოფიცრებისგან ამ პრაქტიკის მიზნებთან დაკავშირებით. წლების განმავლობაში მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, CPT-სთვის ნათელია: უმეტეს შემთხვევებში დაკავებულებს თვალს უხვევენ იმიტომ, რომ ვერ შეძლონ სამართალდამცველი პირების ამოცნობა, რომლებიც მათ არასათანადოდ ეპყრობიან. რაც პირზე ფიზიკურად არ ძალადობენ, მისთვის თვალის ახვევა - პატიმრობისას და, განსაკუთრებით, დაკითხვისას - დაჩაგვრის ფორმაა, რომლის ეფექტიც ხშირად ფსიქოლოგიურ ძალადობას უტოლდება შესაბამისი პირის მიმართ. CPT-ს რეკომენდაციით, საპოლიციო პატიმრობაში პირებისათვის თვალის ახვევა ცალსახად უნდა აიკრძალოს.

39. CPT-სთვის უჩვეულო არ არის **საეჭვო ნივთების** პოვნა პოლიციის შენობებში (როგორიცაა: ხის ჯოხები, ცოცხის ტარები, ბეისბოლის ჯოხები, მეტალის წნელები, მსხვილი ელექტროკაბელები, ცეცხლსასროლი იარაღების ან დანების იმიტაციები). ამგვარი ნივთების არსებობამ არაერთხელ გახადა სარწმუნო CPT-ს დელეგაციის მიერ მიღებული საჩივრები, რომ ამ დაწესებულებებში პირებს აშინებდნენ და/ან სცემდნენ ამ საგნებით.

ასეთ საგნებთან დაკავშირებით, პოლიციის ოფიცრების განმარტება ერთნაირია - მათ ეს საგნები ეჭვმიტანილი პირებისაგან ამოიღეს და მტკიცებულებად გამოიყენებდნენ. ის ფაქტი, რომ ნივთები დალუქული არ არის და

ხშირად მიმოფანტულია შენობაში (ზოგჯერ ფაილების ან კარადის უკან დევს) საეჭვოს ხდის ზემოხსენებულ განმარტებას. პოლიციის ოფიცრების მხრიდან არასათანადო ქცევაზე სპეკულაციების გასაფანტად და დაკავებული პირებისათვის პოტენციური საფრთხის წყაროების გასაქრობად, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებები ყოველთვის სათანადოდ უნდა დაილუქოს, აღინიშნოს და ინახებოდეს მათთვის განკუთვნილ სათავსოში. სხვა ზემოხსებეული საგნები კი პოლიციის დაწესებულებებიდან უნდა გაიტანონ.

40. თავისი საქმიანობის დასაწყისიდანვე, CPT ადვოკატირებას უწევდა სამ უფლებას, რომლითაც პოლიციის მიერ დაკავებულ პირებს უნდა ესარგებლათ. ესენია: **ადვოკატსა და ექიმზე ხელმისაწვდომობის უფლება; და უფლება, დაკავების შესახებ შეატყობინოს თავისი სურვილით შერჩეულ ნათესავს ან სხვა მესამე მხარეს**. CPT-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით, ბევრ ქვეყანაში გადაიდგა ნაბიჯები ამ უფლებების დასაწესებლად ან გასამყარებლად. უფრო კონკრეტულად, საპოლიციო პატიმრობისას ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება უკვე ფართოდაა აღიარებული იმ ქვეყნებში, სადაც CPT ვიზიტით იმყოფებოდა; ზოგიერთში კი, სადაც ეს უფლება ჯერ არ არსებობს, იგეგმება მისი დაწესება.

41. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, გარკვეულწილად ეწინააღმდეგებიან CPT-ს რეკომენდაციას, რომ **ადვოკატზე ხელმისაწვდომობა**[341] დაკავებისთანავე იყოს გარანტირებული. ზოგ ქვეყანაში პოლიციის მიერ დაკავებულ პირებს ამ უფლებით სარგებლობის საშუალება საპატიმროში გარკვეული დროის გატარების შემდეგ ეძლევათ. სხვა ქვეყნებში უფლება ქმედითი ხდება, როცა დაკავებული პირი "ეჭვმიტანილის" სტატუსს იძენს.

CPT-მ არაერთხელ აღნიშნა რომ, მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, პირის თავისუფლების აღკვეთიდან დამცირებისა და ფიზიკური ძალადობის ყველაზე დიდი საფრთხე არსებობს. შესაბამისად, პოლიციაში გადაყვანილ პირთა შესაძლებლობა - ამ პერიოდში ხელი მიუწვდებოდეთ თავიანთ ადვოკატზე - ფუნდამენტური გარანტიაა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ. ამ შესაძლებლობის არსებობა აზრს შეაცვლევინებს მათ, ვისაც დაკავებულ პირთა მიმართ ძალადობა ჰქონდა განზრახული; გარდა ამისა, ადვოკატს შესაძლებლობა მიეცემა, შესაბამისად იმოქმედოს არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში. CPT აღიარებს, რომ წინასწარი გამოძიების კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლოა საჭირო

341. CPT-მ მოგვიანებით გამოაქვეყნა უფრო დეტალური თავი "ადვოკატზე ხელმისაწვდომობის, როგორც არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის საშუალების შესახებ": იხ. 21-ე ზოგადი ანგარიშის § 18-25 (CPT/Inf (2011) 28).

გახდეს დაკავებულის მიერ შერჩეულ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის დაყოვნება. თუმცა, ამან არ უნდა გამოიწვიოს ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა მთელ განსახილველ პერიოდში. ასეთ შემთხვევაში პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს სხვა დამოუკიდებელ ადვოკატზე.

ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება გულისხმობს მასთან სხვების დაუსწრებლად დალაპარაკების უფლებას. შესაბამისი პირი უფლებამოსილი უნდა იყოს, რომ მის ნებისმიერ საპოლიციო დაკითხვას ადვოკატი ესწრებოდეს. ბუნებრივია, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს პოლიციას, დაკავებული პირი გადაუდებელ საკითხებთან დაკავშირებით დაკითხოს - თუნდაც ადვოკატის დაუსწრებლად (რომელსაც შესაძლოა დაუყოვნებლივ არ ეცალოს) - ან საქმეს ჩამოაშოროს ადვოკატი, რომელიც აფერხებს დაკითხვის სათანადოდ ჩატარებას.

CPT-მ ასევე ხაზი გაუსვა, რომ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლებით უნდა ისარგებლოს არა მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილმა, არამედ ნებისმიერმა სხვა პირმა, რომელსაც კანონი ავალდებულებს პოლიციის განყოფილებაში მისვლას, მაგალითად, "მოწმის" სახით.

გარდა ამისა, ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება პრაქტიკაში ეფექტიანად რომ გამოიყენებოდეს, საჭიროა სათანადო ღებულებების მიღება იმ პირთათვის, რომლებსაც ადვოკატის მომსახურების ანაზღაურება არ შეუძლიათ.

42. საპოლიციო პატიმრობაში პირები უნდა სარგებლობდნენ აღიარებული უფლებით - **ხელი მიუწვდებოდეთ ექიმზე**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ექიმი დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახონ, როცა პირი სამედიცინო შემოწმებას ითხოვს; პოლიციის ოფიცრებმა არცერთი ასეთი მოთხოვნა რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვონ. ამასთანავე, ექიმზე ხელმისაწვდომობის უფლება გულისხმობს, რომ დაპატიმრებული პირი, თუკი ამის სურვილი ექნება, შეამოწმოს მის მიერ შერჩეულმა ექიმმა (პოლიციის მიერ გამოძახებული ექიმის სამედიცინო შემოწმების პარალელურად).

საპოლიციო პატიმრობაში პირებს სამედიცინო შემოწმება უნდა ჩაუტარდეთ ისე, რომ სამართალდამცველი პირები ვერც ისმენდნენ და - თუ კონკრეტულ შემთხვევაში ექიმი სხვაგვარად არ ითხოვს - ვერც ხედავდნენ ამ პროცესს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ პირებს, რომლებსაც საპოლიციო პატიმრობიდან ათავისუფლებენ მოსამართლის წინაშე წარდგენის გარეშე, უფლება ჰქონდეთ, მოითხოვონ სამედიცინო შემოწმება/ცნობა, აღიარებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტისაგან.

43. დაკავებული პირი საპოლიციო პატიმრობაში მოხვედრიდანვე უნდა სარგებლობდეს **უფლებით - თავისი დაკავების ფაქტი მესამე მხარეს შეატყობინოს.** CPT, რა თქმა უნდა, აღიარებს, რომ ამ უფლებით სარგებლობა შესაძლოა გარკვეულ შეზღუდვებს დაექვემდებაროს, წინასწარი გამოძიების კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით. თუმცა, ამგვარი შეზღუდვები უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული, დროში მკაცრად შეზღუდული და მათ გამოყენებას უნდა ახლდეს დაცვის სათანადო გარანტიები (მაგ: მესამე პირისათვის დაკავების შესახებ შეტყობინების დაგვიანება უნდა დაფიქსირდეს წერილობითი ოქმის სახით, შესაბამისი მიზეზების მითითებით, და ის უნდა დაამტკიცოს პოლიციის ზემდგომმა ოფიცერმა, რომელიც საქმესთან ან პროკურორთან დაკავშირებული არ არის).

44. თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებებს მცირე მნიშვნელობა ექნება, თუ ამ პირებს მათი არსებობის შესახებ არ ეცოდინებათ. შესაბამისად, იმპერატიული მოთხოვნაა, პოლიციის განყოფილებაში გადაყვანილ პირებს დაუყოვნებლივ და მათთვის გასაგებ ენაზე **ნათლად განემარტოთ თავიანთი უფლებები**. ამისათვის პირებს დაკავების მომენტშივე უნდა გადაეცეთ ფორმა, რომელშიც გასაგებად იქნება ჩამოყალიბებული მათი უფლებები. გარდა ამისა, დაკავებულებმა ხელი უნდა მოაწერონ განცხადებას, რომლითაც დაადასტურებენ ინფორმაციის მიღებას თავიანთი უფლებების შესახებ.

45. CPT-მ რამდენჯერმე გაუსვა ხაზი **სასამართლო და საპროკურორო ორგანოების როლს** პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის საქმეში.

მაგალითად, პოლიციელების მიერ დაკავებული პირის წინასწარი პატიმრობის საკითხს წყვეტს მოსამართლე, რომლის წინაშეც ამ პირს წარადგენენ; CPT-მ მოინახულა რამდენიმე ქვეყანა, სადაც ამ წესს არ მიმართავენ. მოსამართლის წინაშე წარდგენით, სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ პირს, რომელსაც არასათანადოდ მოეპყრნენ, საშუალება ეძლევა, საჩივარი დააფიქსიროს ამის შესახებ. ამასთანავე, საჩივრის არარსებობის შემთხვევაში, თუ მოსამართლე შეამჩნევს საეჭვო გარემოებებს, რომლებიც შეიძლება არასათანადო მოპყრობაზე მიანიშნებდეს (მაგ: თვალსაჩინო დაზიანებები; პირის ზოგადი გამომეტყველება ან საქციელი), მას დროული რეაგირების საშუალება ეძლევა.

ბუნებრივია, მოსამართლემ შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადადგას, როცა არსებობს მინიშნება პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე. ამასთან დაკავშირებით, როცა საპოლიციო პატიმრობის მიწურულს სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი წარდგება მოსამართლის წინაშე,

მოსამართლე ვალდებულია, ოქმში დააფიქსიროს ბრალდებები, დაუყოვნებლივ დანიშნოს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა და საქირო ზომების მიღებით უზრუნველყოს ამ ბრალდებათა სათანადოდ გამოძიება. მოსამართლის მიერ ასეთი ღონისძიებების გატარება აუცილებელია - იმის მიუხედავად, აღენიშნება თუ არა პირს გარეგანი დაზიანებები. გარდა ამისა, მაშინაც, როცა არ არსებობს ბრალდება არასათანადო მოპყრობის შესახებ, მოსამართლემ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა უნდა დანიშნოს, თუკი სხვა საფუძვლები დააეჭვებს, რომ მის წინაშე წარმდგარი პირი ამგვარი მოპყრობის მსხვერპლია.

სასამართლომ და სხვა შესაბამისმა ორგანოებმა გულისხმიერად უნდა შეისწავლონ ყველა საჩივარი სამართალდამცველი პირების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ და, საჭიროებისას, სათანადო სანქციებიც დააწესონ, რასაც ძლიერი აღმკვეთი ეფექტი აქვს. საპირისპიროდ, თუ ხელისუფლების ორგანოები ეფექტიან რეაგირებას არ მოახდენენ მათთვის გადაცემულ საჩივრებზე, სამართალდამცველი პირები, რომელთაც განზრახული აქვთ არასათანადო მოპყრობა მათ კონტროლქვეშ მყოფი პირების მიმართ, ემალ დაიჯერებენ, რომ ამისათვის არ დაისჯებიან.

46. ზოგჯერ შესაძლოა საქირო გახდეს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის დამატებითი დაკითხვა პოლიციელების მიერ. CPT მიიჩნევს, რომ არასათანადო მოპყრობის აღკვეთის თვალსაზრისით, გაცილებით უკეთესია, ასეთი დაკითხვა ჩატარდეს ციხის დაწესებულებაში და არა პოლიციის შენობებში. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების პოლიციის შენობაში გადაყვანა დამატებით დასაკითხად მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი და ნებადართული, როცა ეს აბსოლუტურად გარდაუვალია. ასევე, აქსიომაა, რომ ასეთ გამონაკლის შემთხვევებში იგი უნდა სარგებლოდეს 40-43-ე პარაგრაფებში მოყვანილი სამი უფლებით.

47. საპოლიციო პატიმრობა შედარებით ცოტა ხანს გრძელდება (ან უნდა გრძელდებოდეს). მიუხედავად ამისა, **პოლიციის საკნებში პატიმრობის პირობები** *საბაზისო მოთხოვნებს* უნდა აკმაყოფილებდეს.

პოლიციის ყველა საკანი უნდა იყოს სუფთა, გონივრული ზომის[342] და შეესაბამებოდეს პატიმართა იმ რაოდენობას, რომელზეც არის გათვლილი; მას უნდა ჰქონდეს სათანადო განათება (მაგ: კითხვისთვის საკმარისი, ძილის საათების გამოკლებით); სასურველია, საკნებში აღწევდეს დღის

342. პოლიციის საკნების ზომასთან დაკავშირებით, იხ. მე-2 ზოგადი ანგარიშის §43. (CPT/Inf (92) 3).

სინათლე; გარდა ამისა, იქ უნდა იდგეს მოსასვენებელი საშუალებები (მაგ: დაფიქსირებული ერთ ან რამდენიმეადგილიანი სკამი); იმ პირთათვის, რომლებიც იძულებულნი არიან, ამ საკნებში ღამე გაათენონ, გამოყოფილი უნდა იყოს სუფთა ლეიბები და საბნები. საპატიმროში პირებს ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სუფთა და დასაშვებ პირობებში უნდა უნევდეთ და ჰქონდეთ სათანადო ჰიგიენური საშუალებები; სასმელ წყალზე ხელი მუდმივად უნდა მიუწვდებოდეთ, საკვები კი შესაბამის დროებში ეძლეოდეთ; რაციონში ყოველდღიურად უნდა შედიოდეს ერთი სრული სადილი (მაგ: უფრო მსუყე, ვიდრე სენდვიჩია); საპოლიციო პატიმრობაში 24 საათით ან მეტი ხნით მოთავსებულ პირებს, შეძლებისდაგვარად, ყოველდღიურად უნდა ჰქონდეთ სუფთა ჰაერზე გასეირნების საშუალება.

CPT-ს დელეგაციების მიერ მონახულებულ პოლიციის დაწესებულებათაგან ბევრი ამ მინიმალურ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს. ეს განსაკუთრებით საზიანოა იმ პირებისათვის, რომლებიც შემდგომ მართლმსაჯულების ორგანოს წინაშე წარდგებიან; ხშირად მათ მოსამართლის წინაშე წარადგენა უნევთ მას შემდეგ, რაც ასეთ ჭუჭყიან და სტანდარტების შეუსაბამო საკნებში ერთ ან მეტ დღეს გაატარებენ, სათანადო დასვენების, საკვების და დაბანის შესაძლებლობის გარეშე.

48. მოვლის ვალდებულება, რომელიც პოლიციას აკისრია მის საპატიმროებში მოთავსებულ პირებთან მიმართებით, მოიცავს მათი *უსაფრთხოებისა და ფიზიკური მდგრადობის* პასუხისმგებლობასაც. საპატიმრო ადგილების სათანადო მონიტორინგი პოლიციისთვის დაკისრებული მოვლის ვალდებულების არსებითი ნაწილია. სათანადო ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ საპოლიციო პატიმრობისას პირებს ყოველთვის ჰქონდეთ რეჟიმის სამსახურის თანამშრომლებთან კონტაქტის საშუალება.

CPT-ს დელეგაციებმა რამდენჯერმე აღმოაჩინეს, რომ პოლიციის საკნები პოლიციელთა სამუშაო ადგილებიდან მოშორებით მდებარეობდა და მოწყვეტილი იყო ნებისმიერ საშუალებას (მაგ: გამოძახების შესაძლებლობა), რომ დაკავებული პირებისათვის ოფიცრებს ყურადღება მიექციათ. ამგვარ პირობებში დიდია იმის საფრთხე, რომ დროული რეაგირება ვერ მოხდება სხვადასხვა ინციდენტზე (დაკავებულ პირთა შორის ძალადობა; თვითმკვლელობის მცდელობები, ხანძარი და სხვა).

49. CPT ასევე შეშფოთებულია ზოგიერთ ქვეყანაში ნანახი პრაქტიკის გამო, სადაც პოლიციის თითოეულ ოპერატიულ დეპარტამენტს (ნარკოტიკებთან ან ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, ანტიტერორისტულს) თავისი საპატიმრო დაწესებულება ჰქონდა და იქ მუშაობდნენ ამ დეპარტამენტის

პოლიციის ოფიცრები. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ასეთი მიდგომა უნდა შეიცვალოს *ცენტრალური საპატიმრო დანესებულების* სასარგებლოდ, რომლის ოფიცრებიც გადამზადდებიან და შეისწავლიან საპატიმროებზე ზედამხედველობის ფუნქციებს. ეს მნიშვნელოვანი იქნება არასათანადო მოპყრობის პრევენციის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ცალკეული ოპერატიული დეპარტამენტებისთვის საპატიმროებზე ზედამხედველობის ვალდებულების ჩამოშორება სასარგებლო იქნება მენეჯმენტისა და ლოჯისტიკის კუთხით.

50. დაბოლოს, **პოლიციის დანესებულებების შემონმება დამოუკიდებელი ორგანოს მიერ** მნიშვნელოვან ნვლილს შეიტანს პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის პრევენციის საქმეში, უფრო ზოგადად კი ხელს შეუნყობს პატიმრობის დამაკმაყოფილებელი პირობების შექმნას. სრული ეფექტის მისაღწევად, ამგვარი ორგანო საპატიმროებში უნდა შედიოდეს რეგულარულად და წინასწარ გაცხადების გარეშე; მას უნდა ჰქონდეს დაკავებულ პირებთან განცალკევებულად გასაუბრების საშუალება; გარდა ამისა, მან უნდა შეისწავლოს საპატიმროში მოპყრობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი: დაკავების ოქმები; დაკავებული პირებისათვის მინოდებული ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ და ამ უფლებების რეალურად განხორციელების ფაქტები (განსაკუთრებით, სამი უფლების, რომლებზეც საუბარი იყო 40-43-ე პუნქტებში); დაიცვეს თუ არა სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილთა დაკითხვის ნესი; და პატიმრობის მატერიალური პირობები.

ზემოხსენებული ორგანოს დასკვნები გადაეგზავნება არა მხოლოდ პოლიციას, არამედ პოლიციისაგან დამოუკიდებელ სხვა ორგანოსაც.

## ხ. ადვოკატზე ხელმისაწვდომობა, როგორც არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის საშუალება

### ამონარიდი 21-ე ზოგადი ანგარიშიდან [CPT/Inf (2011) 28]

18. შესაძლებლობა, რომ პოლიციის საპატიმროებში გადაყვანილ პირებს ხელი მიუწვდებოდეთ ადვოკატზე, ფუნდამენტური გარანტიაა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ. ამ შესაძლებლობის არსებობა გადაარწმუნებს მათ, ვისაც დაკავებული პირების მიმართ ძალადობა ჰქონდა განზრახული. გარდა ამისა, ასეთი მოპყრობის შემთხვევაში ადვოკატი უკეთ შეძლებს სათანადო ზომების მიღებას.

19. სრული ეფექტიანობისათვის, ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება დაკავებულ პირს გარანტირებული უნდა ჰქონდეს თავისუფლების აღკვეთის-თანავე.[343] მართლაც, CPT-მ არაერთხელ დაადგინა, რომ დამცირებისა და ფიზიკური ძალადობის ყველაზე დიდი დაფრთხე იქმნება სწორედ თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან. გარდა ამისა, ადვოკატთან დაკავშირების უფლება პირს უნდა მიეცეს მისი ზუსტი სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად; უფრო კონკრეტულად კი ამ უფლებით სარგებლობა დამოკიდებული არ უნდა იყოს პირისთვის "ეჭვმიტანილის" სტატუსის მინიჭებაზე. მაგალითად, ბევრი ევროპული სამართლებრივი სისტემის თანახმად, პირები ვალდებული არიან, სამართალდამცველ ორგანოებში გამოცხადდნენ და გარკვეული ხნის განმავლობაში დარჩნენ - "მოწმის" სტატუსით ან "ინფორმაციის მისაცემად"; CPT-მ საკუთარი გამოცდილებიდან იცის, რომ ამ პირებს შეიძლება არასათანადო მოპყრობა დაემუქროთ.

20. ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლებით უნდა ისარგებლოს ყველამ, ვისაც თავისუფლება აღეკვეთება, მიუხედავად იმისა, "მსუბუქია" თუ არა დანაშაული, რომელშიც ეს პირია ეჭვმიტანილი. CPT-ს მიერ მონახულებულ ბევრ ქვეყანაში ადამიანებს შესაძლოა თავისუფლება რამდენიმე კვირით აღეკვეთოთ ე.წ. "ადმინისტრაციული" სამართალდარღვევების გამო. კომიტეტი გამართლებას ვერ უძებნის ადვოკატზე ხელმისაწვდომობის აკრძალვას ასეთი პირებისათვის. მეტიც, იგი ხშირად გადაწყდომია შემთხვევებს, როცა რეალურად სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები, ოფიციალურად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო ჰყავდათ დაკავებული, რათა მათზე არ გავრცელებულიყო სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილთა დაცვის გარანტიები; ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების ფარგლებიდან რომელიმე ტიპის სამართალდარღვევის ამოღება კიდევ უფრო გაამძაფრებს ზემოაღნიშნული გადახვევის საფრთხეს.

21. ანალოგიურად, პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ადვოკატზე, მიუხედავად იმისა, რამდენად "მძიმეა" დანაშაული, რომელშიც ეს პირია ეჭვმიტანილი. მართლაც, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები მეტად დგანან არასათანადო მოპყრობის საფრთხის წინაშე და, შესაბამისად, მეტად ესაჭიროებათ ადვოკატი. ამიტომ CPT ეწინააღმდეგება იმ ღონისძიებებს, რომლებიც გულისხმობს გარკვეული კატეგორიის დანაშაულში (მაგ: ანტიტერორისტული კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაული) ეჭვმიტანილთათვის ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვას დადგენილი ვადით. ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის

343. რა თქმა უნდა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, პირმა ადვოკატისათვის მიმართვის უფლება შესაძლოა ამაზე ადრეც კი გამოიყენოს.

საფუძვლიანობა თითოეულ საქმეში უნდა შეფასდეს და დამოკიდებული არ იყოს დანაშაულის კატეგორიაზე.[344]

22. CPT აღიარებს, რომ გამონაკლის შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს დაკავებულის მიერ შერჩეულ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის დაყოვნება გარკვეული ვადით. თუმცა, ამან არ უნდა გამოიწვიოს აღნიშნული უფლების უგულებელყოფა მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში. ასეთ შემთხვევებში პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა - ჰყავდეს სხვა დამოუკიდებელი ადვოკატი, რომელიც სანდო იქნება და საფრთხეს არ შეუქმნის გამოძიების ლეგიტიმურ ინტერესებს. აბსოლუტურად შესაძლებელია წინასწარი თადარიგის დაჭერა ამგვარი სიტუაციებისათვის, ადგილობრივ ადვოკატთა ასოციაციებთან ან იურიდიულ საზოგადოებასთან კონსულტაციებით.

23. საპოლიციო პატიმრობისას ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება მოიცავს უფლებას, დაკავებული პირადად შეხვდეს ადვოკატს, თან განმარტოებით. ეს ბერკეტი არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის საშუალებად განიხილება (რაც აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად). შესაბამისად, ადვოკატისათვის არსებითია, პირდაპირი ფიზიკური კონტაქტი ჰქონდეს თავისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან. ეს ერთადერთი საშუალებაა ამ ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის ზუსტად შესაფასებლად. თუ ადვოკატისა და მისი კლიენტის შეხვედრა განცალკევებით არ შედგა, დაკავებულმა პირმა შესაძლოა ვერ შეძლოს იმის გამხელა, თუ როგორ ეპყრობოდნენ მას. რადგან აღიარებულია, გამონაკლის შემთხვევებში დაკავებულის ინტერესებს იცავდეს არა მისი სურვილით, არამედ წინასწარ შეთანხმებული პროცედურებით შერჩეული სხვა ადვოკატი, CPT ვეღარ ხედავს ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრის კონფიდენციალობიდან გადახვევის საჭიროებას.

24. ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება ასევე უნდა მოიცავდეს ადვოკატის შესაძლებლობას, დაესწროს ნებისმიერ საპოლიციო დაკითხვას და ჩაერიოს მასში. ბუნებრივია, ეს მოთხოვნა პოლიციას ხელს არ უშლის, დაკითხვა დაიწყოს მაშინვე, როგორც კი დაკავებული პირი ადვოკატს დაუკავშირდება - პოლიციაში ამ ადვოკატის მისვლამდეც - თუ ეს უკიდურესი აუცილებლობითაა განპირობებული და არც იმ ადვოკატის შეცვლას გამორ-

344. აქ უნდა მოვიშველიოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება *Salduz v Turkey* (27 ნოემბერი, 2008), რომელშიც მან დაადგინა: "... ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6(1) მუხლი მოითხოვს, რომ პირს, როგორც წესი, ხელი მიუწვდებოდეს ადვოკატზე ..., თუ ცალკეული საქმის გარემოებებით ნაჩვენები არ არის, რომ არსებობს ამ უფლების შეზღუდვის გადაუდებელი საჭიროება". (§55).

იცხავს, რომელიც აფერხებს დაკითხვის სათანადოდ ჩატარებას. ამგვარ სიტუაციებში, პოლიცია პასუხისმგებელი უნდა იყოს თავის ქმედებებზე.

25. დაბოლოს, საპოლიციო პატიმრობისას ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება პრაქტიკაში სრულად ეფექტიანი რომ გახდეს, სისხლის სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზევე უნდა უზრუნველყონ ადვოკატი პირისთვის, რომელსაც ამ მომსახურებისათვის საჭირო სახსრები არ გააჩნია.

## C. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები

### ამონარიდი მე-9 ზოგადი ანგარიშიდან [CPT/Inf (99) 12]

#### წინასწარი შენიშვნები

20. რამდენიმე ზოგად ანგარიშში CPT-მ დაადგინა კრიტერიუმები, რომლებითაც ის ხელმძღვანელობს დაკავების სხვადასხვა ადგილის ინსპექტირებისას, მათ შორისაა: პოლიციის დაწესებულებები, ციხეები, დაკავებულ იმიგრანტთა მოთავსების ადგილები და ფსიქიატრიული დაწესებულებები.

საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტი ზემოხსენებულ კრიტერიუმებს იყენებს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან მიმართებით (18 წლამდე ახალგაზრდები). არასრულწლოვნები არსით უფრო მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან, ვიდრე ზრდასრული ადამიანები, მათი დაკავების მიზეზების მიუხედავად. შესაბამისად, განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ მათი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა სათანადოდ იყოს დაცული. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების მიმართ არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის მნიშვნელობა რომ გამოეკვეთა, CPT-მ თავისი მე-9 ზოგადი ანგარიშის ეს თავი დაუთმო ამ სფეროსთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხზე მსჯელობას.

მომდევნო პარაგრაფებში CPT საუბრობს არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის რამდენიმე გარანტიაზე, რომლებიც უნდა უზრუნველყონ ყველა თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნისათვის; შემდეგ იგი ყურადღებას ამახვილებს პირობებზე, რომლებიც უნდა არსებობდეს არასრულწლოვანთა საპატიმრო ადგილებში. ამ გზით კომიტეტი ცდილობს, ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს აუხსნას, როგორ უნდა ეპყრობოდნენ ასეთ პირებს. წინა წლების მსგავსად, **CPT მიესალმება კომენტარებს მისი ზოგადი ანგარიშის ამ მნიშვნელოვან თავთან დაკავშირებით**.

21. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ამ სფეროში მის მიერ შემუშავებული ნებისმიერი სტანდარტი უნდა განიხილონ სხვა საერთაშორისო აქტებში, როგორიცაა: გაეროს 1989 წლის კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ; გაეროს 1985 წლის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (*პეკინის წესები*); გაეროს 1990 წლის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ და გაეროს 1990 წლის სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულებთან დაკავშირებით (*რიადის სახელმძღვანელო პრინციპები*) - დადგენილ სტანდარტებთან ერთად.

კომიტეტი იზიარებს ზემოხსენებულ აქტებში გათვალისწინებულ ერთ-ერთ არსებით პრინციპს, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვნის დაკავება უნდა იყოს უკიდურესი ზომა და პატიმრობის პერიოდი შეძლებისდაგვარად მალე დასრულდეს (შდრ. ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 37(b) მუხლი და პეკინის წესები: 13 და 19).

## არასათანადო მოპყრობისაგან არასრულწლოვანთა დაცვის გარანტიები

22. CPT, მისი მანდატიდან გამომდინარე, ვიზიტების დროს უპირატესობას ანიჭებს არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მონახულებას, რათა დარწმუნდეს, რომ იქ არ ხდება განზრახ არასათანადო მოპყრობის ფაქტები. კომიტეტის ზოგადი დასკვნით, მის მიერ მონახულებულ დაწესებულებათა უმეტესობაში არასრულწლოვანთა მიმართ განზრახ არასათანადო მოპყრობა იშვიათი მოვლენაა.

23. თუმცა, ზრდასრული პატიმრების მსგავსად, დიდია რისკი, რომ არასრულწლოვნებს არასათანადოდ მოეპყრონ პოლიციის დაწესებულებებში (თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებებთან შედარებით). მართლაც, CPT-მ არაერთხელ მოიპოვა სარწმუნო მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ პოლიციის ოფიცრების მიერ ნაწამებ და სხვაგვარ არასათანადო მოპყრობას დაქვემდებარებულ პირებს შორის არასრულწლოვნებიც იყვნენ.

ამასთან დაკავშირებით, CPT აცხადებს, რომ წამებისა და არასათანადო მოპყრობის მომეტებული საფრთხე სწორედ თავისუფლების აღკვეთის შემდგომ წუთებში ჩნდება. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს (არასრულწლოვნების ჩათვლით), პოლიციელებთან იძულებით დარჩენისთანავე, უფლება ჰქონდეს, თავისი დაკავების შესახებ შეატყობინოს ნათესავს ან სხვა მესამე მხარეს; ასევე, ხელი მიუწვდე-

ბოდეს ადვოკატსა და ექიმზე.

დაცვის ამ გარანტიების გარდა, ზოგიერთი ქვეყანა დამატებითი სიფრთხილის გამოჩენას ითხოვს არასრულწლოვანთა მოწყვლად კატეგორიასთან მიმართებით. სიფრთხილის ამ ზომებში მოიაზრება პოლიციის ოფიცრებისთვის დაკისრებული ვალდებულება, არასრულწლოვნის დაკავების ფაქტი შესაბამის პირს შეატყობინონ (იმის მიუხედავად, არასრულწლოვანი ამას მოითხოვს თუ არა). ზოგ ქვეყანაში პოლიციის ოფიცრებს უფლება არ აქვთ, არასრულწლოვანი დაკითხონ შესაბამისი პირის და/ან ადვოკატის დაუსწრებლად. CPT ამ მიდგომას მიესალმება.

24. CPT-ს მიერ მონახულებულ რამდენიმე დაწესებულებაში დელეგაციის წევრებს აცნობეს, რომ თანამშრომლები ხშირად მიმართავდნენ "აღმზრდელობით შემოლაწნენებას" ცუდი ქცევით გამორჩეულ არასრულწლოვნებში. კომიტეტი მიიჩნევს, რომ არასათანადო მოპყრობის აღკვეთის მიზნით, როგორც ფორმალურად, ასევე პრაქტიკულად უნდა აიკრძალოს ყველა სახის ფიზიკური დასჯა. იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც რეჟიმს არ ემორჩილებიან, დასაშვებია მხოლოდ დადგენილი დისციპლინური პროცედურები.

25. კომიტეტის გამოცდილება აჩვენებს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ არასათანადო მოპყრობის მიზეზი ხშირად უფრო ძალადობისაგან პირის არასათანადოდ დაცვაა, ვიდრე მისთვის ტანჯვის განზრახ მიყენება. ამის აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვნები ზრდასრული პატიმრებისაგან განცალკევებით მოათავსონ.

CPT შეესწრო ფაქტებს, სადაც ეს პრინციპი არ იყო დაცული. კერძოდ, ზრდასრული მამაკაცი მოთავსებული იყო არასრულწლოვანი ბიჭების საკანში, ხშირად - მათი კონტროლის მიზნით; არასრულწლოვანი გოგონა ქალ პატიმრებთან ერთად იჯდა საკანში; ფსიქიკურად დაავადებული პატიმრები და ქრონიკული დაავადებების მქონე ზრდასრული პატიმრები ერთად იყვნენ მოთავსებულნი.

კომიტეტი უშვებს გამონაკლისსაც (მაგ: როცა ბავშვები და მათი მშობლები საიმიგრაციო დაწესებულებაში არიან დაკავებულნი), თუ არასრულწლოვნის მოთავსება ზრდასრულებთან მისივე ინტერესებითაა განპირობებული. თუმცა, არასრულწლოვნებისა და მათთვის უცნობი ზრდასრული პირების ერთ საკანში ყოფნა ქმნის არასრულწლოვანთა ექსპლუატაციისა და მათზე მბრძანებლობის საფრთხეს.

26. დაკავების ადგილებში ორივე სქესის თანამშრომელთა ყოფნა დამატებითი გარანტიაა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე არასრულწლოვნებს ეხება. ქალი და მამაკაცი

ზედამხედველების მუშაობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ხელს უწყობს მზრუნველი და ნორმალური გარემოს შექმნას.

ასევე, ეს შესაძლებლობას იძლევა, რომ მოვალეობები, რომლებიც გენდერული სპეციფიკით ხასიათდება - მაგალითად, ჩხრეკა - შესაბამისი სქესის თანამშრომლებმა შეასრულონ. ამასთან დაკავშირებით, CPT აცხადებს, რომ ასაკის მიუხედავად, თავისუფლებააღკვეთილი პირები უნდა გაჩხრიკონ იმავე სქესის თანამშრომლებმა და თუ ეს პროცესი პირის გაშიშვლებას საჭიროებს, მას არ უნდა ესწრებოდეს საპირისპირო სქესის ოფიცერი. ეს პრინციპები *a fortiori* გამოიყენება არასრულწლოვნებთან მიმართებით.

27. დაბოლოს, რამდენიმე დაწესებულებაში CPT-ს დელეგაციამ შენიშნა, რომ რეჟიმის თანამშრომლები, რომლებსაც პირდაპირი შეხება ჰქონდათ არასრულწლოვნებთან, ღიად ატარებდნენ ხელკეტებს. ასეთი პრაქტიკით პოზიტიური ურთიერთობა ვერ დამყარდება საპატიმროს თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის. უმჯობესია, ისინი ხელკეტებს საერთოდ არ ატარებდნენ, მაგრამ, თუ ეს აუცილებელია, მაშინ CPT-ს რჩევით, ასეთი ნივთები არ უნდა ჩანდეს.

# d. თავისუფლებააღკვეთილი ქალები

## ამონარიდი მე-10 ზოგადი ანგარიშიდან [CPT/Inf (2000) 13]

### წინასწარი შენიშვნები

22. უნდა აღინიშნოს, რომ CPT-ს მიერ ამ თავში განხილული პრობლემები ეხება ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას. თუმცა, CPT-ს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თავისუფლებააღკვეთილი ქალების მიმართ ფიზიკური და/ან ფსიქიკური ძალადობის რისკი უფრო მეტია შეპყრობის შემდგომ წუთებში. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო, რომ ამ თავში ჩამოყალიბებული კრიტერიუმები ქალებისთვის დაიცვან დაკავების აღნიშნულ პერიოდში.

კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შემუშავებული ნებისმიერი სტანდარტი უნდა განიხილონ საერთაშორისო აქტებში, როგორიცაა: ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენცია, გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, გაეროს კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და ნებისმიერი მიზეზით დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპების კრებული - დადგენილ სტანდარტებთან ერთად.

...

### ქალებისთვის განკუთვნილი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

24. სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულება, იზრუნოს თავისუფლებააღკვეთილ პირებზე, მოიცავს დაცვასაც იმ პირებისაგან, რომლებსაც მათთვის ზიანის მიყენება სურთ. CPT-მ რამდენჯერმე მოისმინა ბრალდებები ქალებს შორის ძალადობის შესახებ. თუმცა, საპატიმროებში უფრო ხშირია კაცების მხრიდან ქალებზე ძალადობის ფაქტები (უფრო კონკრეტულად კი სექსუალური ძალადობა და სიტყვიერი შეურაცხყოფა სექსუალური კონოტაციებით), განსაკუთრებით იქ, სადაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს, თავისუფლებააღკვეთილი ქალები მამაკაცებისაგან განცალკევებულად განათავსოს. ამ დაწესებულებებში ქალი ზედამხედველები დომინირებენ.

პრინციპის თანახმად, თავისუფლებააღკვეთილი ქალები მოშორებით უნდა მოათავსონ ამავე დაწესებულების იმ საკნიდან, სადაც თუნდაც ერთი მამაკაცია. ზოგმა ქვეყანამ დაიწყო ინფრასტრუქტურის შექმნა წყვილებისთვის (რომელთაგან ორივე თავისუფლებააღკვეთილია) და/ან ორივე გენდერის ადამიანებისთვის. CPT მიესალმება ასეთ პროგრესულ ნაბიჯს, იმ პირობით, რომ ამ საკნებში მოთავსებული პატიმრები თანახმანი იქნებიან სხვა გენდერის ადამიანებთან ერთად ყოფნაზე, მათ სიფრთხილით შეარჩევენ და სათანადო მეთვალყურეობას გაუწევენ.

## ე. ელექტრული განმუხტვის იარაღი

### ამონარიდი მე-20 ზოგადი ანგარიშიდან [CPT/Inf (2010) 28]

### წინასწარი შენიშვნები

65. ქვეყნებში, სადაც CPT ვიზიტით იმყოფებოდა, ელექტრული განმუხტვის იარაღი სულ უფრო ხშირად გაიცემა პოლიციის ოფიცრებსა და სხვა სამართალდამცველ პირებზე; ზოგიერთ ქვეყანაში კომიტეტმა ამგვარი მოწყობილობები თავისუფლების აღკვეთის ადგილებშიც (კერძოდ, ციხეებში) შენიშნა. არსებობს რამდენიმე ტიპის ელექტრული განმუხტვის იარაღი, მათ შორისაა ელექტროშოკის ხელკეტები და ხელის იარაღი, რომელიც სამიზნე პირთან პირდაპირ კონტაქტს საჭიროებს, ისვრის ისრისებრ ნაწილაკებს, რაც გარკვეულ მანძილზე ადამიანში ელექტროშოკს იწვევს.

66. ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები არსებობს სამართალდამცველი პირებისა და სხვა საჯარო მოხელეების მიერ ელექტრული განმუხტვის იარაღის გამოყენებაზე. ასევე იყოფა აზრი იმ კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებშიც ამგვარი იარაღის გამოყენება გამართლებულია; შეხედულებები განსხვავდება ჯანმრთელობასთან მიმართებით ამ იარაღით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შესახებაც. ასევე ფაქტია, რომ ელექტრული განმუხტვის იარაღი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლოა არასწორად გამოიყენონ. CPT-მ რამდენჯერმე მოიპოვა სარწმუნო ინფორმაცია, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირებს ამგვარი იარაღით სასტიკად (არასათანადოდ) ეპყრობოდნენ; კომიტეტს ხშირად მოუსმენია ბრალდებები იმის შესახებაც, როგორ დააშინეს დაკავებული პირები, რომ ელექტრული განმუხტვის იარაღით არასათანადოდ მოეპყრობოდნენ.

67. ვიზიტებთან დაკავშირებულ ანგარიშებში CPT არაერთხელ შეეხო ელექტრული განმუხტვის იარაღის გამოყენების საკითხს. შემდგომ პარაგრაფებში კომიტეტს სურს, ერთხელ კიდევ გაუსვას ხაზი თავის პოზიციას ამის შესახებ და რამდენიმე საფრთხეზეც ისაუბროს. CPT მიესალმება კომენტარებს მისი ზოგადი ანგარიშის ამ თავთან დაკავშირებით. ისინი კომიტეტს დაეხმარება სტანდარტების შემუშავებაში ამ კომპლექსური საკითხის ირგვლივ.

## ზოგადი პრინციპები

68. CPT-ს ესმის ხელისუფლების ეროვნული ორგანოების სურვილი, სამართალდამცველი პირები აღჭურვონ ისეთი საშუალებებით, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს, უფრო სათანადო რეაგირება მოახდინონ საშიშ სიტუაციებზე. ეჭვგარეშეა, რომ სიცოცხლისთვის ნაკლებად საშიში ისეთი იარაღის ტარება, როგორიცაა ელექტრული განმუხტვის იარაღი, სამართალდამცველ პირებს ზოგ შემთხვევაში თავიდან აარიდებს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას. თუმცა, ეს იარაღი მწვავე ტკივილს იწვევს, ამასთანავე, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლებელია მისი არამიზნობრივი გამოყენებაც. შესაბამისად, ნებისმიერი გადაწყვეტილება - სამართალდამცველი პირებსა ან სხვა საჯარო მოხელეებზე ელექტრული განმუხტვის იარაღის გაცემის შესახებ - უნდა იყოს ქვეყნის ეროვნულ საკანონმდებლო და აღმასრულებელ დონეებზე წარმართული სიღრმისეული განსჯის შედეგი. მეტიც, პირებისთვის ამ იარაღის მიწოდების კრიტერიუმები უნდა იყოს კანონით განსაზღვრული და კონკრეტული რეგულაციებით განერილი.

69. CPT მიიჩნევს, რომ ელექტრული განმუხტვის იარაღის გამოყენებისას დაცული უნდა იყოს შემდეგი პრინციპები: საჭიროება, ქვემდებარეობა, პროპორციულობა, წინასწარ გაფრთხილება (როცა ეს შესაძლებელია) და სიფრთხ-

ილე. ამ პრინციპებიდან *inter alia* გამომდინარე, საჭიროა, საჯარო მოხელეებმა, რომლებსაც ამ იარაღით სარგებლობის უფლება აქვთ, სათანადო ტრენინგები გაიარონ მის გამოყენებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება იმ ელექტრული განმუხტვის იარაღს, რომელიც ისრისებრ ნაწილაკებს ისვრის, მისი გამოყენება უნდა რეგულირდებოდეს ნორმებით ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ.

70. CPT-ს აზრით, ელექტრული განმუხტვის იარაღს უნდა იყენებდნენ მხოლოდ სიცოცხლის მოსპობის რეალური და გარდაუვალი მუქარის ან სხეულის მძიმე დაზიანების საფრთხისას. დაუშვებელია მისი გამოყენება იმ ერთადერთი მიზნით, რომ პირი ბრძანებას დამორჩილდეს. მეტიც, ამგვარი იარაღის ხმარებაზე ნებართვა უნდა გაიცეს მხოლოდ მაშინ, როცა სხვა ნაკლებ იძულებითი მეთოდი (მოლაპარაკება და დაყოლიება, ხელით რეგულირების ტექნიკა და სხვა) არ მუშაობს ან უშედეგოა და ამ იარაღის გამოყენება ერთადერთი შესაძლო ალტერნატივაა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის უფრო მეტად საშიშ სხვა მეთოდებთან შედარებით.

## ამ პრინციპების გამოყენება კონკრეტულ სიტუაციებში

71. სხვადასხვა სიტუაციასთან მიმართებით, ამ პრინციპებზე მსჯელობისას, CPT-მ მკაფიოდ დაგმო ელექტრული განმუხტვის იარაღის გაცემა იმ განყოფილების წევრებზე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საიმიგრაციო პატიმრების დეპორტაციაზე. ანალოგიურად, კომიტეტმა მკაცრად დაგმო ამგვარი იარაღის გამოყენება ციხის გარემოშიც (და a fortioti დახურულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში). ასეთი რამ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობით (მაგ: მძევლად აყვანის სიტუაცია) შეიძლება გამართლდეს და ისიც იმ პირობით, რომ იარაღით ისარგებლებენ მხოლოდ საამისოდ გაწვრთნილი თანამშრომლები. ელექტრული განმუხტვის იარაღის ტარება დაუშვებელია რეჟიმის თანამშრომლებისათვის, რომლებსაც პირდაპირი შეხება აქვთ ციხეში ან ნებისმიერ სხვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ პირებთან.

72. ელექტრული განმუხტვის იარაღს სულ უფრო მეტად ხმარობენ დაკავებების დროს და გახმაურდა მაგალითები ამ კონტექსტში მათი არასწორი გამოყენების შესახებ (მაგ: ელექტროშოკის განმეორებით გამოყენება ძირს დაწოლილ ადამიანზე). ნათელია, რომ ამ იარაღით სარგებლობა მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული. CPT-ს ინფორმაციით, ზოგიერთ ქვეყანაში მისი გამოყენება დასაშვებია სამართალდამცველი პირებისათვის, როცა მათ ძალის გამოყენება ესაჭიროებათ ისეთი ძალადობის - ან ძალადობის მუქარის - მოსაგერიებლად, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ ან სხვა ადამიანებს. CPT მიიჩნევს, რომ ეს განმარტება ძალზე ფართოა და ამ

იარაღით არაპროპორციულად სარგებლობის  საშუალებას იძლევა. დაკავებისას ელექტრული განმუხტვის იარაღის ერთ-ერთ ალტერნატივად გამოყენება დაუმორჩილებლობის აღსაკვეთად უარყოფითად იმოქმედებს საზოგადოების დამოკიდებულებაზე სამართალდამცველი პირების მიმართ.

73. CPT-მ, თავისი მანდატის გათვალისწინებით, მკაცრი პოზიცია ვერ დაიჭირა ელექტრული განმუხტვის იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების ან აღდგენის ოპერაციების კონტექსტში (მაგ: დემონსტრაციების მართვა). ზემოთ, 70-ე პარაგრაფში მოყვანილი პრინციპების თანახმად, ამ ოპერაციების წარმართვისას შეუსაბამოა ასეთი იარაღის ხმარება, თუ არ არსებობს სიცოცხლის მოსპობის რეალური და გარდაუვალი საფრთხე ან სხეულის მძიმე დაზიანების მუქარა. შესაბამის სამართალდამცველ ოფიცრებს ხელთ უნდა ჰქონდეთ დაცვის სხვა საშუალებები, რაც მათ დაკისრებული მოვალეობის უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. აღსანიშნავია, რომ ევროპაში რამდენიმე საპოლიციო ძალამ უკვე აკრძალა ელექტრული განმუხტვის იარაღის გამოყენება საჯარო დემონსტრაციების დაშლისას.

74. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხმის ჩამხშობი სარტყელებისა და მსგავსი მოწყობილობების გამოყენებას. CPT-მ მკაცრად დაგმო ამგვარი აღჭურვილობით სარგებლობა დაკავებულ პირთა გადაადგილების გასაკონტროლებლად - თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაშიც და მის გარეთაც. კომიტეტის აზრით, ის ამცირებს იმ ადამიანს, რომლის მიმართაც გამოიყენება. დიდია მისი არამიზნობრივი გამოყენების საფრთხეც. საჭიროა და შესაძლებელიც ალტერნატიული საშუალებების მოძებნა დაკავებულ პირთა გადაადგილებისას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

### ინსტრუქციები და ტრენინგები

75. ელექტრული განმუხტვის იარაღის გაცემაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ხელისუფლების ორგანოებმა დეტალური ინსტრუქციები უნდა გაავრცელონ იმ სამსახურებში, სადაც ის რიგდება. გარდა ამისა, ყურადღებით უნდა შეირჩნენ თანამშრომლები, რომლებსაც ამ იარაღის გამოყენების უფლება ექნებათ და ისინი სათანადოდ გადაამზადონ; შერჩევისას უნდა გაითვალისწინონ მათი რეზისტენტობა მიღებული სტრესზე და სიტუაციაში სწრაფად გარკვევის უნარი. ტესტირების გზით რეგულარულ შემოწმებებთან ერთად, უნდა შემუშავდეს პროფესიონალიზმის ასამაღლებელი სპეციალური კურსი (იხ. ასევე §80).

### ტექნიკური ასპექტები

76. ნებისმიერი სხვა იარაღის მსგავსად, კონკრეტული ელექტრული განმუხ-

ტვის იარაღმა, ექსპლუატაციაში მიღებამდე, ტექნიკური ავტორიზაცია უნდა გაიაროს. კერძოდ, ამ პროცედურით უნდა განისაზღვროს ელექტრული განმუხტვების ხაოდენობა, ხანგრძლივობა და სიმძლავრე, მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. CPT-სთვის ცნობილია ფაქტები, როცა თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ რამდენჯერმე გამოიყენეს ელექტრული მუხტი, სხვადასხვა თანმიმდევრობით; ასეთი მოქცევა შეადგენს - რაც ცილობდა არასაჭირო ძალის გამოყენებაა - კვალიფიცირდება არასათანადო მოპყრობად. გარდა ამისა, იარაღის ვარგისიანობა რეგულარულად უნდა მოწმდებოდეს.

77. ელექტრული განმუხტვის იარაღს უნდა ჰქონდეს ისეთი ელემენტები (ზოგადად, მეხსიერების ჩიპი), რომლებითაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის ჩანერა და იარაღის გამოყენების შესახებ ინფორმაციის გადამოწმება (მაგალითად, ზუსტი დრო; ელექტრული განმუხტვების რაოდენობა, ხანგრძლივობა, სიმძლავრე და სხვა). ამ ჩიპებზე ჩანერილ ინფორმაციას სათანადო ინტერვალებით სისტემატურად უნდა ეცნობოდნენ ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოები (სულ ცოტა, სამ თვეში ერთხელ). გარდა ამისა, იარაღს უნდა ჰქონდეს ლაზერის სამიზნე სხივი და ვიდეოჩამწერი მოწყობილობა, რაც შესაძლებელს გახდის უსაფრთხოდ დამიზნებას და ჩანაწერის არსებობას იარაღის გამოყენების გარემოებათა შესახებ.

78. სამართალდამცველ პირებზე გაცემულ ელექტრული განმუხტვის იარაღს, როგორც წესი, გამოყენების სხვადასხვა რეჟიმი აქვს, კერძოდ, "სროლისა" და "კონტაქტის" (ხმის ჩამხშობი მუხტი) რეჟიმები. პირველის შემთხვევაში, იარაღი ისვრის ნაწილაკებს, რომლებიც ახლოს მყოფ მსხვერპლს ხვდება და აქტიურდება ელექტრული მუხტი. საქმეთა უმრავლესობაში ეს მუხტი იწვევს კუნთების გენერალიზებულ შეკუმშვას, რასაც მოსდევს დროებითი პარალიზება და ადამიანი ძირს ეცემა. აღნიშნულისაგან განსხვავებით, "კონტაქტური" რეჟიმის გამოყენებისას, იარაღის დაბოლოებაზე არსებული ელექტროდები, რომლებიც ელექტროდებს ქმნიან, მსხვერპლთან შეხებისას იწვევენ ძალიან ძლიერ, ადგილობრივ ტკივილს, რასაც შესაძლოა კანის დამწვრობა მოჰყვეს. CPT მკაცრად გმობს ამ ტიპის იარაღის გამოყენებას. მართლაც, სათანადოდ გადამზადებულ სამართალდამცველ პირებს ბევრი სხვა საშუალებით შეუძლიათ სიტუაციის გაკონტროლება, როცა ხელშესახები მანძილი აშორებთ იმ ადამიანისაგან, რომლის დამორჩილებაც სჭირდებათ.

## სამედიცინო ასპექტები

79. მსხვერპლის ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობაზე ელექტრული განმუხტვის იარაღის გამოყენების პოტენციური შედეგები დავის საგანია. დებატებს კიდევ უფრო ამწვავებს ამგვარი იარაღით სარგებლობის შემდეგ

მსხვერპლთა მალევე გარდაცვალების ფაქტები. ეს საკითხი კვლავ კვლევის საგნად რჩება, თუმცა, ერთი რამ ცხადია, ელექტრული განმუხტვის იარაღის გამოყენება ჯანმრთელობისთვის საშიშია - შესაძლოა, ადამიანმა დაზიანებები მიიღოს ნაწილაკების მოხვედრის შედეგად დავარდნის გამო, ან დამწვრობებით - "კონტაქტური" რეჟიმში ამოქმედებული იარაღის ხანგრძლივად გამოყენებისას. რადგან არ არსებობს დეტალური კვლევა ელექტრული განმუხტვის იარაღის მოწყვლად პირებზე (მოხუცები, ორსული ქალები, პატარა ბავშვები, გულით დაავადებულები) გამოყენების პოტენციური შედეგების შესახებ, CPT მიიჩნევს, რომ ასეთ პირებთან მიმართებით, ამ იარაღის ხმარება უნდა აიკრძალოს. ასევე სენსიტიური საკითხია ელექტრული განმუხტვის იარაღის გამოყენება დელირიულ ან ინტოქსიკაციურ მდგომარეობაში მყოფ პირებზე; მათ შესაძლოა ვერ გააზრონ წინასწარი გაფრთხილება ამგვარი იარაღის გამოყენების შესახებ და, ნაცვლად დამორჩილებისა, კიდევ უფრო აღიგზნონ. სწორედ ამ მდგომარეობაში მყოფი პირები იღუპებიან ხოლმე დაკავებისას, როცა მათ მიმართ ელექტრული განმუხტვის იარაღს ხმარობენ. შესაბამისად, ამგვარ შემთხვევებში - განსაკუთრებით, ისეთ სიტუაციებში, სადაც ამ იარაღის გამოყენება გაზრდის გარდაცვალების ან ჯანმრთელობის დაზიანების რისკს - ასეთი იარაღით არ უნდა ისარგებლონ.

80. ელექტრული განმუხტვის იარაღთან დაკავშირებით, ტრენინგებზე მოხელეებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია: სამედიცინო მიზეზებით, როდის არ არის მიზანშეწონილი ამ იარაღის გამოყენება, ასევე, როგორ აღმოუჩინონ გადაუდებელი დახმარება (დაცემის, დამწვრობის, ნაწილაკებით მიყენებული ჭრილობების შემთხვევაში, კარდიალური გართულებისას, დელირიული აგზნების დროს და ა.შ.). გარდა ამისა, ელექტრული განმუხტვით პირის დამორჩილების შემდეგ მას უნდა ეცნობოს, რომ იარაღის შედეგები დროებითია.

81. CPT მიიჩნევს, რომ ყველა ადამიანი, ვის მიმართაც გამოიყენებენ ელექტრული განმუხტვის იარაღს, უნდა გასინჯოს ექიმმა და, საჭიროების შემთხვევაში, საავადმყოფოში მოათავსონ. ექიმებსა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრებს უნდა ეცნობოთ ამგვარი იარაღის გამოყენების შესაძლო შედეგების შესახებ და სათანადო ინფორმაცია მიეწოდოთ მკურნალობის ფორმებზე, მსხვერპლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, პირებს, რომლებსაც ჩაუტარდებათ სათანადო მკურნალობა (და/ან მათ ადვოკატებს, მოთხოვნის შემთხვევაში), უნდა მიეცეთ სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

### ინციდენტის შემდგომი პროცედურა

82. ელექტრული განმუხტვის იარაღის ყოველი გამოყენების შემდეგ

სამართალდამცველმა პირმა მოხსენება უნდა წარმოადგინოს. გარდა ამისა, ინციდენტის შესახებ დეტალური ანგარიში უნდა გაეგზავნოს ზემდგომ ორ-განოს. მასში სრული სიზუსტით უნდა იყოს აღწერილი საქმის გარემოე-ბები, რაც იარაღის გამოყენებას დაასაბუთებს, ასევე, უნდა მიეთითონ გამოყენების რეჟიმი და სხვა რელევანტური ინფორმაცია (თვითმხილველთა არსებობა, ჰქონდა თუ არა მოხელეს სხვა იარაღი, მსხვერპლისთვის აღ-მოჩენილი სამედიცინო დახმარება და სხვა). ანგარიშს უნდა დაერთოს მეხ-სიერების ჩიპზე შენახული ტექნიკური ინფორმაცია და ვიდეოჩანაწერები ელექტრული განმუხტვის იარაღის გამოყენების შესახებ.

83. შიდა პროცედურა გარე მონიტორინგით უნდა ჩატარდეს. მაგალითად, სამართალ-დამცველი ორგანოების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ დამოუკიდებელ ორგა-ნოს სისტემატურად, რეგულარული ინტერვალებით უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია ელექტრული განმუხტვის იარაღის გამოყენების ყველა ფაქტზე.

84. თუ ჩნდება ეჭვი, რომ ელექტრული განმუხტვის იარაღი შესაბამისი კანონების ან რეგულაციების დარღვევით გამოიყენეს, უნდა დაიწყოს სათა-ნადო (დისციპლინური და/ან სისხლის სამართლებრივი) გამოძიება.

## f. დაუსჯელობის აღმოფხვრა

### ამონარიდი მე-14 ზოგადი ანგარიშიდან [CPT/Inf (2004) 28]

25. CPT-ს raison d'être არის წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახ-ველი მოპყრობის ან დასჯის "პრევენცია"; ის ორიენტირებულია მომავალზე და არა წარსულზე. თუმცა, კომიტეტის პრევენციული მანდატის არსებითი ნაწილია არასათანადო მოპყრობასთან მიმართებით გადადგმული ნაბიჯების ეფექ-ტიანობის შეფასება, მომავალ ქმედებებზე მათი გავლენის გათვალისწინებით.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმის აკრძალვის სან-დოობა ყოველთვის საფრთხის ქვეშ დგება, როცა ამგვარ დანაშაულებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელეები პასუხს არ აგებენ თავიანთი ქმედებების გამო. როცა ინფორმაციის მიღებას არასათანადო მოპყრობის შესახებ დაუყოვნებლივი და ეფექტიანი რეაგირება არ მოსდევს, პირები, რომელთაც ასეთი მოპყრობა აქვთ განზრახული თავისუფლებააღკვეთილთა მიმართ, უმალ დაიჯერებენ - და ძალიან საფუძვლიანადაც - რომ მათი ამგვარი ქმედებები დაუსჯელი დარჩება. ამით ძირი გამოეთხრება ყოველ-გვარ მცდელობას, ადამიანის უფლებათა პრინციპების დაცვას ხელი შეეწყ-

ოს დასაქმების მკაცრი პოლიტიკითა და პროფესიული ტრენინგებით. ეფექ-ტიანი ზომების მიუღებლობით, შესაბამისი პირები - კოლეგები, ზემდგომი მენეჯერები, საგამოძიებო ორგანოები - საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობენ დემოკრატიული საზოგადოების ამოსავალ ღირებულებათა რღვევას.

ამის საპირისპიროდ, როცა სახელმწიფო მოხელეები - რომლებმაც ბრძანება ან ნებართვა გასცეს წამებასა და არასათანადო მოპყრობაზე ან ჩაიდინეს თუ დაუშვეს ასეთი რამ - პასუხს აგებენ თავიანთი ქმედებების ან უმო-ქმედობის გამო, ამით ერთმნიშვნელოვანი მესიჯი იგზავნება, რომ ამგვარ ფაქტებს არ შეიწყნარებენ. გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანი აღმკვეთი ეფექტი ექნება, ეს მესიჯი დაარწმუნებს კიდეც საზოგადოებას, რომ კანონზე მაღლა არავინ დგას - არც ისინი, ვინც ამ კანონების დაცვაზე არიან პასუხ-ისმგებელნი. იმის ცოდნას, რომ პირები, რომლებმაც არასათანადო მოპყრობ-ას მიმართეს, დაისაჯნენ, სასარგებლო ეფექტი ექნება მსხვერპლისთვისაც.

26. დაუსჯელობის აღმოფხვრა სახლში ანუ შესაბამისი სტრუქტურის შიგნით (პოლიცია ან ციხე, სამხედრო სტრუქტურები და სხვა) უნდა დაიწყოს. ერთიანი სულისკვეთება (esprit de corps) ხშირად ჯგუფს ერთად დგომისა და ერთმანეთის დახმარების სურვილს ულვივებს, როცა შედის საჩივარი არასათანადო მოპყ-რობის შესახებ. ასევე, ისინი მზად არიან, გადააფარონ კოლეგების უკანონო ქმედებები. ამ მხრივ საჭიროა პოზიტიური ნაბიჯების გადადგმა - ტრენინგებით და, მაგალითად, **იმ კულტურის წახალისებით,** როცა არაპროფესიონალურად და კარიერული თვალსაზრისით საშიშად ითვლება ისეთ კოლეგებთან მუშაობა ან ასოცირება, რომლებსაც არასათანადო მოპყრობისთვის მიუმართავთ; ამავდროუ-ლად, სწორი და პროფესიული წინსვლისთვის არსებით ფაქტორად მიიჩნევა, ისეთ გუნდს მიეკუთვნებოდე, რომელიც ამგვარ ქმედებებს არ სჩადის.

უნდა შეიქმნას გარემო, სადაც კოლეგების არასათანადო მოპყრობის გაცხადება სწორ ნაბიჯად ჩაითვლება; ნათელი უნდა გახდეს, რომ ამგვარი მოპყრობის ბრალეულობა სცდება კონკრეტულ დამნაშავეთა ფარგლებს და ვრცელდება ყველაზე, ვინც იცოდა - ან უნდა სცოდნოდა - ამ ქმედების შესახებ და მისი აღკვეთა ან გაცხადება ვერ შეძლო. ამავე დროს, ეს გულისხმობს ნათელი იერარქიის განსაზ-ღვრას "დასმენისთვის" და "დამსმენთა" დაცვის ღონისძიებების გატარებას.

27. CPT-ს მიერ მონახულებულ ბევრ ქვეყანაში სამსახურებრივი მოვალეო-ბის შესრულების დროს წამება, არასათანადო მოპყრობა, იძულება ჩვენების მოსაპოვებლად, უფლებამოსილების გადამეტება და სხვა კონკრეტული სისხლის სამართლებრივი დანაშაულებია, რომლებიც ისჯება *ex officio*. CPT მიესალმება ამ ტიპის სამართლებრივი დებულებების არსებობას.

თუმცა, კომიტეტმა დაადგინა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში პროკურატურის ორგანოები ფართო დისკრეციით სარგებლობენ წინასწარი გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით, როცა ნათელი ეფინება ინფორმაციას თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ. კომიტეტის აზრით, ოფიციალური საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც კი, ასეთ ორგანოებს **კანონი უნდა ავალდებულებდეს გამოძიების ჩატარებას**, როცა სარწმუნო ინფორმაციას იღებენ - ნებისმიერი წყაროდან - რომ თავისუფლებააღკვეთილ პირებს, სავარაუდოდ, არასათანადოდ მოეპყრნენ. ამასთან მიმართებით, ანგარიშვალდებულების სამართლებრივი სისტემა განმტკიცდება, თუ საჯარო მოხელეებს (პოლიციელებს, ციხის დირექტორებს და ა.შ.), როგორც კი მათთვის ცნობილი გახდება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ, ოფიციალურად მოეთხოვებათ, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობონ შესაბამის ორგანოებს.

28. შესაბამისი სამართლებრივი სისტემის არსებობა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ სათანადო ნაბიჯები გადაიდგას სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. საჭირო ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ **ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები სენსიტიური გახდნენ** იმ მნიშვნელოვანი ვალდებულებების მიმართ, რომლებიც აკისრიათ.

როცა სამართალდამცველი ორგანოების მიერ დაკავებულ პირებს საგამოძიებო და მართლმსაჯულების ორგანოების წინაშე წარადგენენ, მათ საშუალება ეძლევათ, აღნიშნონ არასათანადო მოპყრობის შესახებ. მეტიც, გამოხატული საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც, ხელისუფლების ეს ორგანოები დროული ნაბიჯების გადადგმას შეძლებენ, როცა არსებობს სხვა სახის მინიშნება (მაგ: თვალსაჩინო დაზიანებები; ზოგადი გამომეტყველება ან ქცევა), რომ პირს არასათანადოდ მოეპყრნენ.

თუმცა, ვიზიტების დროს CPT ხშირად ხვდება ხოლმე ადამიანებს, რომლებიც აცხადებენ, რომ პროკურორს და/ან მოსამართლეს მიმართეს საჩივრით არასათანადო მოპყრობის შესახებ, ისინი კი ამ საკითხით არ დაინტერესებულან, სხეულის თვალსაჩინო ადგილებში არსებული დაზიანებების შემთხვევაშიც კი. ასეთი სცენარები დროდადრო ამყარებს CPT-ს დასკვნებს. მაგალითისთვის, ახლახან კომიტეტმა შეისწავლა სასამართლოს მიერ განხილული საქმე, რომელშიც სასამართლომ არა მხოლოდ ოქმში დააფიქსირა არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივარი, არამედ განსასჯელის სახეზე, ფეხებსა და ზურგზეც შენიშნა მრავლობითი სისხლჩაქცევები და შესიებული ადგილები. მიუხედავად იმისა, რომ ოქმის ინფორმაციაც თავისუფლად ჩაითვლებოდა არასათანადო მოპყრობის *prima-facie* მტკიცებულებად, შესაბამისმა ორგანოებმა ამ ფაქტზე გამოძიება არ დაიწყეს და ვერც გონივრულად ახსნეს თავიანთი უმოქმედობა.

დაკავებულები ასევე ხშირად აცხადებენ, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტი შიშის გამო არ გაასაჩივრეს, რადგან მათ სასამართლო განხილვას, პროკურორთან ან მოსამართლესთან ერთად, სწორედ ის სამართალდამცველი პირები ესწრებოდნენ, რომლებმაც ისინი დაკითხეს. არასათანადო მოპყრობის ფაქტის არგასაჩივრების მიზეზი ხშირად ისიც არის, რომ დაკავებულებს ურჩევენ ასე მოქცევას, რადგან საჩივარი მათი ინტერესების საზიანო იქნება.

არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის მიღებისას საგამოძიებო და მართლმსაჯულების ორგანოებმა გადამწყვეტ ზომებს უნდა მიმართონ. ანალოგიურად, მათ სამართალწარმოება ისე უნდა წარმართონ, რომ შესაბამის პირებს ასეთი მოპყრობის შესახებ განცხადების რეალური შესაძლებლობა მიეცეთ.

29. **არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრების სათანადოდ შესწავლა** ხშირად იოლი საქმე არ არის. ზოგიერთი არასათანადო მოპყრობა (როგორიცაა ასფიქსია ან ელექტროშოკი) ხილულ ნიშნებს არ ტოვებს - ან არ დატოვებს - თუ პროფესიონალური დონეზეა შესრულებული. ანალოგიურად, პირთა იძულება, საათობით იდგნენ ფეხზე ან მუხლებზე, არაკომფორტულ მდგომარეობაში ძირს იყვნენ გართხმულნი, ან დაძინების საშუალების არმიცემა, დიდი ალბათობით, გამოხატულ კვალს არ დატოვებს. სხეულზე ხელის შემორტყმითაც, შესაძლოა, მხოლოდ უმნიშვნელო ფიზიკური ნიშნები დააჩნდეს, რაც რთულად შესამჩნევი იქნება და მალე გაქრება. შესაბამისად, როცა საგამოძიებო ან მართლმსაჯულების ორგანოებამდე მიაღწევს ბრალდებები არასათანადო მოპყრობის ამგვარი ფორმების შესახებ, მათ ყურადღება უნდა გამოიჩინონ და დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭონ ფიზიკური ნიშნების არარსებობას. *a fortiori* იგივე ითქმის მაშინ, როცა სავარაუდო არასათანადო მოპყრობა ფსიქოლოგიური ხასიათისაა (სექსუალური დამცირება; სიცოცხლის მოსპობის ან სხეულის დაზიანების მუქარა, მიმართული დაკავებულის ან მისი ოჯახის წევრის მიმართ და სხვა). იმის სათანადოდ შესწავლისას, საფუძვლიანია თუ არა საჩივრები არასათანადო მოპყრობის შესახებ, შესაძლოა საჭირო გახდეს ყველა შესაბამისი პირის დაკითხვა, დანაშაულის ადგილის დროული დათვალიერება და/ან სპეციალისტის მიერ სამედიცინო შემოწმება.

როცა სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები საგამოძიებო ან მართლმსაჯულების ორგანოების წინაშე არასათანადო მოპყრობის შესახებ ჩივიან, ეს ბრალდებები ოქმში წერილობით უნდა დაფიქსირდეს და დაუყოვნებლივ დაინიშნოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა (საჭიროებისას, სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრის ექსპერტიზის ჩათვლით), ასევე, ყველა საჭირო ნაბიჯი უნდა გადაიდგას ბრალდებების სათანადოდ გამოძიებისათვის - იმის მიუხედავად, აღენიშნება თუ არა პირს თვალსაჩ-

ინო დაზიანებები. როცა ჩნდება ეჭვი, რომ პირი არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მაინც უნდა დაინიშნოს, იმ შემთხვევაშიც, როცა იგი არ ჩივის ამ მოპყრობის შესახებ.

30. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პირებმა, რომლებიც ჩივიან არასათანადო მოპყრობის შესახებ (და შესაძლოა, საპატიმროებიდან გათავისუფლდნენ პროკურორთან ან მოსამართლესთან წარდგენის გარეშე) და ექიმებმა, რომელთა სამედიცინო დასკვნებსაც საგამოძიებო და მართლმსაჯულების ორგანოები აღიარებენ, ბარიერების გარეშე შეძლონ ერთმანეთთან ურთიერთობა. მაგალითად, ასეთ ექიმთან მისვლას არ უნდა სჭირდებოდეს წინასწარი თანხმობა საგამოძიებო ორგანოს მხრიდან.

31. რამდენიმე ვიზიტის ფარგლებში CPT-მ იმსჯელა ხელისუფლების იმ ორგანოთა ქმედებებზე, რომლებიც უფლებამოსილნი იყვნენ, ოფიციალური გამოძიება ჩაეტარებინათ და სისხლის სამართლებრივი ან დისციპლინური სანქციები გამოეყენებინათ არასათანადო მოპყრობის შესახებ საქმეებში. ამაზე მსჯელობისას კომიტეტი ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალსა და საერთაშორისო აქტებში დადგენილ სტანდარტებს. უკვე აღიარებული პრინციპია, რომ **მხოლოდ ეფექტიანი გამოძიებით**, არასათანადო მოპყრობაზე პასუხისმგებელ პირთა გამოვლენითა და დასჯით იძენს პრაქტიკულ მნიშვნელობას წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აკრძალვა.

ამ პრინციპის დაცვა მოითხოვს, რომ გამოძიებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს ჰქონდეთ ყველა საჭირო რესურსი - როგორც ადამიანური, ისე მატერიალური. გარდა ამისა, გამოძიება უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს.

32. იმისთვის, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიება ეფექტიანი იყოს, აუცილებელია, გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები მოვლენებში ჩართული პირებისაგან დამოუკიდებელნი იყვნენ. ზოგიერთ იურისდიქციაში ყველა საჩივარი პოლიციის ან სხვა საჯარო მოხელის მხრიდან არასათანდო მოპყრობის შესახებ უნდა გადაეცეს პროკურატურას. სწორედ ეს უკანასკნელი, და არა პოლიცია, განსაზღვრავს საჩივარზე წინასწარი გამოძიების დაწყების საჭიროებას; CPT მიესალმება ასეთ მიდგომას. თუმცა, გამოძიებისას ყოველდღიურ ოპერატიულ საქმიანობაში ხშირად ერთვებიან სამართალდამცველი პირები. ამ დროს პროკურორის მონაწილეობა შემოიფარგლება აღნიშნულ პირთათვის მითითებების მიცემით - ჩაატარონ მოკვლევები, შედეგების აღიარებითა და სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალის წაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით. მნიშვნელოვანია, გამოძიებაში ჩართული პირები არ იყვნენ იმავე სამსახურის წარმომადგენლები, რომელსაც მიე-

კუთვნებიან გამოძიების სუბიექტები. იდეალურ შემთხვევაში, გამოძიების ოპერატიულ მოქმედებებზე პასუხისმგებელი პირები ინციდენტში ჩართული უწყებისაგან სრულიად დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ. გარდა ამისა, პროკურატურის ორგანოებმა მუდმივი და ეფექტიანი ზედამხედველობა უნდა გაუწიონ ოპერატიულ მოქმედებებს საჯარო მოხელეთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებისას. მათ ნათლად უნდა ესმოდეთ, რა ფორმით უნდა უხელმძღვანელონ ასეთ გამოძიებებს.

33. გამოძიება საჯარო მოხელეთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე უნდა აკმაყოფილებდეს <u>გულმოდგინედ</u> ჩატარების კრიტერიუმს. გამოძიებით შესაძლებელი უნდა გახდეს საქმის გარემოებების დადგენა - მათ შორის, იყო თუ არა გამართლებული ამ გარემოებებში გამოყენებული ძალა ან სხვა მეთოდები - ასევე, შესაბამის პირთა გამოვლენა და, საჭიროებისას, დასჯა. ეს არის არა შედეგზე, არამედ საშუალებებზე ორიენტირებული ვალდებულება. იგი ითხოვს, ყველა გონივრული ნაბიჯის გადადგმას ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებების დასამაგრებლად, *inter alia* შემდეგი მტკიცებულებების ჩათვლით: სავარაუდო მსხვერპლთა, ეჭვმიტანილთა და თვითმხილველთა იდენტიფიცირება და დაკითხვა (მაგ: მორიგე პოლიციელები, სხვა დაკავებულები); იმ ინსტრუმენტების ამოღება, რომლებიც შესაძლოა არასათანადო მოპყრობის იარაღად გამოიყენეს; და, სამედიცინო ექსპერტიზისთვის საჭირო მტკიცებულებების მოგროვება. საჭიროებისას უნდა ჩატარდეს აუტოფსია, რომელიც დაზიანების შესახებ სრულ და ზუსტ სურათს იძლევა და კლინიკური დასკვნების - სიკვდილის გამომწვევი მიზეზის ჩათვლით - ობიექტური ანალიზია.

გამოძიება უნდა ჩატარდეს <u>ყოვლისმომცველად</u>. CPT წააწყდა საქმეებს, რომლებშიც გამოძიება არასწორად დაიგეგმა და არ გაითვალისწინეს მნიშვნელოვანი ეპიზოდები და გარემოებები, რომლებიც არასათანადო მოპყრობაზე მიანიშნებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ მოპყრობასთან დაკავშირებით უამრავი სავარაუდო ინციდენტი და ფაქტი არსებობდა.

34. ამასთან დაკავშირებით, CPT-ს სურს, მკაფიოდ გამოხატოს შეშფოთება ბევრ ქვეყანაში არსებული პრაქტიკის გამო, როცა სამართალდამცველ პირებს ან ციხის ოფიცრებს ნიღბები უკეთიათ პირთა დაკავებისას, დაკითხვებისას ან ციხის ბუნტის ჩახშობისას. ეს პრაქტიკა ნამდვილად შეაფერხებს პოტენციური ეჭვმიტანილის გამოვლენას არასათანადო მოპყრობაზე საჩივრის არსებობისას. ის მკაცრად უნდა გაკონტროლდეს და გამოიყენებოდეს მხოლოდ გამონაკლის, სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებში, ციხის კონტექსტში კი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში - ან არასოდეს - ექნება გამართლება.

ანალოგიურად, მკაცრად უნდა აიკრძალოს ზოგიერთ ქვეყანაში არსებული პრაქტიკა, რომელიც პოლიციის განყოფილებებში პირებისთვის თვალის ახვევით გამოიხატება; იგი მნიშვნელოვნად აფერხებს სისხლის სამართალწარმოების დაწყებას იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც აწამა მსხვერპლი ან არასათანადოდ მოეპყრო მას. CPT-სთვის ცნობილია რამდენიმე ასეთი საქმე, სადაც სამართალწარმოების დაწყების პროცესი ამ მიზეზით შეფერხდა.

35. გამოძიება რომ ეფექტიანი იყოს, იგი უნდა ჩატარდეს დროულად და გონივრულად სწრაფ ვადაში. CPT წააწყდა საქმეებს, რომლებშიც გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები გაუმართლებლად დაგვიანდა, ან აშკარა იყო, რომ საგამოძიებო ან მართლმსაჯულების ორგანოებს არ ჰქონდათ სურვილი, მათ ხელთ არსებული სამართლებრივი საშუალებები გამოეყენებინათ და რეაგირება მოეხდინათ ბრალდებებსა ან არასათანადო მოპყრობაზე მიმანიშნებელ სხვა ინფორმაციაზე. შესაბამისად, გამოძიებები გაურკვეველი ვადით შეჩერდა ან შეწყდა და არასათანადო მოპყრობაში შემჩნეულმა სამართალდამცველმა პირებმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას თავი აარიდეს. სხვა სიტყვებით, მძიმე სამართალდარღვევის ფაქტზე რეაგირება არ იმსახურებდა "გამოძიების" სახელს.

36. ეფექტიანი გამოძიების ზემოაღნიშნული კრიტერიუმის გარდა, აუცილებელია გამოძიებისა ან მისი შედეგების საკმარისი საზოგადოებრივი კონტროლი, რათა ანგარიშვალდებულება შესრულდეს როგორც პრაქტიკაში, ასევე თეორიაში. კონტროლის საჭიროების ხარისხი სხვადასხვა საქმეში განსხვავებულია. განსაკუთრებით მძიმე საქმეებში საზოგადოებრივი მოკვლევა კიდევ უფრო მიზანშეწონილია. ყველა საქმეში მსხვერპლი (ან, მსხვერპლის ახლო ნათესავი) პროცესებში უნდა მონაწილეობდეს იმდენად, რამდენადაც საჭიროა მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად.

37. **ადმინისტრაციული სამართალწარმოება** არასათანადო მოპყრობისთვის სამართლებრივი დაკმაყოფილების დამატებითი ფორმაა და იგი შეიძლება სისხლის სამართალწარმოების პარალელურად მიმდინარეობდეს. შესაბამის მოხელეთა ადმინისტრაციული ბრალეულობა მუდმივად უნდა მოწმდებოდეს, მიუხედავად იმისა, განსახილველი არასწორი ქმედება სისხლის სამართლის დანაშულია თუ არა. ამ კონტექსტში, CPT რეკომენდაციას იძლევა რამდენიმე საპროცესო გარანტიასთან დაკავშირებით - მაგალითად, პოლიციელთა დისციპლინური კომისიაში ერთი დამოუკიდებელი წევრი მაინც იყოს ჩართული.

38. საჯარო მოხელეთა სავარაუდო დისციპლინურ გადაცდომებზე მოკვლევა შეიძლება ჩაატაროს შესაბამისი სტრუქტურის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტმა. თუმცა, CPT სახელმწიფოებს მოუწოდებს სრულყოფილი დამოუკიდე-

ბელი საგამოძიებო ორგანოს შექმნისაკენ, რომელიც უფლებამოსილი იქნე-ბა, დაიწყოს დისციპლინური სამართალწარმოება.

საგამოძიებო ორგანოს ფორმალური სტრუქტურის მიუხედავად, CPT მიიჩნევს, რომ მისი ფუნქციები სათანადოდ უნდა გასაჯაროვდეს. გარდა იმისა, რომ ცალკეულ პირებს აქვთ შესაძლებლობა, პირდაპირ ამ ორგანოში შეიტანონ საჩივარი, სახელმწიფო ორგანოებსაც (როგორიცაა პოლიცია) უნდა ევალე-ბოდეთ ყველა ისეთი განცხადების დარეგისტრირება, რომელიც შესაძლოა საჩივარი იყოს; ამ მიზნით, უნდა ჩამოყალიბდეს სათანადო პროცედურა, რომ-ლითაც დადასტურდება საჩივრის მიღება და ის, რომ მას მოჰყვება რეაგირება.

კონკრეტულ საქმეში, თუკი დადგინდა, რომ შესაბამის მოხელეთა ქმედებას სისხლის სამართლის ნიშნები აქვს, საგამოძიებო ორგანომ ამის შესახებ ყოველთვის და დაგვიანების გარეშე უნდა შეატყობინოს სისხლის სამართ-ლებრივი დევნის კომპეტენტური ორგანოებს.

39. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ საჯარო მოხ-ელეთა არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლმა უარი არ თქვას საჩივრის შეტანაზე. მაგალითად, მუდმივად უნდა გადაისინჯოს ის ნეგა-ტიური შედეგები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამგვარ მოხელეთა შესა-ძლებლობას - ცილისწამების ბრალდებით დაიწყონ სამართალწარმოება იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებმაც ცრუდ დაადანაშაულეს არასათანადო მოპყ-რობაში. სასწორზე დადებულ კანონიერ ინტერესებს შორის სამართლიანი წონასწორობა უნდა დამყარდეს. ამასთან დაკავშირებით, საქიროა 28-ე პუნქტში აღნიშნული რამდენიმე საკითხის გათვალისწინება.

40. საჯარო მოხელეთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი ფაქტი, რომელიც **სამოქალაქო სამართალწარმოებისას** იჩენს თავს, ასევე საჭიროებს სათანადო შესწავლას. მაგალითად, საქმეები, რომლებშიც პოზი-ტიური შედეგით დასრულდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები ან არასა-სამართლო მოგვარების პროცედურები და ამ მოთხოვნათა საფუძვლები პოლ-იციელთა თავდასხმასაც მოიცავდა, CPT-ს რეკომენდაციით, დამოუკიდებლად უნდა შეისწავლონ. ამგვარმა შესწავლამ - პოლიციელთა მიმართ წაყენებული ბრალდებებისა და მათი სიმძიმის გათვალისწინებით - უნდა გამოარკვიოს, საჭიროა თუ არა სისხლის და/ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების დაწყება ან განახლება.

41. აქსიომაა, რომ გამოძიების ეფექტიანობა მნიშვნელობას კარგავს, თუ **არასათანადო მოპყრობისათვის დაკისრებული სანქცია** ადეკვატური არ არის. როცა მტკიცდება არასათანადო მოპყრობის ფაქტი, მას უნდა მოჰყვეს სა-

თანადო სასჯელი, რაც სხვა პირებს გადაარწმუნებს ასეთი ქმედების ჩადე-ნას. ამის საპირისპიროდ, მსუბუქი სანქციის დაწესება წაახალისებს დაუსჯ-ელობის ატმოსფეროს შექმნას.

რა თქმა უნდა, მართლმსაჯულების ორგანოებს აქვთ დამოუკიდებლობა და თავისუფლება, რომ ყველა კონკრეტულ საქმეში კანონის ფარგლებში განსაზ-ღვრონ სასჯელის ოდენობა. თუმცა, კანონმდებლის განზრახვა კანონში ნათლად უნდა იკითხებოდეს - სისხლის მართლმსაჯულების სისტემა მკაცრი უნდა იყოს წამების და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების მიმართ. ანალოგიურად, დისციპლინური ბრალეულობის განსაზღვრის შემდეგ დაწესე-ბული სანქციებიც საქმის სიმძიმეს უნდა შეესაბამებოდეს.

42. დაბოლოს, უნდა მოიხსნას ყოველგვარი ეჭვი დაუსჯელობის აღმოფხ-ვრის მიმართ **სახელმწიფო მოხელეთა დამოკიდებულებასთან** დაკავშირე-ბით. იგი სიმტკიცეს დაუკარგავს ყველა სხვა პოზიტიურ ნაბიჯს, რომელიც კი გადადგმულა. საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლების ამ ორგანოებმა საჯაროდ და ნათლად უნდა განაცხადონ - უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე - რომ "ნულოვანი ტოლერანტობა" გამოცხადდება წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების მიმართ.

# დანართი B: პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი[345]

## კოდექსის ფარგლების განმარტება

ეს კოდექსი ვრცელდება ტრადიციულ საზოგადოებრივ საპოლიციო ძალებზე, პოლიციის სამსახურებზე, ან სხვა სახელმწიფო უფლებამოსილ და/ან კონტროლირებად ორგანოებზე, რომელთა უპირველესი ამოცანაა კანონისა და წესრიგის შენარჩუნება სამოქალაქო საზოგადოებაში, ასევე მათზე, ვინც სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილია, გამოიყენოს ძალა და/ან სპეციალური საშუალებები ამ მიზნებისათვის.

### I. პოლიციის ამოცანები

1. კანონის უზენაესობით მართულ დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიციის მთავარი მიზნებია:
   - ▶ საჯარო სიმშვიდის, კანონისა და წესრიგის შენარჩუნება საზოგადოებაში;
   - ▶ ინდივიდთა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების (განსაკუთრებით, რომლებსაც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა კონვენცია) დაცვა და პატივისცემა;
   - ▶ დანაშაულის პრევენცია და აღმოფხვრა;
   - ▶ დანაშაულის გამოვლენა;
   - ▶ საზოგადოების დახმარება და მისი მომსახურება.

### II. პოლიციის სამართლებრივი საფუძველი კანონის უზენაესობის თანახმად

2. პოლიცია სახელმწიფო ორგანოა, რომელიც იქმნება კანონით.

3. პოლიციის ოპერაციები ყოველთვის უნდა ტარდებოდეს ეროვნული სამართლისა და ქვეყნის მიერ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

345. დანართი რეკომენდაციაზე Rec(2001)10 პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსის შესახებ.

4. პოლიციის შესახებ კანონმდებლობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოქალაქეებისათვის. იგი საკმარისად ნათლად და ზუსტად უნდა იყოს განმარტებული, საჭიროების შემთხვევაში კი განივრცოს მოქალაქეებისათვის ასევე ხელმისაწვდომი და მკაფიო რეგულაციებით.

5. პოლიციის თანამშრომლები იმავე კანონმდებლობის სუბიექტები არიან, რომლისაც ჩვეულებრივი მოქალაქეები; ამ პრინციპიდან გამონაკლისის დაშვება გამართლებულია მხოლოდ იმ მიზნით, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიცია თავის საქმეს სათანადოდ აკეთებდეს.

## III. პოლიცია და სისხლის მართლმსაჯულების სისტემა

6. აუცილებელია, ერთმანეთისაგან მკაფიოდ გაიმიჯნოს პოლიციისა და პროკურატურის, სასამართლოსა და პენიტენციალური სისტემის როლები; პოლიციას სხვა ორგანოებზე კონტროლის უფლებამოსილება არ უნდა გააჩნდეს.

7. პოლიციამ მტკიცედ უნდა სცეს პატივი მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას; კერძოდ, მან არ უნდა გამოხატოს პროტესტი ლეგიტიმურ გადაწყვეტილებათა ან სასამართლო განჩინებათა მიმართ და არც მათი აღსრულება უნდა შეაფერხოს.

8. პოლიცია, წესისამებრ, სასამართლოს ფუნქციებს არ ასრულებს. პოლიციისათვის სასამართლო უფლებამოსილების ნებისმიერი დელეგირება უნდა იყოს შეზღუდული და შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. ყოველთვის უნდა იყოს შესაძლებელი, პირის უფლებებთან დაკავშირებით პოლიციის ნებისმიერი ქმედება, გადაწყვეტილება ან უმოქმედობა გასაჩივრდეს სასამართლო ორგანოში.

9. პოლიცია და საზოგადოებრივი პროკურატურა სათანადო ფუნქციური თანამშრომლობით უნდა გამოირჩეოდნენ. ქვეყნებში, სადაც პოლიცია საზოგადოებრივ პროკურატურას ან გამომძიებელ მოსამართლეს ექვემდებარება, პოლიციამ უნდა მიიღოს მკაფიო მითითებები დანაშაულის საგამოძიებო პოლიტიკის პრიორიტეტებსა და ცალკეულ საქმეში გამოძიების მიერ მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით. პოლიცია ინფორმაციას უნდა აწვდიდეს ზემდგომ საგამოძიებო ორგანოებს მათი მითითებების შესრულების შესახებ, კერძოდ კი რეგულარულად აბარებდეს ანგარიშს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების მიმდინარეობაზე.

10. პოლიციამ პატივი უნდა სცეს დაცვის ადვოკატების როლს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში და, საჭიროებისას, დაეხმაროს მათ იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტიანად უზრუნველყოფაში - განსაკუთრებით, თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებით.

11. პოლიციამ არ უნდა იტვირთოს ციხის თანამშრომლის ფუნქციები, გარდა საგანგებო შემთხვევებისა.

## IV. პოლიციის ორგანიზაციული სტრუქტურა

### A. ზოგადი დებულებები

12. პოლიცია ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მისი თანამშრომლები საზოგადოების ყურადღებას იპყრობდნენ როგორც პროფესიონალები, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონის დაცვას და ემსახურებიან მოსახლეობას.

13. პოლიცია სამოქალაქო საზოგადოებაში თავის მოვალეობებს უნდა ასრულებდეს ხელისუფლების სამოქალაქო ორგანოების ზედამხედველობით.

14. პოლიცია და მისი ფორმიანი თანამშრომლები იოლად ამოსაცნობნი უნდა იყვნენ.

15. პოლიცია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან საკმარისი ოპერატიული დამოუკიდებლობით უნდა სარგებლობდეს მასზე დაკისრებული საპოლიციო ფუნქციების შესრულებისას, რაზეც იგი სრულად აგებს პასუხს.

16. პოლიციის თანამშრომლები ყველა საფეხურზე პირადად უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი თავიანთ ქმედებებსა და უმოქმედობაზე, ასევე, ხელქვეითებისთვის გაცემულ ბრძანებებზე.

17. 17. პოლიციის უწყება პოლიციის შიგნით დაქვემდებარებას მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს. ყოველთვის შესაძლებელი უნდა იყოს იმის გამორკვევა, რომელ ხელმძღვანელს ეკისრება უშუალო პასუხისმგებლობა პოლიციის თანამშრომლების ქმედებებსა და უმოქმედობაზე.

18. პოლიცია მომართული უნდა იყოს მოსახლეობასთან კარგი ურთიერ-

თობის დასამყარებლად, საჭიროების შემთხვევაში კი - ეფექტიანი თანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად სხვა უწყებებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობათა ჯგუფებთან.

19. პოლიციის სამსახურები მზად უნდა იყვნენ - საზოგადოებას ობიექტური ინფორმაცია მიაწოდონ თავიანთი საქმიანობის შესახებ, კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემის გარეშე. უნდა შემუშავდეს პროფესიული სახელმძღვანელო პრინციპები მედიასთან ურთიერთობის დასარეგულირებლად.

20. პოლიციის უწყება ეფექტიან ზომებს უნდა ითვალისწინებდეს თავის თანამშრომელთა პატიოსნებისა და სათანადო ქცევისათვის, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის კუთხით.

21. პოლიციის უწყების ყველა საფეხურზე უნდა დაინერგოს ეფექტიანი ღონისძიებები ამ სისტემაში კორუფციის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის.

## B. პოლიციის კადრების კვალიფიკაცია, დაქირავება და შენარჩუნება

22. პოლიციის თანამშრომლები ნებისმიერ პირველ სამსახურეობრივ საფეხურზე პოლიციის მიზნების შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიხედვით უნდა დაიქირაონ.

23. პოლიციის თანამშრომლებმა უნდა შეძლონ იმის ჩვენება, რომ აქვთ ჯანსაღი განსჯის უნარი, არიან გონებაგახსნილები, მომწიფებულები, სამართლიანები, აქვთ კომუნიკაციის უნარები და, საჭიროების შემთხვევაში, ლიდერისა და მენეჯერის თვისებებიც. მეტიც, მათ კარგად უნდა ესმოდეთ სოციალური, კულტურული და საზოგადოებრივი პრობლემები.

24. პირები, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ მძიმე დანაშაულებისათვის, არ უნდა ასრულებდნენ პოლიციის ფუნქციებს.

25. დაქირავების პროცედურები უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ და არადისკრიმინაციულ საფუძვლებს, თანამშრომლები უნდა დაიქირაონ კანდიდატთა აუცილებელი შემოწმების შემდეგ. გარდა ამისა, პოლიციამ მიზნად

უნდა დაისახოს ქალებისა და მამაკაცების დაქირავება სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფიდან, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებიდან-აც; უმთავრესი ამოცანა კი ის უნდა იყოს, რომ პოლიცია, თავისი თანამ-შრომლებით, ასახავდეს საზოგადოებას, რომელსაც იგი ემსახურება.

## C. პოლიციის თანამშრომელთა გადამზადება

26. პოლიციის ტრენინგები უნდა ეფუძნებოდეს დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტური ღირებ-ულებებს და შემუშავდეს პოლიციის ამოცანების შესაბამისად.

27. პოლიციის თანამშრომელთა ზოგადი გადამზადება შეძლებისდაგვარად ღია უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

28. სასურველია, რომ ზოგად საწყის ტრენინგებს რეგულარულად მოჰყვეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი, საჭიროების შემთხვევაში კი, სპეციალ-ისტების, მენეჯმენტისა და ლიდერთა თვისებების ტრენინგები.

29. პოლიციის ტრენინგები ყველა საფეხურზე უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ გადამზადებას ძალის გამოყენებისა და ადამიანის უფლებათა იმ პრინ-ციპების ფარგლების შესახებ, რომლებიც აღიარებულია ევროპული კონ-ვენციითა და მისი პრეცედენტული სამართლით.

30. პოლიციელთა პროფესიული ტრენინგები უნდა ითვალისწინებდეს რა-სიზმსა და ქსენოფობიასთან ბრძოლისა და აღმოფხვრის საჭიროებას.

## D. პოლიციის თანამშრომელთა უფლებები

31. პოლიციის თანამშრომლები, როგორც წესი, უნდა სარგებლობდნენ იმავე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით, რომლითაც სხვა მოქალაქეები. ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილე-ბელია საპოლიციო უფლებამოსილების განხორციელებისთვის დემოკრა-ტიულ საზოგადოებაში, კანონის თანახმად და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად.

32. პოლიციის თანამშრომლები შეძლებისდაგვარად სრულად უნდა სარგე-ბლობდნენ სოციალური და ეკონომიკური უფლებებით, როგორც სახელმწიფო მოხელეები. კერძოდ, თანამშრომელს უფლება უნდა ჰქონდეს, შექმნას

წარმომადგენლობითი ორგანიზაცია ან გაერთიანდეს მასში, მიიღოს სათანადო ანაზღაურება და სოციალური დაზღვევა და უზრუნველყოფილი იყოს სპეციალური ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებებით, პოლიციის საქმიანობის სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

33. პოლიციის თანამშრომელთა წინააღმდეგ გატარებული დისციპლინური ზომები უნდა ექვემდებარებოდეს გადასინჯვას დამოუკიდებელი ორგანოს ან სასამართლოს მიერ.

34. ხელისუფლების ორგანოებმა მხარი უნდა დაუჭირონ პოლიციის თანამშრომლებს, როცა მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელი ბრალდებები არსებობს.

## V. პოლიციელთა ქმედების/ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები

### A. პოლიციელთა ქმედების/ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები: ზოგადი პრინციპები

35. პოლიცია ყველა ოპერაციის ჩატარებისას ვალდებულია, პატივი სცეს თითოეული ადამიანის სიცოცხლის უფლებას.

36. პოლიციამ არცერთ გარემოებაში არ უნდა მიმართოს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას და არცერთ გარემოებაში არ უნდა წაახალისოს ან შეიწყნაროს ეს ქმედებები.

37. პოლიციას ძალის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობისას და მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

38. პოლიციამ ყოველთვის უნდა გადაამოწმოს დაგეგმილი ქმედებების მართლზომიერება.

39. პოლიციის თანამშრომლებმა უნდა აღასრულონ ზემდგომი ოფიცრების მიერ გაცემული სათანადო ბრძანებები, მაგრამ ისინი ვალდებული უნდა იყვნენ, არ დაემორჩილონ აშკარად უკანონო ბრძანებებს და მათ შესახებ გააცხადონ სანქციის შიშის გარეშე.

40. პოლიციელი თავისი მოვალეობების შესრულებისას სამართლიანობის

პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს, კერძოდ, მოქმედებდეს სამართლიანად და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

41. პოლიცია არ უნდა ჩაერიოს ადამიანების პირად ცხოვრებაში, თუ ამას არ მოითხოვს აბსოლუტური აუცილებლობა და ლეგიტიმური მიზნების მიღწევა.

42. პოლიციამ პერსონალური მონაცემები ინფორმაციის დაცვის საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად უნდა შეაგროვს, დაიცვას და გამოიყენოს და ეს დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ მართლზომიერი, ლეგიტიმური და კონკრეტული მიზნების შესასრულებლად.

43. პოლიცია თავისი საქმიანობისას მუდმივად უნდა ითვალისწინებდეს ყველა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, როგორიცაა: აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება; გადაადგილებისა და ქონებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლება.

44. პოლიციის თანამშრომლები პატიოსნად და პატივისცემით უნდა მოეპყრონ მოსახლეობას და განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ იმ ადამიანთა მდგომარეობას, რომლებიც მოწყვლად ჯგუფებს მიეკუთვნებიან.

45. ოპერაციების ჩატარებისას პოლიციის თანამშრომლებს, როგორც წესი, უნდა შეეძლოთ პოლიციელის სტატუსისა და მათი პროფესიული იდენტობის დამტკიცება.

46. პოლიციის თანამშრომლები უნდა დაუპირისპირდნენ ნებისმიერი სახის კორუფციას მათ ეშელონებში, ასეთი ფაქტების შესახებ კი აცნობონ ზემდგომ პირებსა და შესაბამის ორგანოებს.

## B. პოლიციელთა ქმედების/ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები: კონკრეტული სიტუაციები

### *1. საპოლიციო გამოძიება*

47. საპოლიციო გამოძიება, სულ ცოტა, გონივრულ ეჭვს უნდა დაეფუძნოს დანაშაულის ან შესაძლო დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის შესახებ.

48. პოლიციამ უნდა იხელმძღვანელოს პრინციპით, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მის ბრალეულობას სასამართლო არ დაადგენს და იგი უნდა სარგებლობდეს გარკვეული უფლებებით - კერძოდ, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისთვის წაყენებული ბრალდების არსი და დაიცვას თავი პირადად ან მისი არჩეული ადვოკატის მეშვეობით.

49. საპოლიციო გამოძიება უნდა ჩატარდეს ობიექტურად და სამართლიანად. პოლიციელებმა უნდა გაითვალისწინონ ისეთი პირების სპეციალური საჭიროებები, როგორიცაა ბავშვები, არასრულწლოვნები, ქალები, უმცირესობები - ეთნიკური უმცირესობათა ჩათვლით - და მოწყვლადი პირები.

50. უნდა შემუშავდეს საპოლიციო დაკითხვების სათანადოდ და პატიოსნად ჩატარების სახელმძღვანელო პრინციპები, 48-ე მუხლის გათვალისწინებით. კერძოდ, პირი უნდა დაიკითხოს სამართლიანობის პრინციპის დაცვით, დასაკითხ პირებს უნდა ეცნობოთ დაკითხვის მიზეზები და სხვა რელევანტური ინფორმაცია. სისტემატურად უნდა ინახებოდეს საპოლიციო დაკითხვების ოქმები.

51. პოლიციამ უნდა იცოდეს მოწმეთა სპეციალური საჭიროებები და იხელმძღვანელოს წესებით გამოძიებისას მოწმეთა დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როცა არსებობს მათი დამცირების საფრთხე.

52. პოლიციამ დანაშაულის მსხვერპლის მიმართ საჭირო მხარდაჭერა უნდა გამოხატოს, დაეხმაროს და ინფორმაცია მიაწოდოს მას, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

53. მთელი გამოძიების განმავლობაში, საჭიროებისას, პოლიციამ უნდა უზრუნველყოს ზეპირი და წერილობითი თარგმანები.

## *2. პოლიციის მიერ დაკავება/თავისუფლების აღკვეთა*

54. თავისუფლების აღკვეთას პოლიციამ ძალიან იშვიათად უნდა მიმართოს და ეს უნდა მოხდეს თითოეული დაკავებულის ღირსების, მოწყვლადობისა და პირადი საჭიროებების გათვალისწინებით. თითოეულ პატიმარზე მუდმივად უნდა ინახებოდეს პატიმრობის პერიოდის ოქმები.

55. პოლიციამ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ფარგლებში დაუყოვნე-

ბლივ უნდა აცნობოს თავისუფლებააღკვეთილ პირებს მათი დაკავების მიზეზები, მათთვის წაყენებული ყველა ბრალდება და მათ საქმესთან დაკავშირებული პროცედურები.

56. პოლიციამ უნდა უზრუნველყოს დაკავებული პირების უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, ჰიგიენა და შესაბამისი კვება საპატიმროში ყოფნის განმავლობაში. პოლიციის საკნები უნდა იყოს გონივრული ზომის, სათანადო განათებითა და ვენტილაციით, და აღჭურვილი დასვენებისთვის გამოსადეგი საშუალებებით.

57. პოლიციელთა მიერ თავისუფლებააღკვეთილ პირებს უნდა ჰქონდეთ უფლება, დაკავების შესახებ შეატყობინონ მათ მიერ შერჩეულ მესამე მხარეს, ასევე, ხელი მიუწვდებოდეთ იურიდიულ დახმარებასა და სამედიცინო შემოწმებაზე, შესაძლებლობის შემთხვევაში, მათივე სურვილით შერჩეული ექიმის მიერ.

58. პოლიციამ შეძლებისდაგვარად უნდა განაცალკევოს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ეჭვის საფუძველზე დაკავებული პირი სხვა მიზეზით დაკავებულებისაგან. ცალ-ცალკე უნდა განათავსონ ქალები და კაცები, ისევე როგორც ზრდასრულები და არასრულწლოვნები.

## IV. ანგარიშვალდებულება და პოლიციის კონტროლი

59. პოლიცია ანგარიშვალდებული უნდა იყოს სახელმწიფოს, მოქალაქეებისა და მათი წარმომადგენლების წინაშე და ეფექტიანად კონტროლდებოდეს გარედან.

60. სახელმწიფო კონტროლი პოლიციაზე უნდა ნაწილდებოდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის.

61. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა შექმნან პოლიციელთა ქმედებების გასაჩივრების ეფექტიანი და მიუკერძოებელი პროცედურები.

62. უნდა წახალისდეს ანგარიშვალდებულების მექანიზმის შექმნა, რაც დაეფუძნება ურთიერთგაგებასა და კომუნიკაციას საზოგადოებასა და პოლიციას შორის.

63. წევრ სახელმწიფოებში უნდა შემუშავდეს პოლიციის ეთიკის კოდექსები - წინამდებარე რეკომენდაციაში ჩამოყალიბებული პრინციპების საფუძ-

ველზე - და მათ შესრულებაზე მონიტორინგი სათანადო ორგანოებმა განახორციელონ.

## VII. კვლევა და საერთაშორისო თანამშრომლობა

64. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ და ხელი შეუწყონ კვლევებს პოლიციის შესახებ, როგორც თვითონ პოლიციელების, ასევე გარე ორგანოების მიერ.

65. უნდა გაღრმავდეს საერთაშორისო თანამშრომლობა პოლიციის ეთიკისა და ადამიანის უფლებათა ასპექტებზე.

66. ევროპის საბჭომ ყურადღებით უნდა იმსჯელოს წინამდებარე რეკომენდაციის პრინციპთა ფართო საზოგადოებისთვის მიწოდებისა და შესრულების საშუალებებზე.